

ISSN 0182-599 X
საქართველოს
საზოგადოებრივი მეცნიერებების
აქადემიის
გაზეთი

გნებობა



12

1984



ენათობი

ქართული
ენათმეცნიერება

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური მხარდობის
საზოგადოებრივ-კულტურული უწყისი

წილწამი 80-60

№ 12

დეკემბერი, 1994 წ.

საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული უწყისის ორგანო

შინაარსი

60 — „ენათობი“ — 60

აკაკი შანიძე — „ენათობის“ რედაქციის	3
ირაკლი აბაშიძე — შინ ახლა სამოცი წლისა ხარ	3
გრიგოლ აბაშიძე — უროვისა და ბრძოლის მხატვრული მატიაძე	4
ელგუჯა მადრაძე — კვლავაც გამარჯვების გზით ვგვლნს...	5
გიორგი ნატროშვილი — „ენათობის“ სიზარება	6
უმთა ნიშნაძე — ძვირფასო მთხრობო	8
ჯანსუღ ნაკვიანი — მარადის ანათება	8
მუჟნი ლასურია — კეთილი მთხრობი	10
ფრიდონ ხალვაში — სამოცი წლის „ენათობი“	11
მახტანგ ბელიძე — „ენათობს“ შეუძლია იაფაფს	12
ჯანსუღ ღვინჯილია — ჩვენი „ენათობი“	12
თაბუკი ზაჩიძე — ჩვენი სულიერი ცხოვრების მშობიანი	13
სარკის ცაიშვილი — მწერლური ოსტატობის დიდი ხელო	14

პროზა, პოეზია

გივი ქველიძე — მთხრობარ პოეტიკის	16
გიორგი ლაბანიძე — ამხანაგი მთხრობარობი. რომანი. ვერტელები	18
ნარი აბრამიშვილი — ლექსები	68
ჯეჟალ ძარხაძე — ბიძაძი იონა. მოთხრობა	71

ღიადი გამარჯვების 40 წელი

გიჟ ნიშნაძე — მთხრობი სიტყვა	103
--	-----

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

სიმონ ზიქვაძე — საზოგადოებრივი ლიტერატურა; ალექსანდრე ბლოკი; გულით დაკვირვებული ნაბიჯები	114
გიორგი ჯიბლაძე — „შაანასენი უხიზი“ ანუ ჯიბის ოდისა, დამასრული	122

მ. შვირცი ჯეჟალ.

შინაარსი (გაგრძელება)

ანანიძე ბესტაველი — ნიჭი ხსოვნისა	139
თაყაიშვილი ნახიძე — დავინახეთ, რაც მოქმედებდა	141

მეცნიერება

გონა ჯაფარიძე — სპარტოველთა საბარბო პოლიტიკის ისტორიიდან	147
ჯაბა ალექსიძე — „ცხოვრება შარანავაზისი“	152

წიგნების მიმოხილვა

ასკათ თხარაშვილი — ტოკონიმიკური ნაშრომი	158
---	-----

გამოსათხოვარი

რაჭო ამაშუქალი — მშვიდობითი	165
რევაზ სირაძე — გამოსათხოვარი მემორიალური	165
ნანიკა გელაშვილი — ვიწმინდი ღლის სვედა	166
ლალა ზამბაძე — მთავართა ჩემო!	167
მიკა ალექსიძე — სივრცეზე მიწასავეთ მიწა	169
შოკნაძე „მნათობის“ 1984 წლის ნომრების შინაარსი	171

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუქალი (მთ. რედაქტორის მოადგილე),
 მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიზაშვილი, გ. დონაშვილი, კ. კალაძე,
 მ. ლასურია, მ. ლეიბანიძე, ე. მალარაძე, ლ. მრალაშვილი, გ. ნატრო-
 შვილი, რ. პატარიძე, ო. პაპოქორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. წუ-
 ლეისკირი, თ. ზილაძე, გ. ნარანაშვილი, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

შენ ფურცლებზე გაშალა ფრთები ქართული საბჭოთა მწერლობის მრავალი თაობის შემოქმედებამ. შენი არსებობის ისტორია ბევრი ქართველი მწერლის ბიოგრაფიაცაა და მათ შორის ჩემიც, დღეს უკვე ძველი თაობის პოეტისა. მე შენი დაბადების დღეც კარგად მახსოვს, შენი პირველი წიგნის გამოსვლაც, ის პირველი სიხარულიც. სულ რამდენიმე წლის შემდეგ მეც შენი აქტიური ავტორი, თანამშრომელი გავხდი; მერე კი, უფრო ახლობელიც — ოცდაათიან წლებში შენი სარედაქციო მუშაიც, შენი პოეზიის განყოფილების გამგე; მერე კიდევ უფრო მეტიც — 40-იან წლებში შენი მთავარი რედაქტორიც. დღესაც შენთან ვარ, როგორც შენი ერთგული ავტორთაგანი და შენი კოლეგიის უძველესი წევრი, აგერ მთელი ნახევარი საუკუნის გრძელ მანძილზე.

შენ დამაკავშირე მე ქართული მწერლობის მრავალ თაობასთან, ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, როცა ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწენიც; როცა ცოცხლები იყვნენ მეორე საუკუნის ქართული საბჭოთა კულტურისა და ლიტერატურის პირველი თაობის გამოჩენილი ოსტატები. ალბათ, ამიტომაც მე ხშირად მგონია — შენ შენი ავტორებით ყველაზე მედნიერი სწორედ იმ დროს ოყავი, სწორედ მაშინ, ოცდაათიან წლებში. ანუ შეიძლება, მე ეს მიტომაც მგონია, რომ მაშინ ახალგაზრდა კაცი ვიყავი...

თუწონელია შენი ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე; ქართული კულტურის, ლიტერატურის წინაშე. საუკუნეების შემდეგაც გეტყვიან მაღლობას ჩვენი შთამომავლები.

გილოცავ, სულითა და გულით გილოცავ ღირსეულ იუბილეს, ბედნიერ დაბადების დღეს. კვლავაც დიდ წარმატებებს, დიდ მიღწევებს ვუსურვებ შენს დღევანდელ მესვეურებს, შენს დღევანდელ შემოქმედებით კოლექტივს, შენს ავტორებს, შენს მკითხველებს.

1984 III.

გრიგოლ ავაშიაძე

„მნათობის“ რედაქტორი 1960-1967 წწ.

შრომისა და ბრძოლის მხაზვარი გავიანე

დიდია და მნიშვნელოვანი ქურხალ „მნათობის“ როლი, არა მარტო ქართული მწერლობის განვითარებაში, არამედ ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, საერთოდ.

თავისი არსებობის სამოცი წლის განმავლობაში „მნათობი“ ერთგულად ემსახურებოდა მშობელი ხალხის კულტურას, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შექმნა ახალი საქართველოს მშენებლობაში.

ქართული პერიოდიკის ისტორიაში არ ყოფილა მეორე სქელტანიანი ქურხალი, რომელსაც ასე უწყვეტად და ხანგრძლივად გაეწიოს სამსახური ეროვნული მწერლობისათვის.

ამ სამოცი წლის მანძილზე „მნათობის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა ქართველი მწერლების ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომლებშიაც აისახა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და ჩვენი მწერლობის განვითარების უმთავრესი ეტაპი.

„მნათობი“ ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის მხატვრულ მატრიანედ, მრავალსავე ვეკლინა და დღესაც ღირსეულად აგრძელებს ამ სახელოვან ტრადიციას.

„მნათობის“ ინტერესები არასოდეს არ შემოზღუდულა მარტოოდენ ლიტერატურით. მის ფურცლებზე აისახა ქართული ფილოსოფიური აზრის, ჩვენი პუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევები და სიახლეები.

ამდენად, „მნათობი“ აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის როლსაც ასრულებდა.

სამოცი წლის მანძილზე „მნათობში“ ბევრი რედაქტორი გამოიცვალა. ბევრი მათგანი ამ საპატიო მოვალეობას საქმის სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეცილებოდა და, მათ გარკვეული კვალი დატოვეს ჟურნალის ისტორიაში.

თავის დროზე, მეც მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი „მნათობის“ რედაქტორი, წლების განმავლობაში მეც ვცდილობდი სწორედ მათი ტრადიცია გამეგრძელებინა, ვინც „მნათობს“ შეუქმნა სახე და მოწინავე ჟურნალის ავტორიტეტი დაუმკვიდრა.

ეს იყო ჩემი მოღვაწეობის საუკეთესო წლები და, მე ახლაც სიამოვნებით ვიგონებ „მნათობის“ რედაქციის კოლექტივთან, მის ავტორებთან ჩემს ყოველდღიურ ურთიერთობას.

ცხოვრება გრძელდება. „მნათობი“ ისევ ჩვენი ლიტერატურის მოწინავე ხაზზე დგას, მის ღონეს განსაზღვრავს და მის წინაშე დასმული ახალი ამოცანების გადაწყვეტისას ჟურნალის საუკეთესო ტრადიციებითაც ხელმძღვანელობს.

სწორედ ეს არის რედაქციის ნიჭიერი კოლექტივის დიდი დამსახურება და მე გულითადად ვუსურვებ მათ ახალ წარმატებებს ამ გზაზე.

დღე, კიდევ დიდხანს ყოფილიყოს „მნათობი“ ჩვენი მშობლიური ლიტერატურის გზის მანათობელი.

ილგუჯა მადრაძე

— „მნათობის“ რედაქტორი 1967—1973 წწ.

კვლევის გამაჩვენის გზით ევლოს...

ჟურნალ „მნათობის“ დაარსებიდან 60 წელი შესრულდა. იუბილარს წელთა სიმრავლე წამოჰპარვია, მაგრამ განვილილ დრო-ყამს სიბერის კვალის აღბეჭდვის ნაცვლად ჟურნალისათვის სრულყოფილება და ცხოველყოფილობა უსაგზლია.

„მნათობს“ დაბადებიდანვე ქართველი ხალხის, ახალი ქართული მწერლობის, ახალი იდეებისა და ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობების მხატვრული ხორცშესხმისა და ჩვენების მძიმე და საპატიო მისია ჰქონდა დაკისრებული, რასაც ჟურნალმა თავი ბრწყინვალედ გაართვა. ქართული მწერლობის თვალსაჩინო მიღწევები განუყრელადაა დაკავშირებული ჟურნალ „მნათობის“ სახელთან. ამ სამოცი წლის მანძილზე „მნათობის“ გარშემო მუდამ თავმოყრილი იყო ქართული მწერლობის ამგდარ და საამაყო შემოქმედთა ელვარე კოპორტა, რომელთა პოეტურმა და პროზაულმა ნაწარმოებებმა ჟურნალს დიდი სახელი შესძინა და დამსახურებული ავტორიტეტი შეუქმნა.

მავანთა და მავანთა გავლენითა და წაბაძებით დღეს ჩვენს ქვეყანაში იხილება ისეთი ნაწარმოებები, რომელთა შინაარსის გაგება, ამოხსნა და გამოფხვრება სამი წაქითხებითაც არ ხერხდება. ზოგიერთი შემოქმედი, რაღაც ისეთს დაეძებს ადამიანში, რომლის ამოცნობა და მკითხველისათვის ჩვენება თვითონაც არ ძალუძს. ჩვენს ლიტერატურაში მომრავლდა გამოცანა-რებუსი ლექსები და უსიუფეტო მოთხრობები. ზოგიერთებმა ლიტერატურის საგანდ აქციეს სიმბინჯეთა და პათოლოგიურ ამბავთა ჩვენება. იგრძნობა შინაგანი მონოლოგების მოჭარბება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლიტერატურულ გმირს აღარა აქვს თავისი სახე, ამ გმირს არ გააჩნია წარსული, არ ამქლავნებს ეროვნულობას, რას წარმოადგენს სოციალურად არავინ უწყის, იგი ფეხზე მყარად ვერა დგას, ბედის ანაბარადაა მიტოვებული, არა ჰყავს მხარდამჭერი და თვითონ შემოქმედი — მწერალიც არ უდგას მხარში. ზოგიერთი ნაწარმოებიდან არათუ ხელშესახებად ჩანს, არც კი იგრძნობა და, კიდევ მეტიც, არც კი ეონავს მწერლის ტენდენციად პოზიცია, რომ აღარაფერი ეთქვათ გმირის აქტიურ მხარდაჭერაზე.

რასაც ახლა აქ ვწერ მხოლოდ სურვილია და არავის გემოვნების გახედვანასა და კუთხისწავლებას არ ისახავს მიზნად. ჩემი სურვილი გახლავთ „მნათობნი“, რომელიც იყო და არის საქართველოს მწერლობის სარკე და უპირველესი ეურნალი, თავის ფურცლებზე ბეჭდოს მებრძოლი სულისკეთებით გაელენთილი მაღალმხატვრული ლექსები და პოემები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რეალისტური, სოციალური რომანების ბეჭდვას და ფსიქოლოგიური ანალიზით აღბეჭდილ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას, სადაც ლიტერატურულ გმირს უნდა ხელეწიფებოდეს თქვას თავისი სიტყვა, გამოავლინოს და დაამკვიდროს თავისი ხასიათი, აღბეჭდოს თავისი კვალი, გაიმარჯვოს უკეთურობაზე და ჩვენთვის სასურველი გავლენა მოახდინოს მკითხველზე.

ეურნალ „მნათობის“ რედაქციას დღესაც ფართოდ ჰყავს ჩაბმული შემოქმედებით საქმიანობაში ქართული მწერლობის საუკეთესო ძალები, რომელთა პოეტური გზნება, ეროვნული სახმილი, მაღალნიჭიერება და შემართება იმისი გარანტია გახლავთ, რომ „მნათობი“ კვლავაც ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და მხატვრულ სარბიელზე მიღწეულ სიმაღლეებს არ დასთმობს და კვლავაც გამარჯვებების გზით ივლის.

გიორგი ნაბროვილი

„მნათობის“ რედაქტორი 1973—1982 წწ.

„მნათობის“ სიჭარბე

ფრიად კარგი და სასახლო ისტორია აქვს ეურნალ „მნათობს“, მისი შეიქმნა დასაწყისი ნომერი, შეიქმნა და დღეს დიდი წიგნი მნიშვნელოვანწილად მოიცავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარსულსა და აწმყოს. „მნათობის“ ფურცლებზე აისახა საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომა და ბრძოლა ახალი სოციალისტური სამყაროს ასაშენებლად და დასაცავად, როცა ომი იყო, „მნათობიც“ ომში იყო; ქართველ მწერალს მაშინ ყველგან შეხვედებოდა — გენერალ ლესელიძის ბლინდაჟშიც და ქართველი ჯარისკაცის სანგარშიც.

როცა მშვიდობა დადგა, „მნათობა“ ახალი სიმაღლეების ასაღებლად წაიჭრა. მართა თავისი დიდი კოლექტივი. თვალის ერთი გადავლებით ვერც გადაწყვეტილებები იმ უზარმაზარ პანორამას, იმ ვრცელ ქვეყანას, იმ ადამიანებს, რომლებიც ცოცხლობენ „მნათობის“ ფურცლებზე. ეს მთელი საქართველოა — ძველიც და ახალიც. აქ საუკუნეები გადასძახიან ერთი-მეორეს. აქ ერთიმეორის გვერდით ცხოვრობენ სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარიც და ენგურპეისის ამშენებლებიც; რა ჩამოსთვლის ადამიანებს, მონუმენტურ სახეებს, გმირებს, რომლებსაც ამ დიდ სარბიელზე დაინახავთ. ქართული საბჭოთა პოეზია და პროზა დღეს თამამად რომ დაუდგება გვერდით მსოფლიოს რომელიც გნებავთ დიდი ერის მოწინავე ლიტერატურას და არავის ტოლს არ დაუდებს, ეს მნიშვნელოვანწილად „მნათობის“ დამსახურებაც არის. ქართველი პოეტების თაობები თაობებსა სცვლიდნენ „მნათობის“ ფურცლებზე და ყოველ მათგანს მოჰქონდა თავისი სათქმელი.

ყოველ ქართველ მწერალს „მნათობი“ თავის სახლივით და თავის ოჯახივით უყვარს. ახალგაზრდობის წლებში რომელ ჩვენგანს არ ჰქონია ოცნება თავისი პირველი ნაწარმოები, ეხლა „მნათობის“ ფურცლებზე; მეც ასე ვიყავი. და აი, მას მერე ამ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი ვარ. ამას გარდა, სამგზის რედაქციის აპარატშიც მომიხდა მუშაობა: 1938 წელს — განყოფილების გამგედ, 1943 წელს — პასუხისმგებელ მდივნად, 1973-1982 წლებში — მთავარ რედაქტორად. ასე რომ, მოსაგონარი ბევრი რამ მაქვს, და ვიცი რომელი რიგისმე ვაგუზიარო მკითხველს შთაბეჭდილებანი გარდასულ წლებსა და ამბებზე, „მნათობის“ თანამშრომლებზე და „მნათობის“ ღვაწლსა და ამაგზე ჩვენი ქვეყნის წინაშე.

„მნათობა“ ფასდაუღებელი ღვაწლი დასდო ახალგაზრდა მწერლების აღზრდის საქმეს. მისი კარი მუდამ ღიაა იმისათვის, ვინც თავისი ლექსით თუ პროზაული ნაწარმოებით რაღაც ახალს, თავისებურს მიუმატებს, ახალ ფერს თუ ელვარებას შესძენს უმდიდრესსა და მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას. ამ სამოცი წლის მანძილზე „მნათობს“ დროის ყველა მონაკვეთში ჰყავდა თავისი ახალგაზრდა გვარდი და ყველაზე მძიმე ჭაპანში სწორედ ის იყო შებმული, მას მიჰყავდა წინ ლიტერატურა...

„მნათობა“ უმძლავრესი სტიმული მისცა ქართული პუბლიცისტიკის, ლიტერატურული კრიტიკის, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების წინსვლისა და აღორძინების საქმეს. საერთოდ აქ, პროზაშიც, პოეზიაშიც, ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკის სფეროშიც მუდამ ღვიოდა ახლის მიგნების დაუცხრომელი სულისკვეთება, მუდამ იყო ბრძოლა, ძიება, საშობლოს უკეთეს მომავალზე ფიქრი, იმ ანდერძის ასრულების წყურვილი, ვაჟამ რომ გამოთქვა: „ვცდილობთ, რომ საქართველოსა ვუშველოთ ჩვენი გარჯითა!“

დღევანდელი ცნებების ენაზე ამას ეწოდება ედგე მხარში პარტიასა და ხალხს, იღწოდენ და იბრძოდენ პარტიის წინასწარდასახულობათა განსაზოცი-ელებლად, ეზმარებოდენ ახლის ბრძოლას, სინათლისა და სიმართლის გამარჯვებას, ცუდისა და ბნელის დათრგუნვას, რასაც ესოდენ ფართო მასშტაბით და შემართებით აკეთებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ოცდამეექვსე ყრილობისა და ბოლოდროინდელი პლენუმების, კერძოდ, რიგგარეშე თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ამ გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რაოდენ მოწინავე როლი, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მწერლობას ამ ბრძოლასა და საქმიანობაში კომუნისმის მშენებლობის დიდ გზაზე. ქართული

მწერლობა ღირსეულად იხდის ამ საპატიო მოვალეობას. ამ ბრძოლაში ათწლეუ-
 ლში იგი უფრო ღრმად შეიჭრა ცხოვრების შუაგულში, ვიდრე ეს მანამდე
 ხდებოდა, უფრო მეტად გაფართოვდა მისი სარბიელი, მისი პასუხისმგებლო-
 ბა, მისთვის ჩაბარებული უბანი და მწერალიც უფრო შორს იხედება.

სამოცი წელი — ეს სიჭარმაგეში შესული ვეჯაკის ასაკია. დავულოცოთ
 „მნათობს“ მომავლის გრძელი გზა და ვუსურვოთ მუდამ ბრწყინავდეს და ანა-
 თებდეს ჩვენი ლიტერატურის მოწმენდილ ცაზე!

შოთა ნიშნიანიძე

პირველი მემოხარება

ძნელია მოკლე სიტყვაში ჩავატოო ის უმთავრესი სათქმელი, რისი თქმაც
 მსურს „მნათობის“ შესახებ, რაც უკვე არაერთხელ თქმულა მისი ხანგრძლივი
 არსებობის მანძილზე.

„მნათობის“ გზა — ეს არის ქართული საბჭოთა ლიტერატურის გზა, რო-
 მლის თანატოლიც ის გახლავთ. „მნათობი“ არის ჩვენი ლიტერატურული პე-
 რიოდის პირველი ხნულის გამყვანი, ყველა იმ მხატვრული ქურნალის მამა-
 მთავარი, რომლებიც დღეს ამაყად ამოუდგნენ მას მხარში.

ჩვენი „მნათობი“ კლავინდებურად ახალგაზრდაა, კლავინდებურად სა-
 თავეში უდგას ჩვენს ლიტერატურას და გზას უნათებებს ქართულ მწერლობას.
 სხვაგვარი არც შეიძლება იყოს ჩვენი მწერლობის, საქართველოს მწერალთა
 კავშირის ეს ავტორიტეტული ორგანო.

გულითა და სულით მივესალმები ქურნალ „მნათობის“ შემოქმედებით
 კოლექტივს, მის სარედაქციო კოლეგიასა და ათიათასობით მკითხველს, ვინც
 დიდი ინტერესით ელოდება მისი ყოველი ახალი ნომრის გამოცვლას.

ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს საყვარელ ქურნალს ქართული
 ლიტერატურისა და კულტურის სასახელოდ!

ჯანსუღ ჩარკვიანი

გაეაღის ანათობა

ეს იყო 1951 წელი, „მნათობში“ მივედი და რედაქტორი ვიკითხე, ოპ,
 ჯანსუღს გაუმარჯოსო, მომესმა კარმოლებული ოთახიდან და უკვე გათამამე-
 ბული, მაგრამ გაცემულიც რედაქტორის კაბინეტში ვიყავი. მაშინ რედაქტო-
 რად ირაკლი აბაშიძე მუშაობდა. ბატონმა ირაკლიმ ხალხი გამაცნო. გაიცანი
 ესენი ჩემი მეგობრები არიანო, სხვათაშორის მამაშენსაც კაი დრო უტარებია
 ამ ბიჭებთანო, მითხრა და თვალები ჩამიჭუტა, ლოყაზე მიჩქმიტა და ამოალა-
 გო მითხრა.

რა ამომელაგებია? სულ ორი ლექსი მივიტანე, მეტის მიტანა ვერ გაბედე... ირაკლი აბაშიძემ ფეხზე მდგარი ხალხი დასხა და თქვა: ჩემო ტუბია, ჩემო ვანიჩკა და ჩემო კოწია, მოდი ხმამალა წავეითებავ ჩვენი ავდაროს ზუპის ლექსებს, თუ მოგეწონებათ ქე დავბეჭდოთ, თუ არა და გავატანოთ სახლშიო.

რა ჯანდაბამ მომატანია, რალა დღეს მოვიტანე-თქვა, გავიფიქრე ჩემთვის და ავიწყურე, ვიგრძენი, რომ ოფელმა დამასხა, წყალივით ჩამდის... უკვე წელს ქვევითაც ვგრძნობ!... ირაკლიმ ლექსის კითხვა დაიწყო, ბოლო სტრიქონები ჩამათარა და ორჯერ გაიმეორა:

„ახლაც ვერ შემიტყვია,
გაგიგონიათ სადმე,
წინათ მესროდნენ ტყვიას,
ახლა მესვრიან ვარდებს“.

უყურე შენ, გერმანიაში (ფესტივალზე ჩასულა სამამულო ომის მონაწილე ქართველი კაცი, რომელსაც ომში ტყვიებს ესროდნენ, ახლა იგივე ხალხი თურმე ვარდებს ესვრის, რას იტყვით, დავბეჭდოთ? დავბეჭდოთ კი არა, მეტიც, ჩვენს საქმოში მივიღოთო, თქვა ვეებერთელამ და ცხვირგაწითლებულმა ზრდილობიანმა კაცმა, რომელიც სასტიკად გავდა მიაიკოვსკის. დავბეჭდოთ, და მივიღოთ ჩვენს საქმოშიო, კვერი დაუკრეს დანარჩენებმაც და იმ ორი ლექსიდან ერთი დაიტოვა ბატონმა რედაქტორმა, მეორეზე მითხრა, ეს, შენ რომ რედაქტორი გახდები მაშინ დავბეჭდო.

მე იქვე გავიგე ამ ჩემთვის ძვირფასი ხალხის ვინაობა: ერთი, ტუბია იაშვილი გახლდათ, მეორე, ვანიჩკა კახიძე, ხოლო მესამე, კოწია ლორთქიფანიძე, ვისაც ამ ხალხის, ამ დიდად საქმიანი და ერთგული მამულიშვილების გალობა მოუსმენია, ისინი დამეთანხმებიან, ვის საქმოში უნდა ვყოფილიყავი იმ დღეს.

ირაკლი აბაშიძემ თავისი წიგნი მაჩუქა. წიგნს ასე წააწერა:

„ჯანსულ ჩარკვიანს, რწმენით და იმედით. მამა ავდიდს დიდი მოკითხვა ი. აბაშიძე“.

მამაჩემის საქმეში გასვლა მაინცდამაინც არ მეტყაზნიკა, მაგრამ რა თქმა უნდა, გავიხარე, ჩემთვის გავიფიქრე, ლექსს ხომ მიბეჭდავს და წიგნიც მაჩუქა-თქვა.

იმდენი კი მოვისაზრე, რომ ბოდიში მომეხადა და წავესულიყავი... მადლობა გადავუხადე ყველას და დაეტოვე „მნათობის“ რედაქციო.

მაშინ „მნათობიც“ ახალგაზრდა იყო, შეიდი წლით ჩემზე უფროსი, ოცდაშვიდი წლის ახალგაზრდა მნათობმა ჩემი პოეტური გზის დასაწყისს ნათელი მოჰფინა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ლექსი და მოთხრობა წაილო ჩველილმა წყალმა ისე, რომ ნაპირიც არ უნახავს. ბევრი დარჩა ამ დიდი და საყვარელი ეურნალის თვალით განათებული.

დღეს, განსაკუთრებით მიხარია „მნათობში“ მისვლა, „მნათობი“ ჩემი თაობის მეგობარი ეურნალია, ჩვენი მესაიდუმლე, ჩვენი მწერლური უღლის გამწევი.

გილოცავ იუბილეს, 60 წლის ვარსკვლავო, მარადის ანათებდე ქართული პოეზიის ლაყვარლებში.

მუხნი ლასურია

კეთილი მეგზური

60 წელია, რაც ეურნალი „მნათობი“ კეთილი მეგზურის როლს ასრულებს ქართველი ხალხის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში. თითქმის უმთავრესი და უძვირფასესი, რაც ამ ხნის მანძილზე ქართულ მწერლობას შეუქმნია, „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილა და წარმოჩინებულა.

ეურნალი „მნათობი“ ეს გახლავთ თანამედროვე საქართველოს სულიერი საუნჯის მაგისტრალი, მისი მხატვრული ამბლები თავისებური პოსტამენტი, საიდანაც თვალნათლივ მოსჩანს ქართული ლიტერატურის არა მარტო გუშინდელი და დღევანდელი, არამედ ხვალისდელი დღეც.

მაგრამ ეურნალ „მნათობის“ მასშტაბები და ავტორიტეტი ასეთი მნიშვნელოვანი და საყოველთაო არ იქნებოდა, რომ იგი მარტო ეროვნული მწერლობის მიღწევების პუბლიკაციითა და პრობაგანდით დაკმაყოფილებულიყო. საბჭოთა კავშირისა თუ საზღვარგარეთის ხალხთა მხატვრული ლიტერატურისა და აზროვნების ბევრი ბრწყინვალე ნიმუში ითარგმნა და დაიბეჭდა ეურნალის ფურცლებზე. ამიტომაც არის მისი ლიტერატურული სიცოცხლე, სუნთქვა ასე ტევადი და ძალუმი. „მნათობი“ სწორედ ის ეურნალია, რომელიც მთელი თავისი მხატვრული და კრიტიკული აზროვნებით ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და მხარში ედგა თავის ქვეყანას, თავის ხალხს, თავის მკითხველს ძნელბედობისას თუ ლხინში.

„მნათობი“ სწორედ ერთ-ერთი ის ეურნალია, რომელმაც თავიდანვე მშური ხელი გაუწოდა და თავის ფურცლებზე კუთვნილი და ღირსეული ადგილი დაუთმო ახალგაზრდა აფხაზურ ლიტერატურას, მის მწერლებს. „მნათობის“ ფურცლებზე ჰპოვეს სწორედ თავიანთი მეორე სიცოცხლე დიმიტრი გულიას, სამსონ ჭანბას, ივანე პაპასკირის, ბაგრატ შინკუბას, ივანე თარბას, ჭიჭიკო და ალექსი ჯონუების, ალექსი გოგუას, ნელი თარბას, გიორგი გუბლიას, კონსტანტინე ლომიას, ნიკოლოზ კვიციანიასა და სხვათა და სხვათა პოეტურმა და პროზაულმა ნაწარმოებებმა. „მნათობი“, როგორც იტყვიან, უფროსი თაობის, სოლიდური ასაკის მწერალთა ეურნალია, მაგრამ მას მკაცრად არასოდეს შემოუვლია ასაკობრივი გაღავნები. იგი ყოველთვის მხარში ედგა და სათანადო ადგილს უთმობდა ახალგაზრდა ლიტერატორებს და ამით თავისდავე სახვალთ დღეს ნათელმირონჰყოფდა. მას მსგავსი მხარდაჭერა და ზრუნვა არც აფხაზური ლიტერატურის ახალგაზრდა წარმომადგენლებისათვის დაუკლია. ამის დასტური გახლავთ თუნდაც ის ფაქტი, რომ მან შარშან თავის ფურცლებზე სოლიდური ადგილი დაუთმო ორ აფხაზ ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს — ტაიფ აჯბასა და რუშბეი სმირს.

რაც ძვირფასია და ღირსეული, იგი სამაგალითო და გადამდებიც გახლავთ. ამიტომაც აფხაზური ეურნალი „ალაშარა“ ამ ყურადღებასა და მხარდაჭერას ღირსეულად აფასებს და ასევე ყურადღებითვე და მხარდაჭერითვე პასუხობს. „ალაშარა“, მისი სარედაქციო კოლეგია დიდი გულისყურით ადევნებს თვალს ყოველივე მნიშვნელოვანს, რაც „მნათობის“ ფურცლებზე იბეჭდება, ზნობად თარგმნის კიდევ მათ და ამით თავისებურ პრობაგანდას უწევს „მნათობის“ საუკეთესო ტრადიციებს, ამჟღავნებს და ამტკიცებს ამ ორ ეურნალს შორის შემოქმედებით კონტაქტებს.

როგორც ქართული, ასევე აფხაზური ლიტერატურა, მწერლობა დღითიდღე იზრდება და მტკიცდება, უფრო ხელშესახები და ძვირფასი ხდება ქართული და აფხაზი ხალხის სულიერი საუნჯე. ამიტომ თავისთავად „მნათობისა“ და „ალაშარას“ შემოქმედებითი კონტაქტებიც სახვალიოდ უნდა განმტკიცდეს და მასშტაბური გახდეს. ქართველ და აფხაზ მკითხველთა საერთო კუთვნილება უნდა გახდეს ის საუკეთესო ეროვნული, ის საუკეთესო ქართული და აფხაზური, რაც სადღეისო ლიტერატურის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ...და ამაში შეგვიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჟურნალი „ალაშარა“ „მნათობს“ ღირსეულ პატრონობას გაუწევს.

მნათობი აფხაზურად იგივე ალაშარაა, რაც არა მარტო მანათობელს, არამედ ნათელსაც და სითბოსაც გულისხმობს.

აგტონომიური რესპუბლიკის მწერალთა სახელით და, როგორც „მნათობის“ რედკოლეგიის წევრი, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიასა და მის მრავალრიცხოვან მკითხველს ვულოცავ 60 წლის იუბილეს, ვუსურვებ დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს, სითბოსა და სინათლეს.

ფრიდონ ხალვაში

სამოსი წლის „მნათობი“

ჟურნალი „მნათობი“ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მეგზური და ბაირალი იყო ყოველთვის. იგი ჩვენი ახალი ქართული მწერლობისათვის ყოველთვის ერთგვარი „ხარისხის ნიშანი“ იყო. თუ ნაწარმოები ჟურნალ „მნათობში“ დაისტამბება, მაშინ ეს ნაწარმოები უკვე ავტორიტეტიანია, მას უკვე დიდი ნდობითა და პატივით ეკიდება მკითხველი.

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს იუბილარ ჟურნალს. შეიძლება ითქვას, მე მის ფურცლებზე ავიდგი ფეხი როგორც მწერალმა.

„მნათობს“ ყოველთვის ჰყავდა მაღალი ეროვნული გრძნობის, ფართო ხედვის რედაქტორი — პატრონი. მე უფრო მახსოვს: ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი და აი, დღეს ჩემი თაობის კაცი, სახელოვან წინამორბედთა ღირსეული მემკვიდრე, ჩვენი არჩილ სულაკაური! თვითვეული მათგანის რამდენი ღიმილის თაიგული, რამდენი სითბო, მზარდაქერისა და სიყვარულის რამდენი სინათლე მრგებია.

ამ ჟურნალის იდეალები თავიდანვე მთლიანი საქართველოს ერთიანი ლიტერატურის, ერთიანი, განუყოფელი კულტურული აღმავლობის იდეალები იყო და არის.

ღიახ, „მნათობი“ ძალიან ახლობელი და მშობლიურია ჩემთვის. იგი საკუთარი სახლივით მიყვარს.

„მნათობის“ რედაქციაში მხოლოდ რაიმეს მისატანად როდღე შევდივარ, მე იქ შევდივარ, რათა რალაც კარგი წავილო.

კვლავ დიდხანს იცოცხლე, ჩემო საყვარელო ჟურნალო, „მნათობო“, ჩემო მასწავლებლო, ჩემო მეგობარო, ჩემო მფარველო და პატრონო. იცოცხლე და ინათე ჩვენი მწერლობის, ქართული ენის, ჩვენი ერის უკვდავებისათვის!

ხახანა ჟალიძე

„მნათობს“ შეუძლია იამაყოს

„მნათობის“ სამოცწლიანი ისტორია — დიდი ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიაა. ამიტომაც ასეთი ახლობელი და საყვარელია ეს ჟურნალი ყველა ქართველისათვის. ფურცლავ ჟურნალის ძველ ნომრებს და სიხარული გიპყრობს — დრო-ჟამისაგან გახუნებული ფურცლებიდან ხშირად შემოგანათებს ნათელი სახელები ვასილ ბარნოვისა, დავით კლდიაშვილისა, გალაკტიონ ტაბიძისა, მიხეილ ჭავჭავაძისა, ლეო ქიაჩელისა, ნიკო ლორთქიფანიძისა, კონსტანტინე გამსახურდიასი, გიორგი ლეონიძისა... ალბათ ბევრი ჟურნალი ვერ დაიკვეხნის, ამდენი საუკეთესო მწერლის ქმნილებანი თავის ფურცლებზე დაებეჭდოს. „მნათობს“ შეუძლია ამით იამაყოს.

შემდეგ, როცა „ლიტერატურული საქართველო“ და „ცისკარი“ დაარსდა, ეს სამი დიდი სალიტერატურო ორგანო ქართული მწერლობისა ერთსულოვნად წარმართავენ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას.

მახსოვს, ბავშვობაში, როგორი სანატრელი იყო „მნათობის“ ყოველი ახალი ნომრის გამოჩენა. მაშინ ჟურნალის ტირაჟი მეტისმეტად მცირე იყო. ჭირდა ჟურნალის ხელში ჩაგდება. ახლა ტირაჟი ზღაპრულად გაიზარდა, და მაინც ისეთივე სანატრელი დარჩა, ისეთივე სიხარულისმომგვრელია ახალი ნომრის მიღება: წინასწარ იცი, რომ ბევრი საინტერესო მასალით გაგახარებს.

ნურასოდეს მოკლებოდეს ეს სიხარული ჩვენი საყვარელი ჟურნალის მკითხველებს.

ჯანსუღ ღვინჯილია

ჩვენი „მნათობი“

დიდი და სახელოვანი გზა გამოიარა „მნათობმა“. თანამედროვე ქართული მწერლობის ბევრი სახელოვანი ფურცელი უკავშირდება ჟურნალის ისტორიას. რამდენი ძვირფასი მწერლის სახელი, რამდენი შედეგური გამობრწყინდა მის ფურცლებზე. დიდი ხნის განმავლობაში „მნათობი“ ხომ ერთადერთი ლიტერატურული ჟურნალი გახლდათ, მას მხოლოდ 1957 წლიდან ამოუდგა მხარში „ცისკარი“.

„მნათობის“ ზეიმი მთელი ქართული ლიტერატურის ზეიმა. დღეს ენის ნალი არა მარტო აღნიშნავს თავისი არსებობის 60 წლისთავს, უფრო ამოწმებს, აჯამებს და ამოწმებს გაკეთებულს! მან წარსულის შესწავლით მომავლისაკენ უნდა გაიხედოს — მდიდარია თუ ღარიბი, რა დგას უკან, საიდან მოდის, რისი უფლება აქვს — აი, ამ შეჯამების აზრი.

საბედნიეროდ, სიხარულის მიზეზი გვაქვს. ჩვენი „მნათობი“ პირნათლად ასრულებდა და ასრულებს თავის მოვალეობას. იგი იკრებდა და იკრებს თავის გარშემო ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს.

გაზრდილია დღევანდელი ქართული მწერლობის რიგები, ყველა თაობაში არაერთი ნაჰიერი შემოქმედი ილწვის. ამიტომ „მნათობსაც“ და „ცისკარსაც“ შესარჩევი მასალა არ აკლდება!

„მნათობს“ მუდამ ჰქონდა თავისი სახე, თავისი ფუნქცია, იგი ერთგული იყო ყოველთვის ამ ფუნქციისა. უკვე დაბრძენებული, საქვეყნოდ აღიარებული მწერლების მასპინძელი გახლდათ თავიდანვე, დღესაც მღელვარებით ველოდებით სწორედ ჩვენი გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებებს მის ფურცლებზე. ქართული სიტყვის ოსტატთა ყოველი ასეთი პუბლიკაცია ეროვნული მწერლობის მაღალ დონეზე მეტყველებს. ეურნალის რედაქცია მუდამ ითვისისწინებს ჩვენს დიდ მოლოდინს, გვახარებს ძვირფას ავტორებთან შეხვედრით.

ეურნალ „ცისკრის“ რედაქციისა და სარედაქციო კოლეგიის, მრავალათასიანი მკითხველის სახელით მინდა „მნათობის“ კოლექტივს ეს დიდი თარიღი მივულოცო. ათასი მზით განათებული ყოფილიყოს „მნათობის“ ლიტერატურული გზა!

თენგიზ ბუაჩიძე

ჩვენი სულიაი სხოპიების მემოზიანე

„მნათობის“ მნიშვნელოვანი როლი ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში საყოველთაოდ ცნობილია.

„მნათობი“ — მორგანიზებული და წარმმართველი — ყოველთვის იდგა ლიტერატურის შუაგულში და მრავალმხრივ არეგულირებდა შემოქმედებით პროცესს.

„მნათობი“ არასოდეს არ ყოფილა შემოფარგლული მხოლოდ მწერლობის საკითხებით. ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა ძირითადი მომენტი აღბეჭდილია მის ფურცლებზე 20—80-იანი წლების ვრცელ პერიოდში.

ვერც ერთი მომავალი მემისტორიე გვერდს ვერ აუვლის იმ ჭეშმარიტად ფასდაუდებელ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ინფორმაციას, რასაც ეურნალის 700-ზე მეტი ნომერი (!) მიაწვდის მას.

„მნათობი“ იყო ჩვენი სულიერი არსებობის სარკე და პირუთვნელი მემატანე. როგორც ვიყავით — კარგი თუ ცუდი — ისე ვართ აღბეჭდილი მის ფურცლებზე.

„მნათობის“ სათავეში ყოველთვის ღირსეული მოღვაწენი იდგნენ — ერი-

სა და დროის შვილნი, იმ სიხარულითა და ტკივილით მოცულნი, რასაც მათი მშობელი ხალხი განიცდიდა.

მაგრამ მივანდოთ ისტორია მომავალ მკვლევარებს.

შეხედოთ დღევანდელ „მნათობს“:

ქანობრივი მრავალფეროვნება:

მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიცია:

შერჩევის მყარი კრიტერიუმი — უკომპრომისობა...

დღეს „მნათობის“ ყოველი ნომერი მკითხველის დიდ ინტერესს აღძრავს...

შეუნელებელი ყოფილიყოს ეს ინტერესი.

ქურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“ ყოველთვის ორიენტირებულია ქართული სამწერლო პრესაზე და, ცხადია, უპირველესად ქურნალ „მნათობზე“, რათა რუს მკითხველს ქართული ლიტერატურის ღირსშესანიშნავი ქმნილებანი მიაწოდოს.

ასევე იქნება მომავალშიც.

სარგის ცაიშვილი

მნათობი ოსტატობის დიდი სკოლა

სამოცი წელი შეუსრულდა ქურნალ „მნათობს“, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ ორგანოს.

სამოცი წლის მანძილზე იგი კრავდა და ერთ შენეივებულ ძალად გარდაქმნიდა ყოველივე საუკეთესოს, რაც კი ამ ხნის მანძილზე მოეპოვებოდა თანამედროვე ქართულ მწერლობას. ეს დიდად მნიშვნელოვანი და ძალზე მაღალი მისიაა. „მნათობმა“, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, ღირსეულად ატარა ეგოდენ მძიმე და საპატიო ტვირთი.

თუ გაეხსენებთ ოციანი წლების მშფოთვარე ლიტერატურულ ცხოვრებას, როდესაც სხვადასხვა მიმართულებათა მქონე ლიტერატურული დაჯგუფებანი ებრძოდნენ ერთმანეთს, კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთება ის უმთავრესი ფუნქცია, რომელიც უნდა ეტვირთა ახლად დაარსებულ ქურნალს.

თითქოს იმთავითვე იყო კოდირებული „მნათობის“ უნივერსალური პროფილი, რაც უწინარეს ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზის შეუდრეკელ დაცვაში გამოიხატებოდა. ბრძოლის ასეთი პათოსი თავისი არსებობის უმთავრეს ეტაპებზე ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს ქურნალ „მნათობს“, მის გარშემო შემოკრებილ ლიტერატურულ ძალებს.

„მნათობი“ ამ დროის მანძილზე მწერლური ოსტატობის დიდ სკოლად გადაიქცა. ასე იყო ადრეც და ასე იყო შემდეგაც, როდესაც მის ფურცლებზე გამოჩნდა ჩვენი თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა პოეტური თუ პროზაული ქმნილებები, მხატვრული ნარკვევები თუ ესეისტური ხასიათის წერილები. ქეშმარიტი მწერლობა შინაგანი მეტოქეობის გარეშე „მცირე ნადირთა ხოცვას“ უფრო ჰკავს. „მნათობი“ კი ყოველთვის იყო და უნდა იყოს ნამდვილი შემოქმედებითი ვაჭიბრების დიდი ასპარეზი, სხვაგვარად იგი უნიჭოთა

ნავსაყუდელი იქნებოდა მხოლოდ. უდანაკარგოდ კი ასეთი მძაფრი მოგება რომ ადვილი არ არის, იგი, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად დამსჯილი თვით ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებსაც.

მე გუშინდელ დღესავეთ მახსოვს, ჩემ მეგობრებთან ერთად, როგორი გულის ლევითა და მოკრძალებით შეგვიღია „მნათობის“ რედაქციის კარები, როცა პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებს ვდგამდით. მის ფურცლებზე მოხვედრა მწერლური აღიარების ტოლფასად მიგვაჩნდა...

განსაკუთრებით კი იმ წლებში, როცა ჟურნალს სიმონ ჩიქოვანი წარმართავდა — მაშინდელი ახალი თაობის დიდი ქომაგი და ამასთან მკაცრი მსაჯული. საბედნიეროდ ისიც უნდა ითქვას, რომ ჟურნალ „მნათობს“ მეტწილ შემთხვევაში სახელმძღვანელო ჩვენი მწერლები უძღვებოდნენ და, ბუნებრივია, ამანაც განაპირობა მისი ავტორიტეტი და ერთხელ აღებულ გეზს წაღმართულობა.

ჟურნალი „მნათობი“ ყოველთვის ფართოდ უღებდა კარს ქართული მეცნიერული აზრის საუკეთესო მიღწევებს. მით უფრო, ეხება ეს მეცნიერული ქართველოლოგიის ძირითად დარგებს. მწერლობისა და მეცნიერული აზრის გათიშვისაკენ სწრაფვა კი მხოლოდ პრიმიტიული გონის თვისებაა და პროვინციალიზმის აშკარა მაცნე. „მნათობი“ თავისი სამოცწლიან ისტორიის საუკეთესო დღეებში ამ სახიფათო სენის ერთი პირველი მოწინააღმდეგე იყო. მის ფურცლებზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული მეცნიერული აზრის მიღწევები და არც მწვევე, მაგრამ სარგებლის მომტან, დისკუსიებს მორიდებია იგი.

მხოლოდ სიხარულს გვგვრის ყველას, ვისაც უყვარს „მნათობი“ და ახლოსაა მის ყოველდღიურ საქმიანობასთან, რომ, სხვა ღირსებებთან ერთად, უახლოეს წლებში ასეთი მრავალფეროვნება თვისობრივად ახალი სიმაღლეებისაკენ მიიწევს. ქართველი მკითხველი „არსობის პურივით“ უნდა ეძებდეს თავის საყვარელ ჟურნალში იმის დასტურს, რომ თანამედროვე ესთეტიკური და მეცნიერული აზრი საქართველოში თვალს უსწორებს დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე კულტურულ პროცესებს.

სინათლისა და სრულყოფილებებისაკენ დაეინებულ სწრაფვას ვუსურვებ კვლავც ჟურნალ „მნათობს“, მის შესანიშნავ კოლექტივს, ყველას, ვინც მხარში უდგას მათ და თავისი წვლილი შეაქვს ქართული მწერლობის შემდგომი აღმავლობის საშვილიშვილო საქმეში.

გვინი ქანაღაძე

მეგობარ პოეტებს

„ერთ სულ და ერთ ხორც...“

ქართლის მინდვრებზე — მწიფე ყანაში
ამღვრებული ქართველი კაცი,
შერყეულ ტახტის მიმოსალეწად
ამოვარდნილი ქარები მკაცრი;
გომბორის მთები, ოდესის პორტი,
თბილისის დილა, ღონბასის ბრძმედი,
მზიან პაერში გადაწვართული
კავკასიის და ურალის ქედი;
სადმე, კუნძულზე დეთის ანაბარა
მიტოვებული მზეში და ქარში, —
მზით გარუჯული და ფეხშიშველა
რომ დატანტალებს პატარა ბავშვი;
ესპანეთის მიწა, იტალიის ზეცა,
ლენინგრადის ნისლი, ამერიკის მუშა,
ჩემი წინანდალი, სხვისი ვირჯინია,
ინდოეთის სოფელი, საფრანგეთის ქუჩა, —

მე ყველაფერი და ყველა მიყვარს,
ამ დიდი ცის ქვეშ კარგი რაც არი,
მაგრამ ყველაფერს და ყოველს ქვეყნად,
მირჩევნის ჩემი კერის ნაცარი!..

აი, მე ახლა თქვენთან მაქვს საჭმე,
მე თქვენზე ვფიქრობ ამ წუთში, ძმებო!
თქვენი — პოეტებო საქართველოს, —
ხალხის შვილებო და წინამძღვრებო!
თქვენი ძახილი, გულის გუგუნი —
გადიხმაურებს მთებიდან მთებზე,
გასამხნეველად, დასამებლად
კაცის გულს ეძებს, კაცის სულს ეძებს...

— მოგვეფერეო, გაგვალაღეო, —
 გემუდარებათ ქართული სიტყვა!..
 ერთი გაქვთ ფიქრი და საზრუნავი
 და ერთმანეთიც ძალიან გიყვართ!..

...ელვარებაში ხან მთვარის იყოს,
 ხანაც მზის იყოს ღონე და ფერი, —
 ქართული მთების გრდემლზე ნაქედი
 ჩინჩხლებს რომ გაპყრის სტრიქონი თქვენი!..
 თქვენი სიცოცხლე შეხორცებულა
 ერთ დიდ ცხოვრებად, ერთ დიად მიზნად, —
 ასწიეთ, ძმებო, ასწიეთ ხმები, —
 შეირხეს ზეცა, შეიძრას მიწა!
 დე, გულის სისხლში გახურებული
 სიმღერით ითქვას მომავლის ქება,
 თქვენ გისმენთ ხალხი! თქვენ გისმენთ ხალხი! —
 და ჩემად ყოფნის არა გაქვს ნება!
 დააგუგუნეთ, დააგრიალეთ
 ამ საუკუნის ღირსი და დარი, —
 თქვენ გისმენთ ხალხი, თქვენ გისმენთ ხალხი! —
 ეს უდიდესი პატივი არის!

ქართველი კაცის ფიქრი და გრძნობა
 მუდამ ყოფილა მძაფრი, ო, მძაფრი, —
 მზიან სივრცეში დღეს თქვენი სულიც
 მღერის და დაჰქრის ლექსების აფრით!..
 მაგრამ დასჯერდა ვინმე ამ ქვეყნად
 რაც მოიხვეჭა თავისი წილი?
 არა! — სამშობლოს უფრო ხშიერი,
 უფრო მზრუნველი სჭირდება შეილი!

დააგუგუნეთ, დააგრიალეთ
 ჩვენი დღეების ღირსი და დარი, —
 დასაფიცებლად იწამოს ერმა
 თქვენი სახელი და თქვენი გვარი!

გულიდან მოსკდეს სიმღერა ლაღი,
 ასწიეთ ხმები! ასწიეთ — ძმებო!
 თქვენ პოეტებო საქართველოის,
 ხალხის შვილებო და წინამძღვრებო!

ქ. მამოზარის ნაწ. ხ. ქ. სსრ
 სახელმწიფო ბიბლიოთეკა
 ბიბლიოთეკა



გიორგი ლვანიძე

ამხანაგი გუბერნატორი

რომანი

სუსხიანი დღე იყო. ცამ თითქოს პირი გახსნაო, კოკისპირულად წვიმდა. სინესტე ძვლებამდე ატანდა. ხშირი ნი-სლში, რომელიც მიდამოს მოსდებო-და, ეკლესიის ზარების რეკვის ხმა ხალხს რომ მოუხმობდა, ძლივს იკვლე-ვდა გზას, როგორღაც მოგუდულად ის-მოდა. უკანონიას მოედო ამბავი: მე-ფისნაცვლის წარმომადგენელს მოსაზ-ლეობასთან შეხვედრა, მისი მოთხოვ-ნების მოსმენა სურსო.

მეფისნაცვლის თანაშემწემ სულთან კრიმ-გირეიმ ქუთაისის გუბერნატორ სმაგინისა და კაზაკთა გააღიერებული რაზმის თანხლებით იმ დღეს სოფლე-ბის შემოვლა დაიწყო. ეტლში სამი ფორნისფერი ბედაური იყო შებმული. გაბლენძილი და თვითკმაყოფილებით აღესილი სმაგინი ფეხებშუა მოქცეულ ხმაღს დაყრდნობდა და მთელი გზის მანძილზე უამბობდა სტუმარს მკამბო-ხეთა წინააღმდეგ ბრძოლებში თავის გამარჯვებათა ამბავს. ფიქრებში წასუ-ლი კრიმ-გირეი გულისგარეთ უსმენდა და მხოლოდ ზრდილობისათვის შიგა-დაშიგ ჩაურთავდა:

— ნუთუ? პოო... რასა ბრძანებთ! საპატიო სტუმარს უკან მოპყვებოდ-ნენ თანმხლებ პირთა ეკიპაჟები, რუსე-

თისა და უცხოური პრესის მრავალი წარმომადგენელი. ეს უკანასკნელნი აქ მოიყვანა მსოფლიოში გავრცელებულმა კავკასიაში მომხდარმა გასაოცარმა ამ-ბებმა, რომ თითქოს „რუსეთში სახე-ლმწიფოებრიობის ახალი ფორმები შე-იქმნაო“.

გუბერნატორის დიდ აღშფოთებას, გულისწყრომასა და უკმაყოფილებას იწვევდა ის გარემოება, რომ „კორტე-ჯი“ იძულებული იყო წითელრაზმელ გუშაგთა მოთხოვნით წამდაუწუმ გა-ჩერებულიყო. დაცვა ნერვიულობდა, ედავებოდა მათ, მაგრამ რაზმელები მიცემული ინსტრუქციების შესაბამი-სად, თავშეკავებასა და კორექტულო-ბას იჩენდნენ, სამხედრო საღამს აძლე-ვდნენ და თავაზიანად გზას უთმობდ-ნენ.

ერთ-ერთ მოსახვევს რომ გასცდნენ, ფერდობზე შეფენილი სოფელი გამო-ჩნდა. ნისლში გახვეული, იგი ზმანება-სავით არარეალურად წარმოსდგა. თი-თქოს მხატვარს უზარმაზარ ტილოზე დაუხატავსო ბუნდოვანი საღებავებით.

— ეს ბავგია, თქვენო მაღალღამატე-ბულებავ, მემამოხეთა ცენტრი, — გა-ნუშარტა სტუმარს სმაგინმა.

კრიმ-გირეი თითქოს ახლა-ღა გამო-ერკვა, დაიძაბა, დაცვა უშუალოდ შე-მოერტყა გარს ეკიპაჟს... აქ ადრე გა-

მოგზავნილმა პოლიციელებმა და კაზაკებმა უფროსები რომ შენიშნეს, ერთი აურზაური ატეხეს. ხალხს შეუტეის, განზე გაყრა დაუწყეს.

— სად ეტენები, შე ძაღლის შვილო!...

— ჩუმაღ-მეთქი, შე ღორო!...

ეკიპაიდან სწრაფად გადმოვიდნენ კრიმ-გირეი და სმაგინი. მათ გარს შემოეხვია მაზრის უფროსობა, ოფიცრები, ადგილობრივი თავადაზნაურობის წარმომადგენლნი. მალე მოქანდნენ სტუმრის თანმხლებნი ბირნიც... ყველანი ერთად ავიდნენ „სახელმწიფო სახლის“ მეორე სართულზე. კრიმ-გირეი აივნიდან მხედველობას ძაბავდა, ცდილობდა ჩამოწოლილ ბურუსში გაერჩია შეკრებილნი. გვერდში ედგა ჩასტეკებული, ბურთივით მრგვალი მაზრის უფროსი; სმაგინს გვერდის მუნიდირში ხელი გაეკევა და ნაპოლეონის პოზით მკაცრად ვასცქეროდა ქვემოთ, წვიმის ქვეშ მდგარ ხალხს. აქვე, აივანზე, მლიქვნელური ღიმილით დაბორი-ალობდა ჩოხაში გამოწყობილი, უღვაშებაპრეხილი ახალგაზრდა კაცი.

მოულოდნელად შავი ზღვიდან მონაბერმა ქარმა ნისლი გაფანტა და გამოჩნდა ხალხის ზღვა — ხმაურიანი და მოჟიჟივე. ახალგაზრდების ჭგუფი წრეში ჩამდგარიყო, კრიმანჭულს ახუჭუჭებდა და როგორმე რომ გამთბარიყო, ფეხებს აბაკუნებდა. ხეებზე ბელურებივით შემომჭდარიყვნენ წვიმაში დასველებული და სიცივით გაათოშლილი ბავშვები და ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა.

მაზრის უფროსმა ხელი შემართა და ყურადღება მოითხოვა.

— ჩუმაღ! ჩუმაღ!

გაისმა: „ჩუ... ჩუ...“

ხმაური ნელ-ნელა მიწყდა. შეკრებილნი დაუფარავი ინტერესით აკვირდებოდნენ იმპროვიზებულ ტრიბუნაზე შეკრებილ სტუმრებს. გაისმა მოუთმენელი შეძახილები რუსულ ენაზე:

— აბა, დაიწყეთ, ბატონო უფროსო!.. — რას ელოდებით? კრიმ-გირეიმ რამდენჯერმე ჩაახველა, შემდეგ წინ წამოიწია, ცალი ხელით მოაჯირს დაეყრდნო, თვალები მოჭუტა და ხმაილადა, თითქმის ყვირილით, დაიწყო:

გულითა და სულით მოგესალმებით, თქვენ, გურიის შესანიშნავო შვილებო! მე დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენს შორის რუსულის მცოდნენი არიან. და მაინც მინდა, რომ ჩემი ნათქვამი მშობლიურ, თქვენთვის უფრო გასაგებ ენაზე მოისმინოთ. გითარგმნით ჩემთან ერთად ჩამოსული კაცი, რომელსაც კარგად ვიცნობ და ვენდობი.

მის გვერდით მდგომმა ჩოხოსანმა ჭაბუკმა მკერდზე ხელი დაიდო და თავი დაბლა დახარა.

— ძალზე მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა მშვენიერი გურია მენახა, — განაგრძო კრიმ-გირეიმ, — და უფრო ახლო გავცნობოდი მის მოსახლეობას. განუზომლად ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ჩამოსვლა სულიერ სიმშვიდესა და მშვიდობას მოგიტანთ.

— ერთი ამას დამიხედე, რა მელაა, ეს არამზადა! — შენიშნა ჩაფსკენილმა კაცმა და ფერდში გაპკრა მუჭლუგუნი მეზობელს. ეს საჭარის სანერგის მუშაკი პროსტოსერდოვი გახლდათ.

— თანაც თეთრი მელაა, ოხერი, ყველაზე ეშმაკი, — კვერი დაუკრა ამხანაგმა.

კრიმ-გირეი თარგმნას დაელოდა და განაგრძო:

— გურული ხალხი ყოჩაღი და ნიჭიერი ხალხია. მაგრამ მის მრავალ ღირსებას შორის განსაკუთრებული ქების ღირსია ზრუნვა მომავალი თაობის — ბავშვების აღზრდისათვის. თქვენი ახალგაზრდობა გურიის სიამაყე და იმედია. თქვენ ყოველგვარი მსხვერპლი უნდა გაქოლოთ, რათა დაიცივთ იმ საკითხებით გაცატებისაგან, რომლებიც უცხოა ამ ბედნიერი ასაკისათვის, რათა უზრუნველყვით მათი მშვიდი და განსალი აღზრდა. მაგრამ, როგორც მითხ-

რეს, თქვენს შორის მეტისმეტად „თავფიცხელი“ ადამიანებიც არიან...

— თავფიცხელი კი არა, სალთავიანები! შეუსწორა ვილაცამ ხალხიდან.

— ხმა, სიჩუმე! — დაიღრიალა მახრის უფროსმა.

ორატორი განაგრძობდა:

— მეტისმეტად მკაცრი ნუ იქნებით მათ მიმართ, მაგრამ ნურც აპყვებით მათს მოუფიქრებელ რჩევას და ფიცხადაწყვეტილებებს. დაუპირისპირეთ მათ თავშეკავება, სიღინჯე და გონიერება, ნურც იმ რუს ამაგდართ გააციხავთ, რომლებსაც ეჩქარებათ აქ რუსული ენის საყოველთაო დამკვიდრება. არსებითად ხომ მათ ფრიალკეთილშობილი მიზანი ამოძრავებთ: მათ სურთ, რომ დიდი რუსეთის მიწაწყლის ყველა ქვეშევრდომი — სხვადასხვა ხალხები, რომლებიც იმპერიის ოჯახს შეადგენენ, ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ერთი ენით იყვნენ გადაკავშირებული.

— მერედა, ამისათვის ხალხს ძალით უნდა წაართვათ დედაენა და „ძაღლის ენა“ უწოდოთ? — წამოიძახა პროსტოსერდოვმა.

— თქმა არ უნდა, ბევრი რამ უნდა გაუმჯობესდეს, მოწესრიგდეს, — თითქოს რეპლიკაზე უპასუხა და თითქოსდა არაო, შენიშნა კრიმ-გირეიმ. — მაგრამ მოთმინება იქონიეთ, თქვენ ხომ დიდი ტანჯვა-ვალება გამოგივლიათ, მაშ, გამაგრდით, ამდენი მოგითმენიათ, ცოტაც მოითმინეთ.

— მორჩა, აივსო მოთმინების ფილა... — მრისხანედ შემართა ხელი და შესძახა ვილაც მოხუცმა. მას თავზე ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული.

— მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია! — დაიგუგუნა ხალხმა.

— რას აყაყანდით. მხეცებო! რას ხმაურობთ! — იყვირა სმაგინმა და სახე ისე აუწითლდა, თითქოს ცოტაც და ტენიში სისხლი ჩაექცეოდა. — ლაპარაკის საშუალება მიეცით მის მაღალ აღმატებულებას!

აქ კრიმ-გირეიმ ხელით ანიშნა, „ნუ

ერვეითო!“ და სწრაფად შეცვალა. რათემა, განაგრძო:

— თქვენს ხალხს ეტყობა ცოდნისაკენ, განათლებისაკენ სწრაფვა, მას წიგნი უყვარს. ყველა სოფელში შევნიშნე, ზოგს წიგნი ეჯირა ხელში, ზოგს — გაზეთი, და მე ვიცი, თქვენ ისეთივე დიდი უურადლებით, როგორც ყველგან, მთელს რუსეთში, თვალს ადევნებთ თურა მოაქვს და როგორ სრულდება მისი იმპერატორობითი უდიდებულების 1904 წლის „12“ დეკემბრის ბრძანებულება. მაშ, ნუ დაგაფიწყდებით, რომ ამ უაღრესად კაცთმოყვარული ბრძანებულების კეთილი შედეგებით უწინარესად გლუხგვი ისარგებლებენ.

— შეგვეცელი, უმაქნისი ბრძანებულებებით საქმეს ვერ გამოასწორებთ! — გაისმა შეძახილი.

ხალხი კვლავ ახმაურდა. მახრის უფროსი აღშფოთებული იქნევდა ხელებს, თვალებს უბრიალებდა შეკრებილთ.

— შეფისნაცვალმა, რომელიც მოითხოვს თქვენგან სრულ მორჩილებას და იმპერიაში მოქმედი კანონების მკაცრ დაცვას, — აქ კრიმ-გირეის მოუთმენლობა დაეტყო, — დამავალა მოგისმინოთ თქვენ და უფლება მომცა გაცნობოთ, რომ სამართლიანი და კანონიერი საჩივრები და თხოვნები, შეძლებისდაგვარად დამაყოფილებული იქნება. ისე კი იცოდეთ, რომ რაც გურიში ხდება, იმის ახსნა შეიძლება, მაგრამ გამართლება არავითარ შემთხვევაში. თქვენ ალბათ დამეთანხმებით, რომ საზოგადოების უბერი წევრის მოქმედება და ქცევა უკანონოა. მე არ ვკითხულობ, ვისი ბრალია ეს, მაგრამ ვთხოვთ აწონდაწონოთ თქვენთვის, თქვენი ოჯახებისათვის, საყვარელი გურიის მომავლისათვის ის საბედისწერო შედეგები, რაც მოჰყვება ხელისუფალთა მიერ დაწესებული კანონების წინააღმდეგ აღდგომას.

აღშფოთებული ხალხი აგუგუნდა: — ნუ გვემუქრებით! არავისი და არაფრის არ გვეშინია!..

მზად ვართ საბრძოლველად!..

მაზრის უფროსმა ისე აიქნია ხელ-
ბი, ლამის აივნიდან გადმოეშვა. გაწყრა
გუბერნატორიც. ამოდრავდნენ ჯარის-
კაცები და პოლიციელები. კრიმ-გირეი
მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა, და
შემირიგებლურად დასძინა:

— მეფისნაცვალი კეთილმოსურნედ
და ყურადღებით ეკიდება თქვენს საჭი-
როებებს, რასაც ადასტურებს თუნდაც
ის ფაქტი, რომ დღეს მე თქვენთან ვარ.
მაგრამ ჩემი ჩამოსვლა მეფისნაცვლის
უკანასკნელი ცდაა, რომ მშვიდობიანი
გზით დამთავრდეს სამწუხარო გაუგებ-
რობანი, გთხოვთ, კარგად განსაჯოთ
ყოველივე ის, რაც მე ვთქვი, აწონ-და-
წონოთ, პასუხისათვის ნუ აჩქარდებით
და ნუ აპყვებით ზოგიერთ უპასუხის-
მგებლო აღამიანს, — აქ კრიმ-გირეიმ
მიანის იქით, საიდანაც წაპური და
რეპუტაციები გაისმოდა, — არამედ მო-
ეთათობირეთ იმათ, ვისაც ენდობით, ვი-
საც თქვენთვის სიყვით სურს. ღმერთი
იყოს თქვენი შემწე, რომ ამ მძიმე
ქამს შეინარჩუნოთ სიმშვიდე, თქვენ-
თვის ესოდენ დამახასიათებელი სიფრ-
თხილედ და კეთილგონიერება, — ასეთი
რევერანსით დაამთავრა მან თავისი სი-
ტყვა.

ხალხი კვლავ აგუგუნდა, ამოდრავდა,
გაისმა შეძახილები. მაზრის უფროსმა
ხელი შემართა:

— ჩუმაღ! ჩუმაღ! რას ახმაურდით!
ღმერთო ჩემო! არავითარი პატივისცე-
მა და მორიდება! ნამდვილი მხეცებია...

— აქ კრიმ-გირეიმ საყვედურით გადა-
ხედა მას.

— ჩუმაღ-მეთქი, გუუნებით!...

ხალხი დაწყნარდა და სმაგინმა წამო-
იწყა:

— მის მალალ აღმატებულებას ხომ
არ შეუძლია ერთდროულად ელაპარა-
კოს მთელ ბრბოს... პარდონ... ყველას
ერთად. აირჩიეთ დეპუტაცია, რომე-
ლიც თქვენს თხოვნას გადმოგვეცემს.
მათ ესაუბრება. შეგიძლიათ აირჩიოთ
თორმეტი კაცი.

წინ წამოდგა ყაბალახიანი მოხუცი:

— ხალხის სახელით მოვითხოვ: ჯერ

ერთი, მოამორეთ აქედან კლოფტსე მუ-
მასახლისები, მწერლები და მღვდლე-
ბი. მეორე: ნუ ჩეიწერთ იმათ გვარებს,
ვინცა ელაპარაკებათ — ხომ იყო
ასე, რომ გუბერნატორი ელაპარაკა
ჩვენს არჩეულებს. და რო წევინდა, დე-
იპირეს ისინი...

— რა უსინდისოდ ცრუობს ეს არა-
შადა! — გაფიცდა სმაგინი და ნერ-
ვიულად დაიწყო ულვაშის გრეხა.

— მართალს ამბობს, მართალს! —
აგუგუნდა ხალხი.

მამასახლისები, მწერლები, მღვდე-
ლი და დიაკონი აღარ დაელოდნენ, სი-
ნამ გაყრიდნენ, და ბუტბუტითა და
ლანძღვით გაეცალნენ იქაურობას.

შეკრებილებმა სწრაფად მოითათბი-
რეს და დღეგატები აირჩიეს. ხალხი
უზარმაზარ წრედ შეიკრა მათ გარშე-
მო. კრიმ-გირეი ტრიბუნიდან ეზოში
ჩავიდა და ამ წრის ცენტრს მიამურა.
აქვე დაუდგეს ამ შემთხვევისათვის სა-
განგებოდ მომზადებული საკმაოდ შე-
ლახული სავარძელი. ვიღაცა თავს და-
აღდა უზარმაზარი ქოლგით. იგი ამაყად
დაჯდა, თითქოს მეფის ტახტიყო, მის
გარშემო კი თავი მოიყარეს ამაღამ და
კორესპონდენტებმა.

კრიმ-გირეიმ დაიწყო:

— მიინდა ერთხელ კიდევ შეგახსე-
ნოთ, რომ აქ ჩემი საქმისთვის კი არა,
იმისთვის მოვედი, რომ თქვენი სატყი-
ვარი გავიგო. მიუხედავად იმისა, რომ
თქვენს მიერ ნათქვამი სიმართლე ჩემ-
თვის შეიძლება მწარეც იყოს, მაინც
გთხოვთ, პირდაპირ და გულწრფელად
მითხრათ ყველაფერი, რაც თქვენს
ცხოვრებასა და სიღუბჭირეს ეხება...

დღეგატებმა ერთმანეთში რაღაც
მოითათბირეს და კვლავ წამოდგა ჩვე-
ნი ნაცნობი მოხუცი. მან ხელი გადა-
ისვა ჰალარა ულვაშზე, ზედ ტუჩებთან
ჩიბუხისაგან რომ გაყვილებოდა, შე-
მდეგ წვერი გაისწორა და, თითქოს
მზისგან იჩრდილებსო, ხელი წაიფარა
შუბლზე:

— კეთილი, ბატონო, პირდაპირ და
გულწრფელად ვერცხვით ყოლიფერს.

რაც გვიჭირს და რასაც სამართლიანად მოვიანბნოვთ. მარა ვინაა იმის თავდები, რომ ასეთი რაბარაყიზა პოლიცია აფერს გვიხამს? ავი ერთხელ-ორჯელ არ უნადილა.

ხალხი კვლავ აფუგუნდა, გაისმა შეძახილები:

— მართალია, გაბედული სიტყვიზა ხალხს იჭერენ და აციმბირებენ!

კრიმ-გირეიმ შუბლი შეიკრა:

— შე იმის თავდებად ვერ დაგიდგებით, თუ რა მოუფა რომელიმე თქვენგანს ჩემი წასვლის შემდეგ. შეიძლება ვინმეს რაიმე უსიამოვნებაც შეემთხვეს, თუ ასე მოხდა, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მივინობთ და მე ვიშუამდგომლებ. აქ კი, თქვენი პიროვნების დაცვის მიზნით, მე არ ვკითხულობ იმით გვარსა და სახელს, ვინც მელაპარაკება.

მობტუცი არ ცხრებოდა:

— კაი, ბატონო, ვინაა იმის თავდები, რომ ჩვენი ნათქვამი დამახინჯებულად არ შევა ოქმში? ჩვენ არა გვაქვს საშუალება გადავამოწმოთ.

— სწორია! როგორ უნდა შევამოწმოთ? — ექოსავით გამოეხმაურნენ დეპუტაციის წევრები.

— მე სანდო თარჯიმანი მყავს. მაგრამ თუ რაიმე შეეწილა, მაშინ აი ესენი დაგვეხმარებიან, — კრიმ-გირეიმ კორესპონდენტებზე მიუთითა.

მობტუცი ამხანაგებს მიუბრუნდა. ჭკუფს გამოეყო ინტელიგენტური შესახელობის კაცი, რომელსაც სუფთა, თუმცა დაკონკილი ახალუხი ეცვა და ყველას გასაგონად ხმამალა დაიწყო:

— თქვენ აქ, გურიაში, იმიტომ ჩამობრძანდით, თითქოს აქ რაღაც ისეთი უჩვეულო ხდებოდეს, რაც რუსეთში არ გაგონილა. ამაში თქვენ ცდებით. მთელი ქვეყანა ბობოქრობს. ჩვენ რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ვართ, სოლიდარობას ვუცხადებთ მათ. ჩვენ საერთო მიზნები გვაკავშირებს ერთმანეთთან. ლეთის გულისათვის, გთხოვთ კარგად შეიგნოთ ეს და მოახსენოთ, ვისაც ჭერ არს. ჩვენ, ისევე როგორც რუსეთის პროლეტარიატს, პური,

მართლმსაჯულება და თავისუფლება გვაქვს. ჩვენ არც ერთი გვაქვს, არც მეორე, არც მესამე.

— გაძაღლდა სიცოცხლე!... — გახსმა შეძახილები.

— ჭერ პურით დავიწყით, ჩვენ, რა თქმა უნდა, შუა ცხელ-ცხელ გამომცხვარ პურს არ მოვიტხოვთ. სრულიადაც არა. შეხედეთ ამ ხალხს: თქვენს წინაშე მშრომელები, მუშები არიან. ამას თვალის ერთი გადავლებით მიხვდებით — ჩამომხმარნი, ჩონჩხებივით არიან, ავადმყოფობით გაყვითლებულნი... ესენი მოითხოვენ, რომ შრომით, ოფლითა და სისხლით მოპოვებული ლუკმაპური მათვე რჩებოდეთ და მუქთახორებს არ ეძლეოდეთ. განა მაგათ ხარჯზე არ სუჭდებიან მდიდრები და უსაქმურები. გლეხკაცი ყველაფერს მოკლებულია. მიწა, რომელსაც ამუშავებენ და საკუთარი ოფლით რწყავენ, სხვისი საკუთრებაა და პატრონს ყოველ წუთს შეუძლია წაართვას. რა ქნას საწყალმა მიწის მუშამ?

გაისმა რეპლიკები:

— შიმშილით მოკვდეს?!

— სადაა სიმართლე?!

— სადაა მართლმსაჯულება?! სამართალს სასწორი დაუფანგდა!

— გლეხკაცს არც მიწა გააჩნია, არც სასამართლო, რომელიც მემამულის თვითნებობისგან დაიცავდა. გარშემო უსამართლობის გარდა ვერაფერს ვხედავთ. სასამართლო და პოლიცია მემამულეების მორჩილნი არიან, ხალხის წინააღმდეგ მოქმედებენ. დიახ, პოლიცია და მემამულეები ხელიხელჩაკიდებულნი ერთად გვალრჩობენ ჩვენ, მიწის მუშებს...

კრიმ-გირეიმ მოუთმენლად შეაწყვეტინა:

— მაგრამ ეგ სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თავზე ხელი აიღოთ. სანამ კანონი არსებობს, მას პატივი უნდა სცეთ, და მთავრობას უნდა ენდობოდეთ.

— როგორ უნდა ვცემდეთ პატივს კანონს, რომელიც ჩვენ მხოლოდ მათ-



რახის სახით გვევლინება? განა არ ვენდობოდით მთავრობას? მაგრამ ამისგან არაფერი გამოვიდა. მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ჩვენი მოსმენაც კი არავის სურს. შობის წინ გუბერნატორმა შეგვატყობინა, თქვენთან მოვიდევართ და დილის რვა საათზე სოფლის კანცელარიასთან შეიკრიბეთო. გათენებულნი არ იყო, როცა ყველამ მოვიყარეთ თავი. ველოდეთ, ველოდეთ და მხოლოდ საღამოს გვადირსა თავისი ხილვა. შემოაჭენა ეტლი, შევარდა კანცელარიაში, მერე გამოვარდა, დაგვეცელა, რა გინდათო, და პასუხსაც არ დაველოდა ისე გაექანა აქედან. ერთხელ და ორჯელ არ გვიჩივლია მანრის უფროსისთვის, ბოქალისთვის, მაგრამ ყურადღება არავის მოუქცევია. მხოლოდ ახლა იკადრეს ჩვენი მოსმენა.

სმაგინი ყურებამდე გაწითლდა, მუჰში ჩაახველა, ხმლის ვადა მოსინჯა, მერე რალაც გადაუჩურჩულა მანრის უფროსს, იმან — კახაყების ოფიცერს.

— ხომ ხედავთ, არ ეპოტნავათ ჩვენი ნათქვამი, უკვე თათბირობენ რალაცაზე, — შენიშნა დელეგატმა.

ხალხი ახმაურდა, ამოძრავდა. მას მოეყო შეახალათიანი ახალგაზრდნი კაცი, რომელსაც შარვალი ჩექმაში ჩაეტანა. გაჩუმდითო, სთხოვა ამხანაგებს, და ხმამალა და მკაფიოდ წარმოთქვა:

— გაფრთხილებთ, ერთი ბეწვა რომ დოუშავდეთ ჩვენს დელეგატებს, სასტიკ შურს ვიძიებთ.

— აი ლაყბობა არაფერს არ მოგვეცემს, მაგენი ყველანი ერთი ჯურის ხალხია!... გაისმა ხმები.

— მძევლებად ავიყვანათ!...
— მართალია, დავაპატიმროთ და მოვრჩეთ საქმეს!

— წყნარად, წყნარად, მეგობრებო! — ყვირილით დაფარა ხალხის ღრიანცელი ერთ-ერთმა, შავი ულვაშები, დიდი შოკაუტებული ცხვირი და გამჭოლი მუხრა რომ ჰქონდა, ხელი ასწია და ყურადღება მოითხოვა. საპატიო სტუმრისაყენ მეზღვაურის ნაბიჯებით დაიძრა. მსგავსებას აღიერებდა მისი

პიჯაყი, რომელიც ბუშტუკით იყო შეკერილი.

ხალხი გაჩუმდა.
— ახლა პირადელ თქვენთან მაქვს ერთი შეკითხვა, ბატონო კრიმ-გირეი. ერთი გვითხარით, გეთაყვა, როგორ ესმით ხელისუფალთ ჩვენი მოძრაობა?

კრიმ-გირეი დააფიქრა ამ შეკითხვამ. მან ნელა, არცთუ მტკიცედ დაიწყო, თან ყოველ სიტყვას წონიდა:

— ჰოო... პეტერბურგში — ვის როგორ ესმის არ ვიცი, მეფისნაცვალი კი სთვლის, რომ თქვენი მოძრაობა გამოწვეულია არა მარტო მატერიალური გაჭირვებით, არამედ ბოროტგანზრახული ელემენტების წაქეზებით, რომლებიც სეპარატიზმის გზაზე გიბიძგებენ...

— ეს სიცრუეა! ეს აღმაშფოთებელი ცილისწამებაა! ჩვენი მოძრაობა დაკავშირებულია რუსეთის მუშათა მოძრაობასთან. ჩვენ, ისევე როგორც მთელი რუსეთის მუშები ჩავგვისა და უუფლებობის ახლანდელ წყობილებას ვებრძვით. იგი უნდა დაინგრეს და მის ნანგრევებზე აშენდეს ახალი, სამართლიანი წყობილება: ჩვენთვის ყველა მუშა, რომელი ეროვნებისაც უნდა იყოს, მშაა! ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს!

— სწორია! სწორია! გაუმარჯოს ერობობას!...

— ეაშა...
— ეაშა!.. გაისმა ხალხში.

— აი, ჩვენმა სოფელმა, ბახვმა, შემუშავა მოთხოვნები, — თქვა ორატორმა და ჯიბიდან ამოიღო ქალაღი, რომელიც ძველი ეტრატვიით იყო დაგრაგნილი.

და დაიწყო კითხვა:
— ჩვენ მოვითხოვთ მიწას... ჩვენ მოვითხოვთ კრებების, სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას. ჩვენ მოვითხოვთ პიროვნების თავისუფლებას და საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობას. ჩვენ მოვითხოვთ საყოველთაო და სავალდებულო პირველდაწყებითს განათლებას ყველასათვის. ჩვენ — ჭართველები, რუსები, სომხები და თათრები — ყველანი მშე-

ბი ვართ. ჩვენ ერთმანეთში შუღლი არ გვექნება. ტყუილად ნუ ცდილობს მთავრობა... ჩვენი მოთხოვნები მარტო კერძო, მარტო ქართული არ არის. ამას მთელი რუსეთი მოითხოვს. ჩვენ ვუერთდებით რუს ძმებს. ჩვენი საერთო მოთხოვნები მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება, როცა ხალხი საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანაბარი ენციკლარით აირჩევს თავის წარმომადგენლებს. მხოლოდ ასეთი მთავრობა იქნება ნამდვილი, მხოლოდ ხალხის ხმა დალადებს სიმართლესა და პატიოსნებაზე. ეს არის ჩვენი საზრუნავი და ასე გვეყვამს ჩვენ. სიმართლეს ვერაფერს მოერივება. რა დაბრკოლებაც, რა ტანჯავებაც უნდა შეგვხვდეს ამ გზაზე, ჩვენ სიმართლეს არ ვუღალატებთ. ქვეყანა ხალხის ხელში უნდა იყოს.

— თქვენო მალალამატებულეებო, როგორ შეგიძლიათ ამისთანა უდიერების მოსმენა? — ჩაუსისინა ყურში სმაგინმა კრიმ-გირეის.

ხალხი სულ უფრო ბოზოქრობდა. პოლიციელები, კაზაკები შეშფოთებით შესტყეროდნენ უფროსებს.

კრიმ-გირეი მიხვდა, რომ ცოტაც და ყველაფერი შეიძლებოდა შეტაკებით დამთავრებულიყო, მით უმეტეს, რომ შეკრებილია შორის შეიარაღებულნი შენიშნა. „მგონი ის დროა, რომ დავამთავროთო“, — გაიფიქრა მან და ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაიწყო:

— პირდაპირ ვიტყვი, ჩემთვის ახლა ბევრი რამ გაირკვა, ნათელი გახდა. პირობას გაძლევთ, რომ ყველა თქვენს სატყეარს ვამცნობ მის ბრწყინვალეობას შეფისნაცვალს. იმედი მაქვს, შეგობრებად დავრჩებით, ერთმანეთს გავუვებთ. ღვთის მადლით ყველაფერი მოგვარდება, და თქვენ მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდებით.

იგი თარგმნას აღარ დაელოდა, სწრაფად წამოდგა და ეკიპაჯს მიაშურა, მას დანარჩენებიც მიჰყენენ...

— პარაზიტები! პირუტყვები! — გზა გაუხსნა თავის გარძნობებს სმაგინ-

მა, როგორც კი ეკიპაჯში ჩაჯდა და იქაურობას გაეცალა. კიდევ დიდხანს გაუქსმოდა ხალხის ყვირილი, რამდენჯერმე თოფიც გაეარდა.

— თქვენო მალალამატებულეებო, მე პირდაპირ მაკვირვებს თქვენი საოცარი თავდაჭერილობა და მოთმინება. ისე გამოვიდა, რომ ლამის ჩვენ თვითონ მოვაწყეთ ანტიქრისტეების ეს თავყრილობა და თქვენ... მომიტყვეოთ, ესე იგი... ჩვენ, ვაჭებზეთ მათ. — აქ სმაგინი მიხვდა თავის უტაქტობას, შეცბუნდა და განაგრძო:

— ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ამ პირუტყვებთან ინტელიგენტური ლაპარაკი, ნორმალური ადამიანური ენა არ გადის. როზნები და ციმბირი — აი რა სტირდებათ მაგათ.

— ვშიშობ, დღეს უკვე მაგანაც იძლება ველარ უშველოს, — მიუგო კრიმ-გირეიმ, რომელმაც მახვილი დასვა სიტყვა „უკვეზე“.

— დრო მომეცით და მე მოვათვინიერებ მაგათ.

— თქვენს მოწყალებას საქმაო დრო ჰქონდა საამისოდ. — მკაცრად შენიშნა სტუმარმა და დასძინა:

— ჩვენში დარჩეს, დღეს სწორედ იმას ვიმკიდით, რაც თქვენ აქ დათესეთ.

გუბერნატორს საფეთქლებზე ძარღვები დაებერა. ყვრიმალეზე კანი აუთამაშდა, ღრმად ჩამჯდარი თვალები თითქოს სრულიად გაუქრა. მან ენის წვერით დაისველა გამშრალი ტუჩები, ნერვიულად გადაისვა ხელი უღვაშზე და ჩახლეჩილი ხმით გამოსცრა:

— თქვენო მალალამატებულეებო, ვერაფერი გავიგო.

— არაფერია... ისე ვთქვი, სიტყვამ მოიტანა... — თავი აარიდა პასუხს სტუმარმა.

ამ დროს ვილაცამ შეუძახა ეკიპაჯს: „შესდექ!... შესდექ!...“

მოსახვევიდან შეიარაღებული წითელრაზმელები გამოვიდნენ და ეტლს მიაშურეს, იქვე ჩეებს შორის თოფის ლულები გამოჩნდა...

დაცვამ ჩარევა ვერ გაბედა. მაგრამ ეს არც იყო საჭირო.

— უკაცრავად, მიბრძანდით, ბატონო! — გაისმა მალე ასისთავის თავაზიანი ხმა და ეკიპაჟმა დაუბრკოლებლად განაგრძო გზა. კრიმ-გირეი და სმაგინი გაბუტულებივით დუმდნენ: ორივე თავის ფიქრებს მიჰყვა.

„არ მომწონს ყოველივე ეს... — ფიქრობდა სმაგინი. — რა უფლების ძალით გამიბედა ამ გაბერილმა ინდაურმა, დამპალმა ლიბერალმა ასეთი თავხედობა. თუმცა, რა გვასაკვირია, მაგისი კონსულტანტი ხომ სტაროსელსკია, ტყუილად ხომ არ შეხვდა მას, წითლების ამ ფარულ აგენტს. ეტყობა, ტვინი აურია, ყურები გამოუჭედა „ნიჭიერი“, „მამაცი“, „კეთილი“ და „კეთილშობილი“ გურულების შესახებ ლაყბობით. „მშვიდობისა და თანხმობის“ ეს დესპანი აქედან უნდა წაეთრეს, და რაც უფრო მალე — მით უკეთესი...“

— როგორ ინებებთ, გავჩერდეთ სურბში? — უეცრად ხმამალა ჰკითხა მეეტლეს გვერდით მჯდომმა დაცვის ოფიცერმა, რომელმაც თავი შემოყო გადაბურულ ეტლში. მგზავრები მოულოდნელობისგან შეკრთნენ.

— განაგრძეთ გზა!

— აქ ხომ გველოდებიან... — შენიშნა კრიმ გირეიმ.

— გველოდებიან და გველოდონ! ყველას ხომ არ ვეახლებით, — გაბრაზებულმა უპასუხა სმაგინმა, მაგრამ წამსვე გონს მოვიდა და თავაზიანად დასძინა:

— თქვენო მაღალღმადებულებავ, უნდა ვიჩქაროთ, აქ თუ შევეყოვნდით, ოზურგეთამდე დაგვიღამდება...

კრიმ-გირეი აღარ შედაკებია.

გარშემო სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო, ხევ-ხეუვები ამოეცო...

მეორე დღეს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე სამხრეთში, ღრუბლები გაქრა, ნისლი გაიფანტა და მზე აკაშკაშდა. გუშინდელ აედარს მხოლოდ სველი მიწა და უზარმაზარი გუბეები

თუ მოგაგონებდათ, რომლებსაც ორთქლი ასლიოდა. ჩიტებიც კი მთხრანდნენ. შინდელ განაცდნენ ანაზღაურებენო, ერთსულოვანი ყვირილ-ხივილით ხვდებოდნენ დარიან დღეს.

კრიმ-გირეის ეკიპაჟი თანმხლებ ამალასთან ერთად სწრაფად გაემართა სოფელ შემოქმედისაკენ. აქ მათ უამრავი ხალხი დახვდათ. კავალკადა შეჩერდა. მათ რამდენიმე კაცი ეახლა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონებო! — გაისმა ხმა და წინ წამოდგა ქაბუკი, რომელსაც უღვაში ესუს არის ეკოკრებოდა. თავზე ყაბალახი ჰქონდა მოხვეული, რომლის ერთი ბოლო კეკლუცად ლოყაზე ჩამოშვებოდა.

პასუხი რომ ვერ მიიღო, გაიმეორა:

— კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ბატონებო!

— გამარჯობა — უფრო შეუღრინა, ვიდრე უპასუხა სმაგინმა.

— კარგია, რომ ჩამობრძანდით!

სტუმრები მხრებგაშლილ მაღლობზე მდგარ ბერძუხასთან მიიწვიეს. მის გარშემო სოფლის ასობით მცხოვრები შეკრებილიყო. „აირჩიეს“ წარმომადგენლები, დელეგატები, რომლებმაც წარმოუდგინეს ხალხის მოთხოვნები, თითქმის ისეთივე, როგორიც ბახველებისა იყო.

სიტყვა აიღო ხანდაზმულმა, გამხდარმა კაცმა, ხალათზე საკერებელი საკერებელზე ედო, ტანსაცმელი ისე ედგა, თითქოს საკიდარზე ჰკიდიაო. მან გაციებულო, ბოხი ხმით დაიწყო:

— მთავრობას ჩვენ აღარ ვენდობით. პური რომ ვთხოვეთ, ქვა მოგვწოდა. დახმარების ნაცვლად როზგით გაგვიმასპინძლდა. მუშაკაცი კარგს არაფერს მოელის ხელისუფლებისაგან.

— სწორია! — გაისმა ირგვლივ.

— ფულის ძებნაში მევახშეების კლანკებში ვხვდებით, ტყავს გვაძრობენ. ყველანი მევახშეობენ — განსაკუთრებით ვაჭრები და მღვდლები...

კრიმ-გირეიმ გააწყვეტინა:

— იქნებ სახელმწიფო ბანკი დაგვმაროთ, სესხის სალარო გაგინსნათ, რთ-

მელიც ფულს გასესხებთ მცირე პრა-
ცენტით?

— „მცირეც“ რომ იყოს, სა ვიშო-
ვოთ? თუ ასე გული შეგტყვივთ ჩვენ-
თვის, იმის მაგიერ რომ ამხელა ბეგარა
და გადასახადი გვახდევინოთ, რომლის
ნამსცეცებითაც ჩვენი დახმარება გინ-
დათ, არ ჯობია სულ არ წვილოთ?

— მართლაც ნუ გადაგვახდევინებთ,
მორჩა და ვათავდა — დაემოწმენ დე-
ლეგატები.

— მე შესაძლებლად მიმანჩია განვი-
ხილოთ ის საკითხი, რომ ზოგიერთ
პროდუქტზე სააქციზო გადასახადები
შეგმცირონ, მაგრამ — მხოლოდ გუ-
რიაში, — მოწყალებით დაჰპირდა მე-
ფისნაცვლის დესპანი.

— არავითარ შემთხვევაში! მართლ
ჩვენთვის არავითარი შეღავათი არ გვი-
ნდა. იგივეს განიცდის რუსეთის მშრო-
მელი ხალხი. და თუ მოვიტხოვთ, მთე-
ლი რუსეთისათვის მოვიტხოვთ! — აღ-
შფოთდა ორატორი.

— მთელი რუსეთისათვის! — ექოსა-
ვით გამოეხმაურა ხალხი.

— ჩვენ მოვითხოვთ მართლმსაჯუ-
ლებას, ნამდვილ მართლმსაჯულებას! —
დაიწყო მეორე დელეგატმა. — სასა-
მართლო მეჭრთამეობაზეა აგებული.
ვინც მეტს მისცემს, მართალიც ისაა.
ჩვენ მოვითხოვთ დაწესდეს ნაფიც მსა-
ჯულთა სასამართლო, რომლებსაც ხა-
ლხი აირჩევს საყოველთაო, თანასწორ-
უფლებიანი, ფარული კენჭისყრით.

კრიმ-გირეიმ შეაწყვეტინა:

— როგორც შევიტყვე, აღსრულებას
ძლიერ უშლის ხელს ის გარემოება, რომ
მოსამართლეებმა ადგილობრივი ენა არ
იცან.

— ეგ, რა თქმა უნდა, მასეა, მაგრამ
მთავარი ეგ არაა, მთავარია ის, რომ
სასამართლო და კანონები არაფრად არ
ვარგა. ბათუმში მებაღედ ვმუშაობდი
ერთ გემთმფლობელთან, რომელმაც
შვიდი მანეთი დამაკლო. სასამართლო-
ში ვუჩივე. ვეუბნები: თუ ფული მო-
მცა, ხელწერილი უნდა ჰქონდეს-მეთ-
ქი. გემთმფლობელმა კი რაღაც საკუ-

თარი უბის წიგნაკი წარუდგინა: მოსა-
მართლემ სარჩელზე უარი მიიბრუნა, ფულ-
მცა ქართველი იყო და ჩემი ენაც კა-
რგად ესმოდა. ჩვენთვის რა განსხვავე-
ბაა, ვინ წოვს ჩვენ სისხლს: რუსი თუ
ქართველი წურბელა.

— მერედა რატომ არ გაასაჩივრეთ?

— ჯერ ერთი, მაგისათვის ისეც ფუ-
ლია საჭირო, რომელიც მე არა მაქვს,
და მეორეც, რა გამოვიდოდა — მართლ-
მსაჯულებას ხომ ერთი სახე აქვს —
დაბრეცილი.

ხალხში სიცილი, ტაში გაისმა. სტუ-
მრები აღშფოთებულნი იქნევენენ თავს.

სიტყვა აიღო მალალმა, სათვლიანმა
ხმელ-ხმელმა კაცმა, როგორც ჩანს,
მასწავლებელმა უნდა ყოფილიყო. ის
თავაზიანად შეესალმა ხალხს, მერე
თავიდან ფეტრის შლავის მსგავსი რამ
მოიძრო, ნერტულად მოკუჭა და დაი-
წყო:

— ჩემმა მეგობარმა კარბეზმა ყველა-
ფერი სწორად მოგახსენათ: აი, მე კი
სასულიერო წოდების პირთა — ბერ-
მონაზვნებისა და მღვდლების შესახებ
ვილაპარაკებ: ეგენი ნაკლებად არ
თრგუნავენ ხალხს. მაგათი ხელობა
თვალთმაქცობაა: მორჩილებას გვიქა-
დაგებენ, მოგვიწოდებენ ცას უმზირე-
თო, გაიღებსო, თვითონ კი ამ დროს
ჩვენს ჯიბეში აფათურებენ ხელს. ეგე-
ნი მუჭოდ ერთ კეთილ სიტყვას არ
შეგაწევენ, მათი მუღმივი გალობაა:

„ფული, სულ ფული და ფულიო“, ახ-
ლა ხტებმა შემოსავლის ახალი წყა-
რო გამოძებნეს: იმათთვის, ვინც სალა-
მოს რვა საათის შემდეგ იწერს ჯვარს,
25 მანეთი დააწესეს. ჩვენ უარს ვამ-
ბობთ სასულიერო წოდების შესანახად
ყოველგვარ ხარკის გაღებაზე, მოვით-
ხოვთ ეკლესია სახელმწიფოს გამოე-
ყოს. მღვდელი იმან შეინახოს, ვისაც
მისი ლოცვა-კურთხევა სჭირდება. და
კიდევ: ჩვენ მოვითხოვთ, რომ მღვდ-
ლებს ჩამოერთვათ სკოლების გახსნის
უფლება. სამღვდლოებამ ბავშვთა აღ-
ზრდაში არავითარი მონაწილეობა არ
უნდა მიიღოს, რადგან უფიცობითა და

ცრუმორწმუნეობით ბავშვის სპეტაკ აზროვნებას ბილწავენ. სკოლა ძმობას, ერთობას, სიმართლესა და ჭეშმარიტებას უნდა ემსახურებოდეს და ახლანდელივით არ უნდა იყოს გამოყენებული აზროვნების დაჩლუნგვისა და გარყვნის იარაღად. როგორც გვარწმუნებენ, ლმერთს ნებავე, რომ სულითა და ბორკით სპეტაკანი ვიყოს. ჩვენი სინდისის სიწმინდე ჩვენი საქმეა და ამიტომ ადამიანის სინდისი თავისუფალი უნდა იყოს.

შემდეგ სიტყვა აიღო საშუალო ტანის, მკაცრი გამომეტყველების გლეხმა:

— ადამიანი წიგნს, გაზეთს უნდა კითხულობდეს, ცოდნას უნდა ეწაფებოდეს. ახლა ჩვენში ყველას ესმის, რომ განათლება აუცილებელია, ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი, წყალი და ბური. ჩვენი გლეხკაცობისათვის კი აგი მიუწვედომელია. მთავრობას უნდა, რომ ჩვენი შვილები უცოდინარობის წყვედიდან დაარჩენ. თუ ასე არაა, რატომ თქვეს უარი თხოვნაზე, რომ ჩვენი ხარჯით გაგვეხსნა სკოლა? რატომ დახურეს მაზრაში უკანასკნელი სამი სამკითხველო? რატომაა, რომ სახელმწიფო ხარჯზე მართო მუქთახორების — თავდაზნაურებისა და მღვდლების შვილები სწავლობენ, მაგათ ხომ ისედაც ბევრი ფული აქვენ? იქნებ უბრალო ხალხის შვილები უფრო ნიჭიერები არიან და უფრო მეტი რამ სასარგებლო გააკეთონ საზოგადოებისათვის? ჩვენ მოვითხოვთ, რომ ბავშვების სწავლა თექვსმეტ წლამდე უფასო და სავალდებულო. საყოველთაო იყოს, სქესის, წოდებისა და ეროვნების მიუხედავად.

— რით არ ვართ ჩვენ მონები? — ასე დაიწყო ჩამოძნედილი ახალგაზრდა კაცმა, ხელები გაშალა და შეკრებილ გლეხებზე მიუთითა. — შეხედეთ ამათ, თუ გაარჩევთ, ვინაა ბებერი და ვინ — ახალგაზრდა. მაგათ უმადლო შრომამ და გაჭირვებამ უქნა ეს. ბატონყმობა კანონით გაუქმებულია, მა-

რა კანონმა შემამულეებს ყოლიდერი მისცა, ჩვენ კი არაფერი. უკველია კაფ მიწა ისევ მათ ხელშია, მჭირი და უეარგისი კი ჩვენ დაგვიტოვეს, თანაც კიდევ უნდა გამოვისყიდოთ. წლები ვადის ვერა და ვერ იქნა ვერ დავებატონეთ ამ მიწებს და ვალებში ვიბრჩევით, და ხალხმა მაშინვე გვიგო ეს თალლითობა, პოდა, როცა ხმა ამეილო, როცა კაცმა კაცს ხელი გოუწოდა, ერთად ვიბრძოლოთო, ათასი უბედურება დაგვატეხეს თავს. მამაჩემი დეიჭირეს და საცხა გადაასახლეს, გაჭრა კაცი. სიტყვით თავისუფალი ვართ, მარა საქმით შემამულის მონები დავჩაჩით. ჩვენ მოვითხოვთ, რომ წოდებრივი პრივილეგიები შეისპოს, რომ აღარც თავადი იყოს, აღარც აზნაური: ყველა კაცი ერთნაირია და ერთნაირად უნდა იცხოვროს. კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

— მე კიდევ რამდენიმე სიტყვას დავუმატებდი — ერთად შეკრებისა და გაჭირვებაზე ლაპარაკის უფლება უნდა გვქონდეს, — დაიწყო დღევანდელმა, უკვე ხანდაზმულმა კაცმა, რომელსაც კობტად შეკრებილი უღვაში და ღია ფერის თვალები ჰქონდა. — ათი კაცი რომ შევიკრიბოთ, იმის უფლებას არ გვაძლევენ. დღევანდელი შეხვედრა გამონაკლისია. კრების თავისუფლება გვინდა. აი, აქ არიენ კორესპონდენტები. მარა ვიცი: რასაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, გაზეთში არ დეიწერება. მე ვითხოვთ, რომ გაზეთიც თავისუფალი იყოს, რომ სწორად აწეროს ჩვენი ცხოვრება.

ზოგიერთმა ყურნალისტმა თანხმობის ნიშნად კვერი დაუკრა და გაიღიმა.

— ჯარზეც თქვი ბარემ!.. — უკარნახა ვილაკამ.

— ვიტყვი! ჩვენ გვეგონა, ჩვენი ბაღნები, ჯარში რომ მიყავთ, სამშობლოს მტრებს ეომებიან. თურმე, ჩვენს წინააღმდეგ ასისინებენ. ჩვენმა შვილებმა და ძმებმა ხალხის სისხლი უნდა დაღვარონ, როგორც ეს პეტერბურლის ქუჩებში და სხვა ქალაქებში იყო. რა სა-

ქმეა ეს, დედამა, ძმები და დები და-
ახოცინო სალდათს?

ორატორის ამ სიტყვებმა შეკრების
დამსწრე ჯარისკაცებში ჩოჩქოლი გა-
მოიწვია. ზოგმა მრავალმნიშვნელოვან
ნად გადახედა ერთმანეთს, დაიწყეს
ჩურჩული.

— მეც მათქმევიწნე ორიოდ სიტყვა,
— დიწყო რუსულად, მაგრამ მაგარი
ქართული კილოთი ჯმუხმა, დაკუნთუ-
ლმა ქერა ვაჟკაცმა, რომელსაც გაცვე-
თილი ხალათი და ჩექმები ეცვა. მრგვალ
სახეზე, ქერა უღვაწზე და პაჭუა ცხვი-
რზე ეტყობოდა, რუსი უნდა ყოფილი-
ყო:

— ხომ მოისმინეთ, ბატონებო, რას
ამბობენ ჩემი ამხანაგები? ისინი მარ-
ტო თავისთვის, ქართველებისთვის არა-
ფერს მოითხოვენ. ეს თქვენ გინდათ,
რომ რაღაც განსაკუთრებული მოთხო-
ვნები იყოს, — რათა მერე აურზაური
ატეხონ, აი, რუსეთისგან გამოყოფა უნ-
დათო, საკუთარი მეფე უნდათო. თქვენ
გინდათ ერთმანეთს წაპკიდოთ რუსი და
ქართველი, სომეხი და თათარი, უკრა-
ინელი და ბელორუსი. არაფერი გამო-
გივთ! მშრომელ ხალხს არავითარი მე-
ფეები და ბატონები არ სჭირდება. ქა-
რთველებს რუს ძმებთან ერთად თავი-
სუფლება და ბედნიერება სწყურიათ!

შემდეგ ხალხს მიუბრუნდა და უკვე
ქართულად, მაგარი გურული კილოთი
პკითხა:

— ხომ მართალს ვამბობ?

— მართალია! მართალია! — გაისმა
პასუხად.

ორატორი განაგრძობდა:

— მუშა მუშაა, გლეხი — გლეხი,
სულ ერთია, რუსი იქნება, ქართველი
თუ სომეხი: პირიქ ერთი აქვთ და ოც-
ნებაც. ახლა ეს ვიკითხოთ, ვინ გაგვი-
კეთებს იმას, რასაც ხალხი სამართლი-
ანად მოითხოვს?

— არაინი! ახლა არაინი! — გაიმე-
ორა მან და განაგრძო: — პოლიტიკუ-
რი წყობილება უნდა შეგვევალოთ. ამას
ჩვენ ვიზამთ, ჩვენ ვიცით, რომ გავი-
მარჯვებთ! ჩვენ არაფრის არ გვეშინია.

შეხედეთ ამ სახლს, — და ორატორმა
მასიურ, გრანიტით ჩინებულად წაგებ
მემამულის ორსართულიან შენობაზე
მიუთითა. — ვინ ააშენა იგი? მუშამ
ააშენა. ჯერ საძირკველი ჩაუყარა, მე-
რე კედლები ამოიყვანა. ეს საძირკვე-
ლი რომ გამოვაცალოთ, შენობა დაი-
ფშვენება. საძირკველი მუშა ხალხია.
მთელი სახელმწიფო მას აწევს მხრე-
ბზე და თელავს. მაგრამ მუშა რომ აღ-
დგება, მხრებს რომ გაშლის, მშვიდო-
ბით მაშინ სახელმწიფო შენობაც: ქვი-
შასავით დაიფშვენება და ქვეშ მოიყო-
ლიებს მეფეებსა და ყველა ჭურის ბა-
ტონებს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ივანე! — გაისმა
ხალხიდან შეძახილები და ტაშო.

— ურა!

— ვაშა!

— ძირს სისხლისმსმელი მეფე!

— გაუმარჯოს თავისუფლებას! —
გაისმა შეძახილები. ვიღაცამ „მარსე-
ლიეზა“ წამოიწყო, სხვები აპყვენენ და
მთა-ბარს მოედო მშვენიერი მელოდია.

— გაჩუმდით! გაჩუმდით! — ღრია-
ლებდნენ ნირწამხდარი სტუმრები, მა-
გრამ ძალის გამოყენებას ვერ ბედავდ-
ნენ.

უფროსების ასეთი წაყრუებით გაკ-
ვირვებული ჯარისკაცები გაცუბულნი
შესტკეპროდნენ ერთმანეთს. ზოგიერთ
მათგანს სახეზე კმაყოფილი ღიმილი
დასთამაშებდა.

— თქვენო მალალამატებულებაც,
იქნება ღროა, მოვრჩეთ? — მიმართა
კრიმ-გირეის სმაგინმა — ძლივს რომ
მალავდა თავის გაცოფებას. — მეტის
მოთმენა შეუძლებელია.

კრიმ-გირეიმ თანხმობის ნიშნად თა-
ვი დაუქნია და მთელმა ჯგუფმა საჩქა-
როდ მიაშურა ეტლს.

...მეოთხე დღეა კრიმ-გირეი აღმა-
დალმა დადის გურიასი, „სწავლობს“
საქმის ვითარებას, გლეხების მოთხოვ-
ნებს, ცდილობს დაპირებებით, მუქა-
რითა თუ მოფერებით დააცხროს მო-
ძრაობა, მთავრობისათვის საჭირო კა-
ლაპოტით წარმართოს იგი, მაგრამ აშ-

კარად ჩანს, რომ ამის ვერ ახერხებს. ხალხს აღარ სჯერა ხელისუფლებისა...

ის-ის იყო კრიმ-გირეი მორიგი მოგზაურობიდან დაბრუნდა ოზურგეთში, მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში, თავისი მოლაპარაკების შედეგებზე მოხსენების შედგენას შეუდგა, რომ მცველის ხმა მოესმა, რომელიც თავაზიანად უხსნიდა ვიღაც მთხოვნელს:

— ისინი მუშაობენ, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ...

კარზე კაკუნი გაისმა: კრიმ-გირეის თავიც არ აღწევია ისე გსძახა:

— მობრძანდით!

და გაოცებულმა სმაგინი დაინახა. „ახლახან არ დაეშორდიო, — გაიფიქრა კრიმ-გირეიმ, — ეტყობა, რაღაც მოხდა“.

გენერალი ვერ მაღავდა სიხარულს და... გეულს, ამან შეაფიქრანა კრიმ-გირეი. სტუმარს სკამი შესთავაზა. იგი სავარძელში გაიშლართა, ხელისგულით მუხლები დაიხილა, შემდეგ დინჯად ამოიღო პაკეტი და, თითქოს ეფერებო, მზრუნველად დაიწყო დაჭმუჭნული კიდევების გასწორება. კრიმ-გირეი გაკვირვებული უხმოდ აღევნებდა თვალს.

— ასე... თქვენო მაღალაღმატებულებავ, გრავმა გამოგიგზავნათ ეს ბარათი. — და გუბერატორმა გაუწოდა პაკეტი.

კრიმ-გირეიმ ხელი გაიშვირა, მაგრამ სმაგინი, თითქოს გამოჯაერებით, არ ჩქარობდა პაკეტის გადაცემას. კრიმ-გირეიმ თითქმის გამოსტაცა იგი. პაკეტი გახსნილი იყო, წერილი ამოიღო, სწრაფად გადაავლო თვალი. ბა-

რათი ფრიად ლაკონური, იყო: გრავმა გუბერატორს სთხოვდა, გადაეცია კრიმ-გირეისათვის, რომ მას შეეწყვიტა მივლინება, რადგან ეს „საჭირო აღარ იყო“ და დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო თბილისს.

კრიმ-გირეიმ გაოცებულმა გადახედა სმაგინს. მან მხრები აიჩეჩა, ხელები გაშალა, თითქოს ეუბნებოდა — არც არა ვიცი და ვერც არა გამიგიაო...

მეორე დღეს, როცა კრიმ-გირეი თბილისს გაისტუმრა, გუბერნატორი ტელეფონით ესაუბრა და შეაქო ენდარმერიის სამმართველოს უფროსი:

— ყოჩაღ, სერგეი ბორისოვიჩ! კარგად გიმუშავია რას ნიშნავს შირინკინის სახელმწიფოებრივი ჰქუა! აკი და არწმუნა გრავმა, რომ ეს ყველაფერი მავნებლობის მეტს არაფერს მოიტანს.

თორემ რა გამოდოდა: ჩვენ თითქოს საგანგებოდ თვითონ ვაწყობდით კრებებს, მრტინგებსა და თავყრილობებს, რომ იმარამზადებს საჭაროდ გაეკიცხათ მეფე და მთავრობა. ახლა კიდევ რაღაც დემოკრატობა დავიწყეთ: მისი ბრწყინვალეების სახელით ამ ველურებს თამასუქებს ვაძლევიდით, ესაო და „შევაიმოშებთო“, „გავეცნობითო“, „რამეს ვიღონებთო“. და ეს იმის ნაცვლად, რომ ალიხანოვ-ავარსკის ჯარებს, ახლა ნატანებში რომ არიან, ემოქმედათ და საჭირო წესრიგი დაემყარებინათ.

მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა მისი სიხარული. მალე აქ მთავრობის სენატისადმი მისი უმაღლესობის ბრძანებულება მიიღეს იმის თაობაზე, რომ სმაგინი სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გაეგზავნათ.

თავი 5

„განსვენებული ხველამ უნდა დაიტბოროს!“ მუხურის ტრაგედია
დედათა მონასტერში

გუბერნატორის სავარძელში გადაყენებული სმაგინის დროებითი შემცველი, კახაკთა დივიზიის უფროსი, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ჩაბრძა-

ნებულებიყო. იგი ბრგე, შუბლმაღალი, დიდცხვირა, ვეება ულვაშებიანი ვაჟკაცი გახლდათ. მკერდი მედლებითა და ორდენებით ჰქონდა დაფარული. მის

წინ წელში მორჩილად მოხრილი იტგაკაჟანდარა, ვიწრომხრებიანი გეგამოვი — ზუგდიდის მახრის უფროსი. სქელი, წინწამოწეული ტუჩების კუთხეებს ჩაყოლებული ორი ღრმა ნაოჭი მაიძუნს ამსგავსებდა. გაყვითლებულ სახეზე თვალები ავადმყოფური შუქით უბრწყინავდა.

საუბარი მეტად მოკლე გამოდგა. უფრო სწორად, მხოლოდ ორბელიანი ლაპარაკობდა, მაზრის უფროსი კი დროდადრო ორიოდ სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე.

— ეს როგორ დაუშვით, რომ მეფისა და სამშობლოს ისეთი ერთგული მსახური, როგორც კლატონ დადიანი იყო, ბანდიტების ტყვიის მსხვერპლი გახდა?! კიდევ მეტი, დღემდე მკვლელის დნატიმრება ვერ შესწელით და ის დაუსჯელად ბოგინობს. ანდა გლეხები ისე როგორ გავითავებდნენ, რომ უარი განაცხადეს სათანადო პატივი მიეგოთ განსვენებულისათვის? მე თქვენ გეკითხებით, მიბასუხეთ! — აუწია ხმას თავადმა და მაზრის უფროსი თვალებით გაბურღა.

— ეს თოლორადავას საქმეა. უკვე მრავალი წელია უჩიოდა აწ განსვენებულ თავადს ტყის თაობაზე.

— არ ვიცი, არ ვიცი! უახლოეს დღეებში დამნაშავე უნდა დაპატიმროთ! განსვენებული დიდი ზარითა და გლოვით დაკრძალეთ. ყველა მუხურელმა დაიტროს. გესმით? ყველამ! უკლებლივ!

— გასაგებია, ყველა მუხურელმა დაიტროს, — მორჩილად გაიმეორა გეგამოვი.

ყველაფრის მიზეზი კი ის იყო, რომ დადიანის ბრძანებით ერთი მუხურელი გლეხი ოთხი მკირეწლოვანი შვილის მამა, ჯოხის ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს. მისი დანაშაული კი ის გახლდათ, რომ სადავო ტყეში ხე მოჭრა. ეს დადიანის მეხუთე მსხვერპლი იყო, ხალხსაც მოთმინების ფილა აევსო და თავადს მსჯავრი გამოუტანა.

ეგზეტუციის ჩამოსვლის ამბავი გვე-

ლივით შეიპარა მუხურელებს, სახლე-ბში და ხალხს შიშის ზარბაზნად მწუხრი მოედო ირგვლივ. სოფელში ჩქამი არ ისმოდა. თითქოს ბუნებამაც იგრძნო გარდუვალი უბედურებაო, მიყუჩდა და მოიწყინა. აქამდე მშვენიერი მზიანი დღეები და მთვარიანი კაშკაშა ღამეები ეინელოანმა ამინდმა შეცვალა. სოფლელები სახლებში შეიყუჩნენ, სმენად იქცნენ და სიკვდილმისჯილივით მიუგდეს ყური ეამო მდინარეებს. მერა მოელით? რას მოუტანს მათ ზვალანდელი დღე? სიჩუმისა და სიმშვიდის ბოლო საათები იყო. დიას, ზვალანდელი, აღვირახსნილი ძალადობისა და თვითნებობის ფეხქვეშ გაითრღება ყველაფერი: სინდისი, პატიოსნება, ადამიანის ღირსება... ზოგს კი, ალბათ, სამუდამოდ დაუბნელდება მზე...

მართლაც! ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოელოდნენ — სოფელი მხეცური სისასტიკისა და დაუნდობლობის სარბიელად იქცა.

ოდნავ ინათა თუ არა, ცხენების თქარა-თქურმა და ხმაილაღმა შეძახილებმა დააფეთა ტანთგაუხდელად მითვლემილი მუხურელები. კახაყები სახლებში იჭრებოდნენ, მთარახებს უყაპუნებდნენ დიდსა და პატარას და კონდახების ცემით ერეკებოდნენ ქუჩაში.

მაზრის უფროსი ზევით-ქვევით დააკენებდა შავრა ულავს და გამარჯვებული სპასპეტვით დასცქეროდა რბევისა და ძალადობის ამაზრზენ სურათს. დროდადრო კმაყოფილებით გადაისვამდა ულავაზე ხელს, გაიღიმებდა და აღტაცებას თავის ამაღას, წაღუნჯიხის გამოძიებელ მკედონსკის, უმცროს იასაულ შევჩენკოს, ჩაფრების უფროსებს ზენჩენკოსა და ასათიანს და მწერალ ქობალიას უზიარებდა:

— ეგრე მოუხდებათ, ეგრე... ამ არამზადებს, ამ ჭანყისთავებს!

მაღე მთელ მოსახლეობას დადიანის სახლის წინ მოუყარეს თავი.

— პირუტყვებო! მოუსმინეთ პლასტუნთა პოლკის უფროსის დადგენილ-

ბას, — განაცხადა გეგამოვმა და მწერალ ქობალიას ანიშნა, წაიკითხო.

ქობალია ქალაქის ჩააჩერდა და ქართულად დაიწყო თარგმნა:

— 1905 წელი, 25 მაისი. მე, პოდპოლკოვნიკი სიდორენკო, საგანგებო უფლებამოსილებით გამოგზავნილი ზუგდიდის მაზრაში, — ისე გააკვირდა მწერალი, თითქოს თვით პოდპოლკოვნიკი იძლევა ბრძანებასო, — ვიღებ რა მხედველობაში, რომ სოფელ მუხურის მცხოვრებნი იჩენენ ურჩობას ხელისუფლებისადმი, მალავენ რა თავიანთ შორის თავად დადიანის მკვლელს და ასევე, პირებს, რომლებიც ეწევიან რევოლუციურ პროპაგანდას, გარდა ამისა, უარს ამბობენ სახაზინო, საზოგადოებრივი და მემამულეთა კუთვნილი გამოსაღებების გადახდაზე, ვადგენ: ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორის მიერ მე-10 პარაგრაფის საფუძველზე ჩემდამდე მოცემული უფლებამოსილების ძალით ვნიშნავ სოფელ მუხურში ეგზეკუციას კაზაკ-პლასტუნთა ერთი ასეთლის რაოდენობით ამ სოფლის მოსახლეობის კმაყოფაზე, იქამდე, სანამ არ ჩამაბარებენ ბანდის წევრ ყველა დამნაშავეს და მათ მეთაურებს თოლორდავასა და გეთიას.

— გაიგეთ, რა წერია ბრძანებაში? ახლა კი დაიჩოქეთ, — გასცა ბრძანება მაზრის უფროსმა.

მხოლოდ ორიოდე ქალმა და მამაკაცმა ყოყმანით ჩაიმუხლა მიწაზე, რომელიც გადაღებულ წვიმას ტლაპოდ ექცია. დანარჩენებს ფეხი არ მოუცვლიათ. გეგამოვი შევჩვენეს მიუბრუნდა და უბრძანა:

— აიძულეთ, დაიჩოქონ! კაზაკები ხალხს მიესივნენ და გამეტებით დაუწყეს ცემა.

როგორც იქნა, ყველას მოაყრევინეს მუხლი, სალდათებმა სახლიდან დადიანი გამოასვენეს. კუბოს მხოლოდ რამდენიმე ნათესავი გამოჰყვა. ისინი შეშინებულნი მისჩერებოდნენ სოფლებს. მღვდელი არ ჩანდა — წინაიღეს გააფრთხილეს, გააპატიოსნებ და

ეკლესიას ცეცხლს მიეცემით. შინამოსამსახურებმა მხარი დაუჭირეს სოფლის გადაწყვეტილებას და სალდაც გაუჩინარდნენ. პროცესიას ჭარისკაცების ოცეული მიჰყვა.

— ცრემლებს ვერ ვხედავ! ყველამ იტიროს! — დაიღრიალა გეგამოვმა.

კვლავ დატრიალდა მუშტები, მათრახები, კონდახები.

— ახლა ყველაფერი წესრიგშია, — ჩაიხიბითთა მაზრის უფროსმა, როცა ნაცემი ბავშვებისა და ქალების წვილი-კივილი გაისმა... შემდეგ შევჩვენეს მიუბრუნდა და უბრძანა:

— გამოუცხადეთ ამ პირუტყვებს, რომ ორი დღის განმავლობაში, სანამ ზუგდიდიდან დაებრუნდები, იბოვონ და მომგვარონ მკვლელი და, გარდა ამისა, შეაგროვონ 558 მანეთი — იმ კაზაკების თვითური სარჩო, რომლებიც ეგზეკუციისათვის არიან გამოყოფილი. არა და... მაზრის უფროსმა მუშტი მოუღერა ხალხს.

— არის გამოუცხადო! — უპასუხა უმცროსმა იასაულმა.

გეგამოვმა ისე მაგრად მოჭაჩა აღვირი, რომ ცხენი ყალყზე შედგა. შემდეგ დეზი ჰკრა და ისარივით გაიჭრა წინ, რომ პროცესიას დასწეოდა. მას თანმხლებნი მიჰყვნენ უკან.

მეორე დღეს მუხურელებმა რამდენჯერმე მოიყარეს ერთად თავი. ძლივ-ძლივობით შეაგროვეს შეწირული ფული, მაგრამ მთავარ საქმეს, როგორ გამოეხსნათ თავი ისე, რომ მკვლელი არ გაეცათ, ვერაფერი მოუხერხეს. თოლორდავამ ხომ ხალხის განაჩენი მოიყვანა სისრულეში!

გავიდა მაზრის უფროსის მიერ მოცემული ორი დღე და გეგამოვი კვლავ მოევლინა აჭაურობას, ვის ეგონა, რომ ასეთ საშინელ სასჯელს გადაუწყვეტდა მუხურელებს.

გლებები, დიდიან-პატარიანად, სოფლის შუაგულში შეაჭურეს და გარს კაზაკები შემოართყეს. გეგამოვი ჩამოქვეითდა, ბოლთის ცემა დაიწყა და

თან ნერვულად იტყაპუნებდა სტეკს ქრომის ჩექმის ყელზე.

— ამგვარად, თქვენ უარს აცხადებთ მკვლელის გაცემაზე, არა?!... საიდუმლოდ მინდა გამცნოთ, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილია დამნაშავე. მკვლელი თოლორდავაა!

— ამას დამტკიცება უნდა! — ხმა-მალა წამოიძახა ვილაყამ.

— სწორია! — ახმაურდა ხალხი.

— მაშ თქვეხ მტკიცებებს მოითხოვთ არა?! — მრისხანედ დააბრიალა თვალები მაზრის უფროსმა. აბა, კაზაკებო, დაუმტკიცეთ!

კაზაკები მიუხვდნენ, ხალხს მიესივნენ და მათრახები დასცხეს.

— ახლა კი სახლები დაურბიეთ!

კაზაკები ბრძანების შესასრულებლად გაცვივდნენ. გლეხებმა თავთავიანთ ოდებს მიაშურეს, რომ ოჯახი აკლებსაგან გადაერჩინათ. მაგრამ აბა, რას გახდებოდა ჭარისკაცებთან უიარალო ხალხი? მალე წლების განმავლობაში შრომითა და ჯადით მონაგარი ქონება ნაცარტუტად იქცა. ყველაფერი დაინგრა და განადგურდა: ოდები, ნალიები... სახლებს ღობეებიც აღარ შერჩა — გადაქელეს, დამტვრიეს. ჰები მიწით ამოავსეს. კაზაკები ყველაფერს იტაცებდნენ, რაც კი ხელში ხვდებოდნათ, უარს არაფერზე ამბობდნენ, უნავირი იყო, მოსართავეები, ლოგინი, სკამები, საყერავი მანქანა თუ ძველი ფეხსაცმელი. ნამარცხს ისევ გლეხების ურმებს უდებდნენ და მიჰქონდათ.

სიმონ თოლორდავას ოჯახი განსაკუთრებული სისასტიკით დაარბიეს. რამდენიმე კაზაკმა სიმონის მოხუცი დედა, თებრო, ეზოში გამოათრია და სახლს ცეცხლი წაუკიდა. ემუჭრებოდნენ, გვითხარი სად იმალება შენი შვილი, თორემ ცეცხლში გადაგიძახებთო. საბრალო ქალი ტირილით იხვეწებოდა, შემობრალეთო, დამქანარ ხელებს ზეცისკენ იშვერდა და იმეორებდა:

— მამაზეციერს გეფიცებით, დმერთია მოწამე, არ ვიცი სად არის.

აღმოდებული ოდა ერთხანს თითქოს

უმაგრდებოდა ცეცხლს, მაგრამ მერე უეცრად ჩირაღდანით აბრიალდა და მყის დაიფერფლა. მოხუცმა ამის დანახვაზე ერთი წამოიკივლა და გონი დაჰკარგა. სამმა კაზაკმა საბძლისაკენ წაათრია. მალე საბძლიდან მოხუცის შესაზარი კივილი მოისმა. ტანსაცმელ-შემოხეული ქალი ქუჩაში გამოაგდეს, დაუზოგავად დაუწყეს ცემა წიხლებით და თან გაჰყვიროდნენ:

— ეგრე მოგიხდება მკვლელის გაჩენისათვის! ესეც შენ... ესეც შენ!...

თებროს ხმა ჩაუწყდა, მოიკუნტა და წიხლის დარტყმაზე მხოლოდ კვნესით პასუხობდა. ირგვლივ პატივყარილი ქალების მოთქმა და ვიშვიში ისმოდა.

— აი, სვირიც ასეთი უნდა! გაისად მუხურში პატარა კაზაკები მომრავლდებიან, — ხითხითებდა გეგამოვი და ამაღის წვერებიც მლიქვნელურად უბამდნენ მხარს.

— თქვენო კეთილშობილებავ, მეზობლებს უეჭველად ეცოდინებათ, სად იმალება თოლორდავა, — უთხრა მაკედონსკიმ მაზრის უფროსს.

გეგამოვმა იასაულს დაუძახა და ხმადაბლა რაღაცა დაავალა. იასაულმა თარჯიმნად მწერალ ქობალიას უხმო, რამდენიმე ჭარისკაცი გაიყოლა და თოლორდავას მეზობლის სახლისაკენ გააქენა ცხენი.

ეზოში შავთიმოსილი ქალი შემოხვდათ. იგი იმ გვახარისას ცოლი იყო, დღიანმა რომ მოაკვლევინა ცემით. ქვრივი შუა ეზოში იდგა, ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირა, სამი ერთი-მეორის მიმყოლი პატარა დედის კალთას ჩასჭიდებოდა. ქალმა იგრანო უბედურების მოახლოვება, შიშმა აიტანა, ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა.

— შეგვიბრალეთ! — აღელვებისაგან ჩაუწყვეტილი ხმით ამოიკვნესა მან და შვილებს მოავლო თვალი.

— შენ ნამდვილად უნდა იცოდე, სად იმალება შენი მეზობელი სიმონ თოლორდავა! — უთარგმნა ქობალიამ იასაულის კითხვა.

— მე საიდან უნდა ვიცოდე, ჩემო ბატონო?... —

— თვალეზზე გეტყობა, რომ იცი, შე ძეგან! — დაუღრიალა იასაულმა, შემდეგ ჯარისკაცს დაუძახა და რალაც უბრძანა. ჯარისკაცი მიეჭრა დედას, ბავშვი გამოსტაცა ხელიდან და ჭისკენ გაიქცა. ქალი მოთქმითა და კივილით დაედევნა უკან. ასეთმა სიმხვეცემ მრავალი უბედურების მნახველი ჯარისკაცებიც კი შეაძრწუნა. ამ დროს ეზოში სოფლის მღვდელი, ბენდელიანი შემოვარდა, იასაულთან მიიჭრა, ყელზე ჩამოკიდებული ჯვარი მალდა ასწია და მკაცრად უბრძანა:

— ქრისტეს სახელით მოვიტხოვ, შეწყვიტეთ ეს უმსგავსოება!

— მამაო, ვთხოვთ ნუ შეგვიშლით ხელს მართლმსაჯულების აღსრულებაში!

— მართლმსაჯულების?! — გაიმეორა მღვდელმა, — უდანაშაულო ჩვილის მოკლა მართლმსაჯულებაა? დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ეს ბარბაროსობა!

ჯარისკაცი, რომელსაც ბავშვი ეჭირა ძლივს იგერიებდა გამძვინვარებულ დედას და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— ესენი! — უბრძანა იასაულმა, — სახლს მიხედეთ!

ქალმა ბავშვი გამოგლიჯა ჯარისკაცს, ქვითინით ჩაიკრა გულში და გაშმაგებით კოცნა დაუწყო. შვილები სლუკუნით მიცვივნენ დედას. ჯვარალმართული მღვდელი თავზე ადგა მათ, პირჯვარს სწერდა და ლოცულობდა.

ჯარისკაცები კი, თითქოს თავიანთ წუთიერ სისუსტეს ინანიებენო, დაუნდობლად მიესივნენ ოდას და სულ ცოტა ხანში ნამსხვრევებად აქციეს.

— ამბობენ, გუშინ ქალები ვახიზნეს ტყეში, ზოგი კი, მათ შორის თოლოროდავას და, აქვე, მახლობლად, ოწინდარის მონასტერში გადაამალესო, — ჩაილაპარაკა პრისტავმა ასათიანმა.

— აბა, მონასტრისაკენ, — ბრძანა გეგამოვმა და კახაკთა რაზმი ყიეინითა

და ცხენების თქარათქურით, გაეჭრა მონასტრისაკენ. მონასტრის მიწვევები დაკეტილი აღმოჩნდა. კახაკებმა მას კონდახები დაუშინეს და აღრიადნენ, ჩქარა გაგვიღეთო, მაგრამ არავინ გამოეპასუხა.

ერთი ჯარისკაცი უნაგირზე შედგა, ქვის გალავანს გადაევიდა და ჩახტა. მალე კარი გაიღო, მაგრამ ჯვარალმართულმა ილუმენიამ გზა გადაუღობა კახაკებს და შეჰყვირა:

— როგორ ბედავთ?! ვინ მოგვით უფლება?! ქრისტიანები არა ხართ?!

კახაკებმა უხეშად მოიცილეს გზიდან და სენაკებს მიამურეს... გაისმა ქალების კივილი და მოთქმა-გოდება. ერთერთ სენაკში ორი ჯარისკაცი შევიარდა. შეშინებულმა გოგონამ დევნილი შევლივით დაიწყო ბორიანი სენაკში, მერე კუთხეში მიიყუდა და გაინაბა, მაგრამ შავ თვალეზში სიძულვილისა და სასოწარკვეთილების ცეცხლი უგზიზგიზებდა.

— იყვირე, — ჩურჩულით უთხრა მალალმა მხარბეჭიანმა ჯარისკაცმა, პეტკო გოგოლმა.

დაბნეული გოგონა დუმდა.

— შე სუღელო, გეუბნები, იყვირე-მეთქი!

ახლა კი მიხვდა გოგონა, რას მოითხოვდა მისგან ჯარისკაცი და აკივლდა. თან თვალეზიდან ღვარად ჩამოუვიდა ცრემლი, ეტყობა, ამ მოულოდნელმა ლმობიერებამ გული აუჩუყა.

— გვითხარი, სად არის სიმონ თოლოროდავას და, უნდა გადავარჩინოთ, — უთხრა პეტკომ.

გოგონამ ივრძნო, რომ ამ კაცის ნდობა შეიძლებოდა და თვალით მეზობელი სენაკის კარზე ანიშნა.

— ზაგორულიო, შენ აქ დარჩი. არავინ შემოუშვა. უთხარი ეს გოგო ჩემია-თქო. მე იქ წავალ.

პეტკო სწრაფად გავიდა გარეთ და მეორე სენაკში შევიდა. ვილაც კახაკს ნაწინავეებით დაეთრია ქალოშვილი და საწოლისაკენ მიათრევდა. გოგონა თავგანწირულად იცავდა თავს, შიშისა და

ტკივილისაგან კრემლად იღვრებოდა, ყვიროდა და შველას ითხოვდა. კაბა მთლად შემოხეოდა. პეტკო ზურგიდან მივარდა მოძალადეს და ისე, რომ მან მოხედვაც ვერ მოასწრო, მაგრამ ჩასცხო თავისი ევება მუშტი კეფაში. კაზაკი მოიღვენთა და უხმოდ იქვე ჩაიკეცა. ქალიშვილი ხელიდან გაუსხლტა და ისე აეკრა კედელს, თითქოს შიგ უნდა ჩაეზარდოს და გაუჩინარდესო.

— შენ თინა ხარ, თოლორდავას და? ნუ გეშინია, მეგობარი ვარ, — უთხრა პეტკომ, ფრთხილად გაიხედა ღერეფანში და როცა დარწმუნდა, იქ არავინ იყო, გონდაკარგული კაზაკი დაითრია და საწოლქვეშ შეტენა. ამ დროს ვილაცის ნაბიჯების ხმა გაისმა. პეტკო ქალიშვილს ეცა. იგი გაუსხლტა, მაგრამ პეტკომ ხელი სტაცა მკლავში. თინა კვლავ აკივლდა, მიშველეთო. ჩექმების ბრაზბარუხი უკვე კარებთან გაისმა. ვილაც ჭარისკაცი ჩაბნელებულ სენაკში შემოვარდა და დაიყვირა:

— თოლორდავას და აქ არის?

— დაიკარგე აქედან! — თავმოუბრუნებლად დაუღრიალა პეტკომ და ქალიშვილი ჩაიხუტა. ახალმოსულმა პეტკოს ადლიან მხრებს შეაელო თვალი, მერე საწოლქვეშიდან გამოშვერილი ჩექმები დაინახა და იფიქრა, ეს კარგდღეს არ დამაყრისო და გარეთ გავარდა.

ამ დროს თინამ კბილები ჩაასო პეტკოს მაჯაში. ჭარისკაცი ტკივილისგან დაიწმინხა და ხელი შეუშვა. ქალიშვილი კატასავით მივარდა კართან და გაქცევა დააპირა, მაგრამ პეტკომ გზა გადაუღობა.

— რას სჩადი, შე სულელო?! არ გაბედო გასვლა! მან ძალით მოაცილა დამფრთხალი ქალიშვილი კარს, თან რამდენჭერამე გაუმეორა, გაიგე, შენგან არაფერი მინდაო.

სენაკში კიდევ შემოვარდა ვილაცა. პეტკომ ორივე ხელი სტაცა თინას, ისე მძლავრად მიიხუტა გულზე, რომ ლა-

მის დაახრჩო და საწოლს გააკრია. ქალიშვილი ცდილობდა ტელედან გასხლტომოდა, თან ყვიროდა, მაგრამ გუმანით უკვე მიხვედრილიყო, რომ საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

— გიშველო, მეგობარო?!

— მომწყედი თავიდან! — შეუღრინა პეტკომ.

— რა, მარტო შენ გინდა?..

— გეუბნები, დამეკარგე-მეთქი აქედან! — აუწია ხმას პეტკომ და მხრები შეათამაშა.

ჭარისკაცი ბუზღუნით გავიდა სენაკიდან.

მაგრამ ეს რა ხდება? პეტკოს ტანში სითბო ჩაეღვარა, გული აუჩქროლდა, თინაც როგორღაც მოდუნდა, მიინახა, მაგრამ წამსვე გონს მოეგო, პეტკოს გაუსხლტა და ფეხზე წამოხტა.

ეზოდან ბუკის ხმა მოისმა. ეს თავშეყრის ნიშანი იყო. პეტკომ ხალათი შეისწორა, ნაკბენი ხელიდან სისხლი აილოკა და იატაკზე დაგდებული შაშხანა აიღო. შემდეგ საწოლის ქვევიდან გონდაკარგული კაზაკი გამოათრია, მხარზე შეიგდო და დინჯად გამართა კარისაკენ. ზღურბლთან შეჩერდა და თინასაკენ შეტრიალდა. თვალები რაღაც უცნაური ცეცხლით უელავდა. თინა მონუსხულოვით გაშეშებულიყო და სენაკის კედელს მიშტერებოდა.

თოლორდავას ოდა უკვე მთლად დაფერფლილიყო. ბოლი მიწას ეფინებოდა, თითქოს უნდოდა, ადამიანის თვალისაგან დაეფარა ველურბობის ნიშანკვალი, მაგრამ იგი ყველგან მოჩანდა: გზაზე ნაძარცვი ქონებით დატვირთული ურმები იყო ჩამწყრივებული. ქალები ქვეითინით ევედრებოდნენ გემოვს, ნუ დაგვაქცევთ, ნაწილ-ნაწილ მაინც გამოგვასუიდივინ ჩვენი ქონებაო, მაგრამ მაზრის უფროსს სმენაც დაეხშო და გულიც გაექვავებინა:

— ყველაფერი ჩვენი მწყალობელი მეფის ბრძანებით გავაკეთეთ. ყველაფერი მის ხაზინაში მიდის. იმის ვალი გაქვთ, ვალს კი გადახდა უნდა!...

მალე მონასტრიდან მომავალი კახა-
კებიც გამოჩნდნენ. გეგამოვი ღრეკით
შეეგება მათ:

— როგორ არის, ბიჭებო, საქმე? იმე-

დია, თავი არ შეირცხვინეთ! ხომ დაუ-
მტყიცეთ, რა ვაჟაკებიცა ჩართე კახა-
კები? აი, ის კი არ გუპატივბათ, რომ
თოლორდავას და ვერ იპოვეთ!

თავი 6

სასახლეში მიწვევა — მეფის კარისაკაცი შემოსვარია —
„მომთავლოთ და გადმოვირიგებთ“

გოლოვინის პროსპექტზე, მეფისნა-
ცვლის სასახლის სადარბაზოსთან ეტლი
გაჩერდა. ეტლიდან ვლადიმერ სტარო-
სელსკი ჩამოვიდა და სწრაფად აირბინა
მარმარილოს კიბე. აუდიენციებზე პი-
რადად მეფისნაცვლის, ვორონცოვ-და-
შკოვის მიერ იყო მოწვეული, ამიტომ
მის წინ ზედისზედ იღებოდა სასახლის
დარბაზთა უზარმაზარი მოჩუქურთმე-
ბული კარები. ამ ვიზიტს წინ უძლოდა
გრაფის ხანგრძლივი საუბარი თავის
თანაშემწესთან. ისინი შეთანხმდნენ,
რომ საფუძელიანად „მოსინჯავდნენ“
სტუმარს, გულდია საუბარს გაუბამდ-
ნენ, ჩაწვდებოდნენ მის აზრებსა და
შეხედულებებს.

აი, გრაფის მისაღებიც. აქ ვლადი-
მერს გულთბილად შეეგება ძველი ნა-
ცნობი, მეფისნაცვლის თანაშემწე, სუ-
ლთან კრიმ-გირეი და გრაფთან შეუძ-
ლვა.

კაბინეტი უზარმაზარი იყო. მაღალი
ფანჯრები პროსპექტზე გადიოდა, მაგ-
რამ ახლა ფირფიტანები სანახევროდ
ფარავდა ზოგიერთ ფანჯარას და ამი-
ტომაც ოთახში ბინდი იდგა. მოხატუ-
ლი ჰერი, რომელზეც ბროლის ორი
ჭალი ეკიდა, ამურის ნაქერწი ფიგურე-
ბით დამშვენებულ პილონებზე იყო
დაყრდნობილი. კედლებს ბროლის სა-
კიდრებიანი კანდელაბრები ამკობდა. კა-
რის პირდაპირ მოჩუქურთმებულფეხე-
ბიანი განიერი საწერი მაგიდა იდგა,
მის უკან თითქმის მთელ კედელს ფა-
რავდა ზეთის საღებავებით დახატული
ნიკოლოზ II. პორტრეტზე ხელმწიფე

ფეხზე იდგა აღჭურვილი მთელი თავი-
სი რეგალიებით. ცალ ხელში კვერთხი
ეჭირა, მეორეში — გვირგვინი.

საწერ მაგიდაზე რამდენიმე ვენზე-
ლიანი ტყავის საქალაღდე და ვეება სა-
წერი მოწყობილობა მოჩანდა — კლდის
წვერზე ასაფრენად გამოზადებული მთის
არწივი იჭდა. კლდის ძირას ორი ეუ-
ბური ფორმის ბროლის სამელნე ცი-
სარტყელის ფერებად ირეკლავდა ფი-
რფიტანებიდან შემოპარულ მზის სხი-
ვებს. იქვე მძიმე პრესპაივი იღო და
ტელეფონის მოოქროვილი აპარატი
ბრწყინავდა. კარიდან მაგიდამდე სქე-
ლი თექური ხალიჩა ეგო, ამიტომ ნა-
ბიჭების ხმა სულ არ ისმოდა. უნებლი-
ედ გაიფიქრებდი, კაცი კი არ მოდის,
არამედ მოიპარება. კედლებს და სათა-
თბირო მაგიდას მაღალსაზურგებიანი
სკამები ჰქონდა მიდგმული. მათ წვრი-
ლი, ჩუქურთმებამოკვეთილი, მოოქრო-
ვილი ფეხები ჰქონდა.

ილარიონ ივანეს ძე, მაღალი, ტანა-
დი, ნაპატიები მამაკაცი, ფანჯარასთან
იდგა და ერთის შეხედვით დიდი ყუ-
რადღებით ათვალიერებდა ხალხით გა-
ჰედილ პროსპექტს. თმა საცხისაგან უპ-
რიალებდა, შავად შეღებილი უღვაში
ნიკოლოზ მეორესავით ჰქონდა შეკრე-
პილი. მუნდირი ჩამოსხმულივით ადგა
ტანზე, ერთი ნაოქიც არ მოუჩანდა. აი,
აუჩქარებლად კარისკენ შებრუნდა,
მხოლოდ ნაცრისფერი გამსჭვალავი
თვალებით გაიღიმა, დინჯად გაემართა
სტუმრისაკენ და გულითადად ჩამოა-
რთვა ხელი.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ილარიონ ივანოვიჩ, — მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ გეახელით თქვენი ბრძანების თანახმად, — უთხრა ვლადიმერ სტაროსელსკიმ.

— ფრიად, ფრიად მოხარული ვარ, რომ მობრძანდით, მოწყალეო ზელმწიფევი. — დაბრძანდით, — მიუგო გრაფმა და ხელი ღრმა, წითელტყავამოკრულ სავარძლისაკენ გაიშვირა.

— გმადლობთ, — გადაუხადა მადლობა ვლადიმერმა, მაგრამ არ ჩქარობდა დაჯდომას. რადგან თავად გრაფი ფეხზე იდგა. მეფისნაცვალი მიუხვდა, მხარზე ხელი დაადო, თითქმის ძალად ჩასვა სავარძელში და თვითონაც პირდაპირ დაუჯდა.

— ამბობენ, სასწაულებს ახდენთ ფილოქსერასთან ბრძოლაში, ხუმრობანარევი სერიოზულობით დაიწყო გრაფმა.

„ნუთუ ამისათვის დამიბარა?“ — გაიფიქრა სტუმარმა და უპასუხა:

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ვაზის კულტურას თქვენ შესანიშნავად იცნობთ. როცა იმპერატორის კარისა და საუფლისწულო მამულების მინისტრი ბრძანდებოდათ, ბევრი რამ გააკეთეთ მევენახეობის განვითარებისათვის.

გრაფს დიდად ესიამოვნა, რომ სტუმარს კარგად სცოდნია მისი მოღვაწეობა მეფისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ და ლოყები ოდნავ შეეფაკლა.

— დიახ, — შენიშნა მან, — მე ყოველნაირად ვეცადე, რომ საუფლისწულო მამულების უწყებას „მასანდრისა“ და „აიდანილის“ მამულები შეეძინა და, მთლიანად აეღო ხელში ღვინით ვაჭრობის საქმე. მაშინ ფილოქსერა არ გვემუქრებოდა.

— საქართველოში კი ერთობ ხელშემწყობი კლიმატური პირობები აღმოჩნდა ფილოქსერას გავრცელებისათვის. მან სულ რამდენიმე წელიწადში დიდი უბედურება დაატეხა თავს მოსახლეობას.

— დიახ, დიახ, — გულისგარეთ დაუდრასტურა გრაფმა.

— ხსნა მხოლოდ ამერიკულ სკიპრეშია.

— როგორც მომახსენეს, ფრანგ, უნგრელ და თვით ჩვენს რუს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში მევენახეობას აღარაფერი ეშველება.

— ეგ ბატონები დიდად ცდებიან.

— ბევრს ხომ არ იღებთ საკუთარ თავზე, მოწყალეო ზელმწიფევი? — საკმაოდ მკაცრად შენიშნა მეფისნაცვალმა.

— დარწმუნებული ვარ, რომ ცდებიან, — მტკიცედ გაიმეორა სტაროსელსკიმ.

— გავკადნიერდები და მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ბატონმა სტაროსელსკიმ საქარის საცდელ მეურნეობაში ფრიად დამაიმედებელ შედეგებს მიიღწია, — ჩაერთო საუბარში სულთან კრიმ-გირევი, — კიდევ მეტი, — გლუხებს სწამთ, რომ ვლადიმერ ალექსანდროვიჩი დაამარცხებს ფილოქსერას და ვაზს გადაშენებისაგან იხსნის.

— დიახ, რწმენა დიდი ძალაა, — თქვა გრაფმა და, თითქოს ამ აზრს გასდიო, დასძინა:

— ეს ჩინებულთა, თუ გლუხებს სწამთ თქვენი და გენდობიან.

— დიახ, ბატონ სტაროსელსკის ჰუმარიტად უსაზღვრო ავტორიტეტი აქვს, — კვლავ ჩაურთო კრიმ-გირევი და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა შეფს.

სტუმარი ვერ მიხვდა საით მიმართავდნენ საუბარს მეფისნაცვალი და მისი თანაშემწე და შეეცადა უფრო საფუძვლიანად დაესაბუთებინა, საქართველოში ვაზის კულტურის გადარჩენის აუცილებლობა:

— ვაზი ეკონომიკის ქვაკუთხედი და, მე თუ მკითხავთ, ქართველი გლეხის ცხოვრების არსიც ვახლავთ, თუმცა ეს ცხოვრება ძალზე მძიმე და არაადამიანურია.

— ეს როგორ გავიგოთ? — მოიღუშა მეფისნაცვალი.

— გუბერნიაში რეფორმა შეკვეცილად და დამახინჯებულად გაუტარები-

ათ. თუ გლეხების უფლებრივი მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, ეკონომიკური — უკიდურესად გაუარესდა.

— იგივე მომახსენა კრიმ-გირეიმ, როცა გურიიდან დაბრუნდა (გრაფის სიტყვებზე თანაშემწემ მოწიწებით დახარა თავი), — მაგრამ განა ეს ჯანყის, ხელისუფლებისადმი ურჩობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საბაზად უნდა ქცეულიყო? — ჯიქურ ჰყითხა მეფისნაცვალმა და სტაროსელსკის თვალი თვალში გაუყარა.

— თქვენო ბრწყინვალეებო, გლეხები სილატაის საბოლოო მიჯნამდე არიან მისულნი. მოიჭარე წლიური მოსავლის სამოც პროცენტზე მეტს აძლევს მიწისმფლობელს, ზოგჯერ კი, მოუსავლიან წლებში, მთელ მოსავალზე უნდა აიღოს ხელი. ზოგჯერ იძულებულია ვალში ჩადგეს და ისე გაისტუმროს მემამულე.

— კი მაგრამ, განა შეიძლება მაგით ამბობებისა და ძარცვა-გლეჯის გამართლება? — გაიმეორა უფრო მკაცრად გრაფმა.

— თქვენო ბრწყინვალეებო, გავკადნიერდები და გულახდილად მოგახსენებთ; მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დღემდე არაფერი დაკეთებულა. არავინ ცდილა ჩასწვდომოდა ხალხის უკმაყოფილების ძირითად მიზეზებს და ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მისი ხვედრი.

— არ მესმის, რა გაქვთ მხედველობაში?

— საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც ადმინისტრაციას, ასევე საპროკურორო ზედამხედველობას ხალხის უკმაყოფილების მიზეზად პოლიტიკური პროპაგანდა მიაჩნიათ, ხოლო სოფლის მთელ მიწათმოქმედ მოსახლეობას მოქანყებად თვლიან.

— თქვენ, ბატონო კოლეგიის მრჩეველო, კითხვაზე არ მიპასუხეთ, — დაეინებით გაიმეორა კვლავ მეფისნაცვალმა.

„გამოდის, რომ დაკითხვას მიწყობს“,

— გაიფიქრა სტაროსელსკიმ და შეეცადა აღეღებოდა არ გამოეხატა.

— თქვენო ბრწყინვალეებო, ვართველი გლეხი თავისი ბუნებითა და ხასიათით არც მძარცველია და არც ყაჩაღი. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თუ ძალიან შეავიწროებენ, თუ ადამიანურ ღირსებასა და უფლებებს ფეხით გაუთელავენ, აი, მაშინ აღმფრთვინდება. აქ თავს უფლებას მივცემ, შევნიშნო, რომ ერთ დროს თქვენ ბრწყინვალეებასაც აწუხებდა მიწათმოქმედებისა და ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების საკითხები.

დაკვირვებული კაცი შენიშნავდა, რომ გრაფი და კრიმ-გირეი ამ სიტყვებზე შეცბუნდნენ, — ამ იდეების გამოხმომ ზოგ-ზოგებმა მეტისმეტი ლიბერალობა დასწამეს ეორონცოვ-დაშკოვს. უხერხულობა რომ დაეფარა, მეფისნაცვალმა ცივად შენიშნა:

— ჩემო მეგობარო, თქვენ ერთ სასწორზე დებთ სამშობლოსათვის სარგებლობის მოტანის მისწრაფებებს და სოციალ-დემოკრატების დანაშაულებრივ იდეებს. — შემდეგ კი დაყვავებით დაუმატა:

— არა, რა თქმა უნდა, მე არ გადანაშაულებთ იმაში, რომ ამართლებთ და, მით უმეტეს, მხარს უჭერთ მემამბოხეთა აზრებსა და მოქმედებებს! ღმერთმა დამიფაროს! — მეფისნაცვალმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა თავის თანაშემწეს. კრიმ-გირეიმ მხრები აჩქაჩა. — მე მხოლოდ ის მსურს, რომ ბოლომდე გულახდილი იყოთ.

ვლადიმერ სტაროსელსკიმ ერთ ხანს იყუჩა, სათქმელი ასწონ-დასწონა და უბასუხა:

— მოძრაობა ძირითადად აგრარულ ნიადაგზე წარმოიშვა, მაგრამ მის გაძლიერებასა და განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ადმინისტრაციის ძალიანობამ და თავნებობამ, რომელმაც განსაკუთრებით კავკასიაში მოიცილა ფეხი. აბა ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს, როცა ჩვენი მოხელეები ცდილობენ ხალხს მშობლიური ენა წაართვან,

სკოლებს ვინ ჩივის, გუბერნიაში სულ ორიოდ ქართული ბიბლიოთეკა იყო და ისიც დახურეს. ეს ხომ ბარბაროსობაა?!

— არ მესმის, რა არის ამაში დასაგმობი და, მით უმეტეს, ბარბაროსული? რა დაშავდება, თუ ერთ იმპერიაში, ერთი ოჯახივით ერთ ენაზე ილაპარაკებენ? — გაოცებით იკითხა გრაფმა.

— თქვენო ბრწყინვალეობავ, თუკი იმ ოჯახში, რომელიც თქვენ წარმოგიდგენიათ, ყველა წევრს თანაბარი უფლებები არა აქვს, თუ ერთი მათგანი უკიდურესად დათრგუნვილია? თუ თავისი დედაცა, კულტურა და ადათ-წესები უფრო მოსწონს, ვაიძულოთ? შევავიწროვოთ? ძალმომრეობას მივმართოთ? დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეს კონცეფცია, უარის თქმა ყოველივე ეროვნულზე საფუძველშივე მცდარია. მე ასე წარმომიდგენია: ყოველი რუსი პატივისცემით მოეციდება ქართველს, რომელიც რუსულ კულტურას შეითვისებს, და ამავე დროს კარგ ქართველად დარჩება, ესე იგი თავისი ქვეყნის, ენის, ლიტერატურისა და წარსულის პატივითი იქნება. პირიქით, არ არის სანდო ის კაცი, ვინც უგულვებელყოფს ყოველივე ნაციონალურს, მშობლიურს, ღვიძლს. ეს სავსებით გასაგებია: განა შეიძლება, ცუდი ქართველი კარგი რუსი იყოს?

ოთახში მძიმე დუმილი გამეფდა. გარკვევით ისმოდა უზარმაზარი, წითელი ხის ტუმბოში ჩასმული საათის წიქრი. ყველა თავის ფიქრებს მიეცა. მეფისნაცვალს ყოყმანობდა, გაეგრილებინა თუ არა პაექრობა. „რაც უნდა იყოს, ეს კაცი ჩვენი, რუსი ინტელიგენციის წარმომადგენელია და ალბათ ბოლოს და ბოლოს საერთო ენას გამოვინახავთ... რას იზამ, ჭერჭერობით სხვა გამოსავალი არ არის, მაგასთან უნდა დავიჭიროთ საქმე, დღეს ეგა გვჭირდება“, — დაასკვნა მან და ენა დაითაფლა:

— იქნებ შესაძლებელია თქვენ ზოგ რამეში მართალი ბრძანდებით, მაგრამ

ყოველივე იმით, რაც ახლა მომახსენებთ მაინც არ შეიძლება შეამზოხეოთ და ურჩობის გამართლება.

— დაუფარავად უნდა ვთქვა, თქვენო ბრწყინვალეობავ, რომ ხანძრის გაღვივებას დიდად შეუწყო ხელი თქვენი წინამორბედის, თავად გოლიცინის პოლიტიკამაც. იგი ყველა საშუალებით ცდილობდა ამოეძირკვა კავკასიის ხალხების ეროვნული თვითშეგნება. სკოლებისა და ეკლესიის წინააღმდეგ მოწყობილმა ლაშქრობამ ბიძგი მისცა იმას, რომ ეს წმინდა აგარარული ნიადაგზე წარმოშობილი მოძრაობა პოლიტიკურ ამბოხებაში გადაზრდილიყო.

— თავადი გოლიცინი ღვთისა და ხელმწიფის ნებას ახორციელებდა და თქვენი გასაყიები არაფერი სჯირს! — მკაცრად მოუჭრა გრაფმა და მის ხმაში ფოლადის წკრიალი გაისმა.

— გთხოვთ მომიტყუეთ, მაგრამ ეს თქვენს ყურადსაღებად მოგახსენეთ. თქვენ ხომ ახლახან დაიწყეთ მოღვაწეობა ამ მხარეში. ქართველები ძალიან კულტურული ხალხია და ფრიად განვითარებული მართლშეგნება აქეთ. მათი ბრძოლა შეგნებულობა და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ე. წ. „ბოროტგანზრახული აგიტაციის“ შედეგს.

— შეამბოხენი თავიანთ შავბნელ საქმეს აყეთებენ და მათ ყველა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ, — შეაწყვეტინა გრაფმა.

— უბედურება ის გახლავთ, რომ დამოშმინების ერთადერთ საშუალებად კავკასიაში ხიშტი და ტყვია მიჩნეული. ერთადერთი ღონისძიება, რომელსაც აღმინისტრაცია ფართოდ მიმართავს ამ მხარეში. გაუთავებელი დეპარტამენტები და გადასახლებები. ჩვენი ბიუროკრატიული მანქანა ისეა მომართული, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით შეუძლია მოქმედება — რეპრესიების მიმართულებით.

სტაროსელსკის გულახდილობამ ისე შეაცუტუნა კრიმ-გირეი, რომ სახე აელეწა. გრაფმა კი გაიფიქრა, „რალაც

ძალიან წაგავს ეს აზრები მემამბოხე-
ების — მეფისა და სამშობლოს მტრე-
ბის — გამოწვევებს“ თვალი მაგი-
დაზე დადებული სქელი, წითელი სა-
ქალღლისაყენ ვაიქცა, რომელზეც ოქ-
როსფრად იყო ამოტვიფრული „მოხ-
სენებისათვის“. საქალაქურად ელაგა
დოსიე სტაროსელსკიზე და მის საქა-
რის მეურნეობის კოლექტივის შესა-
ხებ. მათ შორის ქუთაისის გუბერნიის
უანდარძთა სამმართველოს მიერ პო-
ლიციის დეპარტამენტის სახელზე გა-
მრგვაენილი მოხსენებები, რომლებიც
იუწყებოდნენ, რომ „საქარაში შვიდი
კაციდან სამი, სახელდობრ, კონსტან-
ტინე ნიკოლოზის ძე გორაიევი, მიხე-
ილ თევდორეს ძე კალინინი და ალექ-
სანდრე ალექსანდრეს ძე დოლოგუშინი
პოლიციის ფარული მეთვალყურეობის
ქვეშ იმყოფებიან. ვლადიმერ ალექსან-
დრეს ძე სტაროსელსკიზე კი თუმცა
ფარული მეთვალყურეობა არ არის და-
წესებული, მაგრამ მასთან ძალიან ხში-
რად ჩადის სტუმრად ფარული მეთ-
ვალყურეობის ქვეშ მყოფი ძმა იული
ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი, რომე-
ლიც ფილოქსერის კომისიაში მუშაობს
თბილისის გუბერნიის დაბა სურამში“.
შემდეგ მოხსენების ავტორი ასკვნიდა:
„პოლიციის ფარულ მეთვალყურეობის
ქვეშ მყოფ პირთა ასეთი თავმოყრა სა-
ქარის სანერგეში უნებურად გვაფიქრე-
ბინებს, რომ ეს შემთხვევითი არ უნდა
იყოს“.

საქალაქდღეში იდო აგრეთვე ცნობა,
რომ „სანერგის ლაბორატორიაში მოხ-
და ფრად საეჭვო აფეთქება (იქნებ იქ
ბომბებს ამზადებენ?)“...

მეფისნაცვალ კვლავ ფიქრებშია გაი-
ტაცა. „ბოლოს და ბოლოს რას წარმო-
ადგენს ეს კაცი? დაგვეხმარება თუ
არა? გვყავს სხვა ამისი ტოლი ავტორი-
ტეტული პიროვნება, რომელიც აჯან-
ყებულბს ჩვენთვის საჭირო გზისკენ
გადაახვევინებს, ან დროს მაინც მოგვა-
გებინებს ძალის მოსაყრდენად? არა, ნა-
მდვილად არავინ გვყავს!“

ფიქრიდან კრიმ-გირეის სიტყვებში
გამოარკვია:
— თქვენო ბრწყინვალეებო, ეტ-
ყობა, ვლადიმერ ალექსანდროვიჩმა
იმდენად კარგად იცის ამ მხარის სატ-
კივარი, რომ, უეჭველია, წამალიც ეცო-
დინება.

გრაფი თანაშემწის ამ აზრს ჩაეჭიდა:

— მართლაც, ბატონო სტაროსელს-
კი, თქვენ ისეთი ვატაცებითა და საქმის
ცოდნით მოგვიტარობთ გურულბსა
და გურისის მოძრაობის თავისებურებე-
ბზე, რომ, ჩემის აზრით, შეგვიძლიათ
გავლენა მოახდინოთ მოვლენათა მსვლე-
ლობაზე.

— თქვენო ბრწყინვალეებო, მე
მეცნიერი აგრონომი ვარ, ამიტომ,
ბუნებრივია, მაინტერესებს ეკონომი-
კური ხასიათის ასპექტები და ვცდი-
ლობ შეძლებისდაგვარად გლუხებს ხვე-
დრი შეეუფსუბუქო. ისინი ამას გრძნო-
ბენ და გულს მიხსნიან.

— დაუშვათ, დღევანდელ ვითარე-
ბაში ხელმწიფემ გუბერნიის მართვა
რომ მოგანდოთ, შეძლებთ წესრიგის
დამყარებას? — ჯიქურ ჰკითხა გრაფმა
სტაროსელსკის და დავიკრებით ჩააშ-
ტერდა, აბა, რა შთაბეჭდილება მოახ-
დინა ჩემმა ნათქვამებო.

მეფისნაცვლის გვერდით მღგომი
კრიმ-გირეი დაიძაბა, მოუთმენლად
ელოდა პასუხს.

— თქვენ ხუმრობთ, ბატონო? —
გულწრფელად შეიცხადა სტაროსელს-
კიმ, — მე რა საგუბერნატორო კაცი
ვარ? უკვე მქონდა პატივი, მომხსენ-
ებინა, რომ მხოლოდ მეცნიერი გახ-
ლავართ, ვცდილობ, გადავარჩინო ქარ-
თული ვაზი და ამით ცხოვრება შეეუ-
ფსუბუქო მევენახეს.

— მით უმეტეს, უფრო მეტი შესა-
ძლებლობანი გეტქებათ, რომ ამაღ-
ლოთ მიწათმოქმედების დონე და ამით
ხალხს საცხოვრებელი პირობები გაუ-
უმჯობესოთ. თანაც, დარწმუნებული
ვარ, არ დაივიწყებთ თქვენს მოვალე-
ობასა და პასუხისმგებლობას ღვთისა
და ხელმწიფის წინაშე.

— თუ ამას სერიოზულად მთავაზობთ, თქვენო ბრწყინვალემავე, განხეთ, უფლება მომცეთ უარი განვატყალო ამ წინადადებაზე, — თქვა აღუღვებულმა სტაროსელსკიმ. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა, რისთვის დაიბარეს სასაბლემი.

— დიახ, სრულიად სერიოზულად, — დამარცვლით დაუდასტურა ვორონცოვ-დაშკოვმა, — თქვენ როგორც პიროვნებას, რომელიც მოსახლეობის ნდობით სარგებლობთ, ამდენად არა გაქვთ მორალური უფლება ასეთ მძიმე ვითარებაში უარი გვითხრათ დახმარებაზე. თქვენი მკვიდრი ბიძა მეფისნაცვლის თანაშემწე იყო და ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა სამშობლოს. ასე, რომ, როგორც იტყვიან, ჩვენთვის უცხო არა ხართ და თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს ჩვენი საზარუნაი და საყუხარო.

— დიახ, მაგრამ ამის არც ძალა და არც უნარი შემწევს. ეს, უბრალოდ, შეუძლებელია, — კვლავ წამოიწყო დაბნეულმა სტაროსელსკიმ, — ეგვი არ იყოს, ამ ურთულეს ვითარებაში, როდესაც საჭიროა გუბერნიის მთელი ცხოვრების ძირეული გარდაქმნა, მისი დემოკრატიზაცია, ეკონომიკური ღონისძიებების გატარება... განა შეიძლება, სითავში ჩაუდგეს გუბერნიის კაცი, რომელსაც მეურნეობისა და სახელმწიფო საქმეების მართვის არავითარი გამოცდილება არა აქვს?!

— გაქვთ თუ არა საკუთარი თვალსაზრისი და მოსაზრებანი, რა ზომები უნდა განხორციელდეს ექსცესების აღმოსაფხვრელად?

— დიხაც გამაჩნია, მაგრამ განა ეს საემარისია იმისათვის, რომ თავი გავართვა ამ ჩემთვის ჭეშმარიტად დაუძლეველ ამოცანას?

— უმოკლეს ვადაში წარმომიდგინეთ მოხსენებითი ბარათი, იმ აუცილებელი ღონისძიებების აღნუსხვით, რომლებიც, თქვენი აზრით, მოსახლეობის სასარგებლოდ უნდა გატარდეს. მე წინასწარ ვეთანხმები ამ წინადადებას.

წარმოდგინეთ მოხსენებითი ბარათი — გაიმეორა ვორონცოვ-დაშკოვმა, და იმის ნიშნად რომ აუღიენცია დამთავრდა, სწრაფად წამოდგა, ხელი გაუწოდა სტაროსელსკის და მოკლედ დაემშვიდობა: ხელახალ შეხვედრამდევო. შემდეგ უმაღ ზურგი შეაქცია და ფანჯრისაკენ გაემართა, თითქოს პროსპექტის თვალიერება უნდა განაგრძოსო.

დაბნეულსა და ვაგონებულ სტაროსელსკის ისლა დარჩენოდა, რომ მდაბლად დაეკრა თავი და კაბინეტი დაეტოვებინა. მას კრიმ-გირეი გამოყვა.

— ძვირფასო ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, გაიგეთ, მე თავდებად დაგიდექით; ამ რთულ ვითარებაში თქვენ ერთადერთი მხსენელი ხართ. ხალხს თქვენი სჯერა და გამოგყვება. ამით დიდ სამსახურს გაუწევთ ხელმწიფესა და სამშობლოს.

— აჯანყების ჩამჭრობად მე არ გამოგადგებით. ისე კი იცოდეთ, საქართველოში ეს მოძრაობა იქამდე გაგრძელდება, ვიდრე საერთო-რუსული მოძრაობა იარსებებს: მასთან ერთად დაიწყო იგი და მასთან ერთად შეწყდება, — უბასუხა სტაროსელსკიმ და წასვლა დააპირა, მაგრამ კრიმ-გირეიმ ხელი ჩასჭიდა და შეაჩერა.

— დათანხმდით, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, დამერწმუნეთ, რომ ამ ვითარებაში თქვენ ყველაზე სასარგებლო აღამოინა ხართ.

— არა, ბატონო კრიმ-გირეი, არა, მე უხვირო მსახური ვარ.

— თქვენ შეგიძლიათ საჭირო კლავპოტით წარმართოთ ეს მოძრაობა.

— მე ვერ შევძლებ მას თქვენთვის საჭირო მიმართულება მიეცე. — სტაროსელსკიმ ხაზგასმულად წარმოსთქვა „თქვენთვის“ და კვლავ წასასვლელად გაიწია. კრიმ-გირეის ისევ უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ მეფისნაცვლის ადიუტანტი შემოვიდა და უთხრა, გრაფი გიბარებთო.

ღრმად დაფიქრებულმა და შეცბუნებულმა დატოვა სტაროსელსკიმ სასახლე.

— ეშმაკი ვინმეა, — უთხრა ვორონ-
ცოვ-დაშკოვმა თანაშემწეს შემოსვლის-
თანავე, — დიდი ეშმაკი ვინმეა ეგ შე-
ნი სტაროსელსკი. რა თქმა უნდა, ეპვი
არ არის, რომ პირი აქვს შეკრული
აჯანყებულებთან და მათ მეთაურებ-
თან. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეს უკ-
თესიკ გამოდგეს, ჰა?..

კრიმ-გირეიმ არ იცოდა რა ეპასუხა
მეფის ნაცვლისათვის, ამიტომ დუმო-
ლი ამჯობინა.

— დიახ, დიახ, იქნებ ეს უკეთესიცაა,
— გიომეორა გრაფმა, — აშკარაა, ჯან-
ყის მეთაურები და მოსახლეობა ნდო-
ბით ეპყრობიან.

კრიმ-გირეი ისევ ვერ მიხვედრილი-
ყო, რა ჰქონდა მხედველობა მეფის
ნაცვალს და ამჯერადაც არაფერი უპა-
სუხა. გრაფმა კი, თითქოს ხმამალა
ფიქრობსო, განაგრძო:

— მოვთავლოთ და გადმოვიბირებთ.
მთავარია, დრო მოგვაგებინოს, ამბობე-
ბის გავრცელება და გაღრმავება შეა-
ყოვნოს, შემდეგ კი იქნებ შიგნიდანაც
გაგვატეხინოს ციხე... ოღონდ თავი უნ-
და მოვაჩვენოთ, რომ მისი თანაშრახ-
ველები ვართ.

— დიახ... მართალს ბრძანებთ, თქვე-
ნო ბრწყინვალეებავ — დაუდასტურა
კრიმ-გირეიმ.

თავი 7

უცნაური თანამგზავრი — უნდა დამანხმდით — რას შერაღა
გაზეთი

იმ ხანებში რკინიგზით მოგზაურო-
ბა სახიფათო იყო. აჯანყებულნი ხან აქ,
ხან იქ ლიანდაგს ყრიდნენ, დაცვას ეს-
ხმოდნენ და იარაღს ართმევდნენ, შე-
მადგენლობას ორთქლმავლებს ხსნიდ-
ნენ. ამიტომ მატარებლები, თითქოს და
ამით დამინებულნი, ნელა მოძრაობდ-
ნენ და მარტო სადგურებსა და ბაქნე-
ბზე კი არა, შუა გზაშიაც ჩერდებოდ-
ნენ. მაშინ ვაგონებიდან ჭარისკაცები
გამოცვივდებოდნენ, გულდასმით შეა-
მოწმებდნენ ლიანდაგს, გზისპირა ტყეს
მოჩხრეკდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ
გააგრძელებდნენ გზას.

ასეთი გაუთვალისწინებელი გაჩერე-
ბები დამატებით სიძნელეებს უქმნიდ-
ნენ და შრომას უორაკებდნენ მემან-
ქანეებს. ორთქლმავალი რის ვივიგლა-
ხით ძრავდა ადგილიდან შემადგენლო-
ბას. აღმართზე ხომ თვლებქვეშ ქვიშის
დაყრაც აღარ შეელოდა და მაშინ მე-
მანქანე პატარა ეშმაკობას მიმართავდა:
ჭერ მკვეთრად დასწევდა ორთქლმა-
ვალს უკან და ბუფერების ზამბარებს
რომ შეეკუმშავდა, მთელი სიჩქარით წა-
ვიდოდა წინ. ზამბარები იშლებოდა და

მატარებელს აღმართის დაძლევა უად-
ვილდებოდა. ასეთი მანევრი თავზარს
სცემდა მგზავრებს. მათ ეჩვენებოდათ,
რომ ცოტაც და, შემადგენლობა შუაზე
გაწყდებოდა, ძველი, ჭრიალა ვაგონები
კი ნაწილ-ნაწილ დაიშლებოდა.

ყოველი გაჩერების შემდეგ უანდარ-
მები საბუთებს ამოწმებდნენ. ექვმიტა-
ნილებს იქვე მოუკრიდებლად ჩხრეკდ-
ნენ: იარაღი ან პროკლამაციები ხომ
არა აქეთო? პირველი კლასის ვაგონებს
შეღარებით იშვიათად ესტუმრებოდნენ
ხოლმე, მაგრამ იმ დღეს თბილისიდან
შინ მიმავალი ვლადიმერი რამდენჯერ-
მე შეაწუნეს.

შუალამე გადასული იყო, მაგრამ
ვლადიმერს ძილი არ ეკარებოდა. წიგ-
ნსაც ვერ გადააყოლა გული, ვინაიდან
კარის თავზე დამაგრებული ფარანი
სუსტად ანათებდა კუპეს.

გამყოლმა ბოდში მოუხადა ვლადი-
მერს, გაფიცვა, საწოლის თეთრეული
არა. მაქვსო.

— რას ვიზამთ, ბატონო, — „დაამ-
შიედა“ მან მგზავრი, — მრეცხავებმა
დასვენება მოიგუნებეს...

სტაროსელსკიმ არაფერი უპასუხა, ფანჯარასთან დაჭდა და უსიამოვნო ფიქრებს მიეცა. დროდადრო ფანჯარაში გაიღებულ სადგურების შუქს გააყოლებდა თავს ან წვიმის წვეთს, ირიბ ხაზს რომ ხვლბდა მინაზე. ვლადიმერს დარდი ლოდევით აწევებოდა გულზე, სუნთქვას უკრავდა. მან ფანჯარა ჩამოსწია და კუბეში სასიამოვნო სივრცელში დაისადგურა. მატარებელმა სვლა შეანელა და მალე გაჩერდა. გამცილებელმა ხმამალა დამარცვლა:

— სადგური მი-ხაი-ლო-ვო!

ვაგონში სადგურის ჩვეულებრივი ხმაური შემოიჭრა: მგზავრები და ვაგონის გამყოლები ერთმანეთს ედაეებოდნენ, ვილაცა სლუკუნებდა, ვილაცა ხმამალა ემშვიდობებოდა წამსვლელებს...

კარი გაიღო და კუბეში მალალი, გამხლარი, ცხვირწაწვეტებული მგზავრი შემოვიდა. შესიებული უწამწამო ქუთუთოები ისე უფარავდა თავლის კაკლებს, რომ გულგები თითქოს არ მოუჩანდა.

„ღმერთო ჩემო, ნემსიყლაბიას არა ჰგავს?!“ გაიფიქრა სტაროსელსკიმ და ხმამალა მისალმებაზე თავის დაქნევით უპასუხა. ახალმოსულმა მარჯვედ შეაგდო ვეება შავი ჩემოდანი თაროზე, სკამზე ჩამოჭდა.

— ქუთაისში მიბრძანდებით? — იკითხა თანამგზავრმა.

— არა, ყვირილაში. თქვენ? — მოიხადა ზრდილობის ვალი ვლადიმერმა.

— ხარაგოულში, — მიუგო მან, გახამებული საყვლო შეიხსნა და ჰალსტუხი მოიფონა.

„ეტყობა მიუჩვეველია“ — გაუელვა თავში სტაროსელსკის.

უცნობმა განიერი შარვლის ჯიბიდან დინჯად ამოიღო ვეება ფერადი ცხვირსახოცი და შებლიდან ოფლი მოიწმინდა. ვლადიმერმა შენიშნა, რომ ქალაი თმა ძლივს უფარავდა საფეთქელთან ნიაჩრევს.

— რა დრო დაგვიდგა... — ამოიოხრა თანამგზავრმა და თითქოს თავის

თავს ეპასუხებო, განავრდო, ღირობა ბატონო ქვეყანა, აღარც ღვთის შიში აქვთ, აღარც ხელმწიფისა.

ვლადიმერმა არაფერი უპასუხა. სავთვალის სქელი მინებიდან ყურადღებით ათვალეირებდა თანამგზავრს და ცდილობდა, გამოეცნო რა ხელობის კაცი იყო: „კომივოიავორია?... ვაჭარი?... მოხელე?...“ სტაროსელსკი დიდი ფსიქოლოგი და ფიზიონომისტი გახლდათ, ხშირად უწყობდა თავის თავს ამგვარ გამოცდას და ყოველთვის უხაროდა, როცა მისი ვარაუდი გამართლდებოდა..

უცნობმა თითქოს დაასწრო და ჰკითხა:

— მასწავლებელი ბრძანდებით?

— არა, აგრონომი, — მოკლედ მოუპრა ვლადიმერმა.

— ჰოო, — ჩაილაპარაკა მგზავრმა, შემდეგ თითქოს შეცბო, სტაროსელსკის დააკვირდა და შესძახა:

— ღმერთო ჩემო, გიცანით! თქვენ ხომ ბატონი სტაროსელსკი ბრძანდებით! დიახ, დიახ, სულ ახლახან თქვენი სურათი ვნახე „ივერიაში“. წერილიც წავიკითხე თქვენზე. ერაობ მოხარული ვარ, რომ გავიცანით... მან მაგრად ჩამოართვა ხელი სტაროსელსკის და კარგა ხანს არ გაუშვია. — უკეთილშობილეს საქმიანობას ეწევა თქვენი საქარის სადგური, ჰეშმარიტად უკეთილშობილესს!... — ამბობდა უცნობი და თითქოს სულში უძვრებო, წვრილი, ნაცრისფერი, ალტაკებისაგან დანამული თვალეში მიპაყრო.

ამ შხერამ როგორცა გული დაუძიმა ვლადიმერს. უცებ ვაგონი აჭრიალდა, შემდეგ შეტოვდა, ჯერ უკან მიაწყდა, შემდეგ წინ და ბოლოს, როგორც იქნა, ადგილიდან დაიძრა. კარზე მაგრად დააკაუნეს და სტაროსელსკიმ ხმის ამოღება ვერ მოასწრო, რომ კუბეში ამ მგზავრობის დროს, გაცნობილი ქანდარში და ვაგონის გამყოლი შემოვიდნენ.

— მაპატიეთ, — მიმართა ქანდარმა ვლადიმერს, შემდეგ ახალ მგზავრს მი-

უბრუნდა, იქვენულად აათვალ-ჩაათვალიერა და უფრო უბრძანა, ვიდრე სთხოვა:

— თქვენი საბუთები!

მგზავრმა აუჩქარებლად ჩაიყო ხელი პიჯაკის შიდა ჯიბეში, რომელიც ნასხვისარივით ადგა ტანზე და პასპორტი და რალაც ქალღღებები ამოიღო. ხელისუფლების წარმომადგენელი დაკვირვებით ჩააჩერდა საბუთებს.

გამყოლი უკან ედგა და ფარნით უნათებდა.

— გვარი? — მკაცრად ჰკითხა უანდარმმა და ისევ ჩახედა საბუთებს.

— ცაბაძე.

— სახელი?

— კონსტანტინე.

— სად მიდიხარ?

— ხარაგოულში.

— ეს თქვენი ჩემოდანია? გახსენით!

ცაბაძემ ჩემოდანს თავი ახადა.

— ამოალაგეთ!

ჩემოდანი თითქმის ცარიელი იყო: ნახშიარი საცვლები, პირსაწმენდი, საპონი, რამდენიმე ცალი კოლოფი ასანთი და თამბაქოთი სავეს დიდი ქისა.

„ეტყობა, ვერაფერი შექმლებულია, არა და, პირველი კლასით მგზავრობს“.

— გაიფიქრა სტაროსელსკიმ.

უანდარმმა საბუთები დაუბრუნა, უგულოდ მოიბოდინა, სტაროსელსკის ხელი აუღო და სწრაფად გავიდა.

— ამათ სულ მოღალატეები და მემბოხეები ელანდებათ, — ჩაქირქილა ცაბაძემ, ნივთები ჩემოდანში ჩააბრუნა და ძველ ადგილზე დადო.

კარზე კვლავ დააკაკუნეს. ახლა მართო გამყოლი იყო:

— თქვენო კეთილშობილებავ, მალე გვირახი იქნება, ნება მომეცით, ფანჯარა დავეკეტო, თორემ ორთქლმავლის კვამლი შემოვა.

გამყოლმა ჩვეული მოძრაობით ასწია ჩარჩო ისე, რომ ტყაცუნი გააღინა.

ცაბაძემ ჯიბიდან თამბაქოს ქისა ამოიღო და პაპიროსის ქალღღების პატარა შეკვრას სულის შებერვა დაუწყო, რომ ფურცლები დაეცილებინა. შემდეგ თა-

მბაქო შეახვია და სტაროსელსკის თანვის დაქნევით ანიშნა, ხრამ არ მოხსნე-ვთო. უარი რომ მიიღო სწრაფად ჩაიღო ქისა და ქალღღები ჯიბეში, მერე ასანთი გაჰკრა, სიგარეტს მოუკიდა, ორი-სამი ღრმა ნაფაზის შემდეგ ბოლომდე დაიყვანა და ლამის თითები დაიწვა. კუბე ბოლით გაივსო.

„უზრდელი! ხეპრე! ნებართვა მაინც ეთხოვა! თანაც პირველ კლასზე ნაკლებს რომ არ კადრულობს?!“ — გაიფიქრა ვლადიმერმა.

ცაბაძემ ნამწვი საფერფლეში ჩაჭყლიტა, წამოწვა, უბოდიშოდ შეაქცია ზურგი სტაროსელსკის და მალე ხვრინვა ამოუშვა. ცოტა ხანში ვლადიმერსაც შიგრიდა ძილი, საზურგეს მოხერხებულად მიეყრდნო და ჩათვლიდა. რამდენ ხანს ეძინა ვერ იტყობდა, მაგრამ როცა თავლები გაახილა, კუბეში აღარავინ იყო. „ეტყობა ხარაგოული გავიარეთ“ — დასკვნა მან, მაგრამ გაოცდა, როცა გამყოლმა კარგა ხნის შემდეგ გამოაცხადა:

— ხა-რა-გო-ული!

„ალბათ ისე გავიდა“ — გაიფიქრა ვლადიმერმა, მერე თაროს ახედა და შავი ჩემოდანი რომ ადგილზე აღარ იყო, უნებლიედ მაგიდის ქვეშ მდგომ თავის საკვოიავს დახედა. ერთი შესაკრავი მოფონებული ეჩვენა. სწრაფად გახსნა საკვოიავი... ეტყობოდა, ვილაცას ხელი ეფათურებინა — საცვლები დაჭმუჭვნილი იყო. უცებ ხელში ქალღღების დასტა მოხვდა, ამოიღო და სახტად დარჩა. ფურცლებზე მსხვილი ასოებით იყო დაბეჭდილი „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!“...

„პროვოკაცია... პროკლამაციები შემომჩენეს...“ გაუღვლა სტაროსელსკის. ამ დროს დერეფნიდან ლაპარაკის ხმა მოესმა. ვილაცა მკვახედ ედავებოდა გამყოლს:

— წესი წესია! სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოს ნაბრძანებია ყველა გაიჩხრიკოს!

და იმავე წამს მაგრად დააკაკუნეს

კარზე. ვლადიმერი ფანჯარას ეცა და ჩარჩოს ჩამოწევა მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო. კარზე კვლავ დააკაკუნეს.

— კანონის სახელით! — დამარცვლავილაცამ კარებთან და ერთდროულად გაისმა გასალეხების ჩხარუნია.

როგორც იქნა ჩარჩო ოდნავ ჩამოიწია. ვლადიმერმა პროკლამაციების დასტა სწრაფად გააძვრინა მომცრო ნაპრალში, ხელი გაუშვა, საწოლზე დაწვა და კედლისკენ გადაბრუნდა. კარი გაიღო და გამოჩნდა ოფიცერი და ორი ენდარში.

— ეს რას ჰგავს, ბატონებო! ბოროტად ხომ არ სარგებლობთ ჩემი მოთმინებით! — შეუტია გაბრაზებულმა სტაროსელსკიმ ოფიცერს.

— რა გეწყობა, ასეთი სამსახური გვაქვს, — აგდებულად უპასუხა მან, შემდეგ პაპიროსი ამოიღო, ტკაცუნით დაკეტა პორტსიგარი, მერე წაიბურტყუნა, „ნება მიბოძეთო“ და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია სანთებელა აანთო, მაგრამ გამოქოლმა ნიაფმა მყისვე ჩაუქრო ალი. ოფიცერმა გეზად გახედა ფანჯრის ჩამოწეულ ჩარჩოს, შემდეგ იტყვეულად მიაშტერდა გახსნილ საკვირთს და ნირი წაუხდა.

— ღეთის გულისათვის, გვაპატიეთ, სხვა გვეგონეთ. ჩანს, კუპე შეგვეშალა, — მერე ყანდარმებს მიუბრუნდა და გაცოფებით დაუღრიალა: — გაეთრიეთ, თქვენ ყვეყჩებო და სულ მუჭალუგუნებით გაყარა დერეფანში. ისინი თუმცა ვერაფერს მიხვდნენ, მორჩილად მიიტანეს ხელი ქუდთან და რამდენჯერმე მოიბოდიშეს:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! დამნაშავენი ვართ, გვაპატიეთ, მოგვიტყვიეთ...

მატარებელი შუალამისას ჩავიდა ზესტაფონში. სტაროსელსკი ვაგონიდან ჩამოსვლისთანავე სიბნელემ შთანთქვა. ერთადერთი გაზის ფარანი ბეუტავდა ბაქნის ბოლოს და ლამის წყვილიადს ერთი ბეწო ადგილს სტაცებდა. უცებ ვილაციის ხმა შემოესმა:

— გამარჯობათ, ბატონო, ლადო!... კარგა კი შეგაგვიანდათ!... ბატონო!

— ოჰ, შენა ხარ, შოთა? რას იზამ, ხომ იცი ახლა მატარებლები კი არ დადიან, დალოდავენ. შინ ხომ მშვილობაა? — იკითხა ვლადიმერმა და მეეტლეს საკვირთაჲ მიაწოდა.

— მაღლობა ღმერთს, ყველანი კარგად არიან. — მიუგო შოთამ და დასძინა:

— ქალბატონმა ნადეჲდამ დამბარა, მეთქვა, ფილიპემ გიკითხათ და გთხოვათ, პირდაპირ სადგურიდან გამომიაროსო.

დაბას ღრმა ძილით ეძინა. სიჩუმეს მხოლოდ ძაღლები არღვევდნენ. ზოგი ღრუბლებიდან მზირალ მთვარეს შეკუმუოდა, ზოგიც ისე, ვალის მოსახდელად ლავალებდა. მათ ხეებიდან კოტები ეხმინებოდნენ. შოთა და ვლადიმერი ორთვალა ეტლით ფილიპეს სახლისაკენ გაეშურნენ. ცხენი ნაცნობ გზას თავისით დაადგა ისე, რომ შოთას სადავეები არც კი აუღია ხელში. ცოტაც და ეტლმა გვერდზე გადაუხვია, ორღობეში შევიდა და ერთ-ერთ გზის პირად მდგომ სახლთან შეჩერდა. სტაროსელსკი ჩამოუსვლელად მისწვდა ფანჯარას და დააკაკუნა.

— ოო, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, — იცნო დათქმული ნიშანი მასპინძელმა, — მოხარული ვარ, მოხარული, ამ წუთში, ახლავე გეახლებით. კიშკარი გაიღო და ორთვალა ეზოში შევიდა. სტუმარი და მასპინძელი გულთბილად გადაეხვივნენ ერთმანეთს. ფილიპე ტანდაბალი, ჩასკვნილი კაცი იყო, უეშმაკო, ოღონდ ცოტათი მკაცრი სახე, მსხვილი წარბები და ძალზე გამჭირაბი თვალეები ჰქონდა. ხშირი წვერი ასაკზე მეტ შეხედულებას აძლევდა.

— რაო, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, გუბერნატორობას აპირებთ, — ხუმრობანარევი კილოთი ჰკითხა ფილიპემ, როცა ოთახში შევიდნენ. სტაროსელსკის სრულიადაც არ გაჰკვირვებია, რომ ფილიპემ ეს ამბავი უკვე იცოდა.

— პო, მაგრამ ჩემი ნება-სურვილის გარეშე.

— გუშინ ცენტრიდან მითითება მივიღეთ, დღეს კი ეს საკითხი კომიტეტზე განვიხილეთ. გადაწყდა, რომ უნდა დათანხმდეთ. ეს, დღევანდელ რთულ ვითარებაში, ნამდვილად დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს.

— აი, ამას კი აღარ მოველოდი! — გულწრფელად გაიოცა სტაროსელსკიმ და ფილიპეს თვალბეჭდებში ჩააქცერდა, — ხომ არ ხუმრობსო.

— დიახ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, აუცილებლად უნდა დათანხმდეთ. ამასთან, მეფისნაცვალს თქვენ უნდა უქარნახოთ პირობები. ამ პირობებს კი ახლა განვიხილავთ.

ფილიპე ოთახში შეუძღვა სტუმარს. მრგვალ მაგიდაზე მდგარი ფართო აბაქურჩიანი ნათის ლამპა მზეუტავ შუქს ჰფენდა მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ მამაკაცებს. ვლადიმერი კიდევ უფრო განცვიფრდა, როცა მათში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრები შეიკნო.

შეკრებილებმა ყოველმხრივ საფუძვლიანად განიხილეს ამ მოულოდნელი წინადადების ყველა ასპექტი.

— აი, ბარსოვმა გვიამბო, თუ როგორ აფასებს და რა იმედებს ამყარებს ლენინი აქაურ მოძრაობაზე, — აღტაცებით წარმოსთქვა ერთ-ერთმა დამსწრემ, რომელსაც ამხანაგები ტოგოს ეძახდნენ, — თვითონ ილიჩმა დააეხლა ბარსოვს — მიხა ცხაკაიას, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის III ყრილობისათვის მოეხსენებინა გურიაში შექმნილი ვითარება.

— მართალია, — დაუმოწმა იმან, ვინც ბარსოვად მოიხსენიეს — ახალგაზრდა კაცმა, ხშირი ქოჩორი და ნათელი, გონიერი თვალები რომ ჰქონდა, — ვლადიმერ ილიჩმა პირადად დაახასიათა გურიის გლეხთა მოძრაობა, როგორც ყველაზე მოწინავე, და ჩვენი მოხსენების საფუძველზე წამოაყენა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც

ნათქვამია... მიხამ პიჯაკის საიდუმლო ჩიბიდან ქალაქი ამოიღო და კითხვა დაიწყო...

„იღებს რა მხედველობაში,

1) რომ კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყოს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2) რომ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობის რევოლუციური განწყობილება, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყებამდე;

3) რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას;

4) რომ კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რასაც იქაური მოსახლეობის სხვადასხვაგვაროვანი შემადგენლობა აადვილებს, უაღრესად მაგნე შედეგი ექნება აჯანყების წარმატებისათვის მთელ რუსეთში; —

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე საღამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში საქმის მდგომარეობის ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრების და სხვ. საშუალებით, აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად შეიარაღებული ძალით“.

ყველამ სიამაყით გადახედა ერთმანეთს.

— ჩვენ ლენინური „გაერიოდის“ გვაქვს. — ამ სიტყვებით ტოგომ გვერდზეჩაქრილ საყინძიან ხალხის ში-

გნითა მხარეზე მიკრებულ ჯიბიდან ფრთხილად, არ დაიხესო, გაზეთი ამოიღო, გაშალა და განაგროძო: — ბახველი გლეხობის მოთხოვნებს ამ გაზეთში „ბახვის მანიფესტს“ უწოდებენ. ის პირობები, რომელთაც, ძვირფასო ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, მეფისნაცვალს წაუყენებთ, ძირითადად სწორედ ამ „მანიფესტიდან“ უნდა გამომდინარეობდეს.

— მართალია, სხვანაირად როგორ იქნება! — გაისმა შეძახილები.

— და, რალა თქმა უნდა, — განაგროძო ტოგომ, — ამ მოთხოვნებიდან უმთავრესი უნდა იყოს სამხედრო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუქმება.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მიიღებს კი მეფისნაცვალი ჩვენს პირობებს, — გამოთქვა ეჭვი სტაროსელსკიმ.

— მიიღებს... — მდგომარეობა აიძულებს, — დარწმუნებით წარმოსთქვა იმან, ვისაც შეკრებილნი „ამხანაგ სერგოს“ უხმობდნენ.

— შენ რალას იტყვი, ალიოშა, — მიუბრუნდა სერგო ლამაზ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც შავი წვერი ისედაც ფერმკრთალ სახეს ავადმყოფურ გამომეტყველებას უძლიერებდა.

თავი 8

„გუბერნატორობას მთავაზოვანი“ — სათავეები — მოულოდნელი აღზამება — ინციდენტი რისტორანში

მეორე დღე იყო, რაც ნადეჟდა მოუთმენლად ელოდა ქმარს. ვერაფრით ვერ გაეგო, ასე სასწრაფოდ რატომ მოიხმო მეფისნაცვალმა. „თუ იმის გამო... მაშინ დააბატონებდნენ და ეტაპით ჩაიყვანდნენ თბილისში... არა, ნამდვილად ფილოქსერასთან ბრძოლის საქმე აინტერესებთ“, — დაიმშვიდა მან თავი და კვლავ ქუჩის ხმაურს მიუგდო ყური. აი, სახლთან ეტლი გაჩერდა, გუმანით მიხვდა: ეს ვლადიმერია! ნა-

— აბა რა უნდა ვთქვა? ჩემს აზრით, ეს პროგრამა, პროგრამა-მინიმუმია. თუმცა, გულახდილად რომ მოგახსენოთ, ალექსანდრ ვლადიმეროვიჩს ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებთ. ვშიშობ, გუბერნატორობის ნაცვლად ციხეში არ ამოაყოფინონ თავი.

— ეჭვი არ არის, დიდი სიძნელეები მომელის, — დაიწყო სტაროსელსკიმ, — ეს-ეს არის გუბერნატორობა შემოთავაზეს და წუხელვე, აქეთ მგზავრობისას „ოხრანა“ შეეცადა პროვოკაცია მოეწყო ჩემთვის. — აქ სტაროსელსკი მოჰყვა, რაც გადახდა.

— ხედავთ, როგორ გამოგადგათ კონსპირაციისა და სიფხიზლის ჩვენეული სკოლა — ღიმილით შენიშნა სერგომ.

— მართალია, კონსპირაციის გარეშე არ შეიძლება, მაგრამ ისიც უკმარაიტებაა, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა, თითქმის შეუძლებლად მესახება.

— რა გაეწყობა, საერთო საქმისათვის შეუძლებელიც უნდა შევიძლოთ ჩვენ მხარში ამოგიდგებით, — მტკიცედ, თითქოს ფიცსა სდებსო, წარმოსთქვა სერგომ და შეკრებილთ არწივისებრი მზერა მოავლო...

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა სტაროსელსკი შინ, საქარაში, ჩავიდა.

დღედა ქმარს მიეგება, მაგრამ ლამპის შუქზე მისი გაფითრებული სახე რომ დაინახა, შეეცა, უცებ უკან დაიხია და შეშფოთებულმა ჰკითხა:

— ვალოდია, ძვირფასო, რა მოხდა, რა დაგემართა?

— არაფერია, არა მიშავს რა, ეტყობა, მგზავრობამ დამქანცა.

— არა, რალაცას მიმალავ...

— სული მომათქმევინე! — გეუბნენ-

ბი, დავიღალე-მეთქი. — ანთო ვლადიმერი.

— რატომ მიბრაზდები? — წყენით ჰკითხა ნადეჟდამ.

— მაპატიე, ნადიუშა, უბრალოდ დავიღალე.

ვლადიმერმა ცოლს აკოცა და მოეფერა.

— ვალოდია, მითხარი, მინც რა მოხდა?

— დამაცადე, ნადიუშა, გონს მოვიღე...

ვლადიმერი მაგიდას მიუჯდა, თავი ხელეში ჩაარგო და ფიქრებს მიეცა. ცოლი ისე დაკვირვებით დააცქერდა, თითქოს მის სახეზე უნდა ამოეკითხა ასეთი რა შეემთხვაო.

— ჰო, უჩვეულო და საკმაოდ უსიამოვნო საუბარი მქონდა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან... — დაიწყო ვლადიმერმა.

— რას ამბობ? — შეწუხდა ქალი, — ნუთუ...

— არა, არა, ის არ არის, რასაც შენ ფიქრობ. ჩემი ხელით ნარის გლეჯა მოინდომეს — აჯანყებული ხალხის დამშვიდება.

— რანაირად? — გაოცდა ნადეჟდა.

— თავიანთ მორჩილ მსახურად ვუწოდებარ.

— არ მესმის, არაფერი არ მესმის! რა გაქვს მხედველობაში?

— რა და.... სიცილად არ გეყოფა... გუბერნატორის თანამდებობა შემომთავაზეს, გუბერნატორის!

— ხუმრობ? ხომ ხუმრობ ძვირფასო!

— ხუმრობისთვის მცალია? სერიოზულად გეუბნები, ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორობა შემომთავაზეს.

— მერედა, დათანხმდი?

— არა, მაგრამ შეფისნაცვალმა მაგრძნობინა, არჩევანი არა გაქვსო.

— სასწრაფოდ რჩევა უნდა ჰკითხო... ხომ იცი ვის...

— ვიცი და უკვე მოვეთათბირე კიდევ.

— ჰო, შოთამ ალბათ გითხრა, რომ

გუშინ ფილიპემ გკითხა, აქლუყმეჯი-ვდი ასე სასწრაფოდ რატომ დასწრავდი რა გითხრეს?

— უნდა დათანხმდეთო.

— რას ამბობ? ეს წარმოუდგენელია!

— წარმოიდგინე, რომ სწორედ ასე გადაწყვეტიტეს...

ვლადიმერი ნამგზავრი, დალილ-დაქანცული იყო, მაგრამ ძილი არ გაჰკარებია. ცოტაც და, გათენდებოდა, ის კი აფორიაქებული და აღგზნებული მიმოდიოდა კაბინეტში. მისი ასეთი მდგომარეობა გასაგები იყო. — ის ხომ ცხოვრების გზისგასაყარზე იდგა და კარგად ესმოდა; იმისათვის, რომ სწორი გადაწყვეტილება მიეღო, პირველყოფლისა უნდა დამშვიდებულიყო, ნებისყოფა და სიღინჯე მოეხმო შემწედ და თავში უწყსრიგოდ აღრეულ ფიქრებისათვის, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებისა და გრძნობებისათვის თავ-თავიანთი ადგილი მიეჩინა. ავი ცდილობდა კიდევ, ასე მოქცეულიყო, მაგრამ ცნობიერების სიღრმიდან ისევ და ისევ ეხმიანებოდნენ, კვლავ უბრაუნდებოდნენ განდევნილი ექვები და კითხვები:

„ღმერთო ჩემო, ეს რა პარადოქსია? — მე და გუბერნატორი? ხომ შემოიძლია გადაჭრით უარი ვუთხრა. მორჩა და გათავდა...“

— კი მაგრამ ეს ლაჩრობა ხომ არ იქნება?

— გააჩნია ვისი თვალსაზრისით!

— როგორ თუ ვისი? ორივესი — მეფისნაცვლისა და ჩემი მეგობრების. იმათ ხომ მირჩიეს, დათანხმდიო. მითხრეს, რომ თუ ამ თანამდებობაზე დავინიშნები, საშუალება მომეცემა დიდი სამსახური გავუწყო, ხელი შევეწყყო მათ ბრძოლას. თუმცა რატომ ვამბობ „მათ ბრძოლას“? განა ჩემიც არ არის ეს ბრძოლა? განა ყრმობიდანვე არ ვემზადებოდი ამისათვის? აჰა, ესეც შენი ბურთი და მოედანი... დადგა ეჰმი დიდი გამოცდისა, ეჰმი, რომ დაამტკიცო, რა შეგიძლია, რისი უნარი შეგწევს!“

ცნობილია, რომ სანამ აღამიანი მტკი-

ცე გადაწყვეტილებას მიიღებს საკუთარ თავთან დიდი ბრძოლის გადატანა უხდება. ეს იმ შეჯიბრსა ჰგავს „ბაგირის გადაწვეას“ რომ ეძახიან. ცალ მხარეს ათასნაირი ეჭვი და კითხვა დგას, მეორე მხარეს კი — მტკიცე რწმენა, რომ შენი გადაწყვეტილება სწორი და უტყუარია. მთავარია, რომელი გადასძლევს. მერე და, რა დიდ შვებას იგრძნობს ხოლმე ადამიანი, როცა მტკიცე დასკვნამდე მივა: ასე უნდა მოვიტყუე! ფიქრებში გართული სტაროსელსკი წიგნების კარადას მიადგა და ხელში მოხვედრილი პირველივე წიგნი აიღო. ეს იყო ნეკრასოვის „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად?“. ვადაშალა და თავლი სტრიქონებს გააყოლა:

...მტარვალნი ქალათნი...

დაწვეთეთ ცრემლნი ჩემნი

აბა მიწას, აბა წყალსა,

არცა ტაძარს უფლისასა!

დაეწარცხეთ გულზე ჩემსა მტანჯველსა!...

წიგნი დახურა, ადგილზე დადო და ჩაფიქრდა.

— საბრალო რუსეთი, — ლოცვასავით ჩაიჩურჩულა მან, — რამდენი ტანჯვა და წვალება გადაიტანა ჩემმა კეთილმა და ბრძენმა, დიდმა და ძლიერმა ხალხმა და რაოდენ საწყენია, რა უსამართლობაა, რომ, თავად ძალადობისა და თვითნებობის მსხვერპლი, იმპერიაში მოსახლე სხვა ხალხების თვალში მჩაგვრელად და დამპყრობლად არის მიჩნეული. რა სწორი აზრია იმ პროკლამაციაში, რომ მეფის რუსეთი ხალხთა და, მათ შორის, თვით რუსი ხალხის საპყრობილეა... მართლაც თვითმპყრობელობამ რუსეთის რამდენი საუკეთესო შვილი გათელა, დაასახიჩრა, სიკოცხლეს გამოასალმა. ვინ იცის, რამდენ საარგებლობასა და სიკეთეს მოუტანდნენ თავიანთ ხალხს, რამდენი შესანიშნავი იდეა და ჩანაფიქრი ჩაიყოლეს საფლავში პეტრეპავლოვსკის ციხის კრონვერის პატენზზე დასჯილმა დეკაბრისტებმა. ახლა ვინ მოსთვლის, რამდენი სხვა ციმბირსა და კავკასიაში გადაასახლეს, კანემატებში

გამოამწყვდიეს, ჯარისკაცად გაამწყვდეს...“ სიკვდილის მოლოდინის არც შენელი, თავზარდამცემი წუთი“ და, პეტროგრადში, სემინოვსკის მოედანზე, გამოუსწორებელი რამ მოხდებოდა: რუსეთი თავის შესანიშნავ, გენიოს შვილს — დოსტოევსკის დაკარგავდა?.. გერცენი?.. ბელინსკი?.. ჩერნიშევსკი?... და კიდევ რამდენი თავდადებული და უმწიკლო ადამიანი, რომელთა სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა და რომლებიც მეფის ძალადობისა და თვითნებობის მსხვერპლნი გახდნენ... და ბოლოს... მამაჩემიც... მისი სვე-ბედი... განა ამისი მაგალითი არ არის?“ აი, ასე გაახსენა ვლადიმერს ფიქრების ნართმა მამამისი, ალექსანდრე სიმონის ძე სტაროსელსკი.

იგი მაიკობში მუშაობდა მომრიგებელ მოსამართლედ. იმ დღეს საშინლად აღშფოთებული დაბრუნდა შინ. ვერ იცნობდით. ეს ჩვეულებრივ დინჯი, დარბაისელი და თავშეკავებული რაღაცას წონასწორობიდან გამოეყვანა. ოთახში რომ შემოვიდა, ვალოდია გაცვეთილებს უკირკიტებდა. მამამ ასე იცოდა: შინ დაბრუნებისას ყოველთვის დაუყვავებდა და მიუღატკებდა ხოლმე მას, ახლა კი, ისე ჩაუარა გვერდზე და სწრაფად მეორე ოთახისაკენ გაემართა, თითქოს არც კი შეემჩნიოს. მალე ოთახიდან დედა გამოვიდა, საოჯახო აფთიაქიდან წამალი აიღო, ჭიქაში აკანკალებული ხელით ჩააწვეთა და უმაღლ დაბრუნდა უკან. ცოტა ხანში, გაფითრებულმა და აღელვებულმა, კვლავ შემოაღო კარი, მღოგვის საფენები გადმოიღო და ვალოდიას სთხოვა, მეზობლად მცხოვრებ ნაცნობ ექიმთან გატყუულიყო: „უთხარი, იჩქაროს, მამა ძალიან ცუდად არის“ შემდეგ... შემდეგ ბევრი რამ აღარც ახსოვს, რალაც ბურანში იმყოფებოდა, თითქოს ბინდმა მოიცვა ყველაფერი... აი, მამასთან უხმეს. ოთახში წამლების სუნი იდგა. მამა კი, ეს ბრგე, ძლიერი ადამიანი, ახლა მისუსტებული იწვა ტან-

ტზე და ჭალარაგარეული ხშირი წვე-
რით დამშვენებული სახე საოცრად გა-
ფითრებოდა. ხელი გულზე ჰქონდა მი-
დებული და ღრმად, სვენებ-სვენებით
სუნთქავდა. ექიმის საკვირველი ალაგ-
ბდა ინსტრუმენტებს და დედას ჩურ-
ჩულით ელაპარაკებოდა. ვალოდიამ
მთელი არსებით იგრძნო, მამას სასიკვ-
დილო საფრთხე ემუქრებოდა.

ახლობლის დაკარგვის შიში მოულო-
დნელად გვიმძაფრებს მითვლემილსა და
მანამდე სადღაც ღრმად ჩამალულ
გრძნობებს. მხოლოდ მაშინ ვხვდებით,
რარივ ძვირფასი და საყვარელი ყო-
ფილა თურმე ეს ადამიანი. ვალოდია-
მაც მხოლოდ ახლა იგრძნო რა უსაზღ-
ვროდ ჰყვარებია მამა, როგორი რიდი
და პატივისცემა ჰქონია მისი. ყმაწვილს
გულზე მარწუხებივით მოუჭირა მძიმე
დანაკლისის შიში.

ავადმყოფმა უფრო თვალებით, ვი-
დრე ხმით მოიხშო შეილი: აღლევებუ-
ლი და ათრთოლებული ვალოდია რა-
ტომღაც ფეხაკრფვით მიუახლოვდა მა-
მის სასთუმალს. ძლივს იკავებდა თვა-
ლებზე მომდგარ ცრემლს. ავადმყოფმა
ანიშნა დაინარეო და ჩურჩულით უთხ-
რა:

— იცოდე შეილო... ამ ცრუ სოფე-
ლში იყო პირდაპირი და პატიოსანი —
დიდი ვაჟკაცობა. ვამაყობ შენით, ასე-
თი რომ ხარ...

სალამოს ავადმყოფის მდგომარეობა
გაუარესდა და შუალამისას გარდაიცვა-
ლა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღე-
ქსანდრეს დაკრძალვას არსებითად ბო-
იკოტი გამოუცხადა. სამაგეოროდ გუ-
ლითადი მონაწილეობა მიიღო მასში
ინტელიგენციამ, რომელიც ღრმა პა-
ტივს სცემდა განსვენებულს. გლეხებიც
მრავლად ჩამოვიდნენ მეზობელი სო-
ფლებიდან. ეს არც იყო გასაკვირი:
მას, მომრიგებელ მოსამართლეს, ხომ
ხშირად უხდებოდა მათი ინტერესების
დასაცავად დაპირისპირებოდა და ელა-
ვა მემამულეებთან და სხვა ძლიერებ-
თან ამა სოფლისა. მხოლოდ განსვენე-

ბულის დამცირებისა და შეურაცხყო-
ფის სურვილით შეიძლებოდა ახსნაღე-
ყო მაზრის უფროსობის გადაწყვეტი-
ლება: ქვრივისათვის „ერთდროული
დახმარების“ სახით მიეცათ ერთი მანე-
თი და ოცი კაპიკი. მან ჩინოვიცკს ეს
ფული უკან მიუგდო და უთხრა: „ეს
მოწყალემა მაზრის უფროსს მიაართ-
ვით“.

მაღე სტაროსელსკებმა მაიკობი და-
ტოვეს და სტავროპოლში დაფუნდ-
ნენ. აქ მათ ძალიან უჭირდათ ცხოვრე-
ბა, ძლივძლივობით, კერძო გაკვეთლე-
ბით გაჰქონდათ თავი.

მოგვიანებით დედამ უამბო ვალო-
დიას, რომ იმ შავბეღით დღეს მამამი-
სი მაზრის უფროსს დაუბარებია და წი-
ნადადება მიუცია თანამდებობიდან უნ-
და გადადგეთ უბენსიოდო, მიზეზად
მოუბოდიშა, სამსახურებრივი მოვალე-
ობის შესრულებისას უტაქტობას
იჩენთ, კლიენტურასთან თავის დაქერა
არ იცით, სიტუაციაში ვერ ერკვევით
და მდაბიობებს აქვებთ, რომ მემამუ-
ლეების წინააღმდეგ სასამართლო სარ-
ჩელი აღძრანო. აქვე, სხვათა შორის,
თურმე დასძახა:

— შეილსაც, მოწყალეო ხელმწიფეც
სათანადოდ ვერა ზრდით, ხელისუფ-
ლების პატივისცემას არ უნერგავთ და
ციდილობთ „თავისუფლად მოაზროვ-
ნეთა“ კვალზე დააყენოთ.

— ო, ეგ გველი, ეგა! მაგას მოუკ-
ლავს მამაჩემი! — მოზრდილი ადამი-
ანივით წამოიძახა ვალოდიამ და ისე
დამუშტა ხელები, რომ ფრჩხილის ძი-
რები გაუთეთრდა.

— არა, შეილო, მარტო მაგას არა...
შენიშნა დედამ.

— არ უნდა ავყოლოდი იმ გველის
წიწილს!

— ხომ ვახსოვს, ამის გამო მამაშენს
შენთან საყვედურის ერთი სიტყვაც არ
დასცდენია.

— ნეტა ესაყვედურა, ეთქვა რამე!
უფრო მომეშვებოდა გულზე.

— პირიქით, დაგლოცა, გითხრა ყო-

ველთვის ასეთი ალაღმართალი და პატიოსანი იყავით.

...საქმე შემდეგში იყო: ვალოდია გიმნაზიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ერთხელ მანჩრის უფროსის შვილი, თავხედი, აყვია და მეტიჩარა, ნიადაგ ამხანაგებს რომ ეჩხუბებოდა და აშინებდა, მაგრამ შეახურა და თავისი მიუხლო. ის კი დაემუქრა:

— მამაჩემი გალანძღე, არა? იცოდე, არ შეგარჩება! ნახე, ეს რა ძვირად დავგივდეს!

გიმნაზისტები აღაშფოთა ასეთმა უტიფარმა ტყუილმა — ვალოდიას ზომ სიტყვა არ დაუძრავს მამამისზე! — და ცრუპენტელას მაგრად დაუფეხეს გვერდები. ნაცემმა იჩივლა მამასთან, ყველაფერი მარტო ვალოდიას გადააბრალა. „დამნაშავეს“ გიმნაზიიდან გასარიცხად ჰქონდა საქმე, მაგრამ პედაგოგებმა გადაარჩინეს. ყველაზე მეტად სიტყვიერების მასწავლებელმა გამოითხოვა თავი.

მამის დაკარგვის შემდეგ ვალოდია როგორც უცხად დავაჟაკდა, ყურადღებითა და დაკვირვებით დაუწყო მხერა ცხოვრებას. როგორც, მოზრდილი აღამიანივით გამახვილებულად აღიჭამდა და გონებაში აღბეჭდავდა ორგვლივ გამეფებულ უსამართლობას, გულში სულ უფრო უღვივდებოდა „კლასის ნალვერდალი“ და უმტიცილებოდა რწმენა უსამართლობასთან შეგნებული ბრძოლისა, ეუფლებოდა გრძნობა, რომ ძველი ყოფის შეცვლა აუცილებელი და გარდაუვალია. ეს განსაკუთრებით ცხადლევ იგრძნო, როცა საქართველოში სამუშაოდ ჩამოვიდა და საკუთარი თვლით იხილა ცარიზმის უღელქვეშ მგმინავი ხალხის მწარე ხვედრი. აქ სტაროსელსკი დაუკავშირდა დემოკრატიულ მოძრაობას. გაეცნო მარქსიზმის მოძღვრებას, წაიკითხა ლენინის შრომები და ბოლოს მიაგნო სწორ პასუხს კითხვაზე, თუ როგორია და რომელია ბრძოლის ჭეშმარიტი გზა...

ასე, ამრიგად აღმოცენდა, ამოიყარა

ყლორტები და ნაყოფი გამოჩნდა მას გულში ჯერ კიდევ ჭაბუკობისას ჩაგდებულმა შეუფრთხილობისა და სიძულვილის თესლმა ყოველგვარი უსამართლობის, ბოროტებისა და უპატიოსნებისადმი.

დაიხ, სტაროსელსკის მთელი არსებით შექმლო სიძულვილი, მაგრამ ეს გრძნობა არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ გადაზრდილა ბრმა შუარისძიებაში. მის თბილ, კეთილ გულს ეს არ გაჰკარებია და მისთვის უცხო იყო სისასტიკე და ბოროტება.

ის ღამე ვლადიმერმა ფიქრსა და განსჯაში გალია. თვლიდან არ მოსცილებია მამის ხატება. საოცარი რამ არის აღამიანი, მისი ფსიქიკა. ხშირად, როცა ცხოვრების საპასუხისმგებლო მომენტი დგება, როცა მნიშვნელოვანი საკითხია გადასაჭრელი, რა ასაკისაც არ უნდა იყოს კაცი, ფიქრებით მშობლებს, თუნდაც მათ აჩრდილებს მიაშურებს და ყველაზე საყვარელ არსებებს სთხოვს რჩევა-დარიგებას, როგორ მოიქცეს, რა იღონოს?!

...ვიც რევოლუციური ბრძოლის გზას აღგება, ის ყოველგვარი ორჭოფობისა და ყოყმანის გარეშე მზად უნდა იყოს ყველაფრისათვის. გმირობის ჩასადენადაც და სიკვდილთან წარბშეუხრელად შესახვედრადაც... მე კი, რაშია საქმე?! რა ექვებასა და შიშს მივეც თავი?! შორს ჩემგან ეს ყველაფერი! თანხმობას განვაცხადებ შემოთავაზებულ პოსტზე და... მთელი ჩემი არსებით, სულითა და გულით ვემსახურები განმათავისუფლებელ მოძრაობას! ასე, ამგვარად, გადაწყვეტილება მიღებულა! — დაუსვა წერტილი ვლადიმერმა მთელი ღამის ნაფიქრალს და ერთბაშად შეება იგრძნო, გული საოცრად გაუნათლდა, მასში სიმშვიდემ დაისადგურა.

ვორონცოვ-დაშკოვმა შინაგან საქმეთა მინისტრის აღექსანდრე ვრიგოლის ძე ბულიგინის სახელზე დაწერილ „ყო-

ვლადიმორჩილესი თხოვნის“ ხელნაწერში რამდენიმე სიტყვა ჩაასწორა, მერე სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და კითხვის თვალთ შეხედა თანაშემწეს.

— არა, არ შეეცდით, თქვენო ბრწყინვალეებავ! — მიუხვდა მზერაში გამოხატულ კითხვას კრიმ-გირეი.

— დაენიშნოთ და მერე საქმე გვიჩვენებს... თითქოს თავის დასამშვიდებლად ჩაილაპარაკა გრაფმა და დასძინა, — ახლა თავდებებს არ იკითხავთ? ჩემი მეგობარი გრაფი სერგეი იულევიჩ ვიტე, თბილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მელქოვი და თქვენ...

გრაფმა მაგიდიდან ხელნაწერი ხელმეორედ აიღო და ხმამაღლა ჩაიკითხა:

„გასული მისის თვის 21 რიცხვში მმართველი სენატისადმი ხელმწიფის მიერ გაცემული სახელდებითი ბრძანებულებით ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ-მაიორ სმაგინს, ებრძანა ყოფნა სამხედრო მინისტრის განკარგულებაში...“

გრაფი შეყოვნდა, შემდეგ ხელნაწერს თვალი მოაცილა და თანაშემწეს ჰკითხა:

— ვგონებ, ასეა ნათქვამი ბრძანებულებაში, არა?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეებავ! ზუსტად ასეა, — დაუდასტურა კრიმ-გირეიმ.

გრაფმა კითხვა განაგრძო:

„...შედეგად ამისა, ქუთაისის გუბერნატორის ვაკანსიის განთავისუფლებასთან დაკავშირებით, მაქვს პატივი, ვთხოვო თქვენს მაღალადმატებულეებს გამოსთხოვოს ყოვლადმოწყალე ხელმწიფე-იმპერატორს ნებართვა, რომ ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის შემსრულებლად დაინიშნოს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უფროსი აგრონომი კავკასიაში, კოლეგიის მრჩეველი, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი მისი შემდგომი წარდგინებით, წინა მავალითებისა და მისი თანამდებობის შე-

საბამისად, სახელმწიფო მრჩეველს-ჩანხე.

გენერალ-ადიუტანტი გრაფი ვოროცკოვ-დაშკოვი“.

— ჩემის აზრით, რიგიანად არის შედგენილი. უბრძანეთ, გადაბეჭდონ და ხელს მოვაწერ. — უთხრა მეფისნაცვალმა კრიმ-გირეის და ხელნაწერი მიაცილა.

ოციოდე დღის შემდეგ ვოროცკოვ-დაშკოვმა ბულიგინის წერილი მიიღო. შინაგან საქმეთა მინისტრი ატყობინებდა: „თქვენი ბრწყინვალეების შუამდგომლობა ყოვლადიმორჩილესად მოხსენდა მის იმპერატორობით უდიდებულესობას“...

რამდენიმე დღის შემდეგ კი მოვიდა ნიკოლოზ II მიერ ხელმოწერილი ბრძანებულება, რომლითაც სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნატორად ინიშნებოდა.

* * *

რესტორან „ორიანტის“ წინ ხალხმრავლობა იყო. ისინი დიდი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ მოსულ ეკიპაჟებს. ზოგი ეტლიდან მკვირცხლად ხტებოდნენ კავალრები და მარჯველ აგებებდნენ ხელს თავიანთ ქალბატონებს. ისინიც ამყად გადაავლებდნენ რა თვალს რესტორანთან თავმოყრილ ხალხს, კეკლუცად გადმოფრთხივლებოდნენ ეტლიდან. ჩინოვნიკები, ვაჭრები, სამხედროები და მათი მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ცოლები კი ღინჯად და დარბაისლურად ჩამოდიოდნენ.

მაგრამ აქ შეკრებილთ ისინი არ აინტერესებდათ. აი, ხალხში დაიწყო ჩოჩქოლი „ეს არის! სტაროსელსკია!“ — შემდეგ ტაშის ცემა და შეძახილები ატყდა: „ურა!“ „გაშა!“ ის, ვისაც ხალხი ესალმებოდა, შეცბა, ცოტა შეყოვნდა ეტლთან, შემდეგ ხალხს გულთბილად გაუღიმა და სწრაფად შევიდა რესტორანში.

რესტორანის ვრცელი დარბაზი ბროლის საკიდრებიანი ვეება ჭალებით იყო

გაჩახახებული. ორკესტრი „ბულ-ბულს“ უკრავდა. ქალაქში ცნობილი სოლისტი-მევიოლინე შემუკლური სიმებს ჩიტვივით აგალობებდა... მკლავზე პირსახოცგადადებული ოფიციალტები ცირკის ეონგლიორებივით ცალ ხელში ათამაშებდნენ ბოთლებითა და კერძებით სავსე ლანგრებს და მარჯვედ დაპჭროდნენ მაგიდებს შორის.

იქ, კედელთან, გრძელ მაგიდას დიდი კამპანია შემოხსდომოდა. აქ სხვადასხვა ჯურის და ყაიდის ხალხს მოეყარა თავი, ზოგს სერთუჯი ან ფრაკი ეცვა, ზოგს ჩოხა ან გვერდზე საკინძეჩახსნილი ხალათი.

აი, დინჯად წამოდგა ფეხზე წელში გამოყვანილი ჩოხაში გამოწყობილი ბრგეკაცი, ჭალარა თმაზე ხელი ვადაისვა, ხშირი წარბების ქვევიდან ყურადღებით მოავლო თვალი შეკრებილთ, ჭიქაზე დაკავუნებით ანიშნა, მომისმინეთო და დაიწყა:

— ბატონებო! ძვირფასო მეგობრებო! დღეს აქ შევიკრიბებით, რათა გამოვხატო ჩვენი ღრმა პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული ვლადიმერ ალექსანდროვიჩ სტაროსელსკისადმი, ხობტა-დიდება შეევასხათ და მადლობა ეუთხრათ იმ დიადი ღვაწლისათვის და კაცთმოყვარეობისათვის, რომელსაც ის იჩენს ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი საქართველოსადმი.

ყველანი ფეხზე წამოდგნენ. გაისმა შეძახილები „ვაშა!“ „ურა!“ „ბრავო!“

— თბილისის საზოგადოებრიობის სახელით სიტყვას ითხოვს ჩვენი ძვირფასი გიორგი.

თამაღის პირდაპირ მჯდომი შავსერთუკიანი მამაკაცი სწრაფად წამოხტა ფეხზე, ბეცი თვალები ყურადღებით მოავლო სუფრას, დინჯად ამოიღო ჭიბიდან ცხვირსახოცი, გულდასმით გაწმინდა სქელმინებიანი პენსე, შემდეგ აუჩქარებლად გაიკეთა ცხვირზე, მოკლედ შეკრებილ წვერზე ხელი ჩამოიხსვა, მუჟში ჩაახველა და დაიწყა:

— ბატონებო! პატივცემულო ვლადიმერ ალექსანდროვიჩ! სიტყვები არ

მყოფნის, რომ გამოვხატო ის ალტაცება და სიხარული, რამაც მთელნი ჩემი არსება მოიცვა, როდესაც გავიგე თქვენი ეგზომ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის ამბავი. გულახდილად მოგახსენებთ, რომ თქვენი დანიშვნა ქუთაისის გუბერნატორად ბევრისთვის მოულოდნელობა გახლდათ, ჩვენთვის კი, თქვენი მეგობრებისა და თანამოაზრეებისათვის — სასიამოვნო საჩუქარი. რუსეთის იმპერიაში თქვენ პირველი გუბერნატორი იქნებით, რომელსაც შესანიშნავად ეცოდინება, ხალხის ყოველნაირი სატყვივარი, დიახ, ბატონებო, პირველი!

— სწორია!

— კარგი ნათქვამია!

ორატორმა სული მოითქვა და განაგრძო:

— თქვენ პირველი გუბერნატორი ხართ, რომელიც იცნობს ჩვენს გლეხობას, მის ჭირსა და ვარაშს და ეს გვაძლევს იმის ურყევ რწმენას, რომ თქვენს მიერ დასმული დიაგნოზი სწორ გზაზე დააყენებს გუბერნიის ტანჯული მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწეულებათა მკურნალობის საქმეს. ასე, რომ, ვისურვებთ, ძვირფასო ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, ყოფილიყავით დიდი ხნის ნანატრი, თვალწარმატცი ვახაფხულის წინამორბედი.

— ბრავო! ბრავო!

— ვაშა!

— ურა!

თამაღამ დააცადა მაგიდის წევრებს გამოეხატათ ალტაცება, ვადმოფრქვივით გულში დაგროვებული გრძნობები, შემდეგ კვლავ ენერგიულად დააკაუნა ჭიქაზე და სიჩუმე მოითხოვა.

— ყურადღება, მეგობრებო! სიტყვას ითხოვს ჩვენი დღევანდელი თავშეყრის გმირი — ვლადიმერ ალექსანდროვიჩი...

ალღვებულმა და დაბნეულმა ვლადიმერმა კარგა ხანს ვერ შეძლო ხმის ამოღება. ბოლოს, როგორც იქნა, გუ-

ლში აბობოქრებული გრძობები დაი-
ოკა და დაიწყო:

— ბატონებო, მეგობრებო! თქვენ კარ-
გად იცნობთ ქუთაისის გუბერნიას, მის
განათლებულს, შეგნებულ მოსახლეობას
და ბრწყინვალე ინტელიგენციას. მე
ვერც კი წარმომიდგენია გუბერნიის
მართკა ინტელიგენციის წარმომადგე-
ნელთა უშუალო მონაწილეობის გარე-
შე. ამიტომ, ჩემი უპირველესი პირო-
ბა იყო, დამეწინაურებინა ამ წრიდან
პიროვნება, რომელიც ღირსეულად შე-
ასრულებდა ვიცე-გუბერნატორის მო-
ვალუბას და მე, ბატონებო, ჩემი გა-
ვიტანე. გაბოვთ, თქვენი სიყვარული
და მხარდაჭერა არ მოაკლოთ ჩვენს
ძვირცას ალექსანდრ ივანოვიჩ ყიფში-
ძე-ფრონელს, შესანიშნავ მწერალსა და
საზოგადო მოღვაწეს და მიულოცოთ
ამ თანამდებობაზე დანიშვნა.

ამ ცნობამ გულწრფელად გაახარა
დამსწრენი. დაიწყო მილოცვები. შემ-
ცბარა ყიფშიძე ფეხზე იდგა და თავის
დაკერით უხდიდა მადლობას მიმლოც-
ველებს.

სტაროსელსკიმ სიტყვა განაგრძო:

— ამჟამად ჩემი ამოცანაა, გამოვი-
ყენო საზოგადოებისა და სახალხო მა-
სების შეგნებები ხაერთო ამაღლება უკ-
ვე მომწიფებული რადიკალური გარ-
დაქმნების განსახორციელებლად. უპი-
რველეს ყოვლისა მიწის საკითხი უნ-
და გადაწყდეს — მთელი სახაზინო, მე-
მამულეთა კუთვნილი, საუფლისწულო,
სამონასტრო და კაბინეტის მფლობე-
ლობაში მყოფი მიწები მშრომელ
ხალხს უნდა გაუნაწილდეს.

— ბრავო! ბრავო! — გაისმა ირგვ-
ლივ შეახილები. აღტაცებას ყველაზე
ხმაალა ის ჩასკენილი მუშა კაცი გა-
მოსატავდა, გვერდზე საკინძეჩახსნილი
შავი ხალათი რომ ეცვა და ქამრად წი-
თელი, ფრჩებიანი ზონარი ეტრცა.

— ჩემი ჩასვლისთანავე, — განაგრ-
ძო სტაროსელსკიმ, — ქუთაისში გაუ-
ქმდება სამხედრო წესები. ამ დღეს
ყველა ციხის კარი გაიღება და რეპრე-
სიის მსხვერპლთ თავისუფლება დაუბ-

რუნდება. ამ დღეს გუბერნიის მსხსნ-
ლეობამ შეგებით უნდა ამოიხსნოს.
ადმინისტრაციის აგენტები, რომლე-
ბიც განსაკუთრებული მონდომებითა
და გულმოდგინებით ახშობდნენ ხალ-
ხის სწრაფვას თავისუფლებისადმი, და-
უყოვნებლივ დათხოვნილ იქნებიან.

ეს სიტყვები შეძახილებმა დაფარა:

— აფერუმ!

— სწორია! ...

ვლადიმერის სიტყვებზე მეზობელ
მაგიდასთან მსხდომმა სამხედროებმა
ყურები ცქვიტეს, ორატორისაკენ მიბ-
რუნდნენ და სმენად იქცნენ...

— ადმინისტრაციული დაპატიმრე-
ბები, გადასახლებები და სხვა ყოველ-
გვარი რეპრესიები, მიმართული პოლი-
ტიკური მოძრაობის ჩასახშობად, შეწ-
ყვეტილი იქნება. ხალხის მიერ არჩე-
ული სასამართლო და ადმინისტრაცი-
ული ორგანოები შეუფერხებლად გა-
ნაახლებენ მოქმედებას. გამოცხადდება
კრებების, მიტინგების, დემონსტრაცი-
ებისა და გაფიცვების სრული თავისუ-
ფლება...

ღარბაზში თანდათან იკლო ხმაურმა.
ყველამ ყურადღებით დაუწყო მოსმენა
ორატორს. ერთნი სულგანაბული მის-
ჩერებოდნენ, მეორენი გაოცებულნი
გადახედავდნენ ერთმანეთს, მესამენი
თავს ვერ იკავებდნენ და ემოქმებოდ-
ნენ.

— სწორია!

— ბრავო!

— ჟანდარმთა პოლიციის საქმიანო-
ბა მტკიცედ უნდა იქნას შეთანხმებუ-
ლი გუბერნატორთან. მე დაუყოვნებ-
ლივ მივიღებ ზომებს, რომლებიც ხელს
შეუწყობს სათემო თვითმმართველო-
ბის რაც შეიძლება ფართოდ დანერგ-
ვას. უნდა გამოცხადდეს ენისა და ერო-
ვნული თვითგამორკვევის სრული თა-
ვისუფლება...

— ეს კრამოლა! — აღრიალდა მე-
ზობელ მაგიდიდან მთვრალი, თვალბე-
ში სისხლმოწოლილი პოლკოვნიკი, ფე-
ხზე წამოდგა, დაბარბაცდა, მერე რო-
გორც იყო, თავი შეიმავრა და რევილ-

ვერზე წაივლო ხელი, — ეს წითელი პროპაგანდა! მოვითხოვ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს!

ამხანაგები შეეცადნენ დაემოშინებინათ: — დამშვიდდით პოლკოვნიკო! დაწყნარდით!

ღარბაზში მყოფნი შემფოთდნენ. წამით დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, ხოლო შემდეგ კვლავ სტაროსელსკის მტკიცე და რიხიანი ხმა გაისმა:

— გრატუა ილარიონ ივანოვიჩმა ასე დამილოცა გზა უკანასკნელი აუდიენციის დროს: „მამ წადით თქვენს გუბერნიაში, ნურავის შიში ნუ გექნებათ და დაუყოვნებლივ შეუდევით ჩვენი წინადადებების განხორციელებას...“ სტაროსელსკიმ ამ ფრაზაში სიტყვა „ჩვენი“ განსაკუთრებით გამოკყო და განაგრძო: — მისმა უგანათლებულესობამ ბრძანა: „გახსოვდეთ, თქვენი საქმე, ჩემი საქმეა, თქვენი წარმატება, ჩემი წარმატება. მე ყურადღებით ვადევნებ თვალს, როგორ წარმართავთ საქმიანობას და სხვა გუბერნატორებს მივუერთებთ, თქვენი მაგალითისამებრ ცხოვრებაში გაატარონ ჩვენს მიერ შემუშავებული წინადადება, რომელიც წარმატებას მოუტანს თქვენს გუბერნიას...“ აი, ამ სიტყვებმა ჩამინერგა გულში ღრმა რწმენა, რომ შევძლებთ თავი გავართვა დაკისრებულ მოვალეობას.

— ეს მკრეხელობაა, ცილისწამება! ამას არავითარ შემთხვევაში არ იტყვოდა ჩვენი ძვირფასი ილარიონ ივანოვიჩი! — კვლავ აყვირდა პოლკოვნიკი და შეეცადა გამოხსნოდა მეგობრებს. ბოლოს, როგორც იქნა, ხელი გაითავისუფლა და რევოლვერი იძრო... გაისმა ქალღების კივილი. დამსწრენი ფეხზე წამოკვივდნენ, გადაყირაყებულნი მაგიდებისა და დამსხვრეული ჭურჭლის ხმა მოისმა, ყველამ კარებს მიაშურა, გასასვლელთან ზედახორა გაიმართა...

ამ დროს გაათრებულ პოლკოვნიკთან ის ჯმუხი, ჩასკენილი, შავხალათიანი ვაეკაცი მიიჭრა, შფოთის ამტეხს მაჯაში მაგრად სტაცა ხელი და ისე მო-

უჭირა, რომ იარაღი გააგდებინა კაჭკა და აურზაური, გაისმა ჭანჭური და ფეხით ვიტრინის შუშა ჩამოიშხვრა. აქედან ვილაცამ გარეთ თავმოყრილთ გასაძაბა, სტაროსელსკის მოკვლას უბირებენო. ხალხმა იხუვლა და გატეხილი ვიტრინიდან ღარბაზში შეიჭრა. პოლკოვნიკის ერთ-ერთმა მეგობარმა შავხალათიანს თავში რევოლვერის ტარი ჩასცხო, სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა, დაჭრილი ნელა მოტრიალდა და თავდაშხმელს ჭიჭურ შეუტია. სამხედრომ უკან დაიხია. ცოტაც და, რევოლვერი დაიქუხებდა, მაგრამ ვილაცამ რევოლვერისმამარჯვებულ ოფიცერს ისე მაგრად მოსცხო მუშტი კეფაში, რომ იატაკზე დასცა. ამ დროს პოლიციელთა სასტვენების ხმა გაისმა. ისინი ღარბაზში შემოკვივდნენ და მოჩხუბართა გაშველება დაიწყეს. ისარგებლეს რა ამ ალიაქოთით, მეგობრებმა სტაროსელსკი მალულად უკანა კარიდან გაიყვანეს.

მთელ საღამოს ქალაქში არ ცხრებოდა კამათი „ორიანტში“ მომხდარი ინციდენტის თაობაზე. ზოგი აღტაცებული დარჩა ვლადიმერ სტაროსელსკის სიტყვით, ზოგი კი გაოცებული და აღშფოთებული...

სტაროსელსკის ესოდენ წინდაუხედავი გულახდილობა და თამამი მსჯელობა ასეთ შეუფერებელ ადგილას მისი უშუალო ბუნებითა და პოლიტიკურ საქმეებში ერთგვარი გამოუცდლობით აიხსნებოდა. გამოცდილებასა და მოქნილობას პოლიტიკური მოღვაწე, როგორც ცნობილია, ბრძოლაში იძენს ხოლმე. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, რომ „ორიანტში“ წარმოთქმულ სიტყვას ერთობ ცუდი შედეგები მოჰყვა. ამ სიტყვით მართო ხელისუფლება კი არა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კომიტეტიც უკმაყოფილო დარჩა. მისი თვალსაზრისით ეს კონსპირაციის დარღვევა იყო და დიდ უსიამოვნებას უქაღდა მომავალ გუბერნატორს.

წამებული სანაქლო — მუხარანტორის მუნდირი — თეატრი
მღერის მარსელიმეზას — ბალი „სარკეპიან ღარგაზში“

ქუთაისში ათასნაირი ხმები დაირბა ახალი გუბერნატორის დანიშვნის თაობაზე. ქალაქელები კამათობდნენ და მარჩიელობდნენ, ნეტა, ვინ უნდა იყოს ახალი გუბერნატორი?

— შენ ვინა გგონია, ჰა? — მრავალმნიშვნელოვნად ეკითხებოდნენ ერთმანეთს... დიახ, დიახ, სტაროსელსკი, სწორედ ის ლადო სტაროსელსკი, საქარაში რომ არის აგრონომად.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს შესაძლებელია?! აგრონომი და გუბერნატორი?

— ვითომ რატომ? ჩვენს ღროში ყველაფერი შესაძლებელია.

— წარმოუდგენელია!

— მორიგი ჭორია!...

— ძალიანაც კარგი, თუ სტაროსელსკი იქნება, ჩვენი კაცია!

— წყალი არ გაუვა, ნამდვილი ამბავია, — დარწმუნებით ამბობს ვილაცა,

— გუშინ საქარაში დიდი გაცილება მოუწყვეს და გუშინვე ჩამოვიდა ქუთაისში, თავის რეზიდენციაში. აი, ჩემმა მეგობარმა, შალიკომ, თავისი თვალით ნახა...

ცნობისმოყვარეობით ანთებულმა რამდენიმე მოქალაქემ საგუბერნატოროს მიაშურა.

— კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სულ ერთი არ არის, ვინ იქნება გუბერნატორი? ისევე ჩვენი სისხლისმსმელ ვილაცას დანიშნავდნენ, კარგს ვინ მოგვაშავებს?

— ნუ იტყვი, ალექო, თუ მართლა ჩვენი ლადოა, და ამაში ეჭვი აღარ მებარება, დავედგომია საშველი და ეგაა! ლადო სულ სხვა კაცია.

— ეჰ... ყველა ერთი მირონითაა ცხებული. ეგეც მალე გაიბრძეება და გამედიდურდება.

... არაა ლადო მასეთი კაცი.

— მეიცა, თუ კაცი ხარ. თანამდებობას მასეთები გოუფუქები?

— ნუ სულელობ, გეუბნები, ლადო სხვანაირი კაცია-თქვა!

— ა, ვნახავთ. აღდგომა და ხეაღყო.

— თუ სხვანაირია, გამევიდეს, დაგვენახოს და გვიტხრას, რომ ჩვენთან არის, ხალხის მხარეზეა.

— კიდევ რა გნებავს? გუბერნატორი გეახლოს და მოგახსენოს; ჩემო ძვირფასო ალექო, დამიჯერე, შენთანა ვარ, დედას გეფიცები, კი გუბერნატორი ვიქნები!... ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა.

— კარგი გუბერნატორები არ არსებობენ, — დაბეჭითებით განაცხადა ვილაცამ.

— აი, ჩვენი ლადო კი კარგი უნდა იყოს.

— მართალია, მაგრამ საწყაოს ძალიან გაუჭირდება ამ არეულ ღროში.

— ჩვენს მხარეს თუ დეიჭერს, არ გოუჭირდება...

ამ კამათისა და სჯა-ბაასის ღროს ვერ შენიშნეს, რომ თანდათან ემატებოდათ მსმენელები.

— ვინდა დაენაძლევეთ, ალექო, რომ დღეიდან სულ სხვანაირად წავა საქმე.

— დაენაძლევეთ, კოწია, მეიტა ხელი!

— აჰა!

— მაინც და მაინც დღეიდან? — დაეჭვდა ალექო.

— დიახ, სწორედ დღეიდან.

— რანაირად?

— რანაირად და იმნაირად, — ეშმაკურად გაიღიმა კოწიამ და ირგვლივ შემოკრებილ ხალხს მიუბრუნდა:

— ხალხო, როდისმე გინახავთ, აქ, საგუბერნატოროსთან ჩვენ ამდენს მოგვეყაროს ერთად თავი? გახსოვს, ალექო, ამას წინათ სულ ეჭვსი შევიკრი-

ბენით და დაცვამ ჯერ ცხვირ-პირი და-
გვიმტვრია და მერე კუტუსკაში ჩაგე-
სვა, აქ რას დაბოდილობთო.

მოკათამებმა იქაურობას თვალი მო-
ავლეს და გაოცდნენ. საგუბერნატოროს
წინ მთელი ქუჩა ხალხით იყო გაჰყედი-
ლი. დაცვა მრისხანედ უბრიალებდა
თვალებს, მაგრამ ეტყობოდა, ბრძანება
ჰქონდათ მიცემული... ხელი არავისთ-
ვის ეხლოთ.

ამ დროს ვილაყა შეეხმარა:

— ბატონო ლადო, ბატონო ლადო!
მას ბევრმა აუწყო ხმა.

— ხედავთ, არ უნდა გამოსვლა,
ტყუილად გავყვირით!

ამ დროს აივნის კარი გაიღო და
სტაროსელსკის მეუღლე გამოჩნდა. ხა-
ლხმა იყუჩა. ნაღვედამ ბალიშები გა-
მოიტანა და მოაჯირზე დალაგება და-
უწყო.

— ეგვეც შენ — გაიკვირვა იმან,
ვინც ყველაზე მეტს ხმაურობდა, შე-
ხეთ, მაგათ, ბინის დალაგება დაიწყეს?
— მართლაც!... — აბუზღუნდნენ
სხვებიც.

ამ დროს ნაღვედამ ბალიშებს თეთ-
რი პირები შემოაძრო. გამოჩნდა წი-
თელი მითელები. მოაჯირი აღისფრად
აკიაფდა... ხალხი მიხვდა, რასაც ნიშ-
ნავდა ეს და ტაშის ცემა და ყიყინა
ატება.

— ჰო, წავაგე! — თქვა კოწიამ... გა-
ხარებულმა.

იმ საღამოს ქუთაისის რესტორნები
და დუქნები ხალხით გაიჰყედა: საღლე-
გრძელოებს სვამდნენ: ჩვენს ლადოს
გაუმარჯოსო.

* * *

შათობა მორიდებით დააკაუნა და
როცა არავინ გამოეხმარა, კარი ნელა
შეაღო. ვლადიმერი თვალმოუცილებლად
მისჩერებოდა კოლბას, რომელ-
შიც რაღაც სითხე დუღდა. მოსულმა
აღარ შეაწყუბა მასპინძელი და ფეხა-
რებით შევიდა ოთახში. ერთ ხელში
პატარა ფუთა ეჭირა, მეორეში — რა-
ღაცა დაშლითებული გრძელი რამ.

იმან ორივე ეს დიდი სიფრთხილით და-
ალაგა დივანზე და უჩუქრად გაეგვიჰა-
სო.

კოტა ხნის შემდეგ ვლადიმერმა ფუ-
თა გახსნა, ოქროსფერძირიანი ქული
ამოიღო, შემდეგ კი რუხი კასტორის
ახალთახალ ფარაჯას შალითა შემოაც-
ლა. ფარაჯას გენერალ-მაიორის ოქ-
როსფერი პაგონები ეკეთა. ასეთივე პა-
გონები ჰქონდა სქელი მალისაგან შე-
კერილ მუნდირსაც. ვლადიმერმა შე-
ატრიალ-შემოატრიალა ახალი ტანსაც-
მელი, დაუდევრად მიყარა დივანზე და
ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა. ამ
დროს ცოლი და შვილები შემოვიდნენ
და დივანზე მიყარა ტანსაცმელი რომ
დაინახეს, ერთი ყიყინა ასტეხეს:

— უჰ, რა ლამაზია! მუნდირი ძალი-
ან დაგშვენდება! ჩაიცვი რა მამიკო!

— ახლა არა მცალია, — ჩაიბურტ-
ყუნა ვლადიმერმა.

— ძალიან გთხოვ, ჩაიცვი, — მუდა-
რით მიმართა ნაღვედამაც.

— შენ ზომ იცი, ამგვარი ზიზილ-პი-
პილოები არ მიყვარს და არც არასო-
დეს არ ვატარებ. არავითარი სურვილი
არა მაქვს არღნის თუთიყუშს დავემს-
გავსო.

ახლა ყველამ ერთად დაუწყო ხეწ-
ნა, მოიზომე შინცო.

ვლადიმერმა ხათრი აღარ გაუტეხა
თავისიანებს, მეორე ოთახში გაიტანა
ტანსაცმელი და კოტა ხნის შემდეგ გე-
ნერლის ფორმაში გამოწყობილი გამო-
ეცხადა მომლოდინე ცოლ-შვილს. სა-
ხეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებ-
და.

— ოჰ, როგორ მოგიხდა, მამიკო, რა
ლამაზი, მოხდენილი, ხარ, — დაიწყეს
ხტუნვა ბავშვებმა.

ვლადიმერიც აპყვა საერთო მხიარუ-
ლებას; გაიჭვინტა, წვერ-ულვაშზე ამა-
ყად ჩამოისვა ხელი, მერე ქული მოი-
ხადა და მდამალად დაუკრა თავი შეკ-
რებილთ.

— მამიკო, სად გინახავს, რომ გენე-
რალი ქუდის მოხდით მიესალმოს ვინ-
მეს. ხელი ქუდთან უნდა მიიტანო და

ქუსლი-ქუსლს შემოჰკრა — სიცილით დაუწყეს დარიგება ბავშვებმა.

მამა შეეცადა ასეც მოქცეულიყო, მაგრამ ისე მოუხერხებლად გამოუვიდა, რომ ყველანი ახარხარდნენ. თამარმა და მარიამ დააპირეს კისერზე ჩამოჰკიდებოდნენ, მაგრამ შეცბენ — მუნდირი არ დაუქმებულათ.

— წარმოვიდგენია?! ბავშვებს, საკუთარ შვილებს ეშინიათ მოკარების და ხალხი რაღას იზამს? ნამდვილი საფრთხობებლა ვარ და ეგ არის, — ჩაიცინა ვლადიმერმა, შემდეგ ცოლს მიუბრუნდა:

— ნადიუშა, ნაფტალინში ჩააწყვე ყველაფერი ეს. იქნებ ოდესმე გამოგვაღვს — ბავშვებს გადაუყეთებ.

— რაღა საგუბერნატოროსთან დარქობილხარ, შე ყეყეჩო, შენა, სხვა ადგილი ველარა ნახე! აბა, მოუსვი ახლავე აქედან ბირყაზე, მოშორდი ჩემს უბანს! — დაუღრიალა პოლიციელმა მეეტლეს.

— გეტყობა, ახალი ხარ. და არ იცი, რისთვისაც ვარ აქ. იქნებ თვითონ ლადოს ველოდები?

— ვინ ლადოს, ფეხებზე მკიდია შენი ლადო!

— შენ, რა, გაგიჟდი?! რას ლაყბობ?! —

— ოპ, გული არ გამოხეთქო მაგ ვილაც ლადოთი! ნეტავი ვიცოდე ვისი ტიკო-ტომარაა, ვითომ ვინ მიგდია?

— რაო, გუბერნატორზე ამბობ, ვინ მიგდიაო?!

— რომელ გუბერნატორზე? — გაოცდა პოლიციელი.

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩზე...

— სტაროსელსკიზე?!

— დიახ, დიახ, სწორედ სტაროსელსკიზე.

— მერე ეგ რა შენი ლადოა?

— ჩვენი ლადოა, ნუთუ არ იცი? იმასთან, ისე, როგორც ჩემს სახლში, როცა მინდა, მაშინ შევდივარ...

პოლიციელს დაიბნა. უცებ გაახსენ-

და, გაგონილი, რომ გუბერნატორი მდაბიობთან მეგობრობს და ნირო შეეცვლა.

— ა, შე სულელო, თავიდან ეგრე გეთქვა...

— შენ კიდევ ლანძღვა დაუწყე, ვილაც ლადოო, ფეხებზე მკიდიაო...

— მე მართლა ვილაც ლადო მეგონა... — დაიწყო თავის მართლება პოლიციელმა, მერე გაბრაზებით ჩაიჭინა ხელი და, ის იყო, წასვლა დააპირა, რომ ეტლს სტაროსელსკი მიუახლოვდა. თან მეუღლე და ორი ქალიშვილი ახლდა. გუბერნატორი სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. დაცვა არსად ჩანდა. თავგზა აბნეული პოლიციელი ცოტა ხანს ადგილზე გაშეშდა, შემდეგ წელში გასწორდა და დასუქვა:

— დღეგრძელობას ვისურვებთ, თქვენი აღმატებულეზავ!

მეეტლეს უღვაშებში ჩაეცინა.

— თეატრში! — უთხრა მას სტაროსელსკიმ.

ეტლი კარგა ხანია თვალს მიეფარა, წესრიგის დამცველი კი ისევ გაუნძრევლად იდგა და ბორბლების ნაკვალევს მისჩერებოდა.

იმ დღეს ქუთაისის თეატრთან უამრავი ხალხი შეკრებილიყო. აფიშა იუწყებოდა, რომ თეატრში სუშბათაშვილი-იუჟინის პიესის „ლალატის“ პრემიერაა, რომელშიც ერთ-ერთ, მთავარ როლს ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი შეასრულებს.

ვლადიმერ სტაროსელსკის და მის მეუღლეს დარბაზი ფეხზე დამდგარი, გულთბილი აპლოდისმენტებით შეხვდა. გუბერნატორმა ლიმილითა და თავის დაკვრით მადლობა გადაუხადა შეკრებილთ. თეატრში საზეიმო ვითარება სუფევდა. იგრძნობოდა, რომ დღეს მაყურებელი მალალი ხელოვნების თანაზიარი გახდებოდა. დამსწრენი პირველივე სურათიდან მოაჯადოვა ამ სახელგანთქმული მსახიობის უბადლო ოსტატობამ. ფარდა შეიღვერ ას-

წიეს. საზოგადოება რამბასთან უხმობდა ამ დიდ ხელოვანს.

დაიწყო მეორე მოქმედება. უცებ ლადო მესხიშვილი პიესის ტექსტს დასცილდა და იმპროვიზებული სიტყვით მიმართა ხალხს. დაიწყო იმით, რომ საზოგადოება ფრიად უსამართლოდ არის მოწყობილი და დაასკვნა: „აუცილებელია ყველა რევოლუციური ძალის შეკავშირება, რათა წარმატებით ვებრძოლოთ მეფის თვითმპყრობელობას, რომელიც თრგუნავს ხალხთა ეროვნულ გრძნობებს“. დარბაზში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ წამით გაოგნებულმა დიდკაცობამ მალე ხმაური ატეხა, დარბაზის დანარჩენმა ნაწილმა კი მქუხარე ტაშითა და „ვაშას“ ძახილით მოიწონა ეს სიტყვა და მსახიობმა ხუთჯერ გადაისროლა დარბაზში მოწოდების სიტყვები: „ბრძოლა ერისა! ბრძოლა ერისა!“... და ხალხი, განსაკუთრებით ამფითეატრზე მსხდომი ახალგაზრდები, ყოველ მოწოდებას ალტაცების უჩინით ხვდებოდნენ. ვილაცამ პროკლამაციები გადმოყარა პარტერში...

სტაროსელსკის ლაქაში ენდარმთა სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლაევი, შეიჭრა რამდენიმე ენდარმის თანხლებით. იგი ქუდთან ხელის მიტანით მისალმა კუბერნატორს და სხაპა-სხუპით მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ, ალექსეე-მესხიევი დაპატიმრებულია. პროკლამაციების გადმოყარვლა მოახერხა მიმალვა.

— ეს ხომ სკანდალია! თქვენ რა, პოლკოვნიკო, გადაწყვიტე სპექტაკლი ჩაშალოთ? — გაოცდა სტაროსელსკი, — არავითარ შემთხვევაში! დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთ მსახიობი, თანაც ბოდიში მოუხადეთ! სანამ ამისთანა უგუნურ გადაწყვეტილებას მიიღებდით, საჭირო იყო, მომთათბირებოდით.

ნიკოლაევს სახეზე უკიდურესი დაბნეულობა და განცვიფრება გამოეხატა.

— დაუყოვნებლივ გააუქმეთ ბრძა-

ნება! — ხელმეორედ, უკვე მკაცრად უბრძანა სტაროსელსკიმ.

— არის, გავაუქმო! — ძლივს ამოილულულა პოლკოვნიკმა, ერთ-ერთ ენდარმს მიუბრუნდა და კი არ უბრძანა, დაულრიალა:

— დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთ მსახიობი!

ლადო მესხიშვილის გამოსვლას უკანასკნელი მოქმედების დაწყებისას ოვაციით და ფეხზე ადგომით მიეგებნენ. მოქმედების დამთავრების შემდეგ სცენაზე ვილაც უცნობი კაცი ავიდა და დაიწყო ხალხის წაქეზება. იმანაც მოუწოდა შეკრებილთ ცარიზმის ტირანიის წინაშე თავი არ დახაროთო.

— ბრძო-ლა! ბრძო-ლა! ბრძო-ლა! — ერთხმად გუგუნებდა დარბაზი.

ამ დროს პირველ რიგებთან მივიდა ახალგაზრდა, მაღალი, ხშირქოჩრიანი კაცი სტუდენტის ფორმაში. ეს კონსტანტინე ფოცხვერაშვილი* იყო. მან ხელები აიქნია და სცენაზე მაშინვე მსახიობთა თვითმოქმედი გუნდი გამოვიდა. გუნდმა დიდი აღმავლობით დაიწყო მარსელიეზას მოტივზე:

„აღსდგე! რუსეთის მშრომელო ხალხო...“

დარბაზმა ერთსულოვნად აიტაცა მელოდია. ყველანი წამოდგნენ და თეატრის სიმღერით გავიდნენ ქუჩაში. აქ მათ უამრავი ხალხი შეუერთდა. გვიან ღამემდე გრძელდებოდა ქუთაისეფთა დემონსტრაცია.

გრაფი ევრონცოვ-დაშკოვი დაბადების დღეს იხდიდა, ამიტომ სასახლეში, როგორც იმ დროს ამბობდნენ, „ბაღს ჰქონდა ადგილი“.

მთავარ შესასვლელთან ზედიზედ ჩერდებოდნენ კარეტები, ლანდოები და ეტლები, საიდანაც ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენლები ჩამოდიოდნენ ღამაზ სამეჯლისო კაბებში გა-

* შემდგომში ცნობილი ქართველი მუსიკალური და საზოგადო მოღვაწე.

მოწყობილი ქალები და ფრაკიანი, მუნდირიანი და თეთრიხიზიანი მამაკაცები. ისინი ჩქარობდნენ, რაც შეიძლება მალე გაუჩინარებულყვნენ მასიური საპარადო კარების მიღმა.

შესასვლელთან და რკინის მაღალი ლობის ჩაყოლებზე ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელები იდგნენ. ისინი სასტვენებით, მუჭლუგუნებითა და მათრახებით ცდილობდნენ სასახლეს მისეული ხალხი გოლოვინის პროსპექტის მეორე მხარეს, სასტუმრო „ორიანტთან“ გაეყარათ.

— დროს ატარებენ ეს არამზადები! — დაიყვირა ვიღაცამ.

— არა უშავს, მალე ბალებისათვის არ ეცლებათ! — შენიშნა მეორემ.

პოლიციელები მათგან გაექანნენ, მაგრამ ხალხმა მათ დამალვის საშუალება მისცა.

— ძირს პარაზიტები! — ერთად შესძახა პოლიციელთა ზურგს უკან მდგომმა რამდენიმე კაცმა. პოლიციელები ახლა იქით გაცვიოდნენ, მაგრამ ისევ ხალხის ჯებირს წააწყდნენ...

სტუმრები სასახლის ვრცელ პარკში მიმოიფანტნენ. დაბურულ ხეივანებში ახალგაზრდებმა ხმაურიანი თამაში გააჩაღეს. შორეულ მოფარებულ ადგილებში შეყვარებულები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ორკესტრი, თითქოს ესტრადაზეაო, სასახლიდან ბაღში გამავალი მარმარილოს ფართო კიბის მოქდანზე მოეწყო. კიბის ორივე მხარეს აღმართულიყო სურათი დაფარული სვეტები. მუსიკოსები ვალსებსა და მარშებს უკრავდნენ.

ის იყო, ხეივანებში ჩრდილები დაგროვდა, რომ იქაურობა ელექტრონათურებმა გააჩირალდნა. ორკესტრმა მზურკა დაუკრა. წყვილებმა იქვე, კიბის წინ, დაიწყეს ცეკვა. ცაში მუშუნიები აუშვეს და პარკი ფერადი ჩანჩქერის მხეფებმა გააცისკროვნა.

მუსიკის ხმები მიწყდა და საღამოს წამყვანმა პარკში მოსეირნე საზოგადოება „სარკეებიან დარბაზში“ მიიწვია... ნაძერწი უცნაური ჩუქურთმებით და-

ფარულ კედლებში ჩასმულყოველზეთ აატარა-პატარა სარკე უკიდგვნო/ჩიკარის ილუზიას ქმნიდა და უხვად ფენდა შუქს დარბაზის ყველა კუთხე-კუნჭულს. ორკესტრმა აქ გადმოინაცვლა და ვალსი დაუკრა. ბალი გრაფმა და მისმა მეუღლემ გახსნეს. ერთიანად გაბრწყინებულ ვორონცოვ-დაშკოვს სახეზე თვითმამყოფილება აღბეჭდოდა. თმა საცხით ჰქონდა გადატყეცილი. უამრავი ორდენითა და მედლით დამშვენებულ მუნდირში თავის ასაგზე, წმ წელზე, გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ყველაფერში, საუბარშიც, მიხრა-მოხრაშიც, სამხედრო წრთობა ემჩნეოდა. სიარულზე შეატყობდით, რომ კავალერიაში ემსახურა.

ფანჯარასთან, ყველასაგან განცალკევებით, ერთი წყვილი იდგა — მაღალი, წვეროშვეებული ორმოცდახუთი წლის მამაკაცი, რომელსაც სქელმინებიანი სათვალე ეკეთა და ლამაზი, ელეგანტური, უბრალოდ მაგრამ გემოვნებით ჩაცმული პატარა ტანის ქალი. ესენი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი და მისი მეუღლე — ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ვახლდათ.

მათ ეტყობოდათ, რომ ამ საზოგადოებაში თავს უხერხულად გრძნობდნენ. ყველაზე უფრო დაუფარავი ცნობისმოყვარეობით მათზე მიმართული ლორწებები აწუხებდათ. ზოგიც მოურიდებლად აცქერდებოდა და ხამამლა ჭორავდა. ცოლ-ქმარი ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

— ასე, ამგვარად, უმალეს საზოგადოებაში მოხვდი.

— ჰო, სამწუხაროდ!

— ვინც არ უნდა გახდეს, ამ საზოგადოებისათვის მაინც უცხონი ვიქნებით. „ორიანტის“ ინციდენტი კიდევ ერთი ამის დასტურია.

— სწორია, — ღიმილით მიუგო ვლადიმერმა, — ამიტომ საჭიროა, რომ სხვა საზოგადოება შეიქმნას...

უცებ ორივე დადუმდა — მათგან მეფისნაცვალი გამოემართა, რომელმაც ის-ის იყო გახსნა ბალი.

— ბატონებო! თქვენ მგონი, მოიწყინეთ, — შენიშნა მან, ნადედას თავი დაუკრა და ქმარს მიუბრუნდა:

— ნება მიბოძეთ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, თქვენი ქალბატონი საცეკვაოდ გავიწვიო.

ნადედამ ქმარს შეხედა. მან თანხმობის ნიშნად თავი დახარა და გრაფს უთხრა:

— სიამოვნებით, თქვენო ბრწყინვალეებო.

ნადედა გრაფს გაჰყვა.

— შესანიშნავი პიროვნებაა თქვენი მეუღლე, — შენიშნა მეფისნაცვალმა, როცა ცეკვა დაიწყო.

— მართალს ბრძანებთ, — დაუდასტურა ქალმა.

— ფიქრობ, არჩევანში არ შევმცდარავართ, რომ ვენდეთ და ასეთი პატივი მივაგეთ, — განაგრძო გრაფმა, — ის, უეჭველია, გაამართლებს ჩვენს იმედებს.

ნადედამ არაფერი უპასუხა. გრაფმა იფიქრა, ჩემი ნათქვამი ვერ გაიგონაო და გაიმეორა:

— ნამდვილად გაამართლებს ჩვენს იმედებს.

ნადედამ არც ახლა გასცა პასუხი.

— გამოდის, რომ თქვენ ეჭვი გეპარებათ ქმრის ნიჭსა და უნარში.

— რას ბრძანებთ, დიდი მეცნიერი და უპატიოსნესი ადამიანია, — გაეხში-

ანა ბოლოს და ბოლოს ქალი, — მას თავისი პრინციპები აქვს, რომელთაც არასოდეს გადაუხევებს.

— ეს როგორ გავიგოთ?

— ისე, სხვათაშორის მოგახსენეთ, თქვენო ბრწყინვალეებო. — თავი აარიდა პირდაპირ პასუხს ნადედამ.

ამ დროს დარბაზში ვალსის ბოლო აკორდები მიწყდა.

ვორონცოვ-დაშკოვმა ნადედა ქმართან მიიყვანა და შენიშნა:

— ბატონო სახელმწიფო მრჩეველო, შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი მეუღლით: იგი უაღრესად მაღალი აზრისაა თქვენს შესახებ.

— გმადლობთ, თქვენი ბრწყინვალეებო, მე გულწრფელად ვაფასებ ამას.

აქ გრაფთან თანაშემწე — კრიმ-გირეი მივიდა, რალაც ჩაუჩურჩულა. იმანაც ოდნავ დაუქნია თავი და სწრაფად წავიდა.

— ვალოდია, ძვირფასო, ესენი დიდ იმედს ამყარებენ შენზე, — უთხრა ნადედამ, როგორც კი დაინახა, რომ გრაფი კარგა მანძილზე დაშორდა მათ.

— ეს მართალია, მაგრამ ჩემი პირობები ხომ მაინც მიიღეს!

— მიღებით კი მიიღეს, მაგრამ უნდათ, რომ იმათი საქმე აკეთო.

— წინასწარ შემოიძლია ვთქვა: ეს არ მოხდება.

თავი 10

სისხლი ჭვავფინილზე. „დაუპვი და ივატონი“. ხოცვა-მღება ქალაქის გამგეობაში. „ტირანობა ჩვეულებაა“

რომანოვები თავიანთი სამასწლოვანი მეფობის დროს არავითარ საშუალებას არ უკადრისობდნენ ქვეშევრდომთა მოსათოკად და დასათრგუნაევად, მაგრამ როცა რევოლუციური ძალების შეტევამ ტახტი საფუძვლიანად შეარყია, მმართველი დინასტიის უკანასკნელმა ნაშვირმა, ნიკოლოზ II, ყველას გადააჭარბა სისასტიკითა და გულქე-

ობით. მან გადაწყვიტა, რომ ტახტის გადასარჩენად ყველა საშუალება ივარგებს და სისამართლო დევნასა და რეპრესიებთან ერთად რეაქციის შავი ძალებიც ამოქმედდა: გახშირდა დარბევები, პროვოკაციები, მოსყიდვები, შანტაჟი და საიდუმლო მკვლელობები.

მაშინ ჩაისახა ავდასახსენებელი „ზუბატოვშინა“. მოსკოვის დამცვე-

ლი განყოფილების უფროსის, ეანდარმერიის პოლიციის ზუბატოვის ინიციატივით დაიწყეს მუშათა ყალბი ორგანიზაციების შექმნა, რომელთა სათავეში პოლიციისა და ეანდარმერიის აგენტები იდგნენ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რევოლუციური ბრძოლის გზიდან გადაეცილნათ მუშები, შთაავრებდნენ მათ, რომ მეფე და მეფის მთავრობა მზად იყვნენ დაეკმაყოფილებინათ მუშების ეკონომიკური მოთხოვნები. მაგრამ „პოლიციურ სოციალიზმს“ მალე ახადა ნიღაბი ბოლშევიკურმა პრესამ, ლენინის „ისკრამ“. უკვე 1903 წელს მუშები მიხვდნენ, რომ ამ ლეგალურ ორგანიზაციებს სული პოლიციისათვის ჰქონდა მიყიდული და ზურგი შეაქციეს მათ. 1903 წელს, რუსეთის სამხრეთში მოწყობილი საყოველთაო გაფიცვის დროს, „ზუბატოვჩინამ“ სრული მარცხი განიცადა, მაგრამ 1905 წელს, როცა მეფის მთავრობას განსაკუთრებით გაუჭირდა, იგი კვლავ აღორძინდა, ოლონდ უკვე მუშათა ლეგალური კავშირების სახით, რომელთაც პოლიცია მფარველობდა. მათი ორგანიზატორობა მღვდელ გაპონს დაავალეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვითა და მისივე თანხმობით გაპონმა „შექმნა“ პეტერბურგის ფაბრიკა-ქარხნების რუსი მუშების კავშირები“. მათ დედაქალაქის ყველა რაიონში ჰქონდათ ფილიალები და ცხრა ათასამდე კაცს აერთიანებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ პოლიციამ ვეღარ შეძლო სადავე დაეჭირა ამ მოძრაობისათვის და ეკონომიკური მოთხოვნები პოლიტიკურმა შეცვალა. მაშინ გაპონმა წინადადება წამოაყენა, მუშები პეტრიციით მისულიყვნენ მეფესთან. ეს აზრი უფროსებმა მოუწონეს. რა თქმა უნდა, პოლიციის აგენტმა გაპონმა იცოდა, რაზე მიჰყავდა ხალხი, რომ ყოველივე ეს ტრაგიკულად დამთავრდებოდა. მართლაც, 9 იანვარს მოწყობილ ხალხის მშვიდობიან მსვლელობას სასახლესთან ტყვიებითა და ფინდინით შეხვდნენ. მოიკლა და დაიჭრა 3000 კაც-

ზე მეტი; ამგვარად, ის კვირამ „სისხლიანად“ იქცა. როგორც ვხედავთ, ლენინი მიუთითებდა, 9 იანვრის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ მუშათა მოძრაობა რუსეთში „პირდაპირ რევოლუციისაკენ მიემართებოდა“. გაპონი საზღვარგარეთ მიიშალა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ გამოჩნდა პეტერბურგში და ხელისუფლებასთან ვაჭრობა გააჩაღა — პირობას დებდა, 100 ათას მანეთს თუ მომცემთ, მეთაურებს დაგაპატიმრებინებთ და ამის შემდეგ ამბოხებულები დაშოშმინდებიანო.

ხელისუფლების პროვოკაციულ საქმიანობაში თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა პოლიციის დეპარტამენტთან შექმნილ საგანგებო საიდუმლო განყოფილებას, რომელსაც როტმისტრი კომისაროვი ხელმძღვანელობდა. მის ფუნქციებში შედიოდა ფაბრიკაცია და მასობრივი ტირაჟით გამოშვება სხვადასხვა სახის პროვოკაციული პროკლამაციებისა, რომლებიც ეროვნულ შუღლს თესდნენ და დარბევისა და მკვლელობებისაკენ მოუწოდებდნენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი რევოლუციურ იატაკქვეშა სტამბებიდან კონფისკირებულ მანქანებზე იბეჭდებოდა. პოლიციის დეპარტამენტისა და ამ საიდუმლო განყოფილების სინდისზე კიშინიოვში, გომელში და სხვა ქალაქებში პროვოცირებული დარბევები, რომლის დროსაც დიდძალი ებრაული მოსახლეობა ამოწყვიტეს.

ასე, მაგალითად, გომელში ადგილობრივი ეანდარმთა სამმართველოს ოფიცრის გრაფ პრედგორინიანის მეთაურობით მოწყობილი დარბევის დროს რამდენიმე ათასი კაცი დაიღუპა. როცა ეს ამბავი ხელმწიფეს ამცნეს, მოსენებზე დააწერა „იგე რა ჩემი საქმეა?“... ამ აქციის ორგანიზატორი გრაფი კი დააწინაურა ერთ-ერთ შავიზღვისპირა ქალაქის პოლიცმეისტერად.

პოლიციის დეპარტამენტის მიერ იყო პროვოცირებული ბაქოს სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის შეტაკე-

ბა. სტალინის მიერ დაწერილ პროკლამაციით რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი მოსახლეობას განუმარტავდა, რომ მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა ერთმანეთისათვის წაეკიდებინა სხვადასხვა ერები — ამიტომ აუცილებელი იყო, პროლეტარიატს დიდი სიფრთხილედ და წინდახედულობა გამოეჩინა და მთავრობის ანკესზე არ წამოგებულყო“.

...მეფის მთავრობამ—ეწერა პროკლამაციაში, — თავისი ტახტის გასამაგრებლად „ახალი“ იარაღი გამოიგონა. ის მტრობასა და შურს თესავს სხვადასხვა ერებს შორის, ის ერთერთზე ასისიანებს მათ... და ყ ა ვ ი ხ ა ლ ხ ი და ი ბ ა ტ ო ნ ე მ ა ს ზ ე ო ა ი რ ა პ ო ლ ი ტ ი კ ა ს ა დ გ ი ა მეფის მთავრობა...“ აქვე აღწერილი იყო ბაქოში ძმათა შორის გამართული ბრძოლა: „კვენსა და ქვითანი ბაქოში მომავლად სომხებისა და თათრებისა; ცრემლები დედების, ცოლების და ბავშვებისა; სისხლი, უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი პატიოსანი მოქალაქეებისა; შეშინებული, ფერმკრთალი სახეები გზადანტული ადამიანებისა, რომლებიც ტყვიას გაუბრუნდნენ; დაქცეული სახლები, განადგურებული მღაზიები და საშინელი, განუწყვეტელი ზუზუნი ტყვიებისა, — აი, რითი უნდა გაამაგროს საზიზღარმა მეფემ თავისი საზიზღარი ტახტი!“ და ბოლოს, პროკლამაცია კავკასიის პროლეტარიატს მოუწოდებდა: „თქვენ სომხებო, თათრებო, ქართველებო, რუსებო, ხელი ჩაპკიდეთ ერთმანეთს, შეერთდით და ერთხმად შესძახეთ: ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხთა შორის ძმობას!“

პროკლამაციებში ეწერა: „სანამ მეფის ხელისუფლება ცოცხალია, და რაც უფრო კარგავს იგი ნიადაგს, მით უფრო ხშირად მიმართავს რბევას“.

ეს სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა. მალე მეფის ოხრანკა შეეცადა, უკვე თბილისში შეეტაკებინა ერთმანეთისათვის სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა. ამის საპასუხოდ

ვანქის სომხური ეკლესიის ეზოში შედგა გრანდიოზული მიტინგი. რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი მოსახლეობის წარმომადგენლები. მათ ფიცი დასდეს, რომ მხარს დაუჭერდნენ ერთმანეთს „უთანხმოების მთესველ დემონთან“ ბრძოლაში. მანიფესტაციები და მიტინგები მეორედ დღესაც გაგრძელდა. რვა ათასმა კაცმა მოიყარა თავი სიონის საკათედრო ტაძარში, იქიდან კი მეჩეთში გადაინაცვლეს. სიტყვით გამოსულები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ რევოლუციის შავი ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო პროლეტარიატის რიგების შემჭიდროება. მეჩეთიდან დემონსტრანტები სასახლის ქუჩაზე, იქიდან კი გოლოვინის პროსპექტზე წავიდნენ. წინ ხელში აყვანილი მედროშე გაიძღოლეს. იგი ხალხს მოუწოდებდა.

— დავიფიცოთ, რომ ხალხთა ბრძოლას ვუერთგულდებით!

— ვფიცავთ! — გუგუნით უბასუხებდა ხალხი.

— დავიფიცოთ, რომ წითელ დროშას არ ვუღალატებთ!

— ვფიცავთ!

...გავიდა რამდენიმე თვე, მაგრამ მეფის მთავრობამ ხელი არ აიღო თავის ვერაგულ ზრახვებზე. და აი, თბილისში კვლავ დაიჩხა ავი ხმები, რომ მზადდებოდა სომეხთა და აზერბაიჯანელთა შეტაკება...

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა დაუყოვნებლივ მიიღო ზომები სისხლისღვრის თავიდან ასაკლებლად: იმავე დღეს გავრცელდა პროკლამაცია, რომელსაც სააშკარაოდ პრეზუმირებდა ამ პროვოკაციის ორგანიზატორები. ავტორი მრისხანედ მიმართავდა მათ: „თქვენ კი, ლაქიებო გვირგვინოსანი ჯალათისა, თქვენ, ჩვენი სისხლით რომ იკვებებით, ჩვენი ცოლშვილის ცრემლებით რომ იკლავთ წყურვილს, თქვენ კი, ლაქიებო, გეშინოდეთ თქვენი საზიზღარი ამბები მთელ

რუსეთს მოედება, გულებს აუნთებს პროლეტარებს, და საერთო აჯანყება აგწმენდთ „პირისაგან ქვეყნისა“. გეშინოდეთ, გათახსირებულნი!

გაუმარჯოს მოწყობილ აჯანყებას! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ავგისტოს მშვენიერი დღე იდგა, ისეთი, როგორიც მხოლოდ თბილისში იცის — თბილი, მშვიდი. საღამო ეამის მიუხედავად ქალაქის ზეცა ჭერ ისევ ნათელი და უძირო იყო. ერევნის მოედანზე ეკიპაჟები მიდი-მოდიოდნენ, ხალხი ჭგუფ-ჭგუფად იკრიბებოდა, დაჰქროდნენ მგზავრებით გაჰყვდილი კონკები. თამაშშევის ქარვასლაში გაცხოველებული ვაჭრობა მიდიოდა. ყველაზე მეტი მუშტარი აღმოსავლური ტკბილეულის მაღაზიას ჰყავდა. მისი მფლობელი, ჰაჯი რაჰმანოვი, იქვე, მაღაზიაში იყო. თავზე ჩალმა ეხურა, ფერხთ წვეტიანი სპარსული ჩუსტები ეცვა. ფეხმორთხმით იჭდა ხალიჩაზე, კმაყოფილებს ნიშნად ხელს ინით შეღებულ წვერზე ისვამდა და თან პატარა კიქით ყლუპ-ყლუპად სვამდა ჩაის. იგი ცნობისმოყვარე მზერას აყოლებდა ქალაქის გამგეობისაკენ მიმავალ მუშებს, ხელსნებს, ინტელიგენტებსა და გიმნაზიის მოსწავლეებს.

სხდომათა ოვალური დარბაზი, რომელშიც იარუსებად იყო დალაგებული სავარძლები, თანდათან იესებოდა. ხალხს არავინ უშლიდა შესვლას — არც დარაჯი ჩანდა სადმე, არც ხელი-სუფლების წარმომადგენელი. აქ იმისათვის იკრიბებოდნენ, რომ დაეგმოთ ცარიზმის მიერ პროვოცირებული სომეხ-თათართა ზოცვა-ყლუბა, პროტესტი გამოეცხადებინათ იმათთვის, ვინც კანის ცოდვის ჩასადენად აქეზებდა ძმებს და ნიღაბი აეხადათ ცარიზმის აგენტებისათვის, რომლებიც საქართველოს დედაქალაქშიც აპირებდნენ ამ სისხლიანი ტრაგედიის მომზადებას.

მათ განზრახული ჰქონდათ, მოწყობილით მიემართათ ხალხს ვიღაცეის მიხედვით გათხალხთა ძმობა და ერთობა. ამ შეკრებაზე ვასილიც და მისი ახანანაგებიც — გიმნაზიის მოსწავლეებიც — მოსულიყვნენ.

აი, თავმჯდომარის ზარის ხმა გაისმა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. სიტყვა მომხსენებელს მისცეს. მან ის-ის იყო დაიწყო ლაპარაკი, პოლიციის მოხელე გამოჩნდა, უბოდიშოდ შეაწყვეტინა სიტყვა ორატორს და ხმაძილა განაცხადა:

— ბატონებო, გენერალ-გუბერნატორი უმოჩინოვდასა და გთხოვთ დაიშალოთ!

პასუხად გულისწყრომის შექაზილები და სტვენა გაისმა:

— ეს უკანონობაა, თავისუფლების ფეხქვეშ გათელვაა!

— ძირს!

— გაეთრიე!

— ძირს!

მთელი დარბაზი აღშფოთდა და აბობოქრდა, მაგრამ ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ფეხზე წამოდგნენ, შიშით მოავლეს თვალი ირგვლივ და წელში ორად მოხრილნი გაემართნენ გასასვლელისაკენ. ხალხმა დამცინავი სიცილი მიიყოლა უკან. ვინ იცის, მხოლოდ შიშმა გააქცია, თუ წინასწარ იცოდნენ, რა უბედურებაც უნდა დატრიალებულიყო აქ. მომხსენებელმა დააპირა სიტყვის გაგრძელება, მაგრამ დარბაზში კვლავ შემოვიდა პოლიციის ოფიცერი, თან კაზაკები შემოჰყვნენ. ოფიცერმა კატეგორიულად განაცხადა:

— გენერალ-გუბერნატორის სახელით გთხოვთ, დაიშალოთ!

ხალხი მიხვდა, რომ ხელისუფლებას შეიძლებოდა პროვოკაცია მოეწყო, ამიტომ, ახლა უკვე გადაწყვიტა დამორჩილებოდა ბრძანებას და დარბაზი დაეტოვებინა. ისინი გასასვლელისაკენ გაემართნენ. ვიწრო დერეფანსა და ჰოლში კაზაკთა მწყრივის შუაში მოუხდათ გავლა. კაზაკებმა უდანაშაულო

ადამიანებს უმოწყალოდ დაუწყეს ცემა კონდახებით, მუშტებითა და ჩეჭმებით.

ხალხმა უკან დაიხია. დარბაზში მყოფმა კახავეძმა მათ მიბრუნით დაუწყეს სროლა, მერე ხიშტები დაატრიალეს. შიშით თავზარდაცემულემა და დაბნეულებმა, აღარ იცოდნენ რა ექნათ, სად დამალულიყვნენ.

ვასია სხვებთან ერთად შეშინებული აწყდებოდა აქეთ-იქით. შემდეგ მალა ავიდა და აივნის კარს ეცა მაგრამ იგი დაკეტილი აღმოჩნდა. კარის გვერდზე ვიტრაჟიანი ფანჯარა დაინახა, გაამტვრია, გაძვრა და შენობის ფლიჯელის სახურავზე აღმოჩნდა. დარბაზიდან დაპრილების კენესა და ყვირილი ისმოდა. ვასილს სხვებიც მიჰყვნენ. სახურავიდან ვიწრო სახანძრო კიბით ეზოში დაიწყეს ჩასვლა. უკნიდან შიშისაგან გონდაკარგული ბრბო აწევებოდა, ზოგი თავს ველარ იმაგრებდა და კიბიდან ეზოში ვარდებოდა. დასახიჩრებულებმა და დაპრილებმა მათ ფანჯრებთან მომდგარი კაზაკები ტყვიებით ცხრილავდნენ.

ვილაცა კიბეს მოსწყდა, მაგრამ ბიჭაის კალთით კედლიდან გამოშვერილ სქელ მავთულს ჩამოეგო და უშწოდ ჩამოეკიდა. იგი ყვირილით შველას ითხოვდა, მაგრამ მალე ტყვიებით დაცხრილეს. გვამი კიდევ კარგახანს ცოცხალივით ტოკავდა და ქანაობდა ჰაერში.

ეს ნამდვილი ჭოჯობეთი იყო. ვასიამ ტყვიების სეტყვის ქვეშ გადაირბინა ეზო და ქუჩაში გამავალ ჭიშკარს მიაწყდა, მაგრამ იგი ჩაკეტილი აღმოჩნდა. ჩანდა, ვილაცამ წინასწარ დაამუშავა ამ ხოცვა-ჟლეტის დეტალები, ყველა წვრილმანი გაითვალისწინა: შენობის გასასვლელები ჩაეკეტა და ხალხი ნამდვილ ხაფანგში მოაქცია. თავის გადასარჩენად ზოგმა ლობეში მოინდომა გაძრომა, მაგრამ რკინის წნელებში გაიჭედნენ და ცხენოსან კაზაკთა ხმლების წერა გახდნენ. ვინც ლობეზე გადაძრომას შეეცადა, ტყვიებით დახოცეს.

მხოლოდ იმათ შეიძლებოდა გადასარჩენის იმედი ჰქონოდათ, ვინც კედლებზე ჩაყოლებული ჭეის ლავგარდანის ქვეშ მოასწრებდა თავის შეფარებას. ამ ვიწრო ზოლში ტყვიები ვერ აღწევდა, ამიტომ ყველა იქით გაეშურა. კედლის ძირას წარმოუდგენელი ზედახორა გაიმართა. ვასიამ დაინახა, რომ მის ამხანავს მუცელში მოხვდა ტყვია. პრილობიდან სისხლმა ამოასხა. დაპრილი წაიქცა, პრილობაში თითი ჩარგო და თავშესაფარისკენ გახიზნა. ვასიამ დახმარება დააპირა, მაგრამ ამ დროს ტყვიამ ხელის შტევიანი გაუხვრიტა, მეორემ კი ადგილზე განგმირა მისი ამხანავი.

მალე აქ სროლა მიწყდა, მაგრამ მიმდებარე ველიამინოვის ქუჩაზე დაიწყა. იქიდანაც ხალხის განწირული კვენსა და ყვირილი ისმოდა.

მხოლოდ გვიან ღამით შეძლეს ვასიამ და სხვებმა თავი დაეღწიათ ამ კოშმარისათვის: მათ იქვე, გამგეობის შენობაში, რომელილიაც საწყობს შეაფარეს თავი, დაპრილები ვადმოიყვანეს და მიყუჩდნენ. მალე ხალხით გატენილ ვიწრო შენობაში სუნთქვა გაძნელდა. განსაკუთრებით დაპრილები იტანჯებოდნენ წყურვილისაგან... ქუჩაში სროლა გრძელდებოდა. დრო არავინ იცოდა. მტანჯველ მოლოდინს ბოლო არ უჩანდა. ხსნა არსაიდან ჩანდა. უეცრად კართან სინათლე აკიაფდა — სარდაფში მეზოვე შემოვიდა. ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. ვეება უღვაში და გრძელი ცხვირი მრისხანე გამომეტყველებას აძლევდა, მაგრამ სარდაფში თავშეფარებულებს იგი მფარველ-ანგელოზად მოეჩვენათ. მართლაც, ლეთისნიერი ადამიანი აღმოჩნდა. ასეთ საბიფათო ვითარებაში სხვა ვინ გაბედავდა დასახმარებლად მოსვლას? სთხოვეს, რაც შეიძლება ჩქარა წყალი მოგვიტანეთ. მეზოვე მალე მობრუნდა და წყლით სავსე დიდი ღოჭი და სარწყავი მოიტანა. როცა მწყურვალთ გული იჭერეს, რომელილიც, მხოლოდ მისთვის ცნობილი, საიდუმლო გასასვლელებით ქუჩის მეორე ბოლოს გაი-

ყვანა ისინი. აქ მოედნის მხრიდან ის-
მოდა განარისხებული ხალხის მრავალ-
ათასიანი კრებულის გუგუნე.

ჭუთაისის საგუბერნატოროს შენობა, რომელიც თავის დროზე პრინც ოლდენბურგმა ააშენა, მისივე სახელობის ერთ-ერთ წყნარ ჭუჩაზე იდგა და თავისი ლამაზი არქიტექტურით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. საგუბერნატოროში ოცდაათზე მეტი ოთახი იყო. ვლადიმერ სტაროსელსკის კაბინეტი და მისაღები მეორე სართულზე გახლდათ. მაღალკერძიანი, ნათელი კაბინეტის ფართო ფანჯრები ჭუჩაში გადიოდა. ფანჯრებს სტელი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. განიერი საწერი მაგიდის თავსა და ბოლოში წიგნების გორა აღმართულიყო, ასე, რომ კაბინეტის პატრონის დანახვა მხოლოდ მათ შორის დარჩენილ სივრცეში შეიძლებოდა. წიგნების ყუით შეიძლებოდა მიმხვდარიყავით, რომ ისინი ძირითადად აგრონომიისა და ეკონომიკის დარგებს განეკუთვნებოდა. აქ თვითონ სტაროსელსკის ნაშრომებიც მოჩანდა: „მოკლე დარიგება ამერიკული ვაზის კულტურის ჭუთაისის გუბერნიაში მოშენების შესახებ“, „მეღვინეობის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ და სხვა.

მეფის მაღალი რანგის მოხელის სახანავად მოსულ მთხოვნელებს თავი მეცნიერის კაბინეტში ეგონათ. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა ფლიგელში მოთავსებული საცხოვრებელი ბინის მოწყობილობა. კედლებს აყოლებული მაღალი სტელაჟები სამეცნიერო ლიტერატურით იყო გაკედილი, ერთ-ერთ ოთახში მაგიდაზე პატარა-პატარა ბოთლები, სინჯარები, ქიმიური რეაქტივებით სავსე ქილები და სპირტქურები ელაგა. იქვე მიკროსკოპი იდო, რომელსაც თავზე მინის სახურავი ეფარა. კარბებში ჩამწყობებულ ქილებში ყურძნის მტენები და სანამყენე კალმები მოჩანდა. კედელზე, მენდელეევის ცხრი-
ს. „მნათობი“, № 12

ლის ქვეშ დიაგრამები და ცხრილები ეკიდა.

...გარეთ აედარი მძვინვარებდა. ქარი საშინელი ძალით ეხეთქებოდა ფანჯრებს, მასიურ ჩარჩოებში ატანდა და ხავერდის მძიმე ფარდებს არხევდა. ბროლის ქალი ჩამქრალი იყო, ოთახში მხოლოდ ქსოვილის ქოლგისოდნა ფონებიანი აბაჟურით თავდაბურული მაგიდის ნათურა ენთო. მას სიბნელისათვის ერთი მორბილი წრე გამოეცაცებინა და მოსაუბრებების — სტაროსელსკის, ყიდვიძისა და გომართელის დამძული სახეები გაენათებინა. მაგიდის ბოლოში ვასია იჯდა, მოღუშული და ჩაფიქრებული. ხელი შეხვეული ჰქონდა.

— ვასია, რაც თბილისიდან ჩამოვიდა, თავის ჭკუაზე აღარ არის, — თქვა ვლადიმერმა, — პირდაპირ ვეღარა ვცნობ.

— ხუმრობაა კბაქუსათვის ასეთი ტრავმის გადატანა? — შენიშნა ივანე გომართელმა, — ამას გაძლება არ უნდოდა? ქალაქის გამგეობაში ხომ ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს!

— მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ აღამიანს ასე, მხეცივით შეეძლო მოქცევა, — აჟანკალებული ხმით თქვა ვასიამ, რომელსაც კვლავ გაახსენდა გადატანილი საშინელება.

— აი, შენ ამბობ მხეცივით მოიქცენო. ამით ცხოველთა სამყაროს ცილს სწამებ, — შენიშნა ყიდვიძიმ.

— სწორია, — დაეთანხმა სტაროსელსკი, — მხეცს გაბოროტებისა და გაცოფების დროსაც კი, ისეთი გამოგონებლობის უნარი არა აქვს, როგორც აღამიანს, აღამიანი კი, როცა სიძულვილისა და შურისძიების ბრმა გრძნობის ტყვეობაში მოექცევა, თავის ჭკუას უხმობს შემწედ და ათასნაირ დახვეწილ ხერხს პოულობს მოძმის საწამებლად. განა აღამიანმა არ მოიგონა ურმის თვალს გაკვრა, ძელზე გასმა, მოზარდ, წვერწამახულ ბამბუკზე დასმა? ბამბუკი სწრაფად იზრდება და მსხვერპლს ჰვმირავს, საშინელი ტანჯ-

ვით კლავს განა მხეცი, ამას მოიფიქრებმა თავის მსგავსთა საწამებლად? რამდენი მაგალითია იმისა, რომ გამყინვარებული მხეცი ბავშვს არას უშაყებს. გეგამოვმა, მზრის უფროსმა, კი, რა გააკეთა? აუღელვებლად, სადისტურად გასცა ბრძანება ეწამებინათ უმწეო ქალები, ბავშვები და მოხუცები...

— გახსოვთ, რას ამბობს დოსტოევისკი „მკვდარი სახლის ჩანაწერებში“? — ჩაუბრათ ალექსანდრე ყიფშიძემ, — არსებობენ ადამიანები, რომელთაც ვეფხვივით სწყურიათ სისხლის ლოკვა. ვინც ერთხელ გამოსცადა ამგვარი ძალაუფლება, ამგვარი შეუზღუდავი ბატონობა სისხლითა და სულით თავისივე მსგავსი ადამიანის, თავისივე მსგავსად შექმნილი, ქრისტესმიერი ამის სხეულზე, ვინც ძალაუფლების გემო გაიგო, ვისაც სრული შესაძლებლობა მიეცა, უკიდურესად დაემცირებინა სხვა, თავისივე მსგავსი, ღვთის სახის მატარებელი არსება, იგი უნებლიედ უკვე ველარ ახერხებს თავისი გრძნობებისა და ვნებების მოთოკვას.

— როგორ ზუსტად და ამომწურავად ადასტურებს ის, რაც ახლა ხდება იმპერიაში, იმავე ფიოდორ მიხაილოვიჩის სიტყვებს, — განაგრძო სტაროსელსკიმ, — რომ ტირანობა ჩვეულებაა, იგი ავადმყოფობად იქცევა. სისხლი და ძალაუფლება ათრობს ადამიანს, ვრცელდება უხეშობა და გარყვნილება: ტირანობა საბოლოოდ უღებს ბოლოს ადამიანსა და მოქალაქეს... თვითნებობის სენი მთელ საზოგადოებას ედება... საზოგადოება, რომელიც გულბრილად უყურებს ამგვარ მოვლენას, უკვე საფუძველშივე დაავადებული.

მოსაუბრეებს ნერვები ისე ჰქონდათ დაჭიმული, რომ, როცა კარზე ვიღაცამ ნელა დააკაკუნა, შეკრთნენ, თითქოს სროლის ხმა გაიგონესო. ზღურბლზე მხარბეჭიანი, ჩასხმული მამაკაცი გამოჩნდა, ტანთ შავი ხალათი ეცვა, შარვალი ქუსლებმოჭკეულ ჩექმებში ჰქონდა ჩატანებული.

— გამარჯობათ, ბატონებო, — მიესალმა იგი დამხედურებს და მიუხედავად ყვრიმალეზწამოწეულ სახეზე თბილი ღიმილი აუთამაშდა.

ახალმოსულს ლოყები შავი, ჯავარივით უხეში, ჭალარავარიული წვერით ჰქონდა დაფარული. ცხვირზე და შუბლზე ნაყვავილარივით მოუჩანდა შავ-შავი წერტილები — სამკედლო ქურასთან მრავალწლოვანი შრომის ნაკვალავი, მაგრამ მის ცეცხლის ალთან ურთიერთობაზე უფრო აშკარად ხელები მიგანიშნებდათ — დიდი, დაყოკრილი და ჰვარტლჩამჭდარი.

— ოო... საელე, ძვირფასო, მობრძანდი, მობრძანდი! — შეეგება ვლადიმერი და დაჯდომა შესთავაზა. გომართელმა და ყიფშიძემ თბილად ჩამოართვეს ხელი.

— დროზე მოხვედი, მეგობარო, — შენიშნა გომართელმა. — ალექსანდრე სწორედ ახლა გვიამბობდა გამოძიების შედეგებს, რომელიც ზუგდიდის მზრის უფროსის, გეგამოვის, სისხლიანი საქმიანობის გამოსარკვევად იყო დანიშნული

— ოო! მე ვიცნობ გეგამოვს, ეგ ხომ ადამიანი არ არის, ნამდვილი ურჩხულია.

— ამგვარად, გომართელი მართალი გამოდგა, — განაგრძო საუბარი ყიფშიძემ და სტაროსელსკის მიუბრუნდა, — მისი თხოვნითა და თქვენი დავალებით რაც შეიძლებოდა გულდასმით გვერკვეე ყველაფერში, ბევრი მოწმე დავეითხე სულ სხვადასხვა წოდებისა და თანამდებობის ადამიანი: გლეხებიც, მდაბიონიც, სასულიერო პირებიც. უცილობლად დადასტურებულა, რომ მზრის უფროსი, გეგამოვი, სადისტი და სისხლისმსმელია.

— პირწავარდნილი გარეწარია. თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს მიმდინარე მოვლენების არსი არ ესმოდეს, — განაგრძელა ყიფშიძის აზრი სტაროსელსკიმ, — თავიდანვე გამოამჟღავნა სიტუცილი გლეხების მოძრაობისადმი და

რალაც მძვინვარე სისასტიკით ცდილობს ჩაახშოს იგი.

— ბატონმა გეგამოვმა გადაწყვიტა მარტოდ-მარტო წინ აღუდგეს, შეაჩეროს გამანათავისუფლებელი მოძრაობა, მთელს რუსეთის იმპერიას რომ მოედო, აღუდგეს მთიდან დაგორებულ ზევს, — ჩაურთო სავლემ, — ამოცდა. მას და მის მსგავსთ არ ესმით, რომ რეპრესიები პირუკუ მოქმედებას იწვევენ.

— სწორია, სავლე. სახალხო მოძრაობა ახლა უფრო გაძლიერდა მაზრასი, ვიდრე თებერვალში იყო. — ეს ნამდვილად გეგამოვის მოქმედების შედეგია. იზრდება გაბოროტება ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიმართ. უნდა გაეაძვეოთ თანამდებობიდან ეგ არამზადა, თანაც დაუყოვნებლივ!

— სწორია! ჩვენი კომიტეტი ვართ გორიულად მოითხოვს ამასვე, კვლავ ჩაურთო სავლემ, — ეს ფრიად სამართლიანი მოქმედება იქნება ზუგდიდის მაზრის უბედურ, დაწოკებულ მოსახლეობის მიმართაც.

ვლადიმერ სტაროსელსკი სწრაფად წამოდგა, ყიფშიძეს მიუბრუნდა და დაასკვნა:

— ამგვარად, მოამზადეთ დებეზა ილარიონ ივანოვიჩის სახელზე, რათა განიხილოს ჩვენი თხოვნა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო გეგამოვის ზუგდიდის მაზრის უფროსის პენსიის მიუცემლად თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე და აღიძრას მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ჩადენილი დანაშაულებრივი საქმიანობის გამოსაკვლევად.

□ ბაბრძილა ივნიბა □

მარი აბრამიშვილი

ი ა

წერ კიდევ თეთრად
 ჰლუოდნენ მთანი,
 წერ კიდევ ზამთარს ჰგუობდა
 მშველა,
 როს ციცქნა იამ
 ამოჰყო თავი
 და გაზაფხული ამოიმღერა,

მერე მოფრინდა მერცხალიც
 შორით,
 მერე —
 ზამბახიც ამოიღერა,
 მაგრამ ეს ციცქნა ია
 მათ შორის
 იყო პირველი ტრფობის
 სიმღერა.

უ ი უ

არ მოადგება ქურდი ჩემს კარს —
 მან კარგად უწყის,
 რომელ კარიდან გამოჰყვება ხელს
 ოქროვები.
 ამ ქურდის ქურდის ეშინოდეს
 ურცხვსა და უძღებს —
 მე სხვა სიმღიდრე მაქვს ნაგროვები.
 მაგრამ სულშიც რომ შეუძლია
 შემოჭრა უცებ,
 მე მეშინია
 იმ ალალის ჩამოჭროლების.

• • •

როგორ ეშინოდა შენი, სიკვდილო!
 ხომ ფერებ-ფერებით წაიყვანე?
 ხომ ფრთხილად ჩაიხუტე გულში და
 მკერდი კლდესავით აიყვავე;

ანგელოსებთან
 ცათა შინა
 ხომ მშვიდობით აიყვანე?
 ეს კი —
 შენი შიშით მოკვდა, სიკვდილო!



მე და მე

მე შევაჯიბრე ორი პოეტი:
ერთი — ჭაბუკი,

ერთი — ხნიერი;
ერთურთს ეკვეთნენ ნამდვილ
მტრებივით,
თუმცა საერთო ჰქონდათ იერი.
ო, რა ამბავში იყო პირველი —
ფიცხი, გიჟმაჟი და უღიერი!

ჟინც ბებერმა მოჰკლა ცბიერმა
ახალგაზრდა და მასზე ძლიერი.

არც სახლი მქონდა,
არც არაფერი,
ყოველი მქონდა სულისმიერი
და
ბედნიერი ვიყავი მაშინ,
ო, მე ვიყავი რა ბედნიერი.

განმორება

სად მიდიოდა მატარებელი,
რომელ ქალაქში,
რომელ დაბაში?
სად მიებჯინა მზერა ღამეში
ელშაველის თვალებს —
სად ჯანდაბაში?
სად მიდიოდა მატარებელი,
საით ეძახდა გზების სიშორე?
გული —
ბორბლებში დატანებული,
რას მიჰკიოდა ღამის სიშავეს?
სად მიდიოდა მატარებელი,
ჩისში გველივით კუდმოქნეული,
საით გაჰყავდათ მორკალულ რელსებს
გზა —
უგზო-უეკლო და მოხვეული?
სად მიდიოდა,
სად მიდიოდა,
სად მიდიოდა მატარებელი?!

სინანული

ჩვენს შორის იდგა —
ნატრული ძმათა,
ჩვენს თვალწინ ჩუმად იწვოდა
დიღხანს;
რა აწუხებდა?
რა ცეცხლი წვავდა?
არც თვითონ უთქვამს,
არც ჩვენ გვიკითხავს.

ამაყ სულს სხვისი
რა უნდა სურდეს?
იდგა — თავისას ელოდა,
მეგრამ
ჩვენ გულგრილობის
ვესროდით გუნდებს
და დაეინახეთ...
როდესაც გაქრა.

ყოვლის მჭვრეტელი

საქართველოს
ლიტერატურის

დღისით — სხვა ხალხი დადის ქალაქში, ლამით — სახეებს შეხედები ყველას ხედავს და ვინ როგორ დადის, ვინ რითი სუნთქავს.	სულ სხვას, — იცი ქალაქმა, ქალაქს დედის აქვს გული ქალაქი ათბობს, ქალაქი სუსხავს, ვით შევილთა ზნეთა მცნობი მშობელი, ქალაქი ყველას თავისას უზღავს.
--	---

დაბრძენებული ოცნებები

ფიქრებო —
უფროდ დაბრუნებულ ოცნებებო,
ეს რა ამბავი მომიტანეთ:
ვერსად ვპოვეთო...
ველარ გიცანით, თქვე ბებრებო,
ველარ გიცანით,
კარის გაღებაც არ მინდოდა თქვენთვის,
მდორენო!
საით გაგისხლტათ ის გიჟმაჟი
ნაკადულები,
რომელ მებაღურს შეატოვეთ
ის ოქროს თევზი?
მოგონებებში დამღვით სკასავით
და ფუტკრებივით მეხვევით
თავზე,
ფიქრებო —
ჩემო დაბრძენებულ ოცნებებო.

როგორ?

გულო, ასად, ათასად
როგორ უნდა გაიბო,
ყველას ჭირი და ლხენა
როგორ უნდა გაიყო?
ყველა ჩქაშზე, ძაბილზე
(თუნდაც მოყვრის ხმა იყოს).

ფარღალღალა კარივით
როგორ უნდა გაილო?
ვინც ქობივით იწვის და
ვინც კოშკები აიგო —
ყველა როგორ გიყვარდეს,
გულო, ჩემო დაიყო?



ქვემოთ ქარხნაჲ

ბიძარეზი იონა

მოთხრობა

ზღაპარი იყო, ზღაპარი იყო,
ქალას ჩიტი მომკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
მატარაში ლაღე იყო.

ხალხური პარამოქსი

პილოზი

ამიტომ 28 ივნისს კიდევ ერთხელ ვეწვიე მშობლიურ სანაკლიოს...

მატარებელმა რომ უკანასკნელი აღმართი აიარა და ღია სარკმლიდან სანაკლიოს ფერადი სახურავები გამოჩნდა, მაჩისცემა მკვეთრად გამიზზირდა; ის თავდაღმართიც რომ ჩავათავებთ და კივილით შევედით ძველ სადგურში, რომელიც დროის დინებას ისე გაჩიუტებოდა, იოტის ოდენადაც კი არ შეცვლილიყო, გული უკვე კედლებს აწყდებოდა და გარეთ გამოვარდნას ლამობდა; ბაქანზე გამოსულმა რომ ღრმად და სენტემენტალურად ჩავისუნთქე მძიმე, დახუთული ჰაერი (ვინც ხანგრძლივი და უსახელო წანწალის შემდეგ მცირე ხნით მაინც სწევვია მშობლიურ ფუძეს, იცის, რომ შეგრძნებათა სუბიექტურობის გამოისობით ასეთ დროს ყველაფერს საამო სუნი ასდის), ცრემლი მალულად მოვიწმინდე და ძალდაუტანებელი პათეტიკით გავიფი-

ქრე: „ღმერთო, რამდენი დრო გამპარვია თვალსა და ხელს შუა!“, ხოლო მოსაცდელი დარბაზიც რომ გავიარე, რომელშიაც, როგორც მომეჩვენა, სიგარეტის ნამწვები იმავე ადგილას ეყარა, სადაც წლების წინ დავტოვე, და მოედანზე გავედი, ჩემი ბავშვობის ორეულები, ფეხშიშველები და მუხლებზე შარვალგამობდღენილები, ქალაქის ყველა კუთხიდან წამოიშალნენ, შესაბეველად გამოეშურნენ და მუშტრის თვალით დამიწყეს ცქერა, თითქოს ამოწმებდნენ, აბა ერთი, რა გამოვიდა ჩვენგანო (სულელები! რა უნდა გამოსულიყო!).

გული რალაც ძალიან დიდით და ძალიან მსუბუქით მქონდა საესე და გადავწყვიტე ცოტა ხანს ქალაქის ქუჩებში მეხეტიალა.

ახალი ნაწვიმარი იყო; ოღრო-ჩოდრო ტროტუარებზე მოფენილი მრავალრიცხოვანი გუბურები ამოშავალი მზის ოქროსფერ სხივებს ხალისიანი ბრჭყვილით ირეკლავდა.

მალე ქალაქის ცენტრს მივუახლოვდით და მივხვდი, რომ მარადიულობის შთაბეჭდილება, რომელიც სადგურის დანახვაზე დამეუფლა, მცდარი ყოფილა. მშობლიური სანაკლიო შეცვლილიყო და გვარიანადაც შეცვლილიყო: მთავარი მოედანი გადაეკეთებინათ და გაეფართოებინათ, მილიციის შენობა ეკლარის ქვით მოეპირკეთებინათ, კიპარისები გაზრდილიყო, სასტუმრო დამწვარიყო, მთავრობის სახლის წინ ახალი რესტორანი გაეხსნათ, ბაღი დაეგავათ, ფსიქიატრიული საავადმყოფოსთვის კიდევ ერთი კორპუსი მიემატებინათ, შორს, ქვემოთ, სადაც ადრე ტრიალი მინდორი იყო და ჩემი შორეულ ბავშვობა სიქის გაცლამდე ფეთიანით დასდევდა ბურთს, ახლა მაღალ-მაღალი შენობები აეგოკოლაგებინათ და შიგ სანაკლიელი მოქალაქეები დაბუდებულიყვნენ. ამ ცვლილებების დანახვაზე ჩემი ბავშვობის ცნობისმოყვარე ორეულები, თითქოს დაფრთხნენო, უკან-უკან წავიდნენ და თვალს მიეფარნენ, მაგრამ მე მაინც ვგრძნობდი მათს სიბალოვებს, მაინც მომდიოდა მათი ოფლის სუნი. ან კი სად უნდა დაკარგულიყვნენ ამ ქალაქში მიწის ერთი გოჯი არ იყო, ზედ რომ ჩემი ფეხის ანაბეჭდი არ დამეტოვებინა. სანაკლიო, საყვარელი სანაკლიო! აქ დარჩა ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი ხანა, ყველაზე თბილი, ყველაზე სევდიანი, ყველაზე სათუთი მოგონებები... რა დამავეიწყებს, სკოლიდან რომ კოლექტიურად ვაგვიარებოდით და მეორე დღეს სამსწავლებლოში დირექტორი ქამრით გვეცმდა.. დირექტორს ფართე, ჯარისკაცული ქამარი ერტყა, რომელიც მოქნევისას რაღაც უცხო, კოსმიური ხმით წუთოდა. იმ ქამრის შეხსნას რომ დაიწყებდა, დედრობითი სქესის მასწავლებლები პირს მიბარუნებდნენ ხოლმე. ჰოი, რა პატარები ვიყავით მაშინ, რა გულუმბრყვილოები! რა მიაპიტურად გვეგონა, რომ დედრობითი მასწავლებლები ამას ჩვენი სიბრალულით სჩადიოდნენ... ან

ნაკლისწყალზე, ქვემოთ, მთავრობის შენობის მოთამაშე ბიჭუნს! ჩემი შემოგვებვიდით, სულგანაბული ვადევნებდით თვალს და გული გამალებით გვიძგერდა, რადგან ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან ჩხუბი მოუფიდოდათ და დანებს დააძრობდნენ... ეეპ, რა ტკბილია მოგონება და რა სევდიანი... გახსოვთ, ჩემო პატარა ორეულებო, ამურმა რომ პირველად გეტყოცნა ისარი და შიგ ათიანში გავვარჯო? ის ისარი ახლაც აქ გდია სადაც. ის ბანგიც აქ არის, ის ხანმოკლე მაგრამ სიკვდილივით ტკბილი და საშიში თავდავიწყება... სახელი აღარ ვახსოვს (დროო, დროო, უხამსო და მუხანათო!), მაგრამ ნახშირივით შავი გოგო იყო, იმდენად შავი, რომ გულის მესაიდუმლებები, რომლებსაც, უთქმელობას რომ არ გავგეგვდე; ჩემს ხვაშიადს უფხარებდი ხოლმე, ალალი ინტერესით მეკითხებოდნენ, სიბნელეში როგორ ხედავო. თქვენ რა იცოდით, ჩემო გადავიწყებულო მეგობრებო, რომ მე გულზე მესხა თვალები, გულის თვალი კი დამეკოტივით იყურება... პირველად რომ ვიგრძენი ილიებტქვეშ ფრთები და სანაკლიოს თავზე ღრუბლების გვერდით დავეკიდე, მათემატიკის უჯრებიანი რვეულიდან ექვსი ფურცელი ამოვხიე და ჩახრუხალულით გაწყობილი უჯრძესი ლექსი მივწერე. ისეთ ხობტას ვასხამდი, ზღაპრულ მზეთუნახავებს სიხმრად არ მოელანდებოდათ. ბოლოში, ყველაზე უკეთ გართმული ოთხი ტაბით, გაუზარებლად ვიშველიებდი რა მესამე გამორიცხულის ლოგიკურ კანონს, ასეთ ალტერნატივას ვუყენებდი: ან მომკალი და ან ჩემი ცხოვრების მარადიული თანამგზავრი გახდი-მეთქი. მე ჩემს პოეტურ ნიჭზე დიდ იმედებს ვამყარებდი და, რაც უფრო დიდ იმედებს ვამყარებდი, მით უფრო მეშინოდა შედეგის, მით უფრო ვთრთოდი და ცვახცხებდები მღელვარებისაგან. ამასობაში საუკუნეები გავიდა და მეორე დღეს, როცა იმისგან, ვისაც ჩემი ნამუშავევი გავატანე, შევიტყვე, რომ

ადრესატს ლექსი ბოლომდე წაეკითხა და თვალეზანთებულს ალტაცებით ეთქვა, დედა, ეს რა მშვენიერი „პოჩერიკი“ ჰქონიაო, ფრთებმა ქავილი დამიწყო და თოკებს, რომლებითაც ცაში ვეკიდე, ჰრაქა-ჰრუჭი აუტყდა, ხოლო მესამე დღეს, როცა წერილობითი პასუხიც მივიღე — დიდი სიამოვნებით, მაგრამ სხვისთვის მაქვს უკვე პირობა მიცემულიო — ბუმბულები შემოდგომის ფოთლებივით დამცვივდა, გამხმარი ფრთები მომჭრა, ტომარასავით მოვადინე ძირს ზღარათანი და მოკვდი. ისე უნუგეშოდ მოკვდი, თუ გავცოცხლებდი აღარ მეგონა...

ექებე! რას ემგვანებოდა ჩვენი ცხოვრება, ფესვები რომ რომანტიკულ მოგონებათა კამკამა წყაროში არ გვქონდეს ჩაციებულნი!

მე სევდიანად გავუღიამე ჩემს წარსულს, რომელიც გულის კოვზთან საამურად მილიტინებდა, და გავიფიქრე: „ო, რა ტკბილი ხარ, ბავშვობის ნეტარო ხანავ!“ ამის გაფიქრებაზე ბიძაჩემი იონა გამახსენდა, იმავ წამს მარცხენა ფეხი კოჭამდე ჩავტოპე მოზრდილ გუბურაში, მყისვე დამავიწყდა, რაზე გამახსენდა ბიძაჩემი იონა, რადგან კარგა ხნამალა შევიკუროთხე და ამით შემკრთალმა სწრაფად მიმოვიხედე, რომ დავრწმუნებულყავი, ჩემს უნებურ ბილწიტყვაობას მოწმე არავინ წასწრებია, მერე სველი ფეხსაცმელი ჩამდენჯერმე მაგრად დავკარი ტოტუარს, მაგრამ წყალი ბოლომდე არ გამოიწურა და, გზა რომ განვაგრძე, საამო მოგონებებს ერთხანს ამღვრეულ ფონად გასდევდა უსიამოვნო ჰყაპა-ჰყუპი. საბედნიეროდ ყური მალე შეეჩვია იმ ჰყაპა-ჰყუპს და, როცა მე და ჩემი ქალაქი კვლავ პარმონიულად შევერწყვეთ ერთმანეთს, ისევ გამახსენდა, რაზე გამახსენდა ბიძაჩემი იონა...

არა, დავიწყებით არც არასოდეს დამვიწყებია და, საერთოდ, ბიძაჩემი იონა ისეთი კაცი არაა, ვინმეს თავი იო-

ლად დაავიწყოს. გამახსენდა-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ იმ წამს მისი ხსენებულ უჩვეულოდ მკაფიოდ დამხსენდა გონების თვალწინ. ამის მიზეზი კი ის ფრანზიზა იყო, რომელიც გუნებაში „ო“ შორის-დებულთა დავიწყე. „ო“ შორისდებულზე ბიძაჩემმა იონამ წინადადებები იცოდა.

მთელს სანაკლიოში ორად ორი ადამიანი იყო, ვისაც ბიძაჩემი იონა უყვარდა: მე და დედაჩემი. თუმცა დედაჩემი იქნებ ანგარიში ჩასაგდები არცაა, რადგან მძა, მით უმეტეს უმცროსი მძა, რა ლეთის პირიდან გავარდნილიც არ უნდა იყოს, დას მინც ქვეყანას ურჩევნია. ასეთია ძმისა და, განსაკუთრებით, დის ბედი. მე რატომ მიყვარდა, ღიღხანს არ ვიცოდი. მხოლოდ გვიან, როდესაც დიდი გავიზარდე და, როგორც ნატიფი ირონიით ვიტყვით ხოლმე, ჰქუაში ჩავვარდი, როდესაც შუაღამემდე ძილი წმიდათაწმიდა მოთხოვნილებად მექცა, როდესაც მივხვდი, რომ ისე მოკვდებდი, ვერა საქმეს გულს ვერ დავუღებ, როდესაც ცოლის შერთვის შიში მკვიდრად გამიჭდა ძვალრბილში, როდესაც ქცევის ნორმებზე და სხვა ამდაგვარ სისულელებზე საბოლოოდ ჩაეიქნე ხელი (რის გამოც ჩემს გამოჩენაზე საზოგადოება უსიამოვნოდ და მგონი ცოტა უხერხულადაც იმშუშნება), როდესაც გადაჭრით დავადგინე, რომ გაცილებით უფრო იოლი და სასიამოვნოა, ცხოვრების მდინარეს მიენდო და მიყვე, ვიდრე გულში უგუნური მიზანი ამოიჭრა და ტალღებთან უაზრო ჰიდილში ეამიდან ეამზე ჰუტყუიანი წყალი ყლაპო, როდესაც ყოველივე ეს ნათელი შეიქნა, აი, მაშინ მივხვდი, რომ მე და ბიძაჩემი იონა სულით უფრო მკვიდრი და ახლობელი ნათესავები ვიყავით, ვიდრე სისხლით, და რომ დედაჩემმა თვითონ არ იცოდა, რომ, როცა ჩემს წყევლას, შინაარსიანს, ნათელს, კომპოზიციურად სანიმუშოდ შეკრულსა და მკაფიო, გამჭვირვალე შინაგან რიტმზე დამყარებულს, ტრადიციული ფორმულით და-

ასრულებდა — მოუკვდი, შვილო, დედაშენს, აგერ ნახავს შენი დასაყვები თვალები, თუ ყველა სიგლახეში მაგ შენს უსაქმურ და უსაქციელო ბიძას არ გამოემგვანებო — მისი ბაგეებით თავად ჭეშმარიტება ლაღადებდა. ოღონდ აქ ისიც უნდა შევნიშნო, რომ ზოგჯერ, როცა მამაჩემსაც წასძლევდა სული და ხსენებულ ფორმულას მიმართავდა (თუნდაც გაუხედავად და შერბილებული სახით), დედა მყისვე კლდესავით დადგებოდა თავისი მართლაც რომ უსაქმური და უსაქციელო ძმის დასაცავად. მამაჩემი, თავად მუდამ საქმიანი, უსაქმურობას ვერ იტანდა, ხოლო რაკი ბიძაჩემი იონა ჩვენთან ცხოვრობდა, ერთთავად იმის ცდაში იყო, როგორმე ცოლი შეერთვევინებინა. ეგონა, ამ გზით პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრიდა, რადგან მისი წესიერების პატრონს ვერ წარმოედგინა, რომ ბიძაჩემ იონას შეეძლო ცოლიც ჩვენთან მოეყვანა.

ერთით კი მაინც განვსხვავდებოდით მე და ბიძაჩემი: ის განათლებული იყო. სად და როდის განათლდა, არ ვიცი, მე პირადად ისეთ პოზაში არასოდეს მიწახავს, რომელიც განათლების მისაღებად მოხერხებული იყოს. მართალია რვა თუ ცხრა წელი უნივერსიტეტში ესწავლა და მგონი დამთავრებულიც კი ჰქონდა (დაბეჭიფებით ძნელია ასეთი რამის მტკიცება), მაგრამ, ჯერ ერთი, შვიდი წელი მეც გამოიტარებია შავ უნივერსიტეტში და არაფერი დამტკობია. არადა, ამკარად განათლებული იყო. ეტყობა, რაღაც გაუგებრობა მოხდა. ჩემი ვარაუდით, ადრე, სანამ მე დავიბადებოდი, წიგნების ღრღნით იყო გატაცებული და, როცა ყველა წიგნი დაღრღნა და აბრეშუმის ჭიასავით ირგვლივ პარკად შემოიკრა, მერედა გახდა პეპელა. რა თქმა უნდა, ეს სეროიზული ნაკლი იყო და ამ ნაკლს თვითონაც განიცდიდა. ან კი როგორ

არ განეცადა, როცა ამის გამო ითულებული იყო დროდადრო ისეთ საშხაბურში შეერგო თავი, სადაც პალსტუხი პიონერივით მუდამ ჯიბეში უნდა სდებოდა, რადგან კაცმა არ იცოდა, რა წუთს მოსთხოვდნენ მის შებმას. მართალია ამგვარი ტანჯვა დიდხანს არ გრძელდებოდა ხოლმე, რამდენიმე თვეში ან თავისით წამოვიდოდა, ან სხვა გამოაგდებდა. მაგრამ იმ დაკარგულ რამდენიმე თვეს ხომ აღარაფერი ეშველებოდა და კაცს რა იმოდენა სიცოცხლე აქვს მონიჭებული ღვთისაგან, რომ ასე უთავებოლოდ ფანტოს თვეები და წლები გარდა ამისა, ამ უაზრო განათლების გამოისობით შინაც არ ჰქონდა მოსვენება: დედაჩემი აიძულებდა, გაკვეთილების მომზადებაში დამხმარებოდა. დეხმარება კი, ღვთის წინაშე, მართლა მჭირდებოდა. მოგვხსენებთ, არიან მოწაფეები, რომლებიც ერთ-ორსაგანს ამოიჩემებენ, დანარჩენზე კი ხელი აქვთ ჩაქნეული. მე, ჩემდა საბედნიეროდ, არასოდეს არაფერი ამომიჩემებია, ამიტომ ყველა საგანზე ჩაქნეული მქონდა ხელი და სკოლაში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც გემიდან გადავარდნილი მეზღვაური, რომელმაც ცურვა არ იცის. ბიძაჩემს მშვენივრად ესმოდა, რომ ვინმესთვის რაიმეს სწავლება, მეტი რომ არა ვთქვათ, უზრდელობაა, მაგრამ დის შიშით ვერაფერს ამბობდა. ეს ყბადაღებული „დახმარება“ დედაჩემს, როგორც საერთოდ დედების წესია, გაუცნობიერებლად ჰქონდა აკვირებული, თორემ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ბიძაჩემის დახმარებას რაიმე სასიკეთო ნაყოფი გამოეღოს. „ო“ შორისდებულის ამბავიც, ეჭვი არაა, კატასტროფით დამთავრდებოდა, იმ დროს რომ დედაჩემი არ შემოგვსწრებოდა... მახსოვს, თათო შორისდებულზე ორი-ორი წინადადება მქონდა დასაწერი. იმ გარდაუვალმა ეპამა რომ დაჰკრა, როცა გადადებდა უკვე შეუძლებელი იყო, მაგიდას მივუჭექე და რიტმული ხენემა დავიწყე. ბიძაჩემი იონა ტახტზე იწ-

ვა და გუნებაში სამყაროს იდეალურ მოდელს ქმნიდა. დედაჩემი სამზარეულოში ტრიალებდა და, ჩვეულებისამებრ, რაღაც ფანტასტიკურ სადილს გვიშაბდა. ჩემი ბეჯითი და-ძმები დიდი ხანია მორჩნენ გაკვეთილების სწავლას და, როგორც დედაჩემი ჩემი მისამართით იტყოდა ხოლმე, „სადაც დაჩერებობდნენ“. ბევრი ვიხვენე შენ თუ ცოტა, „ო“-ს რომ მივაღდე და ვიგრძენი, ფანტაზია უკანასკნელ ძახილის ნიშნამდე იყო ამოწურული, ბიძაჩემს შევხვებოდა:

— ბიძია იო!

— მამ...

— „ო“-ზე მოთხარი რა წინადადება!

— ორჯერ ორი ოთხია.

— არა, არა!

— აბა, შენი ვარაუდით რამდენია?

— უბრალო „ო“-ზე არ მინდა, „ო“

შორისდებულზე მინდა.

— ოო! — მოწონებით თქვა ბიძაჩემმა, — რამდენი წინადადება გინდა?

— ორი.

ბიძაჩემმა იონამ მძლავრად გაიზმორა, ხანგრძლივად და გადამდებად დაამთქარა და თქვა:

— ო, რა ტბილი ხარ, სამშობლოს მიწავ!

მე სამშობლოს მიწა ფხაჭა-ფხუჭით ჩავეწერე და ვუთხარი:

— მეორე?

ბიძაჩემმა კიდევ უფრო ხანგრძლივად და კიდევ უფრო გადამდებად დაამთქარა და თქვა:

— ო, შე გათახსირებულო!

— ო, შე მართლა გათახსირებულო და ზნედაცემულო! — მოისმა პასუხად დედაჩემის ხმა და იმავ წამს გამოჩნდა კიდევ კარის ზღურბლზე.

ბიძაჩემი იონა ელვის სისწრაფით წამოხტა, ფეხები ფოსტლებში ჩაპყო და პარტყა-პურტყით გაიქცა. დედაჩემი არ დადევნებია, მხოლოდ წყევლა დაადევნა:

— გაგაწყრეს, ძამიკო, მამაზეციერი, მიეწიე ბაბუაჩემ ინდიკოს და ჩაგაწვიანე ადრე და მალე სანაკლიოს შავ მი-

წაში! რას ასწავლი მაგ უღლეერს, რომ ასწავლი მაგის ჭკუის პატრუნს. შეტყობი არ უნდა: მართლა მასე დაწერს და ხომ გადაახია რვეული თავზე იმ ცოფიანმა პოლიევქტმა, ის კი მოუყვდეს მის გლაბა ცოლ-შვილს!

ერთი სიტყვით, იმ დღეს გადავრჩით. მეც და ჩემი ცოფიანი პოლიევქტიც. მე მეორე წინადადების დაწერას გადავრჩი, ის კი — რვეულის დახვევას, რაც მისი ასაკის კაცისთვის დიდი ფიზიკური დატვირთვა იყო, მით უფრო, რომ სიჯიუტისა თუ მიუხვებდრელობის გამო რვეულს ყოველთვის დახურავდა ხოლმე და ასე ერთიანად ხევდა, და თუმცა, პირს რომ გადაუხსნიდა, მერე შედარებით იოლად მიუდიოდა საქმე, სანამ პირს გადაუხსნიდა, დიდხანს ცოდვილობდა მარტვილის სახით.

მაგრამ თავზე გადახვევის ცერემონიალი ბოლოს მანაც შედგა. შედგა სხვა გარემოებათა გამო და შედგა ორი წლის შემდეგ, როცა მოხუცი პოლიევქტი კიდევ უფრო მოტეხილი იყო და კიდევ მეტად უჭირდა რვეულთან ჭილილი...

პოლიევქტმა თხზულება მოგვცა და საწერად: „ჩემი სანაკლიო“. რაკი მშვენივრად ვიცოდი, რომ ასეთი თხზულების დამწერი არ ვიყავი, თავის დაძვრენის მიზნით სახლში აღმფოთებული თავმოყვარეობის მტკიცე კილოთი გამოვაცხადე, სანაკლიო არ მიყვარს და ამ თხზულებას არ დავწერ-მეთქი. მეგონა, პრინციპს დამიფასებდნენ და მომეშვებოდნენ. მაგრამ დედაჩემი მარტო თავის პრინციპებს ცნობდა და ბიძაჩემს უბრძანა, შენი დღე და მოსწრება რომ უქმად დაყიადობ, შენზე კი ჩაიცივას შენმა დამშავები, მიეხმარე პატარა ამ დასამიწებელს და დააწერიან ის ოხერი თხზულებაო. არ ვიცი, უბრალოდ გარემოებანი დაემთხვენ ასე, თუ ბიძაჩემმა იონამ, „ო“ შორისდებულზე შეშნა-ჭამმა, განგებ შეარჩია ისეთი დრო, როცა დედაჩემი შინ არ იყო, ერთ სა-

ღამოს დამსვა მაგიდასთან, თვითონ ხელები ზურგსუკან დაიწყო, დინჯად მოჰყვა ბოლოს ცემას და მთელი თხზულება თავიდან ბოლომდე, თავისი წერტილ-მძიმეებით, შეუფერხებლად მიკარნახა:

„ჩემი სანაკლიო

(თხზულება)

ჩემი ტურფა და წალკოტოვანი ქალაქი უხსოვარი დროიდან ყოფილა დასახლებული. თანამედროვე სანაკლიოს მიდამოებში მიკვლეული უძველესი ჩონჩხი, რომელსაც მკვეთრად ეტყობა როგორც ადამიანის, ასევე მაიმუნის დამახასიათებელი ნიშნები, ეჭვმიუტანლად ანტიკებს, რომ სანაკლიო განეკუთვნება მსოფლიოს იმ მნიშვნელოვანი რაიონების რიცხვს, სადაც ერთ დროს ადამიანად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური ძიება დღესაც წარმატებით გრძელდება და მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ სანაკლიოში გაცილებით მეტ ადამიანისმავარ მაიმუნს წააწყდებიან, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა რეგიონში.

იმ შორეული ეპოქიდან მოყოლებული სანაკლიოს ტერიტორიაზე სისხლსავსე და მჩქეფარე ცხოვრება არასოდეს შეწყვეტილა. ბერძენი ისტორიკოსების ცნობით ანტიკურ ხანაში აქ მდგარა კარგად გამაგრებული და პრაქტიკულად მიუღღმომელი ციხე, სადაც იმდროინდელი სანაკლიელები გაჭირვების ეპოს თავს აფარებდნენ. სამწუხაროდ იმ ციხის არავითარი კვალი არ შემორჩენილა. მართალია სანაკლიოში დღესაც დგას ციხე და დღესაც არა ერთი და ორი სანაკლიელი აფარებს იქ თავს, მაგრამ ეს ციხე მატერიალური კულტურის შედარებით გვიანდელი ძეგლია.

ამჟამად უკვე დასაბუთებულად ითვლება, რომ სახელი „სანაკლიო“ წარმოსდგება სიტყვისაგან „ნაკლი“ (ამ მოსახრების სასარგებლოდ კერძოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ სანაკლიო

დღესაც განთქმულია საქსტქეულით), თუმცა მეცნიერთა უმეტესობა კვლავაც ფიქრობს, თითქოს სანაკლიოს სახელი მომდინარეობდეს სიტყვა „ნაკლიდან“. ამ ჰიპოთეზას უმთავრესად ემხრობა ბურჯუაზიული მეცნიერება, რომელიც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მუდამ იმას ცდილობს ნაკლი გამოგვიჩხრიკოს, ჩვენს სახელოვან წარმატებებს კი განზრახ არიდებს თვალს.

როგორც ითქვა, სანაკლიო განთქმულია სასტქეულით, რომელიც შემოსავლის ძირითად წყაროსა და მეზობელ ქალაქებსა და რაიონებში ექსპორტის მთავარ საგანს შეადგენს. სტატისტიკური მონაცემებით ამჟამად სანაკლიოში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში ას ოცი ტონა სასუქი მოდის, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხუთი პროცენტით მეტია.

სანაკლიო დიდი და ბარაქიანი რაიონის ცენტრია. აქ უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევენ. გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს კარტოფილის კულტურას. კარტოფილი, რომლის წარმოებამ წარმატებით შეცვალა წინათ ამ მხარეში მეურნეობის ფართოდ გავრცელებული ისეთი მძიმე და შრომატევადი სახეობები, როგორიცაა მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეთამბაქოობა და სხვ., გაცილებით უფრო რენტაბელურია და შეიცავს თითქმის ყოველგვარ ვიტამინს. უკანასკნელ ხანებში კარტოფილმა სულიერი კულტურის სფეროშიც შეაღწია და იქაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. მაგ., თუ ადრე საესტრადო კონცერტებზე ლაყვ კვერცხითა და დამპალი პამიდვრით დაცხრილული მომღერალი მაყურებლის ჯინაზე მაინც შეუპოვრად განაგრძობდა სიმღერას, კარტოფილის დიდი კუთრი წონის მეოხებით ამგვარი სურათი ამჟამად უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, რადგან ეფექტურად ნატყორცი კარტოფილი სრულ გარანტიას იძლევა, რომ მომღერალი იმ საღამოს (ცალკეულ შემთხვე-

ვებში — სამუდამოდაც) სცენაზე ვე-
ლარ გამოვა. გარდა ამისა, კონცერტის
დასასრულს მაღლიერ მაყურებელს შე-
უძლია დახარჯული კარტოფილი ისევ
აკრიფოს, რადგან ეს იშვიათი კულტუ-
რა დიდხანს ინარჩუნებს თავის თვისე-
ბებს და შესაძლებელია მისი მრავალ-
ჯგერადი გამოყენება.

თანამედროვე სანაკლიო ეკონომიუ-
რად მძლავრად განვითარებული, მა-
ღალი კულტურისა და სანიმუშო დის-
ციპლინის ქალაქია. დღეს აქ ცხოვრება
დულს და გადმოდის. რაც გადმოდის,
სპეციალური მიღებით ნაკლისწყალში
ჩაედინება და იქიდან შავი ზღვისა და
ხმელთაშუა ზღვის აუზის გავლით მსო-
ფლიო ოკეანეს უერთდება. რაც რჩე-
ბა, ის ჩვენია, სანაკლიელების.

ჩინებული გეოგრაფიული მდებარე-
ობის, ბუნებრივი სიმდიდრის, ვაცხო-
ველებული აღებ-მიცემობისა და კიდევ
მრავალი სხვა სიკეთის წყალობით (რო-
გორიკაა მაგ. ხელმძღვანელი მუშაკე-
ბი) სანაკლიელები ტკბილად და ბედ-
ნიერად ცხოვრობენ, დარდი არაფრისა
აქვთ, დღე მშვიდად და უშფოთველად
თვლემენ და ღამე ასევე მშვიდად და
უშფოთველად სძინავთ.

სანაკლიელები თავიანთ ქალაქს სი-
ყვარულით ზვირად სამოთხეს ადარე-
ბენ და არც თუ უსაფუძვლოდ. მარ-
თლაცდა, აქ ისინი თავიანთ განსვენე-
ბულ თანამომეგებზე ნაკლებად რო-
დი გრძნობენ თავს!

სანაკლიელები წყნარი, მშვიდობიან-
ი, თვინიერი ხალხია, იციან მტრისა
და მოყვრის პატივისცემა და განსაკუ-
თრებული მიდრეკილება აქვთ ზეიმისა-
კენ. ან კი რა სჯობს სანაკლიურ ზეიმს
ნაყოფიერი შრომის შემდეგ! სანაკლი-
ელები ყველაფერს ზეიმობენ, ყველა
დღესასწაულს ხალისიანი ცეკვა-თამა-
შით ხვდებიან (დღესასწაულებს კი ძე-
ბნა არ სჭირდება, რადგან აქ ყოველი
ცისმარე დღე სასწაულია). ამ დროს
რომ ვერტმფრენიდან გადმოიხედოთ,
სულში ნათელი ჩაგიდგებათ იმის და-

ნახვაზე, რომ მთელი ქალაქი ფეხის
წვერებზე დგას.

დღეს სანაკლიოში ოთხმოცდაათწერ-
მეტ ათასამდე სანაკლიელი ბინადრობს.
სულ მალე ქალაქის ცხოვრებაში დად-
გება ყველაზე ამაღლებებელი წუთი:
სანაკლიო ჩვეული ზარ-ზეიმით შეეგე-
ბება თავისი მესიათასე მოქალაქის და-
ბადებას.

ასეთია ჩემი მშობლიური სანაკლიო
და მე დიალაც ვამაყობ, რომ სანაკლი-
ელი ვარ!

თხზულება შაბათ დილით მივიტანე
სკოლაში, ხოლო ორშაბათ დილით პო-
ლიევქტმა იგი თავზე გადამახია.

გადახვეის წინ პატარა შესავალი სი-
ტყვა წარმოთქვა.

საკლასო ოთახში შემოსულმა ერთი
კი მწყრალად გადმოგვიგდო, დასხედი-
თო (რაც წმინდა წყლის ფორმალობა
იყო, რადგან ზეზე არავინ იდგა), მერე
რვეულები მაგიდაზე დააწყო, დაეკეპე-
ბით მოგვაგლო თვალი, მზეარა ჩემზე
შეაჩერა, ცოტა ხანს მიცქირა და მით-
ხრა:

— აღქეი ზევით!

მე ყოველი შემთხვევისათვის ისეთი
სახე მივიღე, ვითომ ბრძანება სხვას
ეხებოდა და სავარაუდო აღრესატის
მოსამებნად ცნობისმოყვარედ მიმოვი-
ხედე, მაგრამ, პოლიევქტმა რომ მკვა-
ხედ მითხრა, აცა-ბაცა ნუ გაგირბის თვა-
ლები, ვითამ არ იცი, რომ შენ გეუბ-
ნებიანო, ზანტად წამოვდექი.

მაშინ პოლიევქტმა ჩემი რვეული
აიღო, ისე დაიჭირა ორივე ხელით,
როგორც მიცვალბებულის სურათი უჭი-
რავთ ზოლმე პროცესიაზე, და მკითხა:

— შენ დაწერე, ბიჭო, ეს თხზულე-
ბა?

— კი, მასწ. — თავმოწონედ მივე-
გე მე და შექების მოლოდინში მორი-
დებულად გავიღიმე.

პოლიევქტმა არ დამიჯერა.

— შენი მოსაცვლელი კბილი, ბიჭო,
— შეცდომით თქვა მან, — პოლიევქტ
წოწორიას კაი ხანია მოტყუებული აქ-
მარა, ვინცხამ ეს დაგაწერია, მასხრად

ასაგდები სახში ეყოლება. სად გინახავს, ბიჭო, შენ კარტოფილი სულიერ სფეროში, აა? ან არქეოლოგი სად გინახავს სანაკლიოში, აა? — აქ ერთი მწარე სინანულით გადაიჭნია თავი და მეოცნებე გამომეტყველებით დაუმატა, — რატო ი დრო არაა, ქე რო იყო! იცოცხლე-თქვა, მითხარი, ამის დამწერს კი უკრავდენ თავს ვირის აბანოში, რავარც ბარე ორიზა უქნიათ, მამაჩემ პოლიევეტსა აქ ცხონება!..

ამის შემდეგ გადახვევის რიტუალს შეუდგა. რვეულს ორივე ხელი მოუჭირა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გასწია და გამოსწია. სახე დაეძაბა და თვალები ოდნავ დადმოეკარკვა. კლასში სამარისებური დუმილი იდგა. ყველანი სულგანაბული მივჩერებოდით. პოლიევეტს დიდი ხანი იყო არაფერი დაეხია და გულით გვიანტერესებდა, შენარჩუნებული ჰქონდა თუ არა სპორტული ფორმა. ცოტა ხნის შემდეგ პოლიევეტმა შეისვენა, ხელები მოადუნა, თან ყოველი შემთხვევისათვის მრისხანედ და გამაფრთხილებლად მოგვაჩერდა. მერე, რა დაისვენა, ისევ საქმეს შეუდგა. მეოთხე ცდაზე, როგორც იქნა, პირი გადაუხსნა (აქამდე ორ ცდაზე მეტი არასოდეს დასჭირვებია) და ყველამ, იმანაც და ჩვენც, შევებით ამოვისუნთქეთ. რაკი ერთი პირი გადაუხსნა, გახია, კიდევ გახია, კიდევ გახია, მომიახლოვდა, ორივე ხელით შემომაყარა სახეში, როგორც ალტაცებული მაყურებელი შეაყარის ყვავილებს ვალმოხდილ მსახიობს, და, მითხრა:

— ხვალ თუ მშობელი არ მოგიყვანია, სკოლაში მოსული არ გნახო!

მე დედაჩემის მიყვანა ვამჯობინე. თან ბიძაჩემ იონას წინდახედულად ვაცნობე თბულები ბედი. ბიძაჩემმა იონამ ვითარება სწორად შეაფასა, უთანასწორო ბრძოლას თავი აარიდა და სკოლიდან მობრუნებულ დედაჩემს, პოლიევეტგამოვლილსა და გაალმასებულს, შინ არ დახვდა. შაბათ საღამომდე უგზო-უკვლოდ იყო დაკარგული. ბიძაჩემის არყოფნაში წყევლის აქცე-

ნტმა მთლიანად ჩემზე გადმოინაცვლა, რადგან მამაჩემი და ჩემი დედაჩემი საი ამისო საბაბს არ იძლეოდნენ; მამაჩემი ამისა, ბიძაჩემის გაქრობით შეშფოთებულიმა დედაჩემმა მამაჩემი ამომრავა, ქალაქის ხელისუფლებს ენერგიულად შეუტია, სანაკლიოს მთელი მილიცია თავის სახალხო რაზმებიანად ფეხზე დააყენა, წვირილ-წვირილ გუნდებად. დაპყო და ხევე-ხევეები და სხვა საექვო ადგილები პირწმინდად მოაჩხრეკინა.

ბიძაჩემი შაბათ საღამოს დაბრუნდა. დაბრუნდა ცოცხალი და საღსალამათი. ისეთი იყო, ვარდივით ლუოდა და ენას პირში ვერ აბრუნებდა. ბოლოს, როცა მეტყველების უნარი ნაწილობრივ დაუბრუნდა, მორცხვად გამოგვიტყდა, რაც აქედან წავედი, არ გამოფეხიზლებულვარო. მამაჩემი კუშტი სახით შევიდა თავის ოთახში და კარი ჯახუნით მიიკეტა, დედაჩემმა კი იმ ღამეს ერთი თავისი საუკეთესო წყევლათაგანი წარმოთქვა, ამაღლებული და შთაგონებული. მე და ბიძაჩემი პირდაღებულები ვუსმენდით და ვცდილობდით არც ერთი სიტყვა არ გამოგვაპროდა.

მე ჩემს უსაქმურსა და უსაქციელო ბიძას ბრმად შევხაროდი და დიდხანს ვერ ვატყობდი, რა ხიბლი ჰქონდა ასეთი, რომ, როცა კი შეეყვარებული არ ვიყავი, სხვასთან ყოფნას ყოველთვის მასთან ყოფნა მერჩივნა. მერე და მერე, როცა წამოვიზარდე, მივხვდი. მივხვდი, რომ იგი რაღაც ძალიან იოლად და არხეინად ცხოვრობდა, არაფერი აწუხებდა და თავს არაფერზე იტყებდა. ირგვლივ დიდი და პატარა ყველა საგონებელს მისცემოდა, ყველა რაღაცას ჩიოდა, ყველა რაღაცაზე წუწუნებდა, ყველა რაღაცას წყვეტდა და არკვევდა. ბიძაჩემ იონას ყველაფერი გარკვეული და გადაწყვეტილი ჰქონდა. ერთხელ, გრძნობათმოზღვაეების ეამს, როდესაც სულში ბოჩოლა დაკუნტრუშობდა და ლაპარაკის საღერდელი უშნოდ მქონდა აშლილი, ეს ჩემი ბრძნუ-

ლი, მაგრამ დაუწმინდავი შთაბეჭდილება მაძაჩემს გავუზიარე. მაძაჩემმა დამიდასტურა, ოღონდ ამ დასტურს მცირე კომენტარიც მოაყოლა: სხვის ხარჯზე ყველა იოლად და არხეინად ცხოვრობსო, შითხრა. მაძაჩემმა ისეთი ლაპარაკი იცოდა, რომ, სანამ გიყურებდა, მის ნათქვამში ეჭვს ვერ შეიტანდი. მეც დავიჯერე და ჩემი სანიმუშო დაკვირება ცოტა არ იყოს გამოიფუსურდა. მხოლოდ კარგა გვიან, მართლა რომ გავიზარდე, მივხვდი, რომ ხარჯში არ იყო საქმე. ბიძაჩემი იონასთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სხვის ხარჯზე იცხოვრებდა თუ სხვას აცხოვრებდა თავის ხარჯზე, რადგან „ხარჯი“ ისეთივე ლიტონ სიტყვად მიაჩნდა, როგორც „მოვალეობა“, „ოჯახი“, „ზნეობა“ და მრავალი სხვა, რომელთა გამო უბედურმა პომო საპიენსმა ასე აიწეწა და გაიმწარა ცხოვრება. რაკი ბედმა მაძაჩემის სახლში მოიყვანა, მაძაჩემის სახლში მოვიდა, ხვალ თუ სხვანაირად წაიყვანდა, სხვანაირად წავიდოდა და მიზნების ჩხრეკას არ მოჰყვებოდა. პრობლემები არ აწუხებდა და ამით იყო ბედნიერი. პრობლემებს თავს არიდებდა-მეთქი ვერ ვიტყვი. პირიქით, უფრო მართებული ალბათ იმის თქმა იქნება, რომ პრობლემები თვითონ არიდებდნენ თავს. პრობლემებს, საკუთარი წონისა და მნიშვნელობის ღრმა შეგნებით გატიკნილებს, შიში ჰქონდათ, რომ, როგორც კი ბიძაჩემი იონას ხელში მოხვდებოდნენ, მყისვე სამარცხვინოდ დაიჩუტებოდნენ და წყალ-წყალა და სასაცილო შეიქნებოდნენ. იმიტომ, რომ ბიძაჩემი იონა ზღაპრის ბიჭს ჰგავდა, რომელსაც მთელი თავისი ავლადიდება პატარა ბოხჩაში გამოუყარავს, მხარზე გადაუდგია და არხეინად და ალაღბედზე, ლიღინ-ლიღინით დაღვამია გზას.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ზღაპრის ბიჭს, რაკი ერთი გზას დაადგება, ადრე თუ გვიან სურავანდივით შეეყრება თავისი საეჭვო ბედნიერება; ბევრიც რომ ისხმარტალოს, ბოლოს მაინც მზეთუ-

ნახავი უნდა შეიერთოს და რჩებულს დატყდეს. იმიტომ, რომ ბედისწერას სხვანაირად ვერ ვიხსენებ; ბედისწერას საბელოთ ვყვეართ გამოზმული და ყველის ყველაფერი შუბლზე გვაწერია. მაღლი უფალს, კითხვა არ ვიცით და უცხო მოლოდინის გრძნობა, ეს ერთადერთი პეწი და საყრდენი, მაინცა აქვს შემორჩენილი ჩვენს ცხოვრებას, თორემ, დღესვე რომ გავიგოთ, ხვალ რას ჩავიდნეთ, მაგონი მე და ბიძაჩემმაც კი ველარ შევიწარმუნეთ სიცოცხლის ხალისი.

დიახ, ბედისწერა უღმობლად მიგვერეკება მზეთუნახავებისაყენ.

როდესაც სანაკილოს თავზე დატრიალებული ქარბორბალა ჩადგა, რომლის დამანგრეველი შემოქმედების შედეგად დედაჩემი მრავალი წლის განმავლობაში ისეთი იყო, დანა პირს არ უხსნიდა, ხოლო მაძაჩემი მრავალი წლის განმავლობაში დედაჩემის დასანახავად ისეთ სახეს იღებდა, ვითომ დანა პირს არ უხსნიდა, მე და ბიძაჩემმა იონამ ღინჯად გავაანალიზეთ ყველაფერი და დავადგინეთ, რომ ბედისწერის მზაკვარი ხელი ჭერ კიდევ დიდი ხნის წინ გამოჩენილა, კერძოდ, იმ ავად სახსენებელი თხზულების ბოლოსწინა აბზაცში, სადაც ლაპარაკი იყო სანაკილოს მეასიათასე მოქალაქის საზეიმო დაბადებაზე. მე ვამტკიცებდი, რომ ბიძაჩემმა იონამ თავისი ბედისწერა თვითონვე გააღვიძა. ბიძაჩემი იონა ჩემს მოსაზრებას არ იზიარებდა. შენ ჭერ ახალგაზრდა ხარ და არ იცი, რომ, რასაც არ სძინავს, იმას ვალეობა არ ესაჭიროებაო, მეუბნებოდა, მე ჩემი ბედისწერა კი არ გავლავიძე, უბრალოდ, პროვოკაციულად გამოვიწვიე და ვიძულე გამოჩენილიყო, მაგრამ სამწუხაროდ უქმად გავისარჯე, ვინაიდან, გამოჩენით კი თუმცა გამოვაჩინე, დანახვით ვერ დავინახეო. შეიძლება მართლა ასე იყო, ყოველ შემთხვევაში, ამგვარი რამეები ჩემზე უკეთ ბიძაჩემმა იცოდა.

მე იმ წელიწადს სკოლას ვამთავრე-

ბდი, ხოლო ჩემი თხზულების მესამე მოწმეს, საწყალო პოლიევქტს, მის წილად დასახევი ყველა რვეული უკვე დახეული ჰქონდა და ამქვეყნიური სამოთხიდან იმქვეყნიურ სამოთხეში გადაბარებული უშფოთველად განისვენებდა სანაკლიოს ტურფა სასაფლაოზე.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ შემოდგომის ერთ წყნარ, ცოტა ნაღვლიან საღამოს ტელეფონმა დარეკა. მამაჩემმა, რომელსაც სანაკლიოს ორივე გაზეთი ეღო წინ და მეთაურ სტატიებს ყურადღებით ადარებდა ერთმანეთს, ყურმილი აიღო და თქვა:

— გისმენთ!

ყურმილში ქალის ხმა გაისმა, ნელი, საამო და მოლულუნე.

— იონა გამკამიძე მინდა, თუ შეიძლება.

მამაჩემს ეტყობა შეეშინდა, რომ ქალი შეიძლება იყოს თავის ხმას მავთულში შემოპყვოლოდა და ყურმილიდან გამოიმძვინვარებოდა. ამიტომ ცივად მიუგო:

— არ არის, ბატონო, სახლში იონა გამკამიძე! — ამ სიტყვებით ყურმილი უკმაყოფილოდ დააგდო და ტუჩების მოძრაობაზე შეეტყო, რომ ერთი იმ სიტყვათაგანი წარმოთქვა, რომელთა წარმოთქმას მე, მაგალითად, ყოველთვის სასტიკად მიყრდნობდნენ.

იმავ წუთს ტელეფონმა ხელახლა დარეკა. მამაჩემმა კვლავ აიღო ყურმილი. ყურმილში კვლავ გაისმა იგივე მოლულუნე ხმა. მამაჩემმა ის იყო კვლავ დაიწყო, მე მგონია გარკვევით გითხარითო, რომ მოლულუნე ხმაში უეცრად რაღაც უცხო და მკვეთრი კილო შეიჭრა.

— მოითმინეთ, ამხანაგო! — ისე თქვა ხმამ ამ უცხო და მკვეთრი კილოთი, რომ მამაჩემს ცალი წარბი მაღლა გაეჭკა და ყურმილი დადების ნაცვლად კიდევ უფრო მიიჭირა ყურზე. მაშინ ხმამ ისევ რბილად, საამოდ განაგრძო, — კაცია გოგია მდივანი გელაპარაკებთ. გადაეციეთ ბატონ იონა გამკამიძეს, რომ ხვალ ორ საათზე ჩვე-

ნთან უნდა მოხრძანდეს, ბატონო, კლდეას თათბირი აქვს და ბატონი მდივანი უმჯობესად დაესწროს.

ბატონი კაცია თხოვს ბატონ იონას! მამაჩემმა ყურმილი აკანკალებული ხელით დადო და პირველი გადიწერა, რასაც თავისი თანამდებობრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო თითქმის არასოდეს სჩადიოდა.

კაცია გოგია მთლად სანაკლიოს უფროსი იყო და, თუმცა მე დიდხანს არ ვიცოდი, რომელი იყო სახელი და რომელი გვარი, ეს ჩემი უცოდინარობა სრულდებით არ უშლიდა ხელს ქალაქის მართვაში.

ბიძაჩემი იონა ნაშუალამევს მოვიდა. მეგობრებში პოკერი ეთამაშა და სამოცდათექვსმეტი მანეთი წაეგო. მამაჩემმა რომ ახალი ამბავი აცნობა, გაკვირვებით მანცდამანც არ გაკვირვებია, ესა თქვა მხოლოდ, ცოტა გვიან დაენიშნა ოჯახაშენებულს, მაგას მე ტოროლა ხომ არ ვგონივარო.

მეორე დღეს, ბიძაჩემი იონა რომ თათბირიდან დაბრუნდა, უფრო დაწვრილებით შევიტყუეთ ყოველივე. შეკითხვებს აძლედა მამაჩემი, მაგრამ ეს შეკითხვები ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგან მამაჩემს ისეთი წვრილმანები აინტერესებდა, რომლებიც ჩემი აზრით არავითარი ყურადღების ღირსი არ არის, მოკლედ კი საქმე ასე ყოფილა: თათბირი ეხებოდა საზეიმო სამზადისს, ხოლო ზემო ეძღვნებოდა სანაკლიოს მესამეთასე მოქალაქის მომავალ დაბადებას, რაც ყველა ნიშნის მიხედვით მალე უნდა მომხდარიყო, და საიუბილეო კომისიის მდივანად — ბოლომდე დაუდგენელი დარჩა, რომელი გენიოსის წინადადებითა და ინიციატივით — დაუნიშნავთ ბიძაჩემი იონა.

მამაჩემს თავი ისე ეჭირა, ვითომ არაფერი.

დასასწყისში ყველას ერთსულოვნად მიგვაჩნდა, რომ ბიძაჩემი იონასთვის ასეთი საქმის მიწოდება, მეტი რომ არა ვთქვათ, შეცდომა იყო. თუ

ვინმეს რაიმე კომისიასთან საქმე ჰქონია, ეცოდინება, რომ მდივანი ის ვიცია, ვინც მთელი კომისიის მაგივრად უნდა იმუშაოს. ბიძაჩემ იონას შეემძლო მთელი კომისიის მაგივრად ემინა, მთელი კომისიის მაგივრად უსაქმოდ ეხეტიალა და მთელი კომისიის მაგივრად პოკერი ეთამაშა. მუშაობას რაც შეეხება, მუშაობა საკუთარი თავის მაგივრად ცალიან უჭირდა. ამიტომ ბუნებრივია მოველოდით, რომ კომისია დღე-დღეზე მიხვდებოდა თავის შეცდომას და ძე შეცთომილი მალე მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდა.

ყველა ჩვენგანის დიდად გასაოცრად (სწორედ აქ გამოჩნდა იმის გენიალური შორსმჭვრეტელობა, ვინც ბიძაჩემი იონა კომისიის მდივნად დანიშნა) საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. ბიძაჩემ იონას მოულოდნელად პათოლოგიური აქტიურობის უმძიმესი ფორმა შეეყარა და მთელი თავისი ცოდვიანი არსებით ისე ჩაეფლო საიუბილეო საქმიანობაში, რომ ამქვეყნიად სხვა ყველაფერი დაავიწყა. რამდენჯერმე (როცა კარგ ფეხზე ავმდგარეარ და გაკვეთილების გასაცდენად დამაჭერებელი მიზეზი მომიგონებია) ჩემი თვლით მიინახავს, რომ თერთმეტის ნახევარზე უკვე ზეზე იყო და ქაფქაფა ჩაით ყელს ითუთქავდა, აქაო და სხლომაზე მაგვიანდებოა. შინაურებმა გამოცდილებით ვიცოდით, რომ ეს ამბავი კარგს არაფერს მოასწავებდა. სიბეჯითის რეციდივები ბიძაჩემ იონას მართალია არც თუ ისე ხშირად, მაგრამ ადრეც ჰქონია და, როცა კი ჰქონია, ყოველთვის რაღაც გაუთვალისწინებელი კატასტროფით დამთავრებულა. ლიტონი განცხადება რომ არ გამომივიდეს, ერთ ტიპიურ მაგალითს გავიხსენებ. ერთხელ ათასი მანეთი დასჭირდა. რად უნდოდა, არ ვიცი. თუ მის ნათქვამს დავუჯერებთ (რაც მთლად მართებული საქციელი არ იქნება), თვითონ კი არ სჭირდებოდა, არამედ მის ერთ უახლოეს მეგობარს, რომლისთვისაც ამ ათასი მანეთით ყოფნა-არყოფნის საკითხი

წყდებოდა. „ყოფნა-არყოფნის საკითხი“ ჩემი აზრით უფრო მაშაქემის გულის გასაღობად იყო ნათქვამი, მაგრამ მაშაქემის გული არ გალღვა. მაშაქემის გული არ გალღვა, ფულის შონის სხვა წყარო კი ბიძაჩემ იონას არ ჰქონდა. მაშინ ფიქრი დაიწყო. ერთხელ ნაშუადღევს დამიძახა და დახმარება მიხზოვა: თავის ოთახში შემიყვანა, სკამზე დამსვა, თვითონ ჩემს პირდაპირ დაჯდა მეორე სკამზე, მძიმე საფიქრალი მაქვს და აზრის მოსაკრებად ცოტა ხანს რამე სიცარიელეს უნდა ვუყუროო, მიიხრა და დაეინებით მომაჩერდა შუბლში. თითქმის ნახევარი საათი ვეხმარებოდი. ბოლოს კმაყოფილი წამოდგა, აგაშენა ღმერთმა, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდაო, და სადღაც წავიდა. ერთი კვირის განმავლობაში ისე დარბოდა და ფუსფუსებდა, მთელი ოჯახი ამოვარდნილი ვიყავით ცხოვრების ჩვეული რიტმიდან. კვირის თავზე ათასი მანეთი მოიტანა და თავისი უახლოესი მეგობრის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადებითად გადაჭრა. სწორედ ამ პერიოდში სანაკლიოს ვინაპირას, ერთ პატარა დასახლებას, რომელსაც ძროხათუბანი ერქვა, გზა გაუყვანეს. ეს იყო სულ ნახევარკილომეტრიანი მონაკვეთი, მაგრამ ისეთი გაუბედურებული, რომ მისი გამოისობით ძროხათუბანი კაი ხუთი წელიწადი თითქმის მთლიანად მოწყვეტილი იყო ქალაქს. მანქანა რა სათქმელია, ფეხითაც კი ისე ჰირდა სიარული, ერთ ნაპირს რომ მთელი მიადგებოდი, მეორე ნაპირზე შეიძლება ნაწილია გასულიყავი. კარგი ადგილი იყო. ბავშვები ხშირად დავდიოდით იქ და ნაირ-ნაირ შეჭიბრებებს ვმართავდით. ერთხელ ბიძაჩემმა იონამ ამბავი მოიტანა, ვითომ ძროხათუბნელებს ნატყვეანიდან ვიღაც სახელგანთქმული ჯამბაზი ჩამოეყვანოთ და თოჯნე სიარულის სწავლა დაეწყოთ. მე ეს მაინცდამაინც არ მჯეროდა; ჯერ ერთი, ვერ დაეჩემებ, რომ ბიძაჩემი ყოველთვის მართალს ამბობს, და მეორეც, თოჯნე

სიარულს რა ისეთი სიმარჯვე უნდა, რომ ასეთი გზის ვადალახვაში გამოდგომოდეთ. ასე იყო თუ ისე, ბოლოსდაბოლოს ძროხათუბნელებს გზა გაუყვანეს. ისეთი გზა გამოვიდა, მასსოვს კლასის ხელმძღვანელმა საგანგებოდ წაგვიყვანა ექსკურსიაზე მის სანახავად. თვინდან, რა თქმა უნდა, აზრად არავის მოსვლია, რომ ამ გზის გაყვანას შეიძლებოდა რაიმე კავშირი ჰქონოდა ბიძაჩემი იონას მოულოდნელ გააქტიურებასთან. არადა პირდაპირი კავშირი ჰქონია. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ძროხათუბნელებისთვის ეს გზა სწორედ ბიძაჩემი იონას გაყვანა და პონორარად ათასი მანეთი აეღო. იმ ხუთი წლის განმავლობაში, რაც ქალაქის ცივილიზებულ ნაწილს მოწყდნენ, ძროხათუბნელებმა ბევრი ირბინეს, ბევრი იჩივლეს, ბევრი წერეს, ბევრი იკითხეს, ბევრი იყაყანეს და ბევრი იგინეს, მაგრამ არა გამოუვიდათ რა. როცა ყველა გზა მოსინჯეს და საბოლოოდ მიეცნენ სასოწარკვეთას, ერთ მშვენიერ დღეს თურმე, ვისაც გზების გაყვანა ევალებოდა, თვითონ სწვევია ძროხათუბანს და იქაურებისთვის სიტყვით მიუმართავს. თქვე ოჯახებო, უთქვამს, ჭამა გინდათ, სმა გინდათ, მზე გინდათ, მთვარე გინდათ, გათბობა გინდათ, განათება გინდათ, გზა გინდათ, ხიდი გინდათ და ფულის გადახდა არ გინდათ, როგორაა თქვენი საქმეო, და წინადადება მიუცია, შეკრიბეთ ოჯახზე ოც-ოცი მანეთი, ოც-ოცი მანეთი არ დაგაქცევთ, და სამ კვირაში გზას გამოგიყვანათ. ძროხათუბანში ხუთასი ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ხუთასივე ხელმოკერილი იყო და დიდხანს თურმე კბილებით იცავდნენ თავიანთი შრომითა და ოფლით მონაგარ ოც-ოცი მანეთს. საბოლოოდ ათ-ათ მანეთზე მორიგებულან. სასწრაფოდ შეუქმნიათ კომისია სამი მოწინავე ძროხათუბნელის შემადგენლობით და სწორედ იმ დროს, როცა სიებით უნდა დაეწყოთ კარდაკარ სიარული, ასპარეზზე მოულოდნელად ბიძაჩემი იონა გა-

მოვიდა. ბიძაჩემი იონას კომისიის წევრები ერთად შეუყვარა და ახლა მას მიუმართავს სიტყვით. ვერ ხედავთ, თქვე დოცლაბებო, რომ ვატყუებენო, უთქვამს, ათ-ათი მანეთი რა ამბავია, ათ მანეთად სანაკლოს ბაზარზე ლამის ათი კილო კარტოფილის ყიდვა შეიძლება, ან სამი კვირა რად უნდათ, დოცვილებს სტამბოლამდე ხომ არ გაჰყავთ გზა, სულ ხუთასი მეტრია დასაგებო, და კარგად რომ აუღელვებია კომისიის სამივე წევრი, თავის მხრივ გაცილებით სარფიანი წინადადება მიუცია, ორ-ორი მანეთი შემოკრიბეთ და ერთ კვირაში გზას ჩავაბარებთო. ძროხათუბნელებს ათ-ათი მანეთი უკვე გამოგლოვილი ჰქონდათ, ამიტომ ამ ახალ ამბავს ისეთი სიხარულით შეხედნენ, თითქოს ორ-ორ მანეთს კი არ კარგავდნენ, არამედ რვა-რვა მანეთს საჩუქრად იღებდნენ. ამგვარად საქმის ერთი მხარე ბიძაჩემმა იონამ წარმატებით მოაგვარა, ახლა გზის გაყვანა იყო საქმეო. როგორც შემდეგ გამოირკვა, იმ დღეებში ბიძაჩემი იონა ისეთ საეჭვო აღვლებში ენახათ, როგორიცაა სტამბა, სამხატვრო სასწავლებელი, ფოტოლაბორატორია, ხე-ტყის ვადამამუშავებელი ქარხანა და რა ვიცი... ვილაკამ ნაგვიანევად ისიც გაიხსენა, ბაზრის კუთხეში გასაბერი ბუშტები იყიდებო, რაც სრული ჰეშმარტება იყო. ოპერაცია რომ უეცარი კატასტროფით დამთავრდა ბიძაჩემმა იონამ თვითონვე მიაშრო ყველაფერი შეუფერებლად ოპტიმისტური კილოთი. მას შემდეგ, რაც მოსამზადებელი სამუშაოები წარმატებით დაუმთავრებია, ერთ დღეს სანიმუშოდ გამოწყობილა და იქ მისულა, საცა ჯერ არს. პირადი მდივანი რომ შესასვლელს ისე ვადაფარებია, როგორც ლოდს მიაფარებენ გამოქვამულს, სადაც საუნჯე აქვთ ვადამალული, ბიძაჩემი იონას თავის მრავალრიცხოვან მოწმობათაგან (გახსოვთ ალბათ, რამდენიმე თვეზე მეტს ვერც ერთ სამსახურში ვერ ძლებდა) ერთ-ერთი, რომელსაც მისი აზრით ყველაზე საი-

მელო შესახებ დაობა ჰქონდა, ოდნავ ამოუწვევია ჯიბიდან, მკაცრად მრავალ-მნიშვნელოვანი გამომეტყველებით დაუნახებია მდივანისთვის, ცივი და ცოტა იღუმალის ხმით უთქვამს, არაფერ შე-მოუწვავო, და, როცა ყოველივე ამით შემკრთალი და დაბნეული ლოდი გამოქვაბულის პირს ჩამოცლია, წარმატებით შეუღწევია დანიშნულების ადგილას. დამხდურს ხმაურზე თავი აუღია და, ბიძაჩემი იონა რომ დაუნახავს, მკვახე გაკვირვებით უკითხავს, თქვენ ვინ ბრძანდებით და აქ რა გინდათო. ბიძაჩემ იონას თითი ტურზე მიუღვია, ჩჩშუო, უთქვამს, მერე ხმადაბლა დაუმატებია, ეს ჩემი დარბაზობა რომ გახმაურდეს, მეც დავიღუპები და თქვენცო. რაშია საქმე, ამხანაგოო, მაინც ვერ მოუშორებია მკვახე კილო დამხდურს. თქვენ, რა თქმა უნდა, არ გემახსოვრებთო. ბიძაჩემს მიუგვია. მე კი რა დამავიწყებს იმ მამაშვილურ ამაგს, რაც ჩემზე მიგიძღვითო, არ მეგონა, თუ როდისმე გადახდას შევძლებდი, მაგრამ ეტყობა სამყაროს გამრიგე ზოგჯერ ჩემისთანა პატარა კაცსაც აძლევს შანსს და მე დღეს უსახლგროდ ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მაქვს სამაგიერო სამსახური გაგიწიოთო. ამაზე დამხდურს ყოყმანით უთქვამს, კი მახსოვს ბუნდოვნად თქვენი სახე, მაგრამ ველარ ვიგონებო. მაშინ ბიძაჩემ იონას ჯიბიდან რამდენიმე ბუშტი ამოუღია, მაგიდაზე დაუყრია, საჩვენებელი თითი მიუშვერია და აიო, უთქვამს. ეს რა არისო, გაკვირვებია იმას. ეს თქვენ ბრძანდებითო, უპასუხია ბიძაჩემ იონას. რას ლაპარაკობ, კაცო, შენ, ეს ბუშტებიაო, ცოტა გამწყარალა ის. ერთი შეხედვით მართლა ბუშტებს ჩამოგავსო, კვერის დაუკრავს ბიძაჩემ იონას, და თქვენ თუ ბრძანდებით ძნელი შესამჩნევია, სანამ არ გაიბერებთა... ამ სიტყვებით ერთი ბუშტი აუღია, ჰაერი რომ იოლად შესულიყო, ხელით გაუწეღია და გაბერვა დაუწყია. რომ გაუბერია და იმას ბუშტზე თავისი პორტრეტი დაუნახავს, ჯერ რაღაც ხმა ამო-

უშვია, რომლის შინაარსი ბიძაჩემს ვერ გაუგვია, მერე სლოკინი გატყუდა და ბე-ძაჩემს რომ ბუშტი შეუტრიალებია და მეორე პორტრეტი უჩვენებია, მერე კიდევ რომ შეუტრიალებია და მესამე პორტრეტი უჩვენებია, იმას სლოკინი კიდევ უფრო გაძლიერებია. ბოლოს, სლოკინსა და სლოკინს შორის უთქვამს, ეს რას ნიშნავს, ამხანაგო, ამიხსენიო. ბიძაჩემ იონას ბუშტის მოგრებილი ბოლოსთვის ხელი გაუშვია; ჰაერი რომ შუბილით გამოსულა, დაჩურჩული ბუშტი ისევ მაგიდაზე დაუგდია და უთქვამს, ეს ხალხის რისხვიაო. იმას არ დაუჯერებია; რას ქვია ხალხის რისხვა, ნიკოლოზის დრო ზომ არ არისო. ეს კი უთქვამს, მაგრამ თან მეორე ბუშტი აუღია და შეეძებულს თვითონ დაუწყია გაბერვა. მაშინ ბიძაჩემ იონას მესამე ბუშტის გაბერვა დაუწყია. ისხდნენ თურმე ორთავენი და ბუშტებს ბერავდნენ, რაც ბიძაჩემი იონას ვარაუდით გარეშე თვალისათვის აღბათ ცოტა უცნაური სანახაობა უნდა ყოფილიყო. ახლად, გაბერილ ბუშტებზეც რომ თავისი სამ-სამი პორტრეტი უნახავს, იმას ხასიათი საბოლოოდ გაფუჭებია და გულმოსულს უკითხავს, ვინ ქნა ესო. მაშინ ბიძაჩემს ყველაფერი წვრილად უამბნია: თავგასულ ძროხათუბნელებს რაღაც ნახევარკლომეტრისანი გზის გულისთვის ამბოხების მოწყობა განუზრახავთო. ამბოხების მოწყობა, მოგვხსენებთო, იმითაა ძნელი, რომ ხალხს პირის შეკრა უჭირს, ამ ფუნაქქვია ძროხათუბნელებს კი როგორღაც მოუხერხებიათ, ხუთასი ოჯახი მუშტევით შეკრულა და უთქვამს, რაღაი ხელისუფლებას ამ ერთი მტკაველა გზის გაკეთება არ შეუძლია, აწი ჩვენ ვიცითო. დღეს პარასკევია, იქითა კვირას, ზეგისწორს, დილაადრიან სანაკლიოს ლავარდოვან ცაზე ორი ათასი ასეთი ბუშტის გაშვებას აპირებენ, რაღა თქმა უნდა შესაფერისი წარწერებითო. ამ სიტყვებით ახლა ფოტოსურათები ამოულაგებია ჯიბიდან. ფოტოსურათებზე გამოსახული

ყოფილა იგივე სამპორტრეტოვანი ბუშტები, რომლებსაც ქვემოთ, როგორც გაფიციულ უმუშევრებს, მუყაოები ეყიდათ და ზედ ნაირ-ნაირი (მათ შორის გვარიანად უხამსი) ლოზუნგები ეწერა. ფოტოებზე გამოსახული ბუშტების ნაწილი ხის სარეზზე ყოფილა დამაგრებული და, რაკი მასპინძელს მათი დანიშნულება ვერ გამოუცვნია, ბიძაჩემ იონას აუხსნია, ხუთასი ცალი ბუშტი გასაკეთებელი გზის გასწვრივ იქნება ორივე მხარეს ჩამწკრივებულიო. მასალების დათვლიერებას რომ მოჩა, მასპინძელი თურმე ერთხანს ჩუმად იჯდა და თავისთვის ფიქრობდა, ბოლოს უთქვამს, ყველას დავიჭერ და ციხეში ამოვალბობო. ღირსნი არიანო, თანხმობა მიუცია ბიძაჩემს, მაგრამ რა საბაბით დაიჭერთ, პოლიტიკური ამბოხი ეს არ არის, სოციალური და ეროვნულიო. ორი ათასი ბუშტი რომ ასე-ვე ლოზუნგებით აიჭრება მზიური სასკლიოს თავზე, თქვენ ცხადია მოგხსნიანო, დაუმატებია მერე; ეგ კი არაფერი, თქვენი თანამდებობის კაცს თავგანწირვა ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ ქალაქს რა ვუყოთ, ქალაქის პრეტეი რომ შეილაზება, ამას რა ეშველებაო. აბა, აბაო, სინანულით უთქვამს იმას და საბოლოოდ მოღრეცია სახე. მანამ იმეორა თურმე, რა ვქნა და რა ვქნაო, სანამ ისევ ბიძაჩემი იონა არ დაეხმარა. ერთადერთი გამოსავალი დაგრჩენიათო, უთქვამს, უნდა დაასწროთ და შაბათ საღამოს გამზადებული გზა ჩააბაროთო. იმას ერთხანს კიდევ უყაყმანია, მაგრამ რას იზამდა, თვითონვე ხედავდა, რომ სხვა საშველი არ ჰქონდა. წამოსვლის წინ ბიძაჩემ იონას კიდევ ერთხელ გაუფრთხილებია, თქვენი ჰირიმე, არ გამამხილოთ, თორემ, ძროხათუნელებმა რომ გაიგონ, მე მოგიტანეთ ამბავი, ჩაჭოლვა არ ამცდებო. მისაღებში რომ გამოსულა, პირადი მდივნისთვის, რომელიც მისი სიტყვით უაღრესად ფუმფულა ყოფილა, გამოთხოვების ნიშნად (თუ არ ტყუოდა) ლოყაზე ხელი მოუთათუნე-

ბია. მე მაშინ ისეთ ასაკში ვიყავი, რომ ყველაზე მკაფიოდ სწორედ ეს ეჭვთუდი წარმოვიდგინე და ყველაზე დიდხანს სწორედ ეს ეპიზოდი დამახსოვდა. მეორე დღეს სანაქლოს ორივე გაზეთში ორი ერთნაირი შინაარსის სუსხიანი სტატია გამოქვეყნდა. სტატიები მკაცრად აკრიტიკებდნენ ზოგიერთ (სახელდებით არ იყვნენ მოხსენებული) თბილ თანამდებობაზე მოკალათებულ ბიუროკრატს, რომლებიც მშრომელთა გასაჭირს ყურს არ ათხოვებდნენ, რის გამოც ქალაქის ერთი ულამაზესი უბანი უგზოობის გამო არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდა. შემდეგ პატარა ოდა იყო მიძღვნილი ქალაქის ხელმძღვანელობისადმი, რომელმაც დროულად ალაგმა ბიუროკრატების პარბაში და მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნის ოპერატიულად დაკმაყოფილებას შეუდგა. მართლაც იმავე დღეს გზის გაყვანა დაიწყო. მომდევნო შაბათს მუშაობა დამთავრდა და ძროხათუნებში საზეიმო სხდომა და დიდი კონცერტი გაიმართა; კვირას სანაქლოს ორივე გაზეთმა გამოაქვეყნა სტატიები სათაურით: „კიდევ ერთი კარგი საქუქარი“. ორშაბათ საღამოს სტუმრები გვეწვივნენ. სამი უცხო კაცი მოვიდა და მამაჩემისა და დედაჩემის თანდასწრებით ბიძაჩემ იონას გამოუცხადეს, მოტყუებით რომ ორი ათასი მანეთი გამოგვძალე, ის ორი ათასი მანეთი დაგვიბრუნე, თორემ სასამართლოში გიჩვილებთ და უყარე მერე კაკალიო. მოულოდნელობის პირველმა დაბნეულობამ რომ გაუარა, ბიძაჩემი იონა ალტაცებაში მოვიდა ძროხათუნელების მოხერხებულობით. როგორც მერე გამომიტყდა, განსაკუთრებით მოსწონებია ფულის გაორკეცება. თუმცა ვაჭრობა მაინც დაუწყაო და იმდენი ევაჭრა, რომ ბოლოსდაბოლოს ათას ხუთას მანეთზე ჩამოიყვანა. ვინც იცის ბიძაჩემისა და მამაჩემის დამოკიდებულება ისეთი ცნებების მიმართ, როგორიცაა „პრესტიჟი“, „თავმოყვარეობა“, „სკანდალი“ და სხვა მისთანანი, ადვილად

მიხედება, რომ ამ საქმეში საბოლოოდ ყველაზე დაზარალებული მამაჩემი გამოვიდა. მამაჩემმა ძროხათუნებლებს ათას ხუთასი მანეთი გადაუხადა. მართალია ამ ათას ხუთას მანეთს ბიძაჩემი იონა, როგორც სახელმწიფო ბანკის სესხს, წლების განმავლობაში ფარავდა ნაწილ-ნაწილ, მაგრამ მორალურ ზარალს ვინ დაუფარავდა საბრალო მამაჩემს! ის ამბავი, რომ იმ ხუთასმეტრიან მონაკვეთს იმთავითვე „იონას გზა“ შეერქვა (ძროხათუნებლების საზეიმო ხუმრობა) მამაჩემისთვის ცხადია დიდი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა.

როცა ოჯახში ასეთი დინამიტი გიდევთ, იდილიაზე ლაპარაკი ზედმეტია, ხოლო თუ ერთ მშვენიერ დღეს ეს დინამიტი, იმის ნაცვლად, რომ თავისთვის იღოს კუთხეში და იქანგებოდეს, საეჭვოდ ათუხთუხდა და საბედისწერო აქტიურობით შრომით ფერხულში ჩაება, ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოისხათ, რომ აფეთქება არ გამოგეპაროთ და დროზე მოასწროთ ოჯახის გახიზვნა.

იმ დღეებში მამაჩემი სახიფათო დავალებასზე გაგზავნილ მშვერავს ჰგავდა, დედაჩემი შეფექრიანებული სახით იწყველებოდა, ხოლო ბიძაჩემი იონას პოპულარობა სანაკლიაში საათობით იზრდებოდა.

სანაკლიელებმა ხელად იყნოსეს, რომ ხელისუფლება მათ გრანდიოზული ზეიმისთვის ამზადებდა, და დიდადაც გაიხარეს, ვინაიდან, როგორც ითქვა, ზეიმი ძალიან უყვარდათ. მალე ისიც ცნობილი შეიქნა, რომ მომავალი დღესასწაულის მთავარი მამობრავებელი ძალა, მისი გული და მისი შესაქე იონა კამკამიძე იყო.

საიუბილეო სამზადისის სადავეები ბიძაჩემმა იონამ პირველივე სხდომაზე იგდო ხელთ. ეს არ იყო ძნელი საქმე და ბიძაჩემის მხრივ არც რაიმე განსაკუთრებულ სიმარჯვესა და მოხერხებულობას მოითხოვდა. პირიქით: კომისიის დანარჩენი წევრები იმ ჭიშისა და

ხარისხის ადამიანები იყვნენ, რომელთა შესახებ ალგორითმული განმარტება (უმთავრესად ავტოლეგენდები) დადის ხოლმე — დღეღამეში ოცდახუთ საათს მუშაობენო. ამ ჭურის ხალხს დიდ და სერიოზულ კომისიებში ყოფნა კი ესახელებათ, კი შვენით, და, რომ არ შეიყვანონ, კი ეწყინებათ და კი შეშფოთდებიან, მაგრამ მუშაობისთვის ვერ იცლიან. ბიძაჩემი იონა სწორედ ამიტომ დანიშნეს მდივნად. პირველი სხდომის დღის წესრიგიც ძირითადად იმას უნდა მიძღვნოდა, რომ კომისიის დანარჩენ წევრებს ყოველგვარი შავი სამუშაო ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ, შეუმჩნევლად მოეხსნათ და მდივნისთვის აეკიდებინათ. ბიძაჩემმა იონამ ისინი ამ საქმისაგანაც გაათავისუფლა, თავადვე დაიდგა ქედზე უღელი, სხდომაზე გრძელი, პათეტიკური და პატრიოტულ-ალტყინებული სიტყვა წარმოთქვა და კომისიის წევრთა წამაქეზებელი შეძახილების ქვეშ ყველა საქმე თვითონ ითავა. ერთადერთი, რასაც ამ ხანგრძლივი სამზადისის პერიოდში კომისიისაგან ითხოვდა, ის იყო, რომ ეამიდან ეამზე სხდომაზე მოსულიყვნენ და მდივნის ანგარიში მოესმინათ.

რაც დრო გადიოდა, ბიძაჩემი იონა უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა შრომითი საქმიანობის ბლანტ ჰაობში. ამ ტრაგიკულსა და გაუგებარ შეტამორფოზას მთელი ოჯახი შიშით ადევნებდა თვალყურს და სახლში მუდამ დენთის სუნით იდგა ავის მომასწავებელი მოლოდინი. ყველაზე მძიმე ალბათ ჩემი მდგომარეობა იყო. ჩემი გაუხარელი ბავშვობა, რომელიც იმ პერიოდში ძირითადად სასკოლო და სამიჯნურო ტრაგედებისაგან შედგებოდა, ბიძაჩემი იონას ცხოვრების წესში თავისი ცხოვრების წესის გამართლებას ხელადავდა, ბიძაჩემი იონა ეგულეზობდა ერთადერთ საყრდენად, ერთადერთ იმედად, ერთადერთ ნათელ წერტილად სანაკლიოს კუნაბეტ ღამეში. და მე მწარე ტყვილით ვხედავდი, როგორ ქრებოდა ეს პატარა სინათლე, როგორ

მეტლებოდა ფიქვემ საყრდენი, როგორ თვალსა და ხელს შუა ვკარგავდით იმედს. ბოლოს კი, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ბიძაჩემმა იონამ დედაჩემის ორ ვრცელ წყევლას შორის წარმოქმნილი მცირე პაუზით ისარგებლა და გამოგვიცხადა, ალბათ ღამის გასათევადაც ვეღარ ვივლი შინ და ნუ დამელოდებით, საწოლი შტაბში დავადგმევინე და, წინ და უკან სიარულში რომ ძვირფასი დრო არ დავკარგო, იქ დავიძინებ ხოლმეო, ცა საბოლოოდ დაიფარა ტყვიისფერი ღრუბლებით და მე ინტენსიურად დავიწყე ცხოვრების ამოებზე ფიქრი. საბედნიეროდ, ბიძაჩემს, როგორც ჩვეოდა ხოლმე, სიტყვა არ შეუსრულებია. თუმცა კი ზოგჯერ მართლა გადაიკარგებოდა რამდენიმე დღით, უფრო ხშირად მაინც შინ ეძინა. ეს ნუგეში კი იყო, მაგრამ ძალიან მცირე ნუგეში იყო, რადგან ჩემთვის სრულებით აღარ ეცალა, მისი ფიქრები და საერთოდ მთელი მისი არსება საზეიმო სამზადისს დასტრიალებდა.

ეს კია, რომ, როცა შინ მოვიდოდა, ყოველთვის დაწვრილებით გვიამბობდა ხოლმე თავისი ავბეღითი საქმიანობის ამბავს და ამგვარად ჩვენდაუნებურად ყველანი დიდი სამზადისის მონაწილეებად ვგვრძობდით თავს. თუმცა განა მართო ჩვენს იმ ხანებში პრესისა და რადიოს მეშვეობით მთელს სანაკლიოში გაისმოდა ბიძაჩემი იონას მქუხარე ხმა. ინტერვიუს ინტერვიუზე იძლეოდა, ყველა იღებდა, ყველა პრობლემა, ყველა გადაწყვეტილება საზოგადოების სამსჯავროზე გამოჰქონდა, ქალაქი მუდამ საქმის კურსში ჰყავდა და ავითრავებდა იზრდებოდა და იზრდებოდა.

კომისიის წევრებს კვირაში ერთხელ რეგულარულად უყრიდა თავს. თვეში ერთხელ სხდომებს თვითონ კაცია გოგიაც ესწრებოდა, რომელიც ოფიციალურად კომისიის თავმჯდომარე და საინფორმაციო მზადების მთავარი ხელმძღვანელი იყო. კომისია თითქმის ყოველ

კვირას ახალ-ახალ იდეებს იმსვენდა, რომლებსაც ბიძაჩემი იონას ფრთავაშლილი ფანტაზია პანტა-პუნტიტით ისროდა, და ერთხმად იწონებდა. ერთ-ერთ პირველსავე სხდომაზე ბიძაჩემმა იონამ წინადადება შეიტანა, საიუბილეო მედალი დაემზადებინათ და ახალშობილი მესიათასისათვის სამშობიარო სახლშივე მიერთმიათ. კომისიამ წინადადებას მხარი დაუჭირა და ესკიზის შესაქმნელად გამოიხადა კონკურსი „სანაკლიო — 100000“. კონკურსი დახურული იყო. დახურული იყო ხუთი მხრიდან, მეექვსე მხარეს კი კომისიისთვის, რომელიც ამავე დროს უიურიც იყო, დატანებული ჰქონდა მცირე ჭუჭრუტანა. ამ ჭუჭრუტანამ კომისია-ეიურის პასიურობაში ცოტაოდენი სიცოცხლე შეიტანა. კერძოდ, უახლოეს სხდომაზე, როდესაც წინასწარი თათბირი გაიმართა მომავალი გამარჯვებულის გამოსავლენად, თათბირში კომისია-ეიურის თითქმის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა. უმრავლესობას თავისი საკუთარი კანდიდატურა ჰყავდა, მაგრამ საბოლოოდ, რა ყველაფერი კარგად, მისხალ-მისხალ აწონეს, გამარჯვებულად სცნეს ქალაქის მთავარი მხატვარი ლეონარდო დიდიმამიშვილი. სანამ კომისია ბჭობდა, ბიძაჩემი იონა ჩუმად იყო, მერე კი, კომისიის აზრი რომ გამოიკვეთა, წამოდგა, გადაჭრით გაილაშქრა დიდიმამიშვილის წინააღმდეგ თავის მხრივ წამოაყენა ვინმე კარლო წუწუნავას კანდიდატურა და, როცა თათბირის მონაწილენი ერთსულვნად აღშფოთლდნენ, რადგან ეს სახელი და გვარი არცერთ მათგანს არ გაეგონა, თავისი მოსაზრება იმით დასაბუთა, რომ ჯერ ერთი ხსენებული წუწუნავა სანაკლიური გენიის ამომავალი ვარსკვლავია, რომელიც სულ მალე ყველაზე მაღალ და მიუვალ მწვერვლებს დაიპყრობს, და მეორეც, წვრილშვილის პატრონია, ვიწროდ ცხოვრობს, გამოფენებზე არ იწვევენ და ოჯახის რჩენა უჭირსო. რაკი კომისია-ეიურიც ეს მოტივები საკმარისად



არ სცნო და ბრძოლა განაგრძო, ბიძაჩემმა იონამ მისი სიჯიუტის გასატყუებლად გადამჭრელი საბუთი მოიშველია: რაკი ასე ვსურთ, შე ჩემდათავად ყველა მოვიტყუოთა მომიხსნია და სხვა მდივანი ეძიეთო. ასეთი დიღემის წინაშე რომ დადგნენ, კომისია-ტიურის წევრებმა ისევ დიდიმამიშვილის გაწირვა ამჯობინეს (მოგვიანებით, როცა ორი მნიშვნელოვანი გარემოება გამოირკვა — წუწუნავამ მართლა სატყუთესო ესკიზი მოიტანა, ხოლო დიდიმამიშვილს საერთოდ არ მიუღია კონკურსში მონაწილეობა — კაცია გოგრაძა და მთელი კომისიის თვალში ბიძაჩემი იონას აქციები კიდევ უფრო ამაღლდა).

ამის შემდეგ მომავალი იუბილარის ეკონომიურ უზრუნველყოფას შეუდგა და ამ საკითხის გამო ერთ-ერთ სხდომაზე კომისიის წინაშე ვრცელი მოხსენებით წარდგა შეცდომა რომ არა მოგვივიდეს რა, ამთავითვე უნდა ყველაფერი ვავითვალისწინოთო, აღნიშნა მან, მართალია სანაკლიელ მშრომელთა ცხოვრების დონე უკვე ისე ამაღლდა, ფეხის წვერებზე თუ არ შედექი, გადახედვაც კი ჭირს, მაგრამ, რაკი ცალკეული გამონაკლისები ჯერ კიდევ არსებობს, გამორიცხული არ არის, ჩვენი იუბილარი სწორედ ასეთ გამონაკლის ოჯახში დაიბადოს: სახლი არ ჰქონდეს, კარი არ ჰქონდეს, საქმელი არ ჰქონდეს, სასმელი არ ჰქონდეს, ჩასაცმელი არ ჰქონდეს და დასახური არ ჰქონდეს, მერე რომ არ დაგვეჭირდეს სახსრების ძებნა, როცა — ყველამ კარგად იცით ჩვენი ფინანსისტების წუწურაჭობის ამბავი — შეიძლება გვიანლა იყოს, სკობს ამთავითვე შეექმნათ საგანგებო ფონდი. თუ არ დაგვეჭირდა, ხომ კარგი, და თუ დაგვეჭირდა, საძებნელი არ ვაგვიხდება. მოგეხსენებათ, მესამედასე ისეთი ღირსშესანიშნაობა იქნება, რომლის ნახვას ქალაქის ვერც ერთი სტუმარი გვერდს ვერ აუვლის, ასეთი მნიშვნელობის ღირსშესანიშნაობა კი სანიმუშო და საჩვენებელი უნდა იყოს, ეს ჩვენი პრესტიჟის საქმეაო.

კომისიამ ეს წინადადება ჩამანსულთვინად მოიწონა და საიუბილარო ფონდში შეიქმნა.

ტექნიკური საკითხები რომ მოაგვარა, ბიძაჩემმა იონამ თავად ზეიმის მზადებას მიჰყო ხელი. ჯერ ზოგადი გეგმა შეიმუშავა და კომისიის დამატკიცებინა. გეგმა მრავალ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებდა, როგორცა მაგალითად თეორიული კონფერენცია თემაზე „დედა, მამა და შვილი“ პრობლემის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი“, გაზეთ „სანაკლიოს დილისკატორფურციანი ლიტერატურულ-საფუბილეო დამატება სათაურით „აუ, ჩამდენი გავმხდარვართ უკვე!“, სახელდახელო მიტინგები წარმოება-დაწესებულებებში და მრავალ-შვილიან ოჯახებში, საზეიმო კონცერტები საბავშვო ბავა-ბალებში, ქალთა კონცერტი ოფიცერთა კლუბში, სატრანსპორტო საშუალებათა საზეიმო საყვირები ქალაქის ქუჩებში და სხვა. ყველაფერი ეს უნდა მომხდარიყო მესამეთასის დაბადების დღეს. მთავარი საიუბილეო სხდომა და მშრომელთა დემონსტრაცია გაიმართებოდა საშიოთხი კვირის შემდეგ (რათა იუბილარი დედა-შვილსაც შესძლებოდა მასში მონაწილეობის მიღება).

დემონსტრაციისა და საზეიმო კონცერტის დასადგმელად ბიძაჩემ იონას თავიდან პროფესიონალი რეჟისორის მოწვევა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მერე, როდესაც ყველაფერი გულმოდგინედ აწონ-დაწონა, პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა, რადგან იმ დროს რეჟისორების მთავარი რეზერვაცია თბილისში იყო, პერიფერიებში კი, მათ შორის სანაკლიოშიც, მხოლოდ რამდენიმე კუდა რეჟისორი დაბოგინებდა, რომელთა ჩანასახოვან გემოვნებას თავისი ნატიფი ფანტაზია ვერ ანდლო და საბოლოოდ ამ საქმესაც თავად მოჰკიდა ხელი. სცენარი დაწერა და მიზანსცენების მოფიქრებას შეუდგა ზეიმს უნდა გამართულიყო მთავარ მოედანზე. ტრიბუნაზე ქალაქის ხელისუ-

ფალთა და ჩამოსულ სტუმართა გარდა იქნებოდნენ მრავალშვილიანი დედები, რამდენიმე ახლადშეუღლებული წყვილი და სამშობიარო სახლის წარმომადგენლები. ტრიბუნა მორთული იქნებოდა ცოცხალი ყვავილებით და მრავალფეროვანი ტრანსპარანტებით, რომელთა ძირითადი მოტივი უნდა ყოფილიყო მოწოდება გამრავლებისავე (როგორცია მაგალითად „წინ, მეორასი-ათასისაკენ!“). სცენარის პირვანდელ კარიანტში ბიძაჩემ იონას გათვალისწინებული ჰქონდა ტრიბუნის მორთულობაში ისეთი დეტალებიც შეეტანა, რომლებიც ნაყოფიერების სიმბოლოდ გამოდგებოდა, მაგრამ კომისიის წევრები, რომელთაც ეს საკითხი თავთავიანთ ოჯახებში განეხილათ, ისეთი კატეგორიული გაწინააღმდეგებით წინააღმდეგნენ ამ განზრახვას, რომ ბიძაჩემი იონა იძულებული შეიქნა ამჯერად დათმობაზე წასულიყო. ტრიბუნას უწყვეტ ნაქადად ჩაუვლიდა ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა. ყველაზე წინ, ლამაზად მორთულ ორცხენიან ეტლში იჯდებოდა იუბილარის ოჯახი. ეტლს უშუალოდ მიჰყვებოდნენ ცხენებზე ამხედრებული რჩეული სანაკლიელი ქაბუკები, მხედრების უკან — ბებიი ქალები თეთრ ხალათებში, შემდეგ — ახალგაზრდა ოჯახები, შემდეგ — შეთქვირებული გოგონები ლოზუნგებით „მეც მინდა დედა გავხდე!“ და ა. შ. და ა. შ. მთელი ამ ხნის განმავლობაში მოედნის დიდი ნაწილი დათმობილი ექნებოდა კონცერტის მონაწილეებს — მოცეკვავეთა ანსამბლებს, მომღერალთა გუნდებს. მსახიობ-დეკლამატორებს, აკრობატებს, ილუზიონისტებს, ხუმარებს, ხალხურ მოქმელებს და სხვ. სკვერებში და მოზრდილ გზაჯვარედინებზე სუფრები იქნებოდა გაშლილი. დღესასწაული უნდა დამთავრებულიყო საერთო-საბაღო პურისსეპამით.

ასეთ მასშტაბურ სპექტაკლს სანაკლიელი რეჟისორები ცხადია, ვერ გაუმკლავდებოდნენ, ამიტომ ბიძაჩემმა იონამ ყველაფერი თვითონ იტვირთა

და მხოლოდ ასისტენტებმა მონიტორებს, რომელთაც მის განკარგულებაში უსიტყვო შესრულება ევალებოდათ.

იმისათვის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალაქს მეთაიათსე მოქალაქის მოლოდინით ეცხოვრა, სანაკლიოს ორივე განთეში ქამიდან ქამზე იბეჭდებოდა შესაფერისი წერილები, ბოლო თვეს კი საგანგებო რუბრიკა შემოიღეს, სადაც ყოველდღიურად ქვეყნდებოდა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დაიბადა და კიდევ რამდენი დარჩა დასაბადებელი იუბილემდე. გარდა ამისა, ბიძაჩემმა იონამ საიუბილეო კომისიის სახელით თავიდანვე გამოაცხადა საერთო-საქალაქო გამოკითხვა, რომლის შედეგადაც უნდა გადაწყვეტილიყო, რა სახელი დარქმეოდა იუბილარს. რაკი ბიძაჩემმა იონამ წინასწარ არ იცოდა, ბიჭი დაიბადებოდა თუ გოგო, თანაქალაქელებს თხოვა ორივე შემთხვევისთვის გამოეთქვათ თავიანთი სურვილები. სანაკიელები ხალისით გამოეხმაურნენ მოწოდებას და მალე შტაბს წერილების ნიაღვარი მოასკდა. საბოლოოდ ვაეების სახელე-ბში გამარჯვებული გამოვიდა „კაცია“, ხოლო ქალების სახელეებზე — „ვანდა“.

ერთი სიტყვით, ბიძაჩემმა იონამ ჩვენი საყვარელი სანაკლიო ისე დამუხტა იუბილის მოლოდინით და ისე გადაავიწყვა ყველა სხვა პრობლემა და ყველა სხვა საზრუნავი, თითქოს ეს საინტერესო ქალაქი იმთავითვე მხოლოდ იმ მიზნით შექმნილიყოს, რომ თავისი მეთაიათსე მოქალაქის დაბადება ეხილა.

ამასობაში დრო მიდიოდა და ნანატრი წამი ახლოვდებოდა.

როდესაც საიუბილეო კონკურსის გადაგვიდა, ავტორიტეტულმა ქიურიმ გულდასმით განიხილა წარმოდგენილი ესკიზები და პირველი ადგილი ერთხმად მიანიჭა კარლო წუწუნავას. ყველასთვის მოულოდნელად კარლო წუწუნავამ, კონკურსის შედეგი რომ შეიტყვო, განცხადება შემოიტანა საიუბილეო კომისიის სახელზე და (მას შემ-



დღე, რაც გულწრფელი მადლობა მოახსენა ეიურის მისი მოკრძალებული ღვაწლის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის) ითხოვა, პრემიაცა და კუთვნილი ჰონორარიც საიუბილეო ფონდში გადაერიცხათ. კარლო წუწუნავამ განაცხადა, წესისამებრ, კომისიის მდივანს მიართვა. ბიძაჩემ იონას, რომელმაც კარგად იცოდა წუწუნავების ოჯახის გაჭირვების ამბავი, ეს უადგილო გულუხვობა და ენთუზიაზმი თურმე არაფრად ექაშნია, განცხადება უკანვე დაუბრუნა ავტორს და გულშემატკივრის მზრუნველი კილოთი მოთმინებით აუხსნა, რომ საიუბილეო ფონდი საკმარისად ღონიერი იყო და შეწირულობებს არ საჭიროებდა, რაზედაც კარლო წუწუნავას უბასუხნია, კაცო, შენ წინ იყურე და შენს საქმეს მიხედვე, ჩემს ფულს მე როგორც მინდა ისე მოვიხმარო, და, გაუგებრობა რომ არა მომხდარიყო რა, განცხადება ყოველი შემთხვევისათვის ოფიციალურად გაუტარებია კანცელარიაში. ბიძაჩემი იონა სახტად დარჩენილა (და საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა, ვინც მასზე სულელი ეგონა, ბოლოს, როგორც წესი, მასზე ჭკვიანი აღმოჩნდებოდა ხოლმე, ვერასოდეს სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა). კარლო წუწუნავას კეთილშობილური საქციელი სანაკლიოს გაზეთებმა მეორე დღესვე აიტაცეს. გამოქვეყნდა გამარჯვებული ესკიზის ფორტო, ავტორის პორტრეტი, მოზრდილი ინტერვიუ და ერთი ხელოვნებათმცოდნის სტატია, რომელიც მკითხველებს უკიდურესი მხატვრობით მოუთხრობდა ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭიერების ამბავს. ხანი რომ გამოხდა, გამარჯვებული მხატვარი კაცია გოგიასთან ჩაეწერა მიღებაზე და, როცა რიგმა მოუწია და შევიდა, აღელვებითა და ცოტა დაულაგებლად უამბო, თუ რა გაჭირვება დაატყდა თავს კონკურსში გამარჯვების შედეგად. ასეთი რა მოხდაო, უთქვამს, რალაც ორი გროში შეეწირე საიუბილეო ფონდს, თან ხომ არ უნდა გადამაყოლონო. ერთი რიგითი

პატრიოტი ვარ და ისე მიყვარს ჩემი ქალაქი, როგორც დანარჩენ სანაკლიოელებს, არც მეტი, არც ნაკლები; ჩემს ადგილას ალბათ ყველა ასე მოიქცეოდაო. რა გმირობა, რის გმირობა, ეს გახლავთ ჩვეულებრივი მოქალაქის ბუნებრივი მოთხოვნილება და, რომ მცოდნოდა, ასეთი ამბავი ატყდებოდა, ამ საქმეს როგორ ვიზამდიო. მოსვენება აღარა მაქვს მნახველებისაგან; თუ გარეშე, თუ შინაური, ყველა თავის მოვალეობად თვლის სტუმრად მეწვიოს და დამთავალიეროს, ვითომ მართლა რალაც უნახავი სანახაობა ვიყოო. მოვიდნენ, ვინ ოხერი, მაგრამ ერთი პატარა ოთახი მაქვს, ცოლ-შვილი დაეტიო იქ თუ სტუმრებიო. თვითონ სულ არ ენადვლებათ და მე ლამისაა სახლიდან გადავიკარგოო. თანაც ზოგი ისეთი სტუმარია, თუ არ გაუმასპინძლდი, არ ივარგებს, არადა, ჩემი ხელფასის პატრონი რომელ ერთს გავწვდევ, ოჯახს შიმშილით ხომ არ ამოვწყვიტავო...

მოკლედ, სანაკლიოს მეასიათასე მოქალაქე ვერ კიდევ არ იყო დაზადებული, როდესაც დამწყებმა მხატვარმა კარლო წუწუნავამ ახალი ბინა და ახალი ხელფასი მიიღო, ხოლო სამი თუ ოთხი წლის შემდეგ (მაშინ მე უკვე კარგა ხნის წასული ვიყავი სანაკლიოდან) ქალაქის მთავარ მხატვრად დაინიშნა, ქალაქის ყოფილი მთავარი მხატვარი კი. ლ. დიდიმამიშვილი, საკუთარი განცხადებით გადადგა პენსიაზე გასულასთან დაკავშირებით.

თუმცა ჩვენს სათქმელს მიუებრუნდეთ.

რაც უფრო ახლოვდებოდა დიდებული წუთი, სანაკლიოში მით უფრო იზრდებოდა ავიოტაჟი. გაზეთებმა უმატეს წერილების რაოდენობასაც და სიგრძესაც, რადიოკვანძი უკანასკნელ ცნობებში რეგულარულად გადმოსცემდა ინფორმაციებს სამშობიარო სახლიდან, გაიზარდა საიუბილეო კომისიის სხდომათა სიხშირე, ამოღდა ამ სხდომებზე კაცია გოგიას დასწრების კოფიცინტი. ერთი სიტყვით, მოახლოვ-

ბული იუბილე სრულიად სანაკლიოს ერთადერთი სულიერი საზრდო გახდა. ყველგან — ქუჩებში, სკვერებში, ბაზარში, ეზოებში, სარეკლებში, ვაჭრობის კლუბში, სკოლებში და პროფ. სასწავლებლებში, ტაქსებსა და ტროლეიბუსებში, კარტოფილის რიგებში და ქალთა საპარიკმახერო სალონებში — ყველგან მესაიათასის ხსენება იყო. თვით შეყვარებული გოგო-ბებებიც კი, რომლებიც ქალაქის ბნელ-ბნელ კუთხეებში გამალებული ვარჯიშობდნენ კონცაში, ისე ვერ მოისვენებდნენ, შუა ვარჯიშში ერთხელ მაინც მომავალი იუბილე არ ეხსენებინათ.

ხოლო ქალაქის პულტთან იდგა ბიძაჩემი იონა და, რას ფიქრობდა, კაცმა არ იცის.

იდგა, როგორც მთავარსარდალი, მხნე, ამაყი, გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული, და დინჯად ითვლიდა.

ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი...

და აჰა, დაპკრა დიდებულმა ჟამმა. მომავალი მესაიათასის დედას საიუბილეო ტკივილები დაეწყო.

ბიძაჩემმა იონამ პრესისა და რადიოს მუშაებთან, კომისიის სამ წევრთან და საზოგადოებრიობის რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად ბოლო ორი დღე სამშობიარო სახლში გაატარა.

მესაიათასე დაიბადა აპრილის ცემეტს, ორშაბათ დღეს, გამთენიის ხანს, დილის ოთხ საათსა და ოცდასამ წუთზე.

მოგვიანებით, ჩემს კითხვანე, მახარობლები რომ ვესტიბიულში გამოცვივდნენ და იქ მელოგინის ოჯახის არც ერთი წარმომადგენელი არ აღმოჩნდა, გულში რამე თუ გიგრძნო-მეთქი, ბიძაჩემმა იონამ დაფიქრებით მიპასუხა, როგორ არა, მაშინვე რეჩხი მიყო, მაგრამ ჩემი ტვინის ყველა თოთხმეტი მილიარდი უჯრედი (sic) იმ დროს მკაცრად იყო დასაქმებული, მე ხომ მთელი სანაკლიოს მაგივრად ვაზროვნებდი, და გონებამ იოლად ჩაახშო გუ-

ლის ხმა, დანარჩენებს კი ვინც მქმანლდა, თითო-თითო უჯრედის მეტად არ გააჩნდათ, კაცზე ერთი უჯრედი კი ჩვენს ბობოქარსა და რთულ საუკუნეში ძალიან ცოტათ.

ვის რამდენი უჯრედი ჰქონდა აპრილის იმ განთიადს სამშობიარო სახლის ოთახებსა და დერეფნებში, ამის ანგარიშს არ მოვეყვები, ვინაიდან ამან შეიძლება გვარიანად პესიმიტურ შედეგამდე მიგვიყვანოს, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მათემატიკა ბიძაჩემი იონას საქმე არ იყო.

სამ მახარობელს ერთდროულად აუღისტარტი ჯერ კეთილშობილური განზრახვით — რაც შეიძლება მალე მიელოცათ ოჯახისთვის ბიჭის დაბადება — დიდი სიჩქარით წამოსულან ვესტიბიულში მომლუდინე საზოგადოებისაკენ. ერთი მათგანი შუა დისტანციანზე ტაბურეტს წამტასდებია და შეჭიბრს, სადაც, როგორც ცნობილია, დამარცხებული არ არსებობს, ვინაიდან ყოველთვის მეგობრობა იმარჯვებს, იმავეითვე გამოთიშვია. დანარჩენი ორი ძახილით „ბიჭია, ბიჭი!“ ბოლომდე ისე მხარდამხარ შორბოდა თურმე, რომ გამარჯვებულის გამოვლენა ბიძაჩემი იონას ვარაუდით ფოტოფინიშის გარეშე შეუძლებელი იყო. მახარობელთა შეძახილების პასუხად ვესტიბიულში მქუხარე ტაში გაისმა. ცხადია ეს საჭირო და კარგი იყო, საიუბილეო ბიჭი მთელ სანაკლიოს ეკუთვნოდა, მაგრამ მახარობლები სამართლიანად მოელოდნენ, რომ მილოცვას კონკრეტული ადრესატიც უნდა ჰყოლოდა. კონკრეტული ადრესატი კი არ ჩანდა და დადლილი და აქოშინებული სპრინტერები შეფიქრიაებული და ცოტა გამწვარალი სახით აცეცებდნენ თურმე თვალებს. პირველი ბიძაჩემი იონა მოსულა გონს და, სანამ საერთო გაკვირვება უფრო მძაფრ სახეს მიიღებდა, ოცდახუთმანეთიანები დაუძვრია ჩიბიდან და გამარჯვებული მორბენლებისთვის პრიზებად დაურიგებია. ამასობაში ტრამვირებული მახარობელიც გამოჩნდებულა

და, ბიძაჩემი იონას ხელში რომ ოცდახუთმანეთიანები დაუნახავს, ტკივილი სულ გადავიწყებია, წვივის არეში გადატეხილი მარცხენა ფეხი სასწრაფოდ აუქეცავს, ოდენ მარჯვენაზე შემდგარა, ელვისებური ასკინკლით წამოსულა და უიმედო და საწყალობელი ხმით უთქვამს ბიძაჩემი იონასთვის, ბიჭია, ბიჭი, ღმერთმა გაგიზარდოს და გაგიმრავლოსო, და ეს არასწორი მისამართით წარმოთქმული სიტყვები ბიძაჩემს კიდევ ერთი ოცდახუთმანეთიანი დაჯლომია.

ეტყობა ბიძაჩემ იონას თუ თოთხმეტი მილიარდი არა, ყოველ შემთხვევაში, რაც ჰქონდა, ყველა უჭრედი მართლა დასაქმებული იყო, რომ ამ პირველი საექვო გარემოებისათვის სათანადო ყურადღება ვერ მიუქცევია. ამის ნაცვლად ახალშობილის ზომი-წონითა და ჯანმრთელობით დაინტერესებულა. ეს მონაცემები მალე შეუტყვია. ბებია ქალი გამოსულა და ოცდახუთ მანეთად უთქვამს, წონა — ოთხი და სამასი, სიგრძე — ორმოცდათერთმეტი სანტიმეტრი, ხმა — ბოხი და ჯანმრთელიო. მაშინ ბიძაჩემ იონას კორესპონდენტები დაუთხოვია, ჭერჭერობით ეს ზოგადი ცნობები მივაწოდოთ მეითხველს, დანარჩენი ნელ-ნელა გამოვეუზოგოთ, რომ მუდმივ სასიამოვნო დაძაბულობაში ვიყოლიოთო. ისინიც დაყაბულებულან, მაგრამ ამ დროს ფოტოკორესპონდენტები, რომელთაც ბუნებრივია ღამისთევს საფასური უნდოდათ, გაქინჯულებულან, სურათის გარეშე ცნობას ფასს არ ექნებაო. მაშინ თურმე, რაკი ახალმოლოგინებულთან აპარატის ჩაკა-ჩაუკი მიზანშეწონილი არ იყო, ერთ სანიტარ გოგონას, რომელიც აქ სტაჟს აგროვებდა, რათა მერე ეს სტაჟი ნაკლები ცოდნის კომპენსაციად გამოეყენებინა და ამ გზით უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრილიყო, სასწრაფოდ გახადეს ტანთ, ქათქათა ლოგინში ჩააწვინეს, გვერდით ხუთიოდე დღის წინ დაბადებული ერთი ბუთხუხა ბიჭი მიუგორეს და პრესის საიდუმლოე-

ბათა ღრმად მცოდნე ფოტოკორესპონდენტებმა სურათი ისე გადაიღეს, რომ მნახველს ბედნიერი დედის განწყობა ეგრძნო, ხოლო სახე და სხვა დეტალებიც ვერც ქალისა და ვერც ბავშვის ვერ გაეჩინა.

რაკი პრესა მოიშორა და ამის მეოხებით უჭრედების ნაწილი გამოუთავისუფლდა, ბიძაჩემი იონას ყურადღების არეში მყისვე მოექცა ის უცნაური გარემოება, რომ მახარობელი ქალების დაძახილს ზუსტი ადრესატი არ გამოხმაურებია, ცოტა ხნის შემდეგ კი, როდესაც იმავე მახარობლებისა და ბებია ქალის გამოკითხვით დადგინდა, რომ, რაც იუბილარი დედა აქ იწვა, მისთვის არავის მოუკითხავს, ბიძაჩემ იონას თურმე გულმა კიდევ უფრო ძლიერი რეჩხი უყო და მკაფიოდ, ცხადად (როგორც ახლე შენ გიყურებო, მითხრა) დაინახა ბედის ირონიული ღიმილი. ჩემი აზრით ტყუოდა, რადგან ჩემს კითხვაზე, მარტო ღიმილი დაინახე თუ თვითონ ბედიც მეთქი, ვერაფერი თქვა, მხოლოდ რეგვენი მიწოდა, რაც შესაძლებელია სიმართლე კი იყო, მაგრამ კითხვას სრულებით ვერ პასუხობდა. ასეა თუ ისე, ბიძაჩემი იონა გვარიანად შეშფოთებულა, კომისიის სამ წევრს, რომლებიც თან ახლდა, წინ გაძლოლია და შემდგომი კვლევა-ძიება სამშობიარო სახლის დირექტორის კაბინეტში გაუგრძელებია. ამ კვლევა-ძიებას შედეგი არ გამოუღია. სამშობიარო სახლში არავითარი ცნობა არ მოიპოვებოდა მელოგინის ოჯახის შესახებ. მაშინ საგონებელში ჩავარდნილ ბიძაჩემ იონას თავად მელოგინესთან საუბარი მოუთხოვია და მას შემდეგ, რაც ექიმს ქალის ჯანმრთელობა გულდასამით შეუნიშნებია და დამაკმაყოფილებლად უცვნია, ნებართვაც მიუღია. თეთრი ხალათი ჩაუცმევიათ, თეთრი ქუდი დაუხურავთ და ამგვარად ექიმისა და მისი ასისტენტების შემდეგ ბიძაჩემი იონა აღმოჩნდა პირველი კაცი, ვინც იუბილარის მშობელი დედა იხილა.

ისეთი სპეტაკი სახე ჰქონდაო, შიამ-

ბობდა მერე ბიძაჩემი იონა, ისეთი მშვიდი, ისეთი სათნო, ისეთი ღვთაებრივი ნათელი ედინა და ისეთი თბილი, ისეთი ნაზი და ისეთი უმწიკვლო ღიმილით შემომცქეროდა, მეტისმეტად შეშფოთებული რომ არ ვყოფილიყავი, მეტისმეტად შეფიქრიანებული და მეტისმეტად ბრყვი (ეს უკანასკნელი სიტყვა გულზე მალამოდ მომეცხო, რადგან ამ ყადის სიტყვებით, როგორც წესი, ყოველთვის მე მაჯილდოებდა ხოლმე, თავისთვის კი ძალზე იშვიათად იმეტებდა), ამ სახისა და ამ ღიმილის შემხვედრს წინდაწინვე უნდა გამომეცნო მოვლენათა შემდგომი განვითარება.

ბიძაჩემ იონას გულითადად მიულოცავს ვაჟიანობა და უთქვამს, ალბათ გეცოდინებათ, რომ თქვენი ბიჭი სანაკლიოს მეთაურად მცხოვრებია და ამრიგად იუბილარის მშობელი ბრძანდებითო. ქალს დედობრივი სიყვარულის გულშიჩამწვდომი ღიმილითა და ცოტა მისუსტებული, მაგრამ საამო ხმით მიუხვია, მე თუ არ ვიცო, მაშ ვინ იცის, ორი დღეა ჯოჯობეთურ ტყვილებს ვითმენო, ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რა ძალა სჭირდება ქალს, რომ ბუნებას აჯობოს და დაწყებული მშობიარობა მთელი ორი დღით გადასწიოსო. ამ სიტყვების შემდეგ ქალის სახეზე გადაფენილი ნათელი ბიძაჩემ იონას ისეთი ღვთაებრივი უკვე აღარ ეჩვენებოდა, მაგრამ მის სულში მომხდარი ღირებულებათა ეს გადაფასება ცხადია ბედნიერი დედისთვის არ უგრძობობინებია, ღიმილითა და დიდი ტაქტით ჩამოუგდია სიტყვა ოჯახზე და, რა შეუტყვია, ქალს ოჯახში არავინ ჰყოლია, ცოტა არ იყოს შეცბუნებულია და გაუბედავად და არც ისე მკაფიოდ, როგორც ეწადა, უთქვამს, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ... მმ... მეუღლე... ესეიგი, ბავშვის მმ... მამა... ეეჰო, ქალს უთქვამს, მოუკედეს დედა ჩემს პატარა კაცის, მამა ვინ მისცაო. მაშინ ბიძაჩემ იონას სახის ნაკვეთი იმდაგვარად გადაულაგებია, რომ ზედ სამძიმრის გამომეტყველება

აღბეჭდილიყო, და თანაგრძობის უკეთხავს, ნუთუ გარდაიცვალაო, წამსწევ ქალის ღიმილზე მიმხვდარა, რომ მიზანს ააცდინა, ნაკეთები უკანვე გადმოულაგებია და, აა, მიგატოვითო? უკითხავს. არც მომეკვარა და არც მივეტოვებოვარო, უთხრა თურმე ქალმა, ჩემი პატარა კაცია, შემოველოს დედა, უმამოაო. აპოკალიფსურმა ხილვამ რომ გაუარა, ბიძაჩემს უფრო პროზაული, უფრო რეალური და პრაქტიკული ექვი აუღია, მაგრამ ამ თემაზე საუბარი უხერხულად მიუჩნევია და, ვიზიტი რომ როგორმე სხვა თემით დაემთავრებინა, სახელი და გვარი უკითხავს, რაც ანკეტიდან უკითხავდაც კარგად იცოდა. იამზე ბურძგლაო, ქალს უთქვამს, თქვენ თუ გინდათ, იაია დამიძახეთ, ახლობლები იაიას მეძახიანო.

ბიძაჩემმა იონამ თურმე იგრძნო, რომ მშობლიური სანაკლიოს ლავეარდ ცაზე ლეგა ღრუბლები გამოჩნდა, პალატიდან გამოსულმა სასწრაფოდ ჩამოურეკა კომისიის დანარჩენ წევრებს, საგანგებო მდგომარეობა შეიქნა და დუყოვნებლივ შტაბში გამოცხადდითო, და იმ სამ წევრთან ერთად, რომლებიც ბოლო ორი დღეა მუდამ თან ახლდა, თვითონაც შტაბს მიწაშურა.

ბიძაჩემი იონას ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქალაქ სანაკლიოს საიუბილო, მეთაურად მცხოვრები ნაბიჭვარი გამოდგა, სხდომაზე თურმე გლოვის ზარივით გაისმა. დიდხანს იდგა სამარისებური დუმილი. მერე, როცა პირველმა ელდამ გაიარა, გამოირკვა, რომ იაია ბურძგლა ბევრისთვის ნაცნობი სახელი და გვარი იყო, ხოლო კომისიის ერთი-ორი, შედარებით ახალგაზრდა წევრი საეჭვოდაც კი შეიშმუშნა და სკამზე მოუსვენრად აწრიალდა.

მცირე ხნის შემდეგ ბიძაჩემმა იონამ მძიმე, მაგრამ გვერდაუქცეველი კითხვა დასვა — რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო, და კომისიის წევრთა გაუგავლი, შეუღწევადი სახეების დანახვაზე უეცრად მიხვდა, რომ ამ წუთიდან მოყოლებული მის უჯრედებს რაღაც და-

მატებითი და გაუთვალისწინებელი ტვირთი დააწვებოდა. მაგრამ ეს მომავლის ბუნდოვანი და ყრუ ძახილი იყო, რომელიც უცნობი ბრძოლისთვის მოწოდების შორეულ ზარს ჰგავდა, თორემ, როგორც ბიძაჩემმა იონამ ამიხსნა, როცა კომისიისთვის უკითხავს, რა ვქნათო, მხოლოდ ტაქტიკა და სიფრთხილის იმ დოზას გულისხმობდა, რომლითაც ქალაქისთვის ეს მოულოდნელი და სავალალო ვითარება უნდა შეეპარებინათ, და იმ დროს აზრადაც არ მოსვლია, რომ საქმე შეიძლებოდა ისე დატრიალებულიყო, როგორც დატრიალდა.

რაკი კომისიამ მის კითხვას პასუხი ვერ გასცა, ბიძაჩემმა იონამ გონივრული წინადადება შეიტანა: ასეთი პიკანტური საკითხები რა ჩვენი საქმეა, ბატონ კაცია გოგიას ვეახლოთ, ის არის კომისიის პატრონი და მთელი ქალაქის ალამდარი და დაე მისმა უზუნაესმა გონებამ იმტერიოს თავიო. კაცია გოგიას ხსენებაზე კომისიამ შევებით ამოისუნთქა. მართლაც (ვის არ გამოუცდია!) რამოდენა ლოდი გშორდება კაცს იმის გახსენებაზე, რომ არსებობს ვიღაც, ვისაც შეუძლია შენს მაგივრად იფიქროს და შენს მაგივრად წყვიტოს რთული და საჭოჭმანო საკითხები! კომისია მაშინვე წამოიშალა, მაგრამ მალე ისევ დაჯდა, ვინაიდან მოაგონდა, რომ ჯერ კიდევ ადრიანი დილა იყო. კაცია გოგია რვის ნახევარზე ღგებოდა. ლოგინიდან ხომ არ წამოაგდებდნენ ამხელა კაცს! საათნახევარი კიდევ ისხდნენ და ბოლოს, როცა კაცია გოგიას ადგომის დრომ მოაწია, ყველანი მისი სასახლეში საკენ გაემართნენ.

კაცია გოგია საუზმეს უჯდა. კომისია რომ შევიდა და საიუბილეო წილში წარმოქმნილი საგანგაშო ვითარება აცნობა, ხიზილალიანი პური (კარტაფილი არ უყვარდაო, ამიხსნა ბიძაჩემმა იონამ) თურმე პაერში გაშუშებია და წამით დამუნჯებულა (ბიძაჩემი იონა რომ ამ დეტალს მიამბობდა, მე ცნობიერების ნაკადის რთული ასოციაციის

მეშვეობით ეგნატე ნინოშვილი შომაგონდა), მერე ყავა რამდენჯერმე ნერვიულად მოუწრუტავს და დაფიქრებულა. ბოლოს ფიქრების შედეგი კომისიისთვის გაუცვნია, კერძოდ, უთქვამს, უშამოდ ბავშვის დაბადება ბნელეთის მოციქულთა მოგონილი ზღაპარია, რომელიც საბოლოო მიზნად მასების მორჩილებაში ყოფნას ისახავსო, გამოცდილება და პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ ბავშვი იბადება მხოლოდ მამის დაუღალავი შრომის შედეგადო, ეს, შეიძლება ითქვას, ბუნების გარდაუვალი კანონიაო, ამ შემთხვევაში ეტყობა საქმე გვაქვს არა უშამოდ დაბადებასთან, არამედ პირიქით, მამობის მრავალრიცხოვანი კანდიდატურების ერთობლივ მოღვაწეობასთან, რაც საშუალებას არ გვაძლევს ნამდვილი მამის ვინაობა დავადგინოთო. ამ მცირე თეორიული ექსპურსის შემდეგ უთქვამს, სამშობიარო სახლში წავიდეთ და ყველაფერი ადგილზე გავარკვეოთო. ბიძაჩემ იონას ეჭვი ეპარებოდა, რომ სამშობიარო სახლში იმის გარდა, რაც უკვე გაარკვია, კიდევ შეიძლებოდა რაიმეს გარკვევა, მაგრამ რაკი სანაკლოში უფროსები არასოდეს ცდებიან, არ შეპასუხებია. სამაგიეროდ ტელეფონს მიწვდა, ყურმილი აიღო და სამშობიარო სახლის დირექტორს კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება წინდახედულად აცნობა. გასულითი სხდომის გამართვას ვაპირებთ თქვენთანო, უთხრა, სხდომას თვით ბატონი კაცია დაესწრებაო, ამჟამად ბატონი კაცია საუზმეს შეექცევა და, რომ მოათავებს, წამოვალთ, ასე რომ ნახევარ საათში ალბათ უკვე მანდ ვიქნებითო. ბიძაჩემმა იონამ იცოდა, რასაც აკეთებდა. სამშობიარო სახლში წამსვე დაფაცურდნენ, იქაურობა ოპერატიულად დააკრიალეს, პერსონალს ახლადგაუთოებულ ხალათები ჩააცვეს, თუ ვინმე მთვრალი იყო შინ გაუშვეს, მელოგინე ქალები, რომლებიც თავიანთი რიგის მოლოდინში დერეფნის სხვადასხვა კუთხეებში შეკრებილიყვნენ და

ერთმანეთს ინტიმურ გამოცდილებას უზიარებდნენ, თავთავიანთ პალატებში შეპლალეს, შემოსასველელში საზეიმო წუთებისათვის საგანგებოდ შეიხნილი ღიდი ნოხი დააგეს, წინა ფასადზე ყოველი შემთხვევისათვის დროშაც გადმოფინეს და ამგვარად საპატიო სტუმრის შესახვედრად სანიმუშოდ მოემზადნენ.

კაცია გოგია მაღალი კაცი იყო და ერთი შეხედვით კაკლის საბერტყ ჭოკს ჩამოგავდა, მაგრამ ადგილზე გარკვევამ უკვე არსებულ ცნობებს ახალი ვერაფერი შეჰმატა. კომისიის საპატიო თავმჯდომარე მელიოგინის ანკეტას დიდხანს გულისყურით ჩაჰკირკიტებდა და ისეთი სახე ჰქონდა, ეტყობა ფიჭრობდა. ხანი რომ გამოხდა, თქვა: „მდაა...“ და ისევ გაჩუმდა. კიდევ რომ გამოხდა ხანი, თავი ასწია, კომისიის წევრებსა და გარეშე დამსწრეებს (სამშობიარო სახლის დირექტორი და მთავარი ექიმი) ჭორული მზერა მოავლო, ხელისგული მკაცრად დაჰკრა მაგიდის კიდეს და ხმაში ფოლადი გამოურია: უკანონო ბავშვის მესისათვის მცხოვრებელ დანიშნვას არავინ გვაპატიებსო, თქვა, ვინ მოგვეცემს იმის უფლებას, ქალაქის პრესტიჟი შევლახოთო, აქ ხმას დაუწია და უკვე საესებით წყნარად დააბოლოვა, კომისიის წევრებს ვთხოვ თავიანთი აზრი გამოთქვანო. ეს ცხადია, რიტუალური ფრაზა იყო და კომისიის წევრებს სინამდვილეში არაფერს ავალდებულებდა, რადგან იმავე რიტუალის თანახმად, როცა კაცია გოგია სათუბილეო კომისიის ან სხვა ნებისმიერ სბდომას ესწრებოდა, მთავარ აზრს ყოველთვის თვითონ გამოთქვამდა, დანარჩენებს მხოლოდ კერის დაკრა მართებდა. მართლაც, მცირე პაუზის შემდეგ, როცა რიტუალურად დარწმუნდა, რომ ხმის ამოდებას არავინ აპირებდა, შემდეგ ფორმულაზე გადავიდა, კეთილი, მაშინ მე დავიწყებო, და დაიწყა. უპრეცედენტო შემთხვევის წინაშე აღმოჩნდით და, თუ დროზე რამე არ ვიღონეთ,

შეიძლება გამოუვალ ჩინში, მოვემწყვდეთო, აქ ცოტა ხანს დეჰოცენდა, მერე კომისიის ყველაზე დიდთავა წევრს მიუბრუნდა და რბილად ჰკითხა, ეგება კარგად ვერ დავითვალეთ, ხეიჩა ჩემო, და დაანგარიშებაში შეეცდომა მოგვივიდაო, და, როცა ხეიჩამ სასწრაფოდ შეაგება, გამოირიცხული არაფერია, გადავათვლევენებ თავიდანო, კმაყოფილმა დაუქნია თავი, გადაათვლევიწე, გადაათვლევიწეო. ხეიჩამ ბლოკნოტი ამოიღო და დავალება ჩაინიშნა, კაცია გოგია კი ახლა გარეშე დამსწრეებს მიუბრუნდა: „შემდეგი უკვე დაიბადა?“ სამშობიარო სახლის დირექტორმა და მთავარმა ექიმმა მიუგეს: „ახლა იტკივებს მიუცელს ერთი მელიოგინე“. „მალიან კარგი“, თქვა კაცია გოგიამ და ისევ ხეიჩას მიმართა, „ან ეგება ამ ხნის განმავლობაში ვინმე ამოეწერა ქალაქიდან და ანგარიშში არ ჩაგვიგდია“. „კი, ბატონო, ეგეც შესაძლებელია. კაცმა რომ თქვას, რა დაუდგებოდა წინ!“ — მიუგო ხეიჩამ. მაშინ სათუბარში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ჩაერიდა, ქალაქ სანაკლიოში კაცია გოგიის შემდეგ ყველაზე საპატივეცემული პიროვნება. მან თქვა: „იქნებ პირიქით, კი არ ამოეწერა, არამედ ჭაეწერა“, და თავისი აზრი რომ განემარტა, დაუმატა, „ხომ არ აჯობებს, კაცია ადამოვიჩ, წინაზე ავილოთ აქცენტი, რაც არ უნდა იყოს, უკვე დაბადებულია და ფაქტის სახით არსებობს? კაცია გოგიამ ერთხანს ჩუმიად უყურა თავის მოადგილეს, მერე წყნარად დაუქნია თავი და იკითხა: „მამა ჰყავს?“ სამშობიარო სახლის დირექტორმა ანკეტა მოძებნა, ჩახედა და დადასტურა: „ჰყავს“. ამით ნასიამოვნებმა მოადგილემ მშვიდობიანი ირონიით ჩაიციხა და შეინიშნა: „მთელი სანაკლიო ბუშებად ხომ არ გადავიქცეოდით?! გამსვლელი სბდომა წესით აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ამ დროს თურმე ბიძაჩემმა იონამ იკითხა: „ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ ქალს რა ვუყოთ?“ „რომელ ქალს?“ — ვერ გაიგო თავმჯდომარემ.

„ნამდვილი მეასიათასის დედას“. კომისიის წევრთა უკმაყოფილო ხმაურში თავმჯდომარეს ასე უთქვამს: „ნამდვილი, იონა ჩემო, ქვეყანაზე არაფერი არ არის. ყველაფერი მეტ-ნაკლებად ნამდვილია და, როცა კორექტივის შეტანა აუცილებელია, აუცილებლად უნდა შევიტანოთ კორექტივი“. „იმ ქალმა იცის, რომ მეასიათასის მშობელია. ჩვენ ხომ ქალაქს ყოველდღიურად ვაწვდიდით ინფორმაციას“. „ვეღებოდით. არ უნდა გვექნა, მაგრამ არაფერია, შეცდომა, რომელსაც შეუძლია შემდგომ ზრდას შეუწყოს ხელი, საშიში არაა. რაც შეეხება მაგ ქალს, თუ რამე დახმარება სჭირდება, დავეხმაროთ. ხომ გვაქვს საიუბილეო ფონდი! თუ საჭიროა, სულ მაგას მოვახმაროთ. ნურაფერს დავიშურებთ. ბინა სჭირდება — ბინა მივცეთ, ერთდროული დახმარება სჭირდება — ერთდროული დახმარება მივცეთ, სამსახური სჭირდება — სამსახური მივცეთ. თუ ჰეშმარიტი პატრიოტია, არც თვითონ ესამოიფენება, რომ ქალაქს მორალური ლაქა მოეცხოს. სხვათა შორის, ეს კარგი გამახსენე, იონა ჩემო!“ — აქ კომისიას მიუბრუნდა, — „იმ ქალთან ფაქიზი და ტაქტიანი მოლაპარაკებაა საჭირო. წინადადება შემომიქვს, ეს მოლაპარაკება დავეალოს ამხანაგ იონა კამკამიძეს. ვინ არის მომხრე?“

რალა თქმა უნდა თავიც კი არავის შეუტყავებია და ბიძაჩემ იონას კიდევ ერთხელ ჩააცვეს თეთრი ხალათი და კიდევ ერთხელ დაახურეს თეთრი ქუდი.

ბიძაჩემ იონას კაცია გოგიას წინადადება თავდაპირველად სავსებით მისაღებად და დამაკმაყოფილებლად უცენია და შუამავლობაც სიამოვნებით უკისრია, რადგან მისი აზრით მთავარი ეკონომიური სარგებლობა იყო, თორემ მეასიათასის სახელი და წუწუნავას გამოჩორკნილი მედალი ვის რა ჭირად უნდოდა.

მაგრამ ამ გონივრულ ვარაუდს იუ-

ბილარის დედამ მალე უკომპრომისული მღვრიე წყალი შეუყენებულა. ბიძაჩემი იონა პალატაში შესული რომ დაინახა, თავიდან ალერსიანად გაუღიმა თურმე, როგორც ძველსა და კარგ ნაცნობს. ბიძაჩემი სკამზე ჩამომჯდარა და ზერელე, ქარაფშუტული მუსაიფი გაუბამს, ქალებს რომ უყვართ და შეეფერებათ, ისეთი. ცხადია, ამ გარეგნულად არხეინ საუბარს თავისი მიზანდასახულობა ჰქონდა, კერძოდ, თავიდან ბოლომდე ისეთი ფარული ლაიტმოტივი გასდევდა, რომელიც ქალის ქონებრივი ცენზის დადგენას ისახავდა მიზნად. მართლაც ჩემს მზაკვარ ბიძას მალე დაუსკვნია, რომ იუბილარ დედას, თუ მეტირედენ სულიერ კამიტალს არ ჩავთვლით, სხვა არა ებადა რა, და ძალიანაც ვახარებია, რადგან კარგად ესმოდა, რომ, რაც უფრო ლარიბი აღმოჩნდებოდა პატარა კაციას დედა, მით უფრო იოლი იქნებოდა მასთან მოლაპარაკება. ბოლოს, საუბარში რომ აიყოლია, ნელ-ნელა შეაპარა თურმე, საიუბილეო ანგარიშში ეტყობა შეცდომა და შევებულიო. ეს მოსაზრება რომ უფრო დამაჭერებელი და საშიში გაეხადა, დაუმატა, ვისაც დაანგარიშება ევალებოდა, კვადრატული ფესვი სწორად ვერ ამოულია, რადგან ნიუტონის ბინომში რიცხობრივი მონაცემები მთლად სიმეტრიულად არ ყოფილა განლაგებულიო. ახლა თავიდან ანგარიშობენ და ვეჭვ საიუბილეო ციფრი კვლავ თქვენზე მოვიდესო. ამის გაგონებაზე იაია ბურძგლას მსუბუქი და რბილი გამომეტყველება ერთბაშად წაშლია და უეცრად თურმე, როგორც გაჭრილი ვაშლი, ისე დამსგავსებია მიქელანჯელოს ქალს, რომელსაც ბავშვი აუტატებია და, თუმც კი იმედი აღარა აქვს, მაინც ცდილობს წარღვნას როგორმე თავი დააღწიოს. მერე თვალი თვალში გაუყრია ბიძაჩემი იონასთვის და უთქვამს, ბინომები და დებილეები თქვენსკენ მოიკითხეთ, იცოდეთ, მე ცოცხალი თავით არაფერს დავთმობო. მაშინ ბიძაჩემი იონა მთავარ კლბიარს

ჩასულა: ბინაო, შეპირებია, ერთდროული დახმარებაო, სამსახურიო. თავისი ინიციატივით ისიც დაუშატებია, სხვა რაიმე ეკონომიური პრეტენზია თუ გაქვთ, არ მოგერიდოთ, მითხარით და ყველაფერს მოგიგვარებთო. იაია ბურძგლამ უყურა თურმე ამ ბიძაჩემ იონას, უყურა და ბოლოს ჰკითხა, თქვენ იონა კამკამიძე არა ხართო? ბიძაჩემ იონას ერთი კი გაკვირვებია, მერე გულში კმაყოფილებით გაუღვლია, მღვდელი ჭილოფში იცნობაო, და უღიარებია, დიახ, ქალბატონო, იონა კამკამიძე გახლავართო. მერე არა გრცხვენიათო, ქალს უთქვამს, ვის აყოლიხართ ამხელა კაცი, რომ აყოლიხართო, მაგათი ანგარიში მე კარგად ვიცი, მაგრამ მე თქვენს ანგარიშს ვენდობოდით, თქვენ არ იყავით, ვახეთებში რომ ცნობებს ბეჭდავდითო? მე თქვენი ანგარიშის კვალობაზე ვანგარიშობდი და თქვენი იმედით ვიმშობიარე დღეს, თორემ მგაფთხე შეწყურე ასე როგორ გავიწამებდი თავს და ამ ჭოჭოხეთურ ტკივილებს რომ დღე როგორ მოვითმენდი, გუშინწინვე ვიმშობიარებდითო. იცით თქვენ რას ნიშნავს დაწყებული მშობიარობის შეკაცებაო? არ იცითო. არ იცით და ღმერთმა ნურც გამოგადევინოთო! რას ვფიქრებდი, თქვენც თუ მაგათი ჭიშის გამოდგებოდითო!... რა ხანია ბავშვის გაჩენა მინდა და ვერ გამიბედავს, სულ იმას ვფიქრობ, რომ გავაჩინო, რითი გავზარდო-მეთქი! ამ იუბილის იმედით როგორც იქნა გავბედე და ახლა მეუბნებით, ვერ დაიანგარიშესო?! აკი ყოველგვარ ეკონომიურ შემწეობას გაბრდებიათ, ბიძაჩემს უთქვამს, და რა აუცილებელია საიუბილეოც იყოსო. ამაზე იაია კიდევ უფრო გაწინამატებულა: რაც ჩემს კაცის ერგება, ანაცვალს დედა, ფრჩხილის ოდენას ანაფერს დავთმობო, ცხარედ მიუვია, თქვენი ეკონომია თქვენთვის შეინახეთ, თქვე ქურდებო და მამაძღლებო, რა შავ ჭვად მინდა ან სახლი და ან სამსახური, შვილს თუ სირცხვილთ თვალი ველარ გავუსწორეო! რა

ვუთხრა, რომ გაიზრდება და მკითხავს, დედი, დედი, რატომ მე არაღაღრმეა ათასეო? ვუთხრა, შენი მესაიათასეობა, შვილო, ბინაში და სამსახურში გავცვალე-მეთქი? ჰა, ვუთხრა? ამას მირჩევთ ხომ? შვილის ბედით ვივაჭრო ხომ?...

აქ ორი უცნაური და არაბუნებრივი რამ მომხდარა: ერთი — იაია ბურძგლას უეცრად ტირილი ავარდნია და მეორე — ბიძაჩემ იონას გული აჩუყებია. აქვითინებული ქალი რომ სიტყვით ვერ დაუშოშმინებია, უკიდურესი ზომისთვის მიუმართავს: ლოგინის კიდზე უღონოდ და უსასოოდ ჩამოდებულ მის ხელს თურმე ზემოდან თავისი ხელი დაადო და, რაც შეეძლო, ნახად და ალერსიანად მოეფერა. იაია ბურძგლას ამაზე ჯერ შეუწყვეტია ტირილი, მერე ისევ განუახლებია და მერე ისევ შეუწყვეტია. ბოლოს ცრემლი მოიწმინდა თურმე და უკვე მშრალად მოჰყვა ზღუქუნს, ეს რა დრო დაგვედგა, ერთი კაცი აღარ დარჩა ამოდენა სანაკლოში, რომ საწყალ უმამო ბავშვს დამცველად დაუდგეს და სამართალი გაუჩინოსო.

ბის უმრავლესობას არც უფრქეთის მოპოვება უნდოდა, რაკი საკუთარ ზურგზე ჰქონდათ ნაწინები სულდნის სამისი წლის ბატონობა. პოდა, ამის გამო შეიძლება აქანუებულიყვნენ კადევაც, თურქები კი, აღმერთმა იცის, მხარს დაუჭერდნენ თუ არა. ვინ იცის, იქნებ მის ნაცვლად თავიანთი უფრო გამოსადეგი ვინმე შეერჩიათ.

დაუფასდა მთავარს ის სიმტკიცე უირობისობის დროს რომ გამოიჩინა: რუსები აუხაზეთში ღაბრუნდნენ და, ამის შემდეგ, პირველ ხანებში მამულბები ჩაჩბა მართლაც ნაშვილ მთავრად გრძნობდა თავს“ (გვ. 39).

მაგრამ ურუკვი და უცვლელი რა არის ამქვეყნად, მამულბების მდგომარეობა რომ ყოფილიყო. რომანის ავტორმა გახსნა ფრჩხილები და გვიჩვენა, თუ როგორ შეტრიალდა აფხაზეთის მთავრის ბედ-იბაბლი. მას შემდეგ, რაც შეახლის უპანისკელი კახე-სიმეგრე გუნობი აღებულ იქნა 1858 წელს მეფისნაცვალ თავად ბარიატინსკის მიერ, კავკასიაში სამხარი მოქმედება მიწველდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ეპაზობას, მაგალითად, უბიხების შეუპოვრობას. მაგრამ ეს ეპაზობები უკვე აღარ წარმოადგენდნენ რეალურ საფრთხეს მეფის მთავრობისათვის. ამიტომ საკვებით მართებულად რომანის ავტორის მოსაზრება, რომ ამ დროიდან „მეფის მთავრობა ისე დიდად აღარ აფხანებდა იმ მთავრობის თანადგომას, წარსულში მხარს რომ უჭერდნენ რუსებს ქედობრული მითილებიის წინააღმდეგ ბრძოლაში“ ზუსტია ავტორის ის დასკვნაც, აქედან რომ გამოსყვან. რომანში ნათქვამია: „1862 წელს აფხაზეთი უპანისკელი სამთავრო იყო შეიღ კავკასიაში და, აღბათ, იმასაც მაშინვე გააუქმებდნენ, მეფისნაცვალს, თავად ბარიატინსკის, ასეთი წერალი რომ არ მიეწერა იმპერატორისათვის: „თავადის (გვლისხმება მამულბები ჩაჩბა, გ. ქ.) დედა ვენების მტკს არაფერის მოგვიტანს. როგორც ჩემთვის ცნობილია, მისი გავლენა აფხაზეთსა და მეზობელ ტომებზე კვლავ მნიშვნელოვანია. ამიტომ მისი ჩვენდამი კეთილგანწყობა ძალზე სასარგებლოდ მიმჩნეაო“ (გვ. 39).

ყოველთაე ამან დროებით იხსნა აფხაზეთის მთავარი მოსალოდნელი დიდი უსიამოვნებისაგან, მაგრამ... დაახლოებით „ორი წლის შემდეგ დრო შეიცვალა, მდგომარეობა გაართულდა“.

რა იყო ამის მიზეზი? რომანის ავტორმა უძველესად სიმართლედ გვითხრა, როცა აღნიშნა: „კავკასიის ახალი მეფისნაცვალ, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ლიკრობდა, რომ აფხაზეთის სამთავროს უკვე აღარ შეეძლო რაიმე ახალი სარგებლობის მოტანა, ამიტომ უნდოდა, რაც შეიძლება ჩაჩბა და შეუმჩნევლად გაეუქმებინა ეს უპანისკელი სამთავრო, რომელიც თუნდაც მხოლოდ სახელწოდებით ახსენებდა თავის

ოდინეულ დამოკიდებულებას“ [გვ. 39-40]. ხმები აფხაზეთის სამთავროს მთავრობის გაუქმების შესახებ ძლიერდებოდა, უფრო და უფრო შეუფოთებული ხდებოდა მამულბები, მით უმეტეს წუხებდებოდა, როცა გრძნობდა საკლებო რეფორმის მოახლოების, ვინაიდან არავინ იცოდა რა და როდის მოხდებოდა, მაგრამ ერთი რამ კი ურუკვად სწამდა მთავარს: „აღარ თუ გვიან, აფხაზეთშიც“ დაიწყებოდა ეს პროცესი, და მას „თავის თავზე ნაკლებად როდენ აწუხებდა თავისი შეწყვილების გიორგის ბედი, რომელსაც დიდი ხანია აფხაზეთის მომავალ მთავრად სახავდა ოცნებაში. მამულბები ჩაჩბას დროის მოგება უნდოდა, სურდა რამდენიმე წელი მაინც გააღწია უკან ახალი მეფისნაცვლის მიერ დავიგვალი სამთავროს გაუქმება... მას უსაფუძვლოდ როდენ მიანდა, რომ მაქატირანტიზის შეურთიგებლობა და სიჭრუტე აფხაზეთსაც აღაზნებდა. განსაკუთრებით წუხებდებოდა, ახლო მეზობლობა რომ ჰქონდათ უბიხებთან. მას სწამდა, თუ უბიხები რუსებს დაუზავებდნენ, ეს მას ქვეშევრდომებზეც მოახდენდა გავლენას, რომლებსაც ქვეშევრდომებიც ერქვათ, თორემ პირველი ზელსაყრელი შემთხვევითიანვე განუდგებოდნენ ზოლზე რუსეთს.

ჩაჩბას ეგონა, უბიხებთან შედეგანი მოლაპარაკება დაუხმარებოდა ურჩი აფხაზების დამორჩილებას. ეს კი რუსეთის თვალში მის ავტორიტეტის გაწამტკიცება და ამით მამულბები ჩაჩბა იმას მიღწევდა უბიხებთან, რაც ორთვის წინათ რუსეთის გუნერაღმა ვერ შეძლო. ეს წარმატება ისე ააბაღლებდა მეფისნაცვლის თვალში, რომ სამთავროს გაუქმებზე დაპარაკე კი ზედმეტი იქნებოდა ყოველ შემთხვევაში, გაუქმების ამბავი დიდი ხნით მაინც გადაიდებოდა“ (გვ. 40).

ეს არის აფხაზეთის მთავრის მამულბები ჩაჩბას ზუსტი პორტრეტი და იმდროინდელი სინამდვილის, მისი შინაგანი და გარეგანი ვითარების ასევე ზუსტი დახასიათება. ავტორმა თავის რომანში ისე გადააქდო ერთმანეთს ისტორიული და მხატვრული, ისე ორგანულად შეაწინა რეალური და მოკონილი, როგორც ჰემშიარტი ზელთანს მოთხოვებოდა, თუ ზელს შემართებდა ამგვარ ურთულეს ფაბულას.

IV.

რომანში იმდენი დიონისური ამბავია მოთხრობილი, ზოგან ძალიან შეკუმშულად, მინიატურაზე უფრო მცირედ, რომ კრიტიკოსს საშუალება ერთმევა ყველა მათგანს შეეძლოს, თუ ანე არ გააკეთებს, მაშინ ტიუფდის ფარგ-

1 გიორგი ჩაჩბა-შერვაშიძე აფხაზეთის უპანისკელი მთავარი იყო, პოეტი და მთარბოვენი, იხ. სიმონ ჯანაშია, „გიორგი შერვაშიძე“, 1945 წ.

ლები კი არა, მას მთელი ტომიც ადარ ეყოფა თავისი გამოკვლევისათვის. ამიტომ ჩვენ მაგრატ წინკუბას ნაწარმოებში მოთხოვნილ ვეველა ამხანას და ფაქტს ვერ შევწყვედებით. ზოგიერთ მათგანს შოლოდ გაკვრით თუ მოვიხსენიებთ. ჩვენ იძულებულად ვართ რომანის სხეილებული თავები შარტოვან ზოგადად მიმოვიხილოთ, ისე, რომ შევიძლოთ მკითხველს შევეუქმნათ ნაწარმოების მთელ შინაარსზე შედარებით სრული წარმოდგენა. ამ თავებიდან ჩვენ ვგეზულობთ საშინელ ამბებს, რომლებსაც არამარტო ზაურყანს, მის დებს, მშობლებს, საცოლელ ფედლიშს, შარდინს, ფაშებსა და სულთნებს, კიდევ ბევრ სხვა ადამიანს ვადახვდა. ამ თავებში, ისევე როგორც მთელ რომანში, ზაურყანი იმდენი უბედურების გადაიტანია, რომ ზღაპრულად დაუჭერებელი გაჩვენებათ მისი ბედი, მისი ცხოვრება. მგონი ოდისეგს არ გამოუღვლია იმდენი უძლიერესი ქარიშხალი, რამდენიც ზაურყანს. დავიწყეთ თუდღაც იქიდან, რომ მისი ლამაზი და ჭუნა, შარდინის ანგარებიანი მოხერხებით, სელიმ-ფაშას მუდღელე გახდა. შემდეგ კუნაც — მეორე და — იგივე სელიმმა მოტყუებით ცოლად შეირთო — ორივე და ერთიდაიგივე კაცის ცოლი შექნა. მაგრამ არა ცოლი, ორივე ლამაზი ქალიშვილი მარამხანას ხახები გახდნენ. წამებით სული ბედობოდა, ჭუნამ მინის ნატებით თავის მოკვლაც სცადა. ვერაგი შარდინი იმდენს ახერხებს, რომ თავის ლამაზ დას — შანდას სულთან აბდულ-აზიზის ცოლად გახდეს — რაგით შესაძლებელია. იმდენად აღწევდება ამ გარემოებით, რომ სელიმ-ფაშასაც გაუსწრებს დიდების გვირგვინით. სტამბოლში გადასახლებდნენ, როცა რის ზინს მიიღებს, პირველივე ბრძოლაში ხახტყად განადგურდება, თითქმის მთელი თავისი ნაწილი ეღუპება, მაგრამ დის — შანდას წყალობით და საცოთარი მოხერხებით, საკვილის მაგიერ, თით სულთანმა პარადად დააჩილდოვა „გვირობის ნიშნით“, ხოლო პოლიციის შინსტრმა თავის ადოტანტად დანიშნა ეს წერაკითხვის უცოდინარი კაცი.

პარალელურად სხვა ამბებიც ვითარდება. ზაურყანმა ამბელს უბიხი იმანის სამატურის გამოკვლეობას, აიძულებს მას ოსმან-ქოილბას გადაეკარგოს, ინიშნება ახალი მოღვათრბანი, რომელიც „აზკობს“ შესრულებას მოითხოვს — „ლამს ესმის ხმა, ვინც მას ადიდებს“, ვინც ერთხელაც კი მხერთში არ წაიბოდა, „ქართბო უნდა გადაეხადა“. ერთი სიტყვით, ჭოჭობების გვინა ძლიერდებოდა. ზაურყანი კი ურწმუნო შეიქნა: „ლოცვებს რომ მართლა რაიმე მოქონდეს ხალხისთვის, — ამბოხს იგი, — ვეღვარებ ადრე მამაჩემი გამაღიერდებოდა. თუ ელოცებოდა, ის ლოცულობდა, მაგრამ იმაზე უბედური კაციშვილი არ იყო ღდაამინის ზურგზე“ (გვ. 147).

როცა ზაურყანმა დების უბედურება შეიტ-

ყო, მასთან ერთად, გაემართა სელიმ-ფაშასკენ. მაგრამ დების გათავისუფლებას ნაკვალად, ზაურყანი წააწყდა, ჭუნასა და კუნას მხგავსად, სელიმის მიერ გათვლილ საცოლბს — ფედლიშს, რომელიც თურმე ოთხი წელია მარამხანაზე; ამიტომ ეტბნება ყოფილ საქმარბს: „შე უყვე შევდარი ვარ, ზაურყან... დავაგვიანდა... ნუ მომეკარები, მე ახლა კეთროვანზე უარესი ვარ“ (გვ. 152). ვეველა ამ უბედურების შემდეგ ზაურყანი მკარნებს წონასწორობას, ხანჭლით ჰქლავს სელიმ-ფაშას, ალამთან აგზავნის საზოზარ არსებს, რომელიც „მოკლე, კუნძივით კაცი იყო, მგხბერი წვერი ჰქონდა, წარბები თითქმის არ ანდა და შეისიებული ქუთუთობი კუბებს“ უხავდა. „გოგრაახვით მოკლესილ თავს წითელი ფეხი უფარავდა. ხანდაზული იყო. მაგრამ სხეული მაინც ძლიერი მოუჩანდა“ (გვ. 152-153). სელიმ-ფაშას მოკვლისათვის, რაც შარახის გამოანგარიშებით 1869-1870 წლებში უნდა მომხდარიყო, ზაურყანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანენ, მაგრამ ციხიდან მას გაუვილიან (ასე ხდებოდა ზოგჯერ, თუ სიკვდილისიჭილი განდონთ სავსე ახლგაზრდა იყო). აქედან იწყება მისი ცბრწაინა შექარახეობა აფრიკის უდაბნოებში, იმხალი სახახისა და მისი მბრახანბლის — ქერამ ეფენდის (კაიორული სახელგოანი ვაქრის, ცნობილი მდიდარი კაცის, ვისთვისაც შავი საქმეების კეთება უცხო ხილი არ იყო“, გვ. 156) მონობაში. რომ არავის ეცნო, მისცივს არაბულად აფხაზის — „ახაზის“ სახელი. იქ, ეგვიპტეში, ზაურყანმა არაბული ისწავლა, ბევრი რამ შეიტყო, მაგალითად ის, რომ თურმე „ეგვიპტე იცნობს აფხაზებს. ოდესღაც, ძველად, თორმეტი აფხაზი ქალი გამიზარა სახელგაქმნილი კაიორული ვაჟკაცების ცოლი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი განაგებდნენ ეგვიპტეს. მათმა შთამომავლობამ ახაზის გვარი მიიღო. ამ გვარის ხალხი ახლაცა ეგვიპტეში“ (გვ. 157). მაგრამ ამის გაგება, წარსული რას უშეუღლია მონობაში ჩავარდნილ უბის კაცს. იწყება მისი მეორე ოდისეა, რომელიც ისევე შემწარავია, როგორც პირველი.

რომანში ისე თანმიმდევრულად აჩბს მახვევრებს „უდაბნოს უყოთელი გზებით“ ზაურყანის მიმოსვლა, ათახგვარი განსაცდელი, თავდასხმები და სისხლის ღვრა, მკვლელობა და ტრაგედიები, რომ ისინი ერთად შავი კრიალინის მძივებივით აკინძულენი მოგჩვენებთ. მარტო იმის გახსენება რა შემწარავია, როცა ერთ-ერთი თავდასხმის დროს, ქარავნის საქონელში ოპოტივიც რომ იყო დამაღული, ზაურყანი ჰქლავს უჩაჩლ და ეს უჩაჩლი მჭი კერანტების ძუძუმტე. „თავისუფლებისმოყვარე“, შინ დაბრუნებაზე მეოცნებე, საუფარველ თანამემამულე საიდი აღმოჩნდება, რომელიც სიკვდილის წინ უბიხურ ენაზე ამოიგმინებს.

სწორედ ისეა, როგორც ანტიკურ ტრაგიდიებში ხდება: „არ იცოდა — მოკლა“. ამის შემდეგ ზურუანის აღარ უნდა სიცოცხლეთ, თავის მოკლაც გადაწყვიტა, მაგრამ „ისმალ საბაზმა ფეხი გაქრა თოფს და ხელიდან გააგდებინა“. ზურუანმა მოახრბა, გათოკის ნაცვლად, რაც საბაზმა ბრძანა, გაქცეულიყო და ერთი სომეხი ვაჭრის დახმარებით სტამბოლში ჩასულიყო. ეს აღბათ მოხდა 1677 წელს, როგორც შარახი ფიქრობს. ზურუანმა ნაბაქალას ღირსშესანიშნაობანი, რაც ბავშვობაში მხოლოდ გაგონალი ჰქონდა, აიასოფის ტაძარით, „მწვანეში ჩაფლული მარმარილოს სასახლეში“, კონსტანტინეოლის აზიური და ევროპული ნაწილებმა ქალაქში ტვირთის მზიდვად მუშაობდა. შევდა ბევრ აფხაზ მშობარს, შათ შორის ერთ მოხუცს — ანუფელ ჩაბას, რომელმაც ბევრი რამ უამბო ფიხბების გადასახლების შემდეგ იქაურ ამბებზე. მისი ნათქვამის მიხედვით, ზურუანმა დაადგინა: „წიბელღეღეღი სწორედ იმ წელს გადასახლებულან თურქეთში“, თვითონ რომ ციხეში იყო. ზურუანი ისევე ზიზღით იხსენიებს მოღალატე აფხაზ პოლკოვნიკს ქაშლათ მანისს, რომელმაც სამშობლო დაიოცა, როგორც ჰქვია კერატბის — უბიების დამტყვევლის ქაშლათი, სახელოვანი მამის — კაც მანისს უღარხი შვალი, თურქეთში თავისი ნებით წასული საცხოვრებლად, ხუღთანის ნათესავი ხდება, „მის მზეთუნახავ ასულს ნათესას ცოლად ირთავს თურქეთის ტახტის მემკვიდრე აბდულ ქაშიდი“. სიძე მალე გახდა სულთანის, განიზარაბა, სიმამრის დახმარებით, ჭრ აფხაზეთი, შემდეგ კი კავკასია ჩივდო ხელში. „მეცარი იყო ახალი სულთანი, შეუბრალებელი და დამსახურებულად შერქვა „სისხლიანი“. თადეები შურიანი ჰქონდა და ხელეები — ხარბი“. სიძის წაქეზებითა და მხარდაჭერით სიმამრმა — თურქეთის არმიის პოლკოვნიკმა ქაშლათ მანისმა აქტიური მოქმედება დაიწყო, „მთელ აფხაზეთს მოედენენ მისი მადენით და გერეთიანებისაყენ მოუწოდებდნენ ხალხს“. მაგრამ აფხაზეთმა როდი გაიფორმეს უბიების შეცდომა. მათი უდიდესი უმარადესობა წინ აღუდგა მოღალატე ქაშლათ მანისს, ისე რომ, იგი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, ვინაიდან „რუსებმა ვანადგურეს“, „ბევრი მეომარი დაჰრგა“, თავის გადაარჩენის მიზნით მოაგონა ვერაგული ვეგმაძე: „უკან რომ იბეღდა, შთან სიფლტებს წვაფდა და ცრუ კორებს

აერცილებდა რუსების სასტიკ მტრისგანს. იარაღითა და დაშინებით აიქვანა შანს სურკეპთის გემებზე ათასობით აფხაზი, თითქმის ორჯერ მეტო, ვიდრე მის ქარში იყო“ (გვ. 174). ნამდვილად დიდ უბედურების, სრულ განადგურების გადაურჩნენ იმ დროს აფხაზეთი და მეზობელი ხალხის — უბიების ტრაგიკული ბედი თავიდან აიცილნენ.

ზურუანის მძიმე თავგადასავალს კი ბოლო არ უჩანს. მჭიდრულ დაუთთან ის განაუხლებლად რჩება, მისთან მუშაობს, მჭედლობას შეისწავლის, ყველაფერს აკეთებს, ვინაიდან შესისხლზორცეხული აქვს დიდი კუშმარტება, რომ „არცერთი საქმიანობა არ არის სათაქლო, გინდ კაცის იყოს და განდ ქალის“. რომ არ იცნონ, ისევე იცვლის ხანებს, ახლა ის დაუთის ბიძაშვილია, ორდიდანაა, თოფუცი ჰქვია. მაგრამ რა გააჩერებდა ოსმან-ქოთთში, საიდანაც ყველა უბიი გადასახლეს, როგორ მოიხვეწებდა, თუ თავისიანებს არ მოძებნდა. ამ მიზნით ის მიდის იზმიდში, საიდანაც ფიქრობს კონტრბანდისტებს გაჰყვებს „იალქინანი სანდლით მერსინის ნახევარკუნძულისაკენ“. უკვირავია იზმიდში, მაგრამ იქ, სასუსმედ შესული, იცნო ხელიმ-ფამის ერთ-ერთმა მხახკარმა, შავგვრემანმა კაცმა, ხელები რომ გაუყრა სხვებთან ერთად, ბატონის მოკლეს შემდეგ დაიბერეს და ისევ ციხეში ჩასვეს. იმ ციხეს ხალხმა „მოუსაჯელით“ შერქვა, რაკი იქიდან „ცოცხალი თითქმის არავენ გამოსულა“. იგი ნამდვილად ჭოქობენი იყო და ზურუანის ამიტომ ამბობს: „ო, უკვლის შემძლევი! თუ გსურს დედამაჟა გამოცალო ადამიანთა მოღვაძს, თუ გსურს თავს დაატეხო შინ ცით მოვლენილი რისხვა, გვედერება, მხოლოდ აქ მქმენი ეს, რომ ეს ციხისმავარე და აჭარბი წამებულნიც და მწამებელნიც უფსკრულში შთიანთქანი“ (გვ. 196). დიღეგში ჩავარდნილ, ათასგვარ უბედურებაგამოვლილ კაცს განა შეეძლო სხვა რამე შეეცადებინა უზენაესისათვის?

ავტორმა მშვენივრად გამოხატა თავისი გმირის მძიმე განცდები, ულოცა-არყოფნისათან შევიძლება, ღარბი გლუხკაცის ერთადერთი ენო, შეუღესილი სახლით რომ ჩანს ციხის პირდაპირ... და ამერიიდან ზურუანმა მხოლოდ ამ ენო-კარს, იქ მოსახლე ოთხ ადამიანს აკვირდება, ფანტაზიებს თხზავს, „ამ თურქული ოჯახის ყველა წევრს უბიურ სახელებს“ არქმევს: „კაცს შშათი დავარქვი, — ამბობს ზურუანი, — მის პატარა ბიჭს ნავი, უფროსს ქალს, ხმელ-ხმელსა და შავგვრემანს — შაშხია, ახალგაზრდას, მკერდასხესს — რაფიდა. ის იყო ნავისი დიდაა“, მერედა რა საპირობა ყოველივე ეს გასართობად, დროის გადასაყოფებლად? რა თქმა უნდა, ზურუანის მოქმედებას სავსებით დაჰმარებელია, სხვა რა საქმე მქონდა დიღეგში მარტოდ მყოფ კაცს? მაგრამ

1 გიორგი ჯიბლაძე, „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“, თბ., 1946 წ., გვ. 189-196; ტ. I, გვ. 75-80; „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, თბ., 1961 წ., გვ. 96-100.

2 გიორგი ჯიბლაძე, „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, თბ., 1961 წ., გვ. 696-719.

არის მეორე მხარეც. ზაურყანი ხედავს, თუ რა მამე პარობებში ცხოვრობენ თურქი გლეხები. მამასადავს, არამარტო უბიბები, ან შათი მონათესავე საზებო, დაღლები, გურულები ცხოვრობენ თურქეთში აუტანელ პარობებში. თურქი გლეხობაც უშიშის მდგომარეობაშია. ბეგარისაგან სული აქვი გაწამებული ერთიელ შმათსა და შამიას ვილაც ეყენის კაცი, ცხეცა უმხედრებული, ბეგარისათვის შოადგა არს, მაგრამ შოუტებს ფული სად ექნებოდნათ, როცა შეუდღის — რაფიდან შოულოდენი სიყვდილის შემდეგ შმათი ფურთო შოტყობა, ჭოს დაკრძობილს ბეგლებურად გუშაყდა, რადი შექალო. რაკი ბეგარა ვერ გადინიხადა, ეყენის კაცმა ლანდვა-გინების შემდეგ „ცხენს შათრახი გადაუჭირა და პირდაპირ მასხანდელს ეცა. შმათი ისედაც ძლივს იდგა ფეხზე და ძირს დაეწარცხა. შამსია ატირდა, საშველად უბნობდა ზალსს. მაგრამ ახლომარლო არავინ იყო“. რას უშველიდა იმ უბედურებს დაღეგში გამოწვევებული კაცის აღშფოთება, რომელიც უველაფერს ხედავდა, მაგრამ ვერაფრით ეხმარებოდა — მარტოოდენ „შომუტბული ხეღებით აწყლებოდა საყანის კედლებს“.

მაგრამ ჭერ არ ყოფილა ბნელეთი, სადაც ოდენმე ნათლის სხივი არ შეჭრებოდა. ამ ნათლის სხივად წარმოუდგა ზაურყანს შმათის პატარა ბიჭი, რომელსაც შამსიანა აელო ზელში, წინ მოუძღოდა ოთხი, შამსიანებით შეიარაღებულ კაცს. გარკვეული ხნის შემდეგ ის ოთხი შეიარაღებული დობში გაძვრა და წავიდნენ. შამსიანაგადაკიდებული ბიჭი ნავთი შინ დაარჩა. ზაურყანმა ბევრი იფიქრა, თუ რას წაშნავდა ყოველივე ეს. თვალს არ მოუშორებია შმათის უზო-სახლისათვის. უცებ დაიწახა ისევ ის ცხენოსანი — ბეგარის ამბები, რომელმაც „ოქანის ერთადერთი მარჩნალა ძროხა“ ახსნა და წაყუანა. „ამ დროს სახლიდან ნავთი გამოვარდა შამსიანით ხელში“. მან ორი ვასროლით უკაუქცია მოხვდურს და ძროხა დაატოვებინა. შემდეგ „აუტრელებულ დედინაცვალს დაუყუავა და დაამშვიდა. მერე იმავე ხერეთით, საიდანაც მისი მეგობრები გაძვრნენ, მთებისაკენ გაემართა“. იქ აღბათ შეხიზნული იყვნენ არსებული წყობილებით უკაუროდილო, კრეკლუციურად განწყობილი ადამიანები, რომლებიც თავს უფროდნენ ნავთის მსგავს მებრძოლებსაც. ისინი, როგორც ნავთი, იშვითად გამოდებოდნენ ხოლმე თვითონ ოქანებში, შეურწმობისთვისაც რომ მიეხედნათ, თავიბანებნ გვერდში ამოგდგომოდნენ. და ზაურყანმაც გაშალა ოცნების აფრეთი იქნებ ერთ შვენიერ დღეს, მთებიდან ჩამოსული ეს ქაბუტები მოვიდნენ „მოუსხველეთის“ კედლებთან, მცველები გაუფიქრან, ციხის კარები გააღონ და ერთად დაიბახონ: „აბა, გამოდით... გაუშარჯოს თავიუფლებასო!“ მაგრამ ეს ჭერ მხოლოდ

ოცნება იყო, შემდეგ რომ მართლაც აღსრულდა. იმ აღსრულებამდე კი, ზაურყანი ახლტარაგედობს გადაეცურება. დაღეგში მასთან შემოავლებენ სიყვდილის პირას მისულ, მეგრადნი ტყვიით დაჭრილ, საწახებუა მარტინის შვილს, თურქეთში უბიბების გადასახლების შემდეგ, სამსენში დაბადებულს, რომელსაც სახელი შოუდილი ზაურყანის მამამ — შამიანამ მისცა.

საშინელი იყო ეს შეხედვრა საზების პატრიოტ შოუდილთან. მისი ნამშობობი ზაურყანშია შეიძუო, რომ ახებუა მშალნი, საშოსლოლი „დაბრუნების მიზნით, ქამლათ მანის რაზმს მიკვდილებია, მაგრამ, როგორც კი გემიდან გადმოსულა და აკავების სანაპიროსათვის“ ფეხი დაუდგამს, პატრიოტი საწი განდგამია მოალატეს, „თან მსროლელთა ასეული“ გაუყოლებია. დიდხანს ვერაფერი გაუგიათ შეიღბა და ცოლს მის შესახებ. ერთხელ წერილი მოსულა — შამა ატყობინებდა ცოლშვილს, სოფელ ჭვერდაში ცხოვრობს, ჩამოდიოთ. „შამიანის წერილის მიღებთან ერთი ცვირის თავზე, — განაგრძობს შოუდილი, შვიცვი გადასახლებების და აუტანელი შრომისაგან გამამებული აფხაზი მუშაობები აწანუდნენ და თავადების — მარშანების მოურავი მოკლეს, რისთვისაც შვირ მიწებზე ან სიბაში ვახსლებია ელოდათ“. ამიტომ შათ „სამშობლოში, აფხაზეთში დაბრუნება გადაწყვიტეს. ფული უნდა დაეჭირებინათ, მაგრამ საშისო ფული არ გაჩნდა... სწორედ ამან გვიბიძგა ბოროტ მოქმედებისაკენ“. საფოსტო ტელის გაძარცვების დროს შოუდილს ტუჯია ჭვერდში მოხვდა. დაიბიბნ, ვახსამართლებს, ნაჭირილოდნი დაუდარქდა, კვდება და ხიზღერით — „უარაადა, უარაადა“ სიციცმლეს ეთხოვება. მაგრამ სიყვდილის წინ შეიძლო ზაურყანისათვის დაეხარებინა: „ვეღარ ვაგრძნობს ჩემი სამშობლოს ხილვას. შერ თუ ვაგრძნობს ბედი მის ნახებას ჩემს მაგივრადაც ეცი თაყვანი... მე ჭყერა, შერ ისევ მოესწრები თავისუფლებასო!“ (გვ. 126). არ გვეროთ შოუდილი ამ სიტყვებს ულბად ამბობდეს ან მძარცველი იყოს, რაკი საფოსტო ტელის გაძარცვას შიილო მონაწილეობა არა, შოუდილი ნიჭიერი, განათლებული კაცია, მექბეთის დამთავრების შემდეგ სტამბოლის მედრესში სწავლობდა, თუშცა ზელმოკლუბის გამო არ დაუშთავრებია, საწი ენა ოცის, უბიბების დამცველ, პატრიოტ ტამბოთან მიმარჯრა ჭქონდა, ერთი სიტყვით, ჩინებული ადამიანი. მაგრამ ზაურყან-ტამბო-შოუდილებს გასაქანი კი არა, სულის მოტქმის საშუალება არა აქვთ. ორი მათგანი იღუბნა, მესამე განწირულს კი რადაც ფარტუნა წყალობს — სულთან აბდულ-შამილის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, რაც 1805 წელს მოხდა, ძალაუფლება „ახალგაზრდა თურქების“ ხელში გადავიდა, იცემა მანიფესტი და ზაურყანი, ვინაიდან მისი

„დაწამაშლის ჩადენის დღიდან დიდი დრო იყო გასული“, შეწყალებული ზღემა — ისევ უმარუნდება მწარე სინამდვილეს — ციხიდან გამოდის.

რომანოს იტყობომა ის გავლენა, რასაც 1905 წლის რევოლუცია თურქეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე ახდენს. გარდა იმისა, რასაც „მოუსავლეობის“ დილეგიადან ზურყანი ზედავს; თავისი გმირების სახით ავტორი ბევრ მნიშვნელოვან ფაქტს მიგვანიშნებს, ისინებეს ოცდარვა თურქი ოფიცრის წერილს. ვაგზავნილს სპეციალური დახეილი დიტირანტ შიიტის დისაჰში. იქ პირდაპირ ასე წერია: „ვფიცავთ ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე წმიდათაწმიდა თავისუფლებისათვის, რომლისთვისაც მრავალი ჩვენი საუკეთესო მოქალაქე დაცა. ვფიცავთ, რომ ქალღონეს არ დავიშორებთ და ვცდებით ვაგვანოთ თურქ მოსახლეობას რუსეთში მომხდარი ამბები, რათა საერთო ძალით მოვიპოვოთ ადამიანური ცხოვრების უფლებები“ (გვ. 197). ეს უკვე ისტორიაა და ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი რომანის მამოძღვრე თავის გმირებს ისტორიული მოვლენებიდან კი არ წვდობს, უკლებიან ცდილობს რეალური საფუძვლები მოუხალოს, მიწეწები და მოტივები გვიჩვენოს, თუ რატომ მოხდა ან ზღემაოდა ის, რასაც აღწერს და გვიჩვენებს.

ახლა დავხოთ რას აკეთებს, როგორც ცხოვრება დაიწყო ზურყანმა „მოუსავლეობის“ ციხიდან გამოსვლის შემდეგ. იგი არ მალავს, რომ ლუკმა-პურისათვის უყოველგვარ შრომას მისდევდა; მწვემსავდა ცხვრის ფარას, იშპიდის პორტში შუშაობდა მტორათვად, ადაგებდა ვაჭრის დუქანს, მიწასაც თხრისდა რისინგლის მშენებლობას. „ასე მოუაღწე შეთ-იასმდე, სადაც აფხაზი შუშაჭირები ცხოვრობენ“, — ეუბნება ზურყანი შარაბ კვამბას. ორი წელიწადი იტოვრა იქ, „გარეშე ბიძა“ კონსტანტინე შეყველებულმა. იქ ნახა დედისა და მამის საფლავებიც, ბალახით გაბურღული. შემოდომა — მხოლოდ ამის გაკეთება შეიძლო მაგრამ როგორ მოხდენენ ისინი აქ. შეთ-იასში? თურქ მე, სელიმ-ფაშას მკაცლის შემდეგ კვეთაშა მატამ მშობლები ოსმალ-ქოლადი შეთ-იასში ფარულად მოიყვანა, გადამალა და ამით ისინი განსაცდელიხაგან, ზურყანის ბიძასთან — დედის მასთან თავშეფარებულები. დედამ ვერ გაუძლო ქალშვილების უბედურებას და შევილი დასატმირებას, ერთ წელიწადში გარდაიცვალა, მამა კი ხუთი წლის შემდეგ, — დასძენს ზურყანი.

რადა დემარტო მატამ? მჭარში ვაიწვიეს წებულდებულთან ერთად, მისი ნაწილი არაბეთისაკენ წავიდა და შემდეგ აღარაფერი იშპის. „ჩემი დებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგენ, — ამბობს ზურყანი. — სელიმ-ფაშას სიკვდილის შემდეგ მისმა ნათესავებმა მარამხანა მიყუდიეს

ფაშას ცოლებიანად და ხარკებმანად. ახლა — იმ-მაკიც ვეღარ გაივებდა საღ-მწიფეობისდენდენ წემი დები და ფედლიში, ან საერთოდ ცოცხლები კი იყუნენ? (გვ. 199).

შეითხველს ალბათ გაუყვარდება ამ საშინელი ტრაგედიების ასე უზრალოდ, თითქმის ხაოქმო წებსთ დადმოცემა იმ კაცის შერე, ვისაც ზურყანი ჰქვია. ეს თვითონაც იტყობო მან და ამიტომ უთხრა შარაბს: „შენ ალბათ გიყვარს... ასე ადვილად რომ გიამბობ ზემი ახლომბლების სიკვდილსა და დაკარგვავზე. რას იზამ? მის მერე ბევრმა წყალობა ჩაიარა. დრო ტკივილს აუფრებს, ცრემლს აშრობს და მენსიერებას დავიწყების ჩაღმას ახვევს. დრო დღი მანუგეშებელია და ეს მოვალეობა რომ არ გეისტოვდეს მას, ალბათ, კაცობრიობის ნახევარი შეიშლებოდა. მაშინ რაღა საჭიროა წარსულის გახსენება, მისი აფუტკვანა და წინაპართა აზრდილების შეწუხება?... ჭკუის სასწავლად... სიკეთის გულისთვის, სხვებს რომ ავაშროთ მომავალში საშინელი შეცდომა და მერე მწარე სინანული“ (გვ. 199).

მართლაც დიდებული, სწორი აზრია, რომელიც ასე კარგად ამდგანებს ისტორიის ევრიბტიკულ საბაბთ: წარსული ცოცხლად უყვეთვითვის იმტომ უნდა დავიყუნოთ თვალწინ, რომ გავითვალისწინოთ ის, რაც კარგი იყო, დავშვოთ, აღარ გავიმეოროთ მისი შეცდომები და ნაკლოვანებები.

მაგრამ ჩვენ ჭერ ისევ უნდა მივყვეთ თავგადასავალს. ზურყანი ვერ ჩერდება ერთ ადგილზე, მიიჭველიც არაა — იგი ხომ სულ მოძრაობა-მოგზაურობაშია, თუ ცოცხ არ აკავებს. უბიხური ენის გაგონეაც ენადრება. სტოვეს შეთ-იასს და ჯზს ადგება, გაღარჩენილი უბიხების მოსაძებნად. ამ მებნაში შემოსვვით წაწელება მოხუც ნათესავებს — მკვიდრ მამიდა ხიმფავს და მის ქმარს სითის. იმართება ნათესაური შეხვედრა, მაგიდაც, დაახლოებით ისეთი. როგორიც გავაცნო დამტორი გულიამ „კამაქვიში“ და ივანე პასასტორმა თავის ვრცელ რომანში. თურმე სითის ვაეები უგზო-უკვლოდ დაკარგულან კარში. მოხუცებმა მარტო ცხოვრობენ წიფიდან აშენებულ სახლში, შიგნიდან და გარეგან თიბთ რომ იყო შედგენილი. ზურყანი აბეჭუთან დაჩრახ სავსოტრებლად. „მოხუცებმა მთელი სიყვარული და მზარუნველობა ჩემზე გადმოიტანესო“, ეუბნება ზურყანი შარაბს. ორივე მოხუცა — ხიმფაი და სითი განსახიერებენ კეთილ. სათნო ადამიანებს. მაგრამ ცხოვრებაში მათ გვერდით არაინ ბოროტნიც, ცხოვრების დვარქალდი რომ გადატყველან.

მაგრაც შეინებას რომანში ჩვენ გვხიბლავს მორალი — სათნოების განდიდება და ბოროტების სასტიკად დავშობა. ეს მორალი მთელი ნაწარმოების შინაგანი დერძია, რომლის ირკველიც ლაგდებთან რომანის ცხოვრებისბული

ფენიშენები, რომლებიც ერთიანად სიცოცხლისუნელად, დიონისურია, უპირისპირდებიან ანტიდიონისურს, რაკ ხუროთ სიცოცხლზე, თუცა იგი ტანჯვათ უსასრულო რიგა და მართლაც დიონისოს ღმირლია, როგორც შეველო ეთქვა კონსტანტინე გამსახურდიას, ასე მწაფე და ბოროტებით აღსავსე ირონიული ღმირლი.

V

თუ მხატვრულ ნაწარმოებში საზოგადოებრივად მისაღები ეთიკური ნორმების დაცვა არ არის, ცუდი და მიუღებელია. „უკანასკნელი უბიზი“ გვასწავლს, რომ ვერაფერს, ბოროტს, გამჟღავნებს და მოღალატე კაცს ბოლო ურველთვის მისი პიროვნებისათვის შესაფერი აქვს — თვითონვე ისე საზარლად იღუპება, როგორც ზვევს ანადგურება შეურბალებდაც. ეს ფატალიზმი კა არ არის, კანონზომიერი მოვლენაა. ასე ხდება რეალურ ცხოვრებაში, ასე გვიჩვენებს ტელეფონება და ლიტერატურა. შექსპირი იყო ამ თემის მართლაც უდიდესი, გენიალური ოსტატი. მისი ტრაგედიების რაგუნად, განუყოფელი ღმირებია „ისიცა, რომ არცერთი მათგანი დაუხველად არ ტყვევს ვერაფერს, გამჟღავნებს, დამანაშავე თავისი საზარელი დანაშაულისათვის შექსპირთან ურველთვის სასტიკად აგებს პასუხს. გაიხსენეთ რინარდი, მაცებტი, კლაუდიუსი, იაგო მარტო ეს ოთხი სახელი კმარა მოვიგონოთ შექსპირის ტრაგედიების დამანაშავე პირობა ვალერიდან, რათა ძლიერი წარმოადგენა შივილოთ, თუ რა სახტიკად ისვენა თითოეული მათგანი თავისი ვერსაკული დანაშაულისათვის. დიუშას „გრავი მონტე კრისტო-სიცი“ ხომ ვერცერთი დამანაშავე — ვერაფერს, ბოროტს, გამჟღავნელს, მოღალატე აღაშინებინი, დაწყებული საზოგადოებრივ დანებლობა და დამთარებულთა ავადსახსენებელი გრავი დე მორსერით — ვერაფერს გაეცა ფემილის მსახტირალ ტელს. მხოლოდ ლიტერატურას რომ თავი დავანებოთ. მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა შენაწიშავედ ანაზავს ზვევნეულ თემას. მარტო უაზრველის რომუნებებსა და მოთბრობებში გამჟღავნილი მოღალატეების, გამჟღავნებების საზარელი აღსასრული ღმირს იმად, რომ საჩკედ, მაგალითად გაუფხადოთ აღაშინებენ — ურველთვის იყვენენ სტიტჯინი, კეთილშობილინი, განერთდონ ბოროტებას, ებროძლონი დანაშაულს. ურველფერიდან ჩანს, რომ ეს ფილოსოფია ძალიან კარგად მიაუკუნა წითელ ზოლად ბეგრატ შინქუბას მთელ რომანს. ბოროტად, ვერაფერი მარად აღოუს ძე ისევე საზარლად იღუპება, როგორი საზარელიც იყო მისი „საქმენი საგმირინი“.

ურველივე ეს ზურუანმა მამინ შეიტყო, რაკა სპირის უღბლოდანი. ისმიად ხაზახისადა ექრინი-ფენის მონობისგან თავი დაიხსენა, ათსკვიარი პირის გამოვლის შედეგ, ტვა-

მბოლეს ვზით, ოსმან-ქოიში დაბრუნდა. იქ თავისიანების მხოლოდ ნასაზარებას დახვედა — აღარც დედ-მამა, აღარც მზლბლები. თურმენი სელიმ-ფაშას მოკვლის შემდეგ უბიზები აქედანაც გადაუსახლებიათ სხვა, უფრო უკაცრიელ ადგილზე, ერთადერთი, ვინც იქ წახა ზურუანმა, იყო ქართული მჭედლი, ხის ცალფეხა დაუთი ანუ ღურსენი. მისგან შეიტყო, რომ სელიმის მოკვლის შემდეგ მათა ურვენლად დაბრუნდა სოფელში, მშობლებთან, მაგრამ უბიზების გადასახლების დროს სამივე — ზურუანის მამა გამირა, დედა და ძმა მათა „სადღაც წასულანი“, მათ შესახებ არავინ არაფერი იცის.

მაგრამ წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. მუშაქარი დაუთი ღამებულ ზურუანს გაუშლის ზურუანს, თან ბოილშს უბნის „ისეთი ღამებული ტრაგედია რომ გვაქვს... შენაწიშა ტფემარს ისეთი დახვედრა უნდა, ჩემი პაპები რომ ზვევებოდნენ ხოლმე სანატრელ სტუმარს საქართველოში. ხარი უნდა დამეგლა და კვევრი მომეხადა... შეგობრები უნდა მომეხადა საქელოდ. გვესვა, გვესვა, გვევლირა, ცეკვა-თამაში უნდა გვექონოდა მთელ ციურას, მაგრამ... სად არის მჭედნიერი საქართველო და სად ჩვენ“ (გვ. 177-178). სედეას შეურუკია ორი დანაშაულები გუგუზარი, ორი მუშაქარი, და მქობელესაც გულს ტაცნს რომანის მხატვრულად ნეო-ერთი მჭედნიერი ეპიკოდი. საფხარში დაუთი მოუთბრობს ზურუანს, რომ მას შემდეგ, რაც შარდინს აღოუს ძე სულთან აბდულ აზიზს ცოლმამა ვაზადა, კოდედ უფრო მტირი დანაშაულობა და გარკვეულბების გზას დაადგა. დამსეველად შანდა მუაედა — საქუთარი და, სულთანის მეუღლე, რომელმაც ქმრის დადუბიება და ძმის მოკვლის შემდეგ თავი მოიწალა. ინტრაგები სასახლის ქარზე, რგებიტი ქალებთან, დახვედრებთან, ქრთამებთან, არახტიბობდა დანაშაულს, რომელიც შარდინს არ ჩვედინა.

შარდინის მაგალითზეც ცხადად ჩანს, რომ თანამდებობის პირის გადაგვარება ქრთამით იწუხება, თუნდაც ეს ქრთამი ღმირებულებით უწინშენელო იყოს. ურველო ექლიქვენლებოდა მას, ეიბრე აღზევებული იყო, მაგრამ ურველს სულის სიღრმეზე სჭლუნდა თანამდებობით განებივრებული, იბედაც ვერაფერს აღაშინა. ამიტომ აბდულ აზიზი ჩამოადღეს თუ არა ტატიდან, შარდინსაც მიწედნენ, ციხეში აპოუფინენ თავი, ურველფერი წარბათეხს, მაგრამ იბდენი მოაუბრება, დიდ ვეზირს საზოგადო — გარნი რგითი ქარისკაცად გამაგზავნეთო აბდულ აზიზს ტატიდან ჩამოადღებისა და მოკვლის შემდეგ „სახალი სულთანი — მურატი ავადმყოფი, სახეურად სულელი, ურენისყოფი კაცი იყო. სახელმწიფოს დიდი ვეზირი და შედმიწენით წარჩინებული ფაშები განაგებდნენ მისი სახელით“ (გვ. 179). დიდ ვეზირს, რომელსაც

შარდინის აღზევების დროს მისგან ხელი
 ჰქონდა გამწარებული და თავიდან მოშორება
 იმ დროს ვერ შეიძლო, მოეჩვენა — ამ უღირს
 კაცს ქარში „სხვები თუ არა, მისიანები აუგე-
 ბენ ანდერძის“. ასე გამოვიდა ციხიდან შარ-
 დინ ალოუს ძე, გამოეწყო ასქარის ფორმში
 და საშინელი ამბები დაატარა — დიდი თა-
 ნანდებობის ჩამდინაზე პირი დახოცა. საიდუმ-
 ლოებით მოცული დარჩა, როგორც დაუთო
 ამბობს, „თავისი მოფიქრებული შურისძიებით
 მოკვდებოდა უოფილო პატონარი თუ დაქირა-
 ვებული მკვლელივით“. გამოიყენეს ტატიდან
 ჩამოგდებული სულთნის მოჭრებმა“ (გვ. 179).
 ასეთი რამ უკველთვის ხდებოდა თითქმის
 ყველგან, მით უფრო იმდროინდელ თურქეთ-
 ში. ეს აღვილი — შარდინის უკანასკნელი ბო-
 რატებისა და მისი აღსასრულის შეხატებ ისე-
 თაა, რომ უმჯობესია თვით ავტორს მივმარ-
 თოთ, ვიდრე ჩვენს კომენტარს:

„შუალაშე გადასული იყო, როცა სტამბოლის
 ცენტრში ტაუშანტაში მინისტრ შეხატ-ფა-
 შას ზახაბლის წინ შარდინი, ალოუს ძე გამო-
 ჩნდა. მან წინასწარ იცოდა, რომ ამ დროისა-
 თვის აქ უნდა უოფილო სერასკიარი ჰუსეინ
 აენი-ფაშა და ოთხი მინისტრი საიდუმლო შო-
 ლაპარაკისთვის. შარდინს, ალოუს ძეს, ლა-
 ხაბის ქვეშ ორი ნაგანი და ხაწალი იცოდა. არ
 ვაყი პაროლი იცოდა, და, და არ ვაყი —
 საიდუმლო შესასვლელი. ეს კაა, რომ უბიბი
 თავად სწორედ იმ ოთახში აღმოჩნდა, სადაც
 საიდუდრატები თათბირობდნენ. პირველი გას-
 როლისთანავე შარდინმა, ალოუს ძემ, უსუ-
 ლოდ დასვა სავარძელში ფეხზე წამოშდგარი
 სერასკიარი. მეორე ტყვიამ კაბიდან ამხეთ კაბ-
 სარლის გაუხვრიტა შუბლი. რაიტ-ფაშას კი
 ხანკალი ჩასცა შარდინმა, ალოუს ძემ. შარდინი
 ფარეზში შევარდნილ მგელს მგავდა, თუცა,
 დახოცილებაც მგლის ჭიხისანი იყვნენ. ორმა
 კაცმა მაგიდის ქვეშ შეტრია მთასწრო. მცვე-
 ლები არ დაიბნენ და მესამე გასროლა ვეღარ
 მოახერხა შარდინმა, ალოუს ძემ. მცველებმა
 ხმობებზე წამოაგეს“ (გვ. 179-180). ეს არის
 ბოლო უბიბი ხალხის მოდლატის, ვერაგი კა-
 ცის შარდინისა, რომლის მსგავსები ჭერ კა-
 დეე არიან ამ ქვეყნად, გამოიდევლები და
 შლიქველები, ცილისწამებლები და დამბეუ-
 დებლები, ინტრიგანები და მეტროპეები,
 უღირსად აღზევებულები და შედღურები,
 პირად ანგარიშებს იოლად რომ უსწორებენ
 უდანაშაულო მსხვერპლთ. მაგრამ ფეხიდან
 მხატვრალი ზელი, დღეს თუ ზვად შოაკ მის-
 წვდება, რათა ისინი შარდინივით ძირს დას-
 ცეს, ბოლო მოუდონ, აღგავოს პირისაგან ში-

წის. ამაგარ მოშალს გვერტგავს ბაგრატ ლინ-
 კუბას „უკანასკნელი უბიბი“ და უნდა უღირს
 მისი რომანის ერთ-ერთი დიდი მსხვერპელი
 ღირებულემა.

პარალელურად ჩვენ ვხედავთ, რომ ხალხის
 შიგნით ნაბუღებულ ურთიერთ შტრობას,
 შურს, უსაფუძვლო ქედმაღლობას, ღლატს,
 დაბეზღებებს, აშლილობას, რასაც შწერალი
 ასე დამაჭერებლად, ცოცხალი კონკრეტული
 ფაქტებით მხატვრულად გვიჩვენებს, უბიბები-
 სათვის უბედურებაზე უბედურება მოაქვს და
 მათი დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზიცაა. გაჭირ-
 ვების ემსახვ ხალხმა ვერ შექცრა თავისი
 რაგები, იმიტომ, რომ შარდინებისა და კერა-
 ტის-საბუტყერების წყალობით ერთმანეთზე
 არიან მიხუღნილნი ერთმანება დარღვეულია და
 უბიბების შტრები უფრო აფელოდ ახერგებენ
 მათ ვანადგურებას თანდათანობით. ბაგრატ
 შინკუბამ თავის რომანში ძალიან ნათლად,
 რომ იტყვან, უთვალავი ფაქტით გვიჩვენა
 უბიბების გაჭრობა, ეს ხალხი მჭობრების
 თვალწინ ისვენდნება, როგორც ზაითარის პი-
 რველი თოვლი. შეხედეთ, მაგალითად, მანსო-
 უს — შარდინის ვაჟიშვილს. ის გადაგვარებუ-
 ლი კაცია, გარყვნილი, გაუკრებული, არც წა-
 სრულს სცემს პატივს, არც ნათესაობას, უბი-
 ბებს ისევე ეტყუა, როგორც შამაისი, პირ-
 წავარდნილი შარდინია, „შეღერებს დაუბ-
 ლოვდა და ღამეებს კაზიონში ათენებდა“.
 „ქარაფშუტა და უტყუო უმარვილი იყო“, დე-
 დამ სტრანჯეთში გააგზავნა, იქ ვაჭრობა და-
 იწყო, შემდგმ დანაშაულზე წასწრებს, დამბრ-
 ნდა უბიბებთან, როგორც მათი თავადი, თავის
 მამულებში ამუშავებდა თითოეულ მათგანს,
 ჭამხასარების ტომსა და უბიბებს შორის თე-
 სავდა შუღლს, მათ წინამდროელ ჭავაღ-ბისთან
 შეტკრა კავშირი, „სამი დღე და დამე უმენდო
 ორივე მხარე ერთმანეთს ტყვიას“. შწერალმა
 მშვენიერად გამოხატა ეს ვითარება, როცა მა-
 ნსოუსთან მეოფი სტუმრები — ჭავაღ-ბეი, ალი
 ხაწრეთ-ფაშა, ფრანგი გენერალი მასინძელ-
 თან ერთად ხალხი „მამულების ჩხუბი“ ერ-
 თობიან და ამ ფაქტმა ზურჯანს მოაგონა
 უბიბებსა და ჭამხასარებს შორის ატეხილი
 ჩხუბი.

ერთი სახის გადაგვარებულის — მანსოუს
 გვერდით შწერალმა ძალიან კოლორიტულად
 გვიჩვენა მეორე გადაგვარებულის — ღარიბი
 უბიბი გლეხის ახტან ზოლაკის სახე. მას სა-
 კუთარი — უბიბეთში განიქმული ზოლაკის
 ვაჟარი შეუცვლია და შარაულელი ცოლისას
 ატარებს. არაფერი აინტერესებს, ადარე შე-
 ლები, იღონდ თვითონ იყოს კარგად; კაპუ-
 ფილია, რომ ჰუსეინ-ფენდის ბატების შწე-
 მითა უბიბურადაც ადარ ღამარაკობს, შოშ-
 ლიური ენა ნახებრად დაიწყებული აქვს. რო-
 ცა მასთან ზოლაკი მივიდა, რომ გამოცნაურე-
 ბოდა როგორც ნათესავს, ის არც განძრეულა,

1. „დად“ — უბიბურად „აღერსინი მიძი-
 როთვა, ყველაზე მეტად „მეირფასის“ უახლო-
 ვდება“ (გვ. 13). მთელ რომანში ზაურყახი ასე
 მიმართავს შარას.

რადღა უცნაური აზრებით დაუწყო ლაპარაკი, სახლშიაც არ შეინატყვა, უბიჭური სტუმარ-მასწინძლობის განთქმული წესების მაგიერ, მშრალად გამოემშვიდობა. ერთი სიტყვით, მოკვითილითი გაწე დადგა, თითქმის აქ არაფერია. და მწერალი საცნებო მართალია, როცა ზაურყანს ასე ლაპარაკებს: „დაბ, დაიღუბა ცხენონებისა და მემორების გვარი, მთელ უბინოში განთქმული ზოღაყების გვარი, დიდუღა, — გავიფიქრე მე, — ასტანის ყველა კი სამარცხვინოდ დაიღუბა. ამბობენ, სპილათური მდგომარეობაზეა დაშოკდებულნი. თუ ასეა, მაშინ მარტო ასტანს რომ დავდო ბრალი, სისულელეა. ასტანი მსხვერპლია, მდგომარეობა კი მის კისერზე აღმართული ნაჭაბი“ (გვ. 282-283). ასე ამბობს ზაურყანი თავის გაანგვარებულ ნათესავ ასტან ზოღაყზე და შეუფლებელი მკობხველი არ დაეთანხმოს უბინთა შორის ყველაზე ნათელი გონების, ყველაზე პატრიოტი და ერთგული კაცის — შარიალად უცანასკნელი უბინის ამ სიტყვებს.

მაგრამ ზაურყანი სხვა რამესაც გვეუბნება, სვედით საცხეს და აღსასრულის გამოხატვებს: მე თვითონაც ვინა ვარ და რა საჩუგებლობის შიგანა შემიღია — „ოქანი მე არა მაქვს და შეიღები მე არა მყავს. მებღადებულ დახავებულ მუხასავით ვტაროვავ. დავიფერულები და აღარაფერი დარჩება ჩემგან. უცვალოდ გაქრება ზოღაყების სახელოვანი გვარი, ვითომც არც არასოდეს არსებულა. ამას რას ვამბობ, როგორ უნდა გაქრეს მთელი ტომი, როგორ უნდა გაქრეს მთელი მრავალსაუფროვანი ენა? ენა, რომელზეც განადიდებდნენ თუ გმობდნენ ერთმანეთს, ლაპარაკობდნენ პურზე — ჩვენი არსობის წყაროც, მღეროდნენ იავანანს, იწყებდებოდნენ თუ ლოცულობდნენ“ (გვ. 288). ზაურყანს ღრმად სწამს, რომ უბინების ეს არ დაემართებოდათ, შარდინ-კერანტის-სამატკერები და მათი მსგავსნი რომ არ შეკოლოდა, ყველანი ისეთი რომ ყოფილიყვნენ, როგორც ტაძირს იყო. მაგრამ ეს სინანული გვიანდა. სვედის მომგვრელია ზაურყანის მხატვრულად ნათქვამი სიტყვებიც: „ჩემი ფიქრები უღრან ტყეში გზაანბნულ მგზავრებს მაგონებდაო“. ძალიან კარგად, აღგოგორილად არის ნათქვამი. ამავე დროს, შეუძლებელია რომანის ავტორს არ დაეთანხმოს, როცა ის ახასიათებს უბინების აღსასრულის ზოგიერთ მიუხეს და პირდაპირ გვეუბნება: „ისტორიამ ცოტა მავალითი როდი იცის უბინებზე გაყოლებით დიდი ერების უცვალოდ გაქრობისა, მაგრამ უბინები ხომ სულ ახლანად აღიგავენ პირისგან მიწისა... უბინებმა იმ დღიდან გაწირეს თავი დასაღუბავად, როცა სამოთხის მიწის ბილეს იმდენი თურქეთის გამგზავრდნენ გემებით.

დღე თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკად აბ-დულ მაშლის მფლობის დროსაც, დასაშინდითურქების“ ძალაუფლების დროსაც, მდგომარეობის“ ოცნებობდნენ მთელ დედაშიწაზე მუსლიმანების დასახლებას. რა თქმა უნდა, კავასიაზეც ოცნებობდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ შექმნილ ოსმალეთის დიდ იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად ისლამი იქნებოდა, საერთაშორისო ენად — თურქული ენა. პატარა ხალხებს ისღა დარჩენოდათ, ამ ერთიანი მდინარეში ჩანთქმულადყვნენ. იმათ კი, ვინც ამის მომხრენი არ იყვნენ, ტაძირის ბედი არ აცდებოდათ“ (გვ. 286).

მაგრამ ვინ იყო ეს ტაძირი? რომანში კოლმარტულად არის ნათქვამი ამ შესანიშნავი, პატრიოტი და ჭეშინისტი კაცის საშინელი ხვედრი. ის „მდინარე ჭორხობის ტაღებში რომ ვაღიშევა“. იმ ჭამიან შეილაშვილა, მახვადებელა. ოსმან-ქოღადან გასახლების შემდეგ ტაძირი შორეულ სოფელში აწავლიდა წერა-კითხვას უბინების ბავშვებს. რაკი წიგნები არ ჰქონდათ, „ტაძირმა თვითონ შეადგინა უბინური ანბანი“ — ვითხოვლობთ რომანში. წიგნად ვინ გამოსცემდა, ხელნაწერი იყო. მაგრამ ტაძირს აუხმებდა მთლა, რომელმაც გამოიძია, თუ „სიიდან გაწნდა ეს მოცნიერებაში ჩახვეული“ კაცი, შიეტყო, რომ სტამბოლიდან იყო მოხული, იქ კი, თურმე, „შოღალატისა და კაცისწყველის შარდინის, ალოუს ძის, ოქანი“ იზრდებოდა. დაუწყო დაბეზვება — „შოფოსთავების და ავაზაყებს მფარველობს“. სინამდვილეში კი „ტაძირი მართლა იყო ხალხის დაშვების და მფარველი“. რას არ აკეთებდა ხალხისათვის. მაგრამ ყველა მისი ცდა ამაო იყო, ვინაიდან დიდი ვეწირი უბინი ხალხი მოსპობას ფიქრობდა — და არა მათთვის დახმარების გაწევას. ერთხელ კიდევაც ვაიკრება: „უბინებმა? ნთუ ამდენ ხანს არ გაუღებტილან ან არ აღრეულანო“. ამგვარ პირობებში ტაძირმა ვერაფერი გააწყო. ერთხელ ის მოულოდნელად შეგვა ზაურყანს. იცნენ ერთმანეთი. ზაურყანმა გაახებდა რომ ტაძირი მართან „ცხოვრობდა, სანამ შარდინმა, ალოუს ძემ, არ გაავაწვანა, თავის მემკვიდრესთან ერთად, სტამბოლს. ო, რა ცხარე ცრემლით ტირიდა დედაჩემი, — იგონებს ზაურყანი, — პატარა ტაძირს რომ ემშვიდობებოდა“. ახლა უკვე ნახევარი საუფელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ზაურყანსა და მის ძმას მატას ხელში აუქანლი მიხვავდათ „ობლად დარჩენილი ბიჭი ოსმან-ქობის გზაზე“. ეს ბიჭი დღეს ხალხის ქიშკია და შეთაფრია. თავისუფლების იდეას უწერავებს უცხოეთში გაწირულ თანამემამულეებს. მან იცის, რომ ხალხს ახლა ჭელი სალოცავი როდი სჭირდება, ახლა საჭიროა „თავისუფლების ჩწყნება... მის ათყვანსცემად მავარი მხელი და იარაღი“. ტაძირი ათვისტი, შეუფარვა მებრძოლად,

ანაბილაციის პოლიტიკა იყო და დარჩა კი.

თუცა არავითარი პირობებია არა აქვს ერთი ცილის და მეორეც. უკან მიიწვი არ იხვებს. ბიონის ბრმა რწმენის მაგიერ ხალხს კემზარობას უნერგავს, რუსეთის მაგალითს იხსენიებს, ამბობს — რევოლუციის შედეგად „აფხაზებს ახლა თავიანთი სახელმწიფო აქვთ. აფხაზეთის შოკარობის ხელშეწყვეთი შარშან თურქეთში იყო“ (გვ. 219). ამგვარმა ქადაგებებმა უბიძგებებს ერთ ნაწილზე გარკვეულად იშკქმედებს, რასაც კურუმ საულაბის ქადაგებებს ჩაშლია მოჰყვა შეჩეთში ბიონის პატრისაცემად ლოცვის დროს.

კეთილშობილ უკველივე აშას და ვგარძნობთ რა შეიძლება დაემართოს ტაძირს, რომელმაც შინა, უკან დახვევა არ იცის, მაგრამ ისე ძლიერი შტრები მუყავს, რომ შეუძლებელია მათ რისხვის გადაურჩეს. როგორც დადებითი პიროვნებია, განათლებული, უმწიკლო კაცა, ტაძირი უმალ იპყრობს მკითხველის სიმშათის თაყვით პატარა, უწყო, ღარიბული სახლითაც, უკველივე ხალხი რომ არის სახეს. ეს დაგვიანებულა, მაგრამ პარკველი კულტურტრეტიერი უბიძგებისა, განმწილი იყო, მყურნალიც, მისწავლებილიც, იგი თითქოსდა თავისებურად ტიპური სახეა ძველი „ხალხში მოსიარულეებისა“, ძველი ხალხისწინისა; ცოლიც შინა — გულშორი შეუძლის უტრთველებია ადამიანია. ცხოვრობენ ერთი მიწის შოკარებულნი: დაეხმარონ მშობელ ხალხს, თვალი აუხილონ, აიყდნონ სრული მოსაობა. სახლი სახეს აქვთ წიგნებია. ხტურად მოსულ ზურუანს ტაძირი ეუბნება: „ამ წიგნებში... უძველესი და იშვითა თხზულებანიც არის, ჩვენ — უბიძგის ხარკველია ხალხი როდი ვართ. დიდებული წარსული გვაქვს. ჩვენს წარსულს სწავლული ხალხი წილდა ძველებერწმულა, არაფულაზე, თურქობლია და სხვა ენებზე. ასე უყდეს რომ დატროილდა ჩვენი ბედის ბორბალი, ეს ჩვენი მოსყიდული წინამძღოლების ბრალია. მუშაქრობისაქენ რომ არ ებიძგებიათ ხალხისთვის, ახლა აუვაებული ქვეყანა გვექნებოდა“ (გვ. 284).

ასე მართებულად მსჯელობს ტაძირი, რომელმაც თავისი ხალხის ისტორიაც დაუწერია თურმე — „შორული წარსულიდან დღემდე“. იგი ზურუანს ზაიდუმლობაც უმბედავენებს: „დიდი ხანია ვწერ, თუ ვიცოცხლე, დავამთარებ შრომას. უკველავარი ცოცხალი იყდეს და ცვალებადი ცოცხლობს. ვინ იცის, იქნებ ისეთი დროც დადგეს, რომ ჩვენ, როგორც ხალხი, აღვივაოთ, ვაქტრო და შოკონებოდა ვიქცეთ. ჩემი წიგნი კი ქვეყანას ამწობს ჩვენს ამბავს, ჩვენი აღწევებისა თუ დაქვიშის ამბავს“ (გვ. 285). უკველივე ეს ღრმად სჭერა ისტორიული და ფილოსოფიური განათლებით აღჭურვილ ტაძირს. მას სწორია, მართებულია აზრები აქვს, პროგრესული და სახესებით მისაბლები. კარვად ესმის ოქტობრის რევოლუციის

დაიდი ძალა, იმედი აქვს მისი სხივები ექნებ ჩვენც მოგვექნებ, უბიძგისაქ მალეწილად დაედროს, აფხაზების მსგავსად. სახლად უმწიკონა გაჭეოი „წითელი აფხაზეთი“ და ზურუანს უჩვენებს. გულით შეგზარის უკველივე აშას. როცა კალმს უჩვენებს ზურუანს, უმალ დასძენს: „დაშიქრო... ის უველა ხმალზე უფრო მჭრელია. მაგალითად, ჩვენც ქართველებით რომ გვეცოდნოდა დაშწრლობა, ისეთი იარაღი გვექნებოდა, ხელიდან რომ არასოდეს არ გავვიარდებოდა. ღრმად მწამს, არაფერი ამის მსგავსიც არ დაგვემართებოდა, რაცა გვექრის. ვინც სწავლანი მარჭევა, ის არ დაიქარგება, ჩვენს შამა-შამათ დაილოთ ცოდავად ჩვენი ახლანდელი უბედურება. თურქეთში მოშვედრილი ბეჭარი მთიელი, მარაალია, დაგვიანებით, მაგრამ მიიწვი შოვეგა გონს. აფხაზეტმა ანხანი შედაგინეს, სწავლულით უნდათ გახდნენ. ცდილობენ თავიანთი მქმთებები ეახსნან. აღედრლებიც ასე იქცევიან... მეც შევადგინე უბიძგარი ანხანი“ (გვ. 285-286). ზურუანმა კი წერათოხვა არცერთ ენაზე არ იცის, მსგავსად დაწარჩეული უბიძგისა. ამიტომ, როცა ტაძირი ეუბნება — შეხედეთ, ეს არის ა, ეს — ბ, ვ... ზურუანი უბასუბებს: „ეჰ, დად ტაძირ, ასე პატარა კი არა, სიდიდს ხელა. რომ იყო ეს ასობეი, შე მიიწვი ვერას გავხდებო. ტყუილად წე წვალობ, აწი სათვალევე ვეღარ მიშვედის“.

ასე ვადიოდა დრო ტაძირის სასარგებლო შოდაწეობისა, მაგრამ თანდათან მჭიდროდ იყვრებოდა მის წინამძღვეტ შეიქმმულია რკალიც. ბარობმა ძალეებმა, რელიგიის მსახურებმა, მუსხინი რეფიგის შოკარებით, ცოლი დაწნაშეს ტაძირს, თითქოს მან „ქვის ნიშა, სადაც ქორის ხატებიანი ბიონა იყო დახვეწებულა“, დაანგრია და თვით სალოცავი ბიონა გაიტაცა. რახმნის ნათქვამი, რომ „შინთა ტაძირმა მოტაცა“, ხალხმა, რომელიც დღედაღდა, არ დაიჭრა. მაგრამ სად იყო ამ დროს თვით ტაძირი? ზურუანმა და კიდევ რამდენიმე კაცმა იცოდა, რომ „ტაძირი სტამბოლში კი არა, ანკარაში ვაგეზუვარა, ჩვენს საქმეებზე რომ მოსაბარებოდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, რომელიც, ხალხის ხმას თუ დაუჭერებდით, უკვე მისულიყო ქველ-თაშასთან. ტაძირს უნდოდა შეტყუო: შექმლოთ თუ არა სამშობლოში დაბრუნება იმ უბიძგის, ვინაც ამის სურვილი ექნებოდა“. მაგრამ ის ანკარამდე ვერც მივიდა. უველა გზა დაქტილი იყო. გვიან ღამით შინ დაბრუნებული ტაძირი მოკლდა შეიქმმულმა ფარხათ ჩიშვამ. სიყვდილის წინ ტაძირმა ამის თქმა მოასწარა: „ოთხი შეიარაღებული კაცი ცხენებიდან ჩამოქვეითდა და სახლში შეიჭრა. ეცინენ გულშორის, საშველად რომ უბიძგოდა ხალხს, პირი ამოურწოთის და ხელ-ფეხი შეუტრეს. დაფიქრებული ნამძინარევი ბავშვებიც გათოცეს, სამივენი უნაგირებზე გადაიწვიეს, ხალხს ცუცხელი წა-

უიღებს და წავიდნენ“ (გვ. 254). მანამდე კი უბინებს უარის გამო, სულთანის ასკრებრი გახმდარაუფრენ, „უღმის უარდებმა“ ნამდვილი დარბევა მოაწვეებს: „მისი განკარგულებით გვიკვადებოდნენ ბინებში, — ამბობს ზურუყანი, — უკლადურს გვარამეფდნენ, რაც მოეწონებოდათ, ერთეობდნენ პარტუტებს, აუბატურებდნენ ქალებს და თუ ხაბდე წაწვედებოდნენ ავადმუფთ ახალგაზრდებს, ან ასეთებს, ვინც ავადმუფთობას აგონებდა, ზვრეტდნენ, როგორც დეზერტირებს“. ებეც შენი ელდორადო, რომელსაც შარდანი აღოსო მუ უბინებს მპირდებოდა!

ასე დაიღუბა ნათელი გონება, თავისი ხალხისათვის თავდადებული მებრძოლი ტამარი და ამიტომ თუ ზემოთ ნათქვამი ვინც ასობილაციის ერთიან მდინარეში არ გათქვიფებოდა, მათ ტამარის ბედი არ აცდებოდათო“. უკვდელივე ეს თითქოს დაუტყვებელი მოვრევენება მკითხველს, მაგრამ აქ ფანტაზია კი არ არის, უბინების ტრაგიკული აღსასრულის მხოლოდ ეპილოგური სურათები.

სიკვდილს წინ ტამარმა მოასწრო დაებარებო: „შინ დაბრუნდით! კვავახიაშო... უკლადნა... შინ!“ (გვ. 255). მაგრამ ეს მხოლოდ რენება აღმოჩნდა. მისი დამარხვის შედეგად, „უღმისასეული დამე რომ გაართებს ამ მიწაზე, რომელსაც ფეხი ვერ მოკიდებ“, ხანია ათასი უბინური ოქანი აიყარა და შინ დასაბრუნებლად დაიძრა. „სახლკარ დამწერებს, ბოშებს და ფრონტის ხაზოდან გამოქცეულებს ვეკვილით“, — აგონებს ზურუყანი. ისინი კვავახიაშოქნ მითდოდნენ. საშინელი სიციხე დილი და სიციხე ღამით, — ეს კიდევ არაფერი იყო, მაგრამ ასე განწირულ უბედურებაში ჩავრდნით უიარაღო ადამიანებს — მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს, როგორც ზურუყანი უბინობის შარახს, მღელ ისევ დაეხატა, რომ, ალი ხაზრეთ-ფაშას განკარგულებით, მისი დამხვეული რაშები თავს ესხმოდნენ, სპობდნენ და ანადგურებდნენ გაქცეულებს. მართლაც საზარელი სურათია: „ძლივს მიათრევენდენ ფეხებს, თითქოს ზვრეტებს გაუღის ბჭილოდო, ასე ქრიალებდნენ ურშები, ბავშვები და ავადმუფთი და ავადმურტებული მოხუცები რომ იწვენენ ზედ ჩვენ უჩქარობდით, დახოცილებს სასწრაფოდ ვმარხავდით და გზადგზა ვტროოდით. ხან წინ და ხან უღარ ისევ ვაიხმოდ საროლის ხმა, უიარაღო ხალხისთვის ტყვიის დაშენა ვაჯავიკობა არაა, მაგრამ ერთი რამ ნათელი იყო: თითოეული ბრმა ტყვია მხსვერპლს მოაგნებდა ჩვენს ბიჭებს კი თუმცა მისწინი სროლა თან მქონდათ დაუყოლილო. უჭირდათ — მღვრებიც ცხენებზე ასდნენ და შაითნებივით დაქროდნენ აქეთ-იქით, დაცლდნენ თიფებს და გაიფანტებოდნენ“ (გვ. 257-258).

მთელი ეს გზა საშობლოში დასაბრუნებლად ისე ურუანტელის მომგვრელად არის ნა-

ჩვენები, რომ მოთხრობა კი არა, გოჭობელორი სინამდვილე. ასე ძლიერა მხატვრული ურჩებით ხალხის ტრაგიკული უსწრდებოლი ანწერა ბავრატ შინგნებს, როგორც ბელტრისიტას, დიდი გამარჯვენაა. შეუძარწუნებლად ვერ წაიციხიხა ამშობებული კობისაგან ტანქვით მიმავალი, წყურვილით მომაცვადვი ხალხის უბედურების სცენებს, ზოგი მისვლისთანავე რომ ევდება, ცოცხლად დარჩენილები კი ხარხად ეწაფებიან „მღვრივ და ამურალებულ წყაღს“, რომელიც წებოვანია, შიგაც „ლიფხიტები, თაკობმალები და წურბელებია“. ან წაყოთხეთ ეს სცენა: „სურხათის ღარიბული მარჯავი ვაგოვკელია, შამშოლოა... ბავშვების ტირილით დაიწყო... ჭერ ხარბი დაჯალით, მერე ცხენებს დაუფინეთ ტყვია... ობიხვადები რომ დაწვეთ შეშად, ახლა აყენებს მივადეითო...“ (გვ. 258). რაღა ვასაკვირა, თუ ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნით „ხალხის ნაკადი კი არ მიდოდა, მიხონავდა, შიმშილი, პურის ერთი ნატებისთვის, ერთი ელუმა წულისთვის ტებდა ჩხება, ვზადგზა იფიკად გამჩენილ ბალახს ედებოდა ხალხი სპქელად თავისი დაჭრის თუ მოახრხებდა ვინმე ზედნაიერი იყო“ (გვ. 258). და იმართება გზაზე შეხვედრული ცხენების რეხასთან ბედგანწირულთა ნამდვილი ოში, რომელიც ავტორის დიდი მხატვრული ძალით, ბატალური სცენების გადმოცემაში ზომიერების დაცვით აღუწერია, ამ უჩვეულო ოში იღუპებიან ცხენები, მაგრამ იღუპებიან ადამიანებიც — ეს „ადამიანების და ცხენების შორის ოშია“, „ხელმართული ბრძოლა“, რომელიც საზარელ შობადებლებს ახდენს. ვერაფერმა უშველა დასაღუპავად განწირულებს, მაგრამ დაღუპვის წინ ხალხმა ერთხელ კიდევ მოიკრბა ძალ-ღობე, მოხუცმა თათლასტანმა, ცოლი მიწას რომ მიებარა, ცუცვა წამოიწყო, სწორედ ასე, როგორც კინოელი „ელიზოში“ ვიჩვენა ჩვენმა საყვარელმა მეგობარმა, უნიჭიერებსა და ორიგინალური შობადების რევისორმა ნეკოლოზ შენგელაიამ. ღრმად მოხუცი, სულმოპობავე თათლასტანი ცეკვავს, გახსნის „ამბიხა, ახიარია!“ ..და მართლა სასწაული მოხდა: არავის არ დაუძახნია „კეკუაზე ბომ არ შეიწაღე, გონს მოდიო!“ პარტიით, დონგამოცლდელმა ხალხმა, ფეხზე ძლივს რომ იდგნენ ან განავთიებული ეურარენ ძირს, ჭერ ჩურჩულით ააუღღეს ხმა, მერე თანდათან აუწიეს და ბოლოს მთელი ხნით შეშოსმახებს შამაპაპური საცეკვაო და ტაშიც დასცხენ“ (გვ. 261). თითქოს აქ უნდა დაღუპულიყო თათლასტანი, გული გასკდომოდა ან სხვა რამ უბედურებას უნდა ემსხვერპლა, მაგრამ არა... იგი მოკვდა სოფელთან მიახლოების დროს ვიდაც უცნობმა, რომლის აღმოჩენა ვერაგინ შეიძლო. ან კი სოფლის ადგილობრივ მკვიდრთაგან ვინ გასცემდა მკვლელს, როცა „მლიციელებს მკაცრი ბრძა-

ნება ჰქონდათ მიღებული სტამბოლიდან: „გადუღობით უზიზღეს ყველა გზა. ნუ მოერიდებიან იარაღის ზმარებას. მკვდრები დაწვიეთ!“ (გვ. 265).

თაღლასტანის მკვლელის ძებნაში ზურყანის ერთ-ერთ სახლს მიადგება. იქ კვრივი კალი ცხოვრობს, თხოვრებთ წლის ვაფიშვილით. ზურყანმა მათ იხსნის საქვდილისაგან, მაგრამ, თურმე, კოლერიით არის დაავადებული და იქვე გონება დაკარგა. ამ კალმა — სალილამ დიდი ვაჟავლანით მოარჩინა ზურყანი, ერთად დაწვეს ცხოვრება, როგორც ცალ-ქმარანი, მაგრამ უკანასკნელ უზიზღეს ბედმა არც აქ გაუმართლა — კეთილი სალილა მალე გარდაიცვალა, ერთადერთი შვილის მამობა კი ზურყანს უანდერძა. ეს სწორედ სალილას სახლია, სადაც ზურყანი ახლა ცხოვრობს, შარახს უზიზღეს ტანწულ ოღბეას უყვება, სადაც შეიღვივთ გაზრდილი ბირამი, რომელიც ცოლის შერკოვის შემდეგ ცალკე გადავიდა საცხოვრებლად, ყოველდღე მოდის მამობილის მოსავედლად. თვითონ ზურყანი კი, ვიდრე დაასრულებდეს თავის ვრცულ ნაშობობს და იტყვოდეს — „უკანასკნელი უზიზღეს ვარო“, შარახს ეუბნება: „მეორე დღეს დაგვრძალე სალილა. აქედან ახლოსაა, გორაკის ფერდობზე. გართობ რომ გავიდო ხოლმე, იქითკენ გამოვიდეს გული. ასე ზეონია, მარტო ის კი არა, ყველა სქმი ახლობლები იქ არიან. უკვე დიდი ხანია გავაფრთხილე ბირამი, რომ შეეცდეს იქ დაშვრძალოს, მის გვერდით!“ (გვ. 266).

მაგრამ ხალხი სად წავიდა? ყოველივე იმან, რაც ზემოთ იყო აღწერილი, აგრეთვე კოლერიის ეპიდემიამ მუხრან გავალა ყველას, სამშობლოში ვერცერთი ვერ დაბრუნდა. ეს იყო უზიზღესი უკანასკნელი გადარჩენილი ნაწილი და ისიც მთლიანად მოისრა.

VI.

რომანის ფინალი ავტორს ორიგინალურად განაზრგებია. მუშაობის დამთავრების უკანასკნელი დამეა, შარახს ეთხოვება ზურყანი, რომელმაც თავი ცუდად იგრძნო. მკითხველი უნებლიედ გაიფიქრებს, რომ შესაძლოა ასე წლის მოხუცმა დილაზე ვერც მიატანოს. მთელი დამე შარახს ხომ ზურყანის „ხელება და ურუ კვება“ ესმოდა. დილით ის ავად იყო, „ლოკინიდან ადგომა არ შეეძლო თავს იკავებდა. არ კვენსოდა, მაგრამ ტყუობოდა უჭარბო ტკივილის შორევა“. ჩაცვივული თვალბეი ტანწვით ჰქონდა საცეც კამა არ შეეძლო, წყალს წრუპავდა ხანგამოშვებით და თამბაქოს ეწეოდა“ (გვ. 268). რა დიდი შინაგანი ძალა უნდა ჰქონებოდა ამ ღრმად მოხუცებულ კაცს, რომ ავადმყოფიც ასე მხნედ უოფილიყო და ასე მომხიზნებოთ დაეჭირ თავი. ამის მიზეზიც

ჰქონებოდა — არ მოკვდებოდა. შარახს აქ უთხრა: „აღმათ მოვრჩები... რომ დავინახე საუკანის პირი აღარა შევეს, სრულვებლად შევხვდები სიკვდილსო“ (გვ. 268). გა-მომშვიდობებისას შარახი ბევრს ეცადა მოხუცი არ წამოშდგარიყო ლოკინიდან, მაგრამ ამაოდ. ბირამს მოატანა უზიზღესი „საბლენძის ბუცი და დიდი კავკასიური ხანჯალი“, რომელიც შარახს გადასცა: „გადაშენებული უზიზღესისაგან ესლა დარჩა. წაიღე ისინი აფხაზეთში ბირამისათვის ისინი უტყუენ არიან: შენ კი ბევრ სამეს გაიმობინე“ (გვ. 268-269).

ახე სთქვა მოხუცმა და ის მართალი იყო ის ხომ ბოლო ხანებში მუდამ წუხდა, რაკი არ იყოდა, თუ ვინ დაუპატრონებოდა ამ უნიკალურ სამაშობრო განძს, დაღუპული ხალხის ერთადერთი მოსაგონარ ნივთებს.

„მადლობა გადავუხადე და ძვირფასი ხანუქარი ჩამოვართვი“, — ამბობს შარახი. შემდეგ კი დასძენს: ზურყანი „წამოღვა. თავისი ძველი ჩოხა-ახალუხი ჩააცვა, ბოხონი დაიბურა, კვერთხი დაიჭრა და კისრამდე შიშაილა. გადამეხვია, ვადაშეკუნა და ბედნიერი შეგავარბომა მისურვა... უკან რომ მოვიხედე, გორაკზე ძველი ციხე-სიმაგრის უკანასკნელი ნანგრევით მდგარი ზურყან ზოლაკი დაეხიდა... შერე აღარ მამიხედავს. დავ, ასე ჩამრჩეს მესხიერებაში. წარსულის უკანასკნელ ანუ ნანგრევად იხილავენ მას სხვებიც ჩემს წიგნში, რომელსაც უსათუოდ დაეწერა ზურყან ზოლაკზე მისივე ნაშობობის მიხედვით“ (გვ. 268).

სითია ბავრატ შეწყუბას რომანის ფინალი, რომელსაც ამოთეოზად ემსახურება ავტორი-ხეული შემდეგ ბოლისიტყვაობა: „ამ სიტყვებით მთავრდებოდა ახალგაზრდა მეცნიერის შარახ ქვაჭანს ხელნაწერი. მას არც სათაური ჰქონდა და არც თავებზე იყო დაუთვლი. ვამოსაცემად რომ გავამზადე, მე თვითონ დავუყავი თავებზე და დაეხათაურე კიდევ. წაკითხულის შთაბეჭდილებით წიგნს „უკანასკნელი უზიზღეს“ ვუწოდე“ (გვ. 269).

მაგრამ ამით ყველაფერი როდია ნათქვამი. თუ ღრმად შევიჭრებით რომანის შინაგან არსებაში, გაჯანალოებოთ მის შემადგენელ ნაწილებს, გაეჩივარებოთ როგორც ერთიანს, მაშინ უაქვევლად მივალი დასკვნამდე, რომ საქმე ვვაკვს ჩვენი მსატკრულო ლიტერატურის ერთ-ერთ მწვენიერ მოკვლენასთან. თამამად შეიძლება ითქვას მწერლის თვალსაჩინო გამარჯვებაზე რომანისტის დარღვივა. სრულიად უდავოა, რომ ყველა ნიშნის მიხედვით, ბავრატ შეწყუბას „უკანასკნელი უზიზღეს“ არის რომანი-ტრაგედია. დასაწანია, რომ ავტორი ასე არ უწოდებს თავის ნაწარმოებს. რა კარგი იქნებოდა, თუ შემდგომ გამოცემებში „უკანასკნელი უზიზღეს“ დაეწერებოდა „რომანი-ტრაგედია“. კლასიკური ტრადიციისაგან განსხვავ-

წიგნის 42-ე გვერდზე ავტორი გვთავაზობს დაბუნდოვანებულ ტომონიმებს, რომელთა წიშომივლილის დიდგენი გუქანულა: **კახის, თულუ, ხალხან** (ბელაქანის რ.); **ზერან, ზემან, მარან** (კახის რ.); **ხახ, ყიშარ, გარ** (ზაქათლის რ.). ამ გეოგრაფიულ სახელწოდებებს ქართული ელფერი დაქრავთ და ამიტომაც დაბუნდოვანებულად მოგვჩვენა მკვლევარს. შედარებისათვის მოგვყავს რამდენიმე მაგალითი. **თულუ** — ფუნდრუფი ერთი (ნ. საბა, გვ. 142), ასევე სოფ. **თულაი** (საგარეჯოს რ.); **ზერან** დამახინჯებული ფორმა **ზარან/ზერან-სი**. ეს სოფელი 1886 წლის მოსახლეობის აღწერაში მოხსენიებულია „ზანა“-დ; **ზემანი** დღევანდელი **ზაგანა**, რომელსაც იხსენებს მ. ჭანაშვილი თავის „სიანიგლო“-ში; სოფ. **ყიშარის** შესატყვისი გვაქვს **ყუშური** (ჯანის რ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნის ამ თავში დეტალურადაა გაანალიზებული ყველა ის აზერბაიჯანულ-თურქული თუ სხვაენოვანი მაწარმოებელი აფიქსები, რომლებითაც უშუალოდ იწარმოება ამ რეგიონის აზერბაიჯანული ტომონიმები.

ცალკეა გამოყოფილი ვან და ზენ აფიქსებით წარმოებული გეოგრაფიული სახელწოდებები. ეხება რა ვან სუფიქსს წარმომადგენლობას, შენიშნავს, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი ფორმანტია ინდოევროპული ენებისა, რომლებშიც ძლიერი გავლენა იქონია სასანიდების ეპოქაში *персидским языком на армянский, активизировало в последнем употребление аффикса -van* (გვ. 79).

დამოწმებული აქვს ხუთი სოფლის სახელწოდება: **ოროვან** (შექი) **ამროვან**, **გამარვან**, **მუზაშევან**, **ვანად** (გვ. 78) სხეუბულ მიგალითებში, ჩვენი აზრით, **ოროვან** შეიძლება მიღებული იყოს **ორ-ოვან** სიტყვისაგან და ნიშნავდეს „ორბუნან“ წარმოშობით. ასევე **გამაროვან**-ში უნდა მომხდარიყო უ-ჭ-გ პრიუცის. **[ოქვან]** — ე ქართული ჩანს შდრ: ვაშლოვანი (თეთრიწყარო, ლენინგორი, გაგრა, ხულო). **ამარ-ოქვან**-ში ამოსავალ ფორმად უნდა ვივარაუდოთ **ამარ-ი**. არაბულად უმოვრესო, ანუ უხუცესი. ასევე **ამირბაჩი** — სახლუხუცესი (ნ. ჩუბ, გვ. 136; შდრ. სება). **მუზაშევანი** ქართლის კალკრებელი ფორმა — „ასისთავები“.

შენ აფიქს ინდოევროპულად მიიჩნევენ. ამ აფიქსით ნაწარმოები ტომონიმები გვხვდება როგორც აზერბაიჯანის, საქართველოს, ისე

სომხეთის რევოლუციონერებში: გოგაშენი, აქალაქი-
ლის სოფელი“ (საქართველო). ყაზახებში:
სხორაშენი, ნიკორიანი სოფელი“. ავტორი ასა-
ხელებს ვარაშენს, ბალაშენს და კუტ-
კაშენს. მოყვანილ თიქონიმებიდან ვართაშენ-
ნი ქართული წარმავლობისა როგორც ისტო-
რიული თვალსაზრისით, ისე ენობრივი აღნა-
გობითაც, ვარაშენისა — ვართაშენი (შდ.
ვარდიანი ანუ ვარდისუბანი, მცხეთა, ყაზბეგი,
დმანისი, თელავი, ლაგოდეხი). ამ თიქონიმის
ქართული წარმავლობაზე მიუთითებდა ცნობი-
ლი ისტორიკოსი დიმიტრი ქანაშვილი: „უდგ-
ბი ვართაშენს (ვარდიანს) „ქალა ციკას“
უწოდებენ, რაც თავიანთ ენაზე „დიდ ყვაილის
ნიშნავს“. უდგბმა ის თარგმნეს, როგორც
„დიდი ყვაილი“, ე. ი. ყვაილშენი. „ვარდი“
რომ ქართულია, ეს უდავოა, მაშ რატომ უნდა
ეკუთვნისმით „შენ“ უცხოურად? ვარდაშენი
მოხსენებულია ლ. შალაშვილის ოთხთავის
ანდრეში, რომელიც გადაწერილია 1310 წელს
ქუჩუმების მთავარბისკოპოსის კაბილე დონა-
ურის განკარგულებით. საქართველოს პატრიარ-
ქმა ექვთიმე მთინებელმა ეკლესია „ეიარდთა-
შენს ელიაჰსი... ყაბალასა ძეიჩი: ვარდთა:
შენს: სავაჭრონი: და ვეჭარნი: შუიღინი“ (მ. ქა-
ნაშვილი, საქ. ისტორია, თბ., 1894, გვ. 205-
206).

ზოგიერთი ზმნებიდან წარმოქმნილ ტომონი-
შებს, მაგ., სუხეცნ-სა და კორავან//კორალან-ში,
გამოყოფს კენ//კენ და აღან აფიქსებს და ამა-
ვე დროს აღნიშნავს, რომ ამგვარი აფიქსების
დართვით წარმოქმნილი ტომონიმები დღეს აღარ
გვხვდება აზერბაიჯანულ ენაში, მაგრამ ისინი
შეიძლება შეგვხვდეს ძველ თურქულ წერტილ-
ობით წყაროებში — დივანულ ლუღა-ობა-თურქ
და მასშივე კაშვარის „ქუთუდავე ბილგში“,
სადაც ძველი თურქული sız — означат
«поддаться», соответствуетно sızgan «подли-
вы» ср. также qotā — «уменьшаться, убы-
ваты» (გვ. 85).

თიქონიმ სუხეცნ დამახინჩებული ნაშთია მის
აღრინდელი სახელწოდებისა სოსიკანთკა-
რის, დღევანდელი „სოსკანი“ და არაერთარი
სხვა ინტერპრეტაცია არ მოეძებნება ამ ტო-
მონიმს. რაც შეეხება კორავან//ყორალან (ყორ-
ლან) თურქული წარმოშობის სიტყვაც, მაგრამ
იგი ქართული ენის ლექსიკის კუთვნილებას
წარმოადგენს. ტომონიმი შეიძლება მიღებული
იყოს ქართულ ნიღადაზე. 1886 წლამო-
სახლეობის აღწერის მიხედვით გვაქვს
караган — енгилон, караган — мусульман,
ხოლო а. ხაბანაშვილთან корган — межа
(Материалы по Археологии... М., 1896,
გვ. 32).

სინტაქსური გზით წარმოქმნილი ტომონიმი-
ბის ანალიზისას ს. შოლბაძე ასახელებს რიგ
ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც აქტიურად
11. „მნათობი“, № 12

მონაწილეობენ გეოგრაფიული ობიექტების
ნომინაციის დროს: კენდ, თბა, აბანდ, ყალბა,
ღურ, ჭურდ, დაღ, ბაღ, ჩაი, ქოღა, ზულბაღ, ნაჰა-
ურ, ღებენ და სხვ. წიგნის მე-100 გვერდზე
წარმოდგენილია ჩრდილოეთი რაიონების ისეთი
გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც
წარმოქმნილია ტრანსფორმაციის გავრეშე,
სხვადასხვა მნიშვნელობის შქონე სიტყვებისა-
გან. ამ რიგის ტომონიმების ასანა აზერბაიჯან-
ული ენის მომწველიებით არ ზერხდება. ავ-
ტორს აქ შეტანილი აქვს სიღბან (ზაქათლის
რ.), რომელიც უფრო მოსალოდნელია მიღ-
ებული იყოს წიხუნისაგან. ვახუშტი ელისენში
შემაველ სოფელთა შორის ასახელებს წიღუ-
ხანს (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართვე-
ლოსა, თბ., 1941). გვაქვს სოფ. წიხუნანი (ახ-
მეტა, ბორჯომი, ახალციხე). აღ. ხაბანაშვილისა
მიხედვით შინბანი (передняя торрасса),
ასევე Цилбалз (удельная кровля или тер-
раса), ბ. Материалы по археологии Кавка-
за, вып. VII, М., 1896, გვ. 32.

ავტორი ტომონიმებში დონდუშთაღა, ბუ-
ზაითაღა პირველად კომპონენტ ნაწილს მიზ-
ნის გამოხატველად მიიჩნევს, რისთვისაც გე-
მიზნულია მისი შეთარადი ნაწილი. სწორად მი-
გვაჩინა ეს მოსაზრება და დავუმატებთ, რომ
ამ ტიპის ტომონიმები, სადაც სიტყვა „დონ-
დუში“ (დორი) დომინირებს, ფართოდაა გავ-
რცელებული რეგიონში. იგი უძველესი წარ-
მოშობის ტომონიმი უნდა იყოს: ყველა იმ მი-
ნდორს, ტყეს თუ ქანარს, სადაც აღწერა მრავ-
ლად დაეტყუებოდნენ დორები, დაერქვა
„დონდუშთაღა“.

რთულ გეოგრაფიულ სახელწოდებადაა მი-
ჩნეული ვახუშთაღა და ვახუნგაღა, სადაც პი-
რველი კომპონენტი აღნიშნავს მეორის ადგილ-
მდებარეობას — «и тем самым выделяет его»
ხსენებული ტომონიმები სინამდვილეში ახალი
სახელწოდებებია, ისინი გაჩნდნენ შას შემ-
დედ, რაც კაცში მოსახლეობის დაფერვნიარე-
ბისთვის გაჩნდა ტერმინი კანიგაღო და კახ-
მულაღი. გ. კორიშვილის შენიშვნა კახმულაღის
შესახებ საპართლიანია, ხოლო რაც შეეხება
კახ-ნიგაღოს, უნდა მივითითებინა „კახის ინ-
გილოები“ და არა „კახში მცხოვრები ინგი-
ლოები“.

პილტონიმებში კატტჩაი, მანზჩაი და ლე-
ქაიჩაი პირველი კომპონენტები უცნობია
ისინი უძველესი წარმოშობისა არიან და
ენობრივი შედგენილობის მიხედვით ქართულად
უნდა შევიჩინოთ. ისინი ფექსირებული არიან
ქართული ისტორიულ წყაროებში: „ბოლო ჰე-
რეთს დასუა პირველი ზორანბუღს ანუ ზორა-
ნისა და მისცა ქისივი და გაერთ-კახეთი ეუ-
ხეთის საზღვრამდე, აღახანასა და მტკუარს შე-
გნით და ჰერეთის მთისა. მეორე ეყენის და
მისცა ქისიყის საზღვრის ზეთით თურქოს
ქვეამდე და აღახანასა და ჰერეთის მთის შე-

გნით, რომელ არს აწ შეგნით—კახეთი. მესამე მაჰისა და მისცა მაჰის წყლის ქუთით და აღინის აღმოსავლეთი შაქიხთურთა და ზუნზახითურთ მეოთხე დასუა შტორისა და მისცა შტორი ქველამ მაჰის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთურთ, რომელ არს აწ გაღამაჰარი და ამანვე შეაერთა კახეთი და ჰერეთი* (ქ. ცხ., ტ. IV, თბ., 1973, გვ. 561).

ოკონიმი **ღვეთი-ო/ღვეჭირი-ი** ი. ადამიას აზრით, აღნიშნავს „ქართელებით დასახლებულ ადგილს“. წინასართი „ღ“ და სატომო სახელი „ქართი“ ერთ კომპოზიტში გვიძღვეს **„ღვეჭირისი“**, რომელსაც გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობა ქრონია მინიჭებული (ი. ადამია, ქართული ხალხური ხერთომოდერება, წ. 3, სიინგილო, თბ. 1979, გვ. 24). ლე სვანურია, იხმარება ქართული ხა საწარმოებლის მნიშვნელობით: **ღე-თრე** „სასმელი“, **ღე-ზხი** „საწვავი“, **ღე-ხამ** „სალორე“ (ვ. თორღურია, ტ. 1, თბ., 1967, გვ. 215-216, 239; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 210, 213-214) სვანურის გზით უნდა იყოს დამკვიდრებული საშვარტლოს ტოპონიმებში. ისტორიულმა მაჰის-წყალ-მა დროთა ვითარებაში სახე იცვალა და მივიღეთ **მაზიჩაი** (მაჰის წყალი > მაჰის წყალი > მაჰიმის წყალი > მაზიჩაი). შესამლებელია ეს გამოწვეული იყოს სოფ. **მაჰიმის** ზეგავლენითაც, რადგან მდინარე მას ახლოს ჩამოედის.

თვისთავად საყურადღებოა ნაშრომის მესამე თავი, რომელშიაც ტოპონიმები განხილულა ენობრივი თვალსაზრისით.

ოკონიმი **ქეშგუტანი-ი**, ს. მოლაზადეს მიხედვით, მიღებულია **კეშ-კუტანი**-დან, რომლის პირველი კომპონენტი აზერბაიჯანელი ენის რაგ დალაქტებმა და მეტყველებებში იხმარება შემდეგი მნიშვნელობით: „ადგილი ორ შაას შორის, საიდანაც მოედინება წყალი“. მეორე ნაწილი კი თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში არ გვხვდება. ავტორი იშველებს თურქულ წყაროებს, რომლის მიხედვით **გუტანი/კუტანი** აღნიშნავს „ხეტორას, დასახლებას... ცხვრის ფარებს“. მსგავსი ტოპონიმები ისტორიულად უხვად მოიქებნება ზაქათლისა და კაბის ზონაში, მაგალითად: **კოხუ უსტუ მახმუდ ბულად**, **სიჩანლი** და სხვ. ასევე დაღესტნის ტერიტორიაზე გვხვდება მთელი რიგი აულების სახელწოდება გეოგრაფულ ტერმინ **კუტანი**-ის შემცველობით: **ბოიალთარ-გუტანი**, **ისმაილგუტანი**, **შითიფეგუტანი** და სხვ. აქვე ავტორი **გუტანი**-ს აზერბაიჯანულ წარმოშობას აუთენებს, ე. ი. გამოთქვამს ვარაუდს, «Кешгутан означает хутор (отселок) на кеше (გვ. 128).

ქეშუთანი-ი კაბისგან ჩამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. წინათ ეს სოფელი კაცელთა დროებით სადგომ ბინებს წარმოა-

დგენდა. აქ მოლიოდენ ზახუტდრუხუდ ქუჭუჩი სახანეკათეს ფართობებზე, **ქუჭუჭუქან ქუჭინ** ჩამოყალიბდა. იგი არცაა მოხსენიებული 1886 წლის მოსახლეობის აღწერაში. **ქეშუთანი-ი** მდებარეობს ვაკე ადგილზე. ჩვენი აზრით, ოკონიმი **ქეშუთანი-ი/ქეშუთანი-ი** უნდა მიმდინარეობდეს **ქვეშუთანი-დან**: **ქვეშუთანი > ქეშუთანი**, ინგილოურ დიალექტში ვ იკარგვის სიტყვაში **ქეშუ > ქეშ**. ამ სახელწოდების პირველი ნაწილი აშკარა ქართულია, ხოლო გუთანი უძველესი ნასესხებოა. სოფელი, რომ ქართველი მოსახლეობით ყოფილა (ნაწილობრივ დღესაც არიან) დასახლებული, ამის აღსატურებს როგორც იქაური ტოპონიმები, ასევე ხალხური გადმოცემა: „უწინ დროს ეს სოფელი დიდი იყო. მტერმა ისე მოაოხრა ეს ადგილი, რომ გუთანიც ქვეშ მოექცა ზენს მამაბათ და ოჯახიცო. ზენის დროს ამოდის ქვევრის, რკინეულობისა და სხვა სამურწნეო იარაღების ნაწილები“ (ჩაწერილია მ. ტარტარაშვილის მიერ 1970 წ.).

ჰიდრონიმი **გურჯანა ჩაი** (შეჭი). აქაც თითქოსდა გვაქვს — **გურჯ** და — **ანა**, რომლებიც ძველი თურქული მონაცემების მიხედვით აღნიშნავენ „ძლიერი“ს, „მაგარი“ს. აქ სინონიმთა შერწყმის ნადავზე მიღებულია **გურჯანა**, რომლის მეორე ნაწილი კუთვნილებითი აფიქსის როლით გამოდის (გვ. 156). დავუშვათ, რომ ეს ასეა, მაშინ როგორ აფსნათ საქართველოში მდებარე „გურჯანა“? აქაც ხომ არ გვაქვს „ძლიერი“? სრულიადაც არ არის გამორიცხული „გურჯანა“ იყოს წარმოშობით ქართული, ე. ი. „ქართველთა მდინარა“-ის თურქული თარგმანი.

ს. მოლაზადე **ილისუ**-ში გამოყოფს „ილი“-ს და „სუ“-ს. **ილი**-ს უკავშირებს ძვ. თურქულს, სადაც იგი ნიშნავს „река, текущая (верху) вниз, что соответствует и географической реальности“ (გვ. 159). აქედან დავრქვა სოფელსაო. ეფიქრობთ, „ილისუ“-ს დაავშირება ძვ. თურქულ წყაროებთან ნაჭარბეია, რადგან მრავალ ქართულ და სხვაენოვან წყაროებში ეს ტერმინი ფიქსირებულია „**ილისუ**“-დ Елисуьское султанство, с. Елису (Лиеввич, сборник сведений о Кавказских горцах, вып. VII, Тиф., 1873 г.). ასევე Елисуское с. о. (Елису, 1886 წლის მოსახლეობის აღწერა). ამვე დროს, იმავე რეგიონში გვქონდა ოკონიმი **ელახენი** — ახლანდელი ალიაბადი.

ორიმი ჰექე **ქოთანოლ**-ში **კობ/ქოთ** ავტორის მიხინა ძველთურქულად, რაც „ამაღლებას, ასეღას“ ნიშნავს, ე. ი. ჰექე **ქოთან ჩოლ** ითნაყა ბольшое позывшающееся поле“ (გვ. 160). **ქოთანი** აქვე იფივე გუთანია, შდრ. **ქოთანი** მინდორი ზაქათლის რაიონის სოფ. **მოსულში**.

ოკონიმი **ქეში** ბევრი უძებნია წიგნის ავტორს, როგორც ძველ თურქულ წერილობით

წყაროებში, ისე დღევანდელ აზერბაიჯანულ ენაში, მაგრამ იგი არასდ შეხვედრია აზერბაიჯანულ ენის ეპოქურ დალაქტში встречается в форме кеш со значением место между двумя горами, откуда течет вода» (გვ. 170).

ამავე დროს იგი რეალურად შეესატყვისება სოფლის გეოგრაფიულ მდებარეობას. ავტორი ვარაუდობს, რომ იგი უნდა მომდინარეობდეს აზერბაიჯანული კეშიქიშ ზნინიდან, რომელიც აღნიშნავს «течь, вытекать (о воде)» и существительного кеш-киш «течение, вытекающие воды» (გვ. 170).

ქიშეკში ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმი. მის იხსენიებს VII ს. აღმანეთის ისტორიკოსი მოსე კალანკატავი. გიშის შესახებ «ქართლის ცხოვრებაში ვითხულობთ: „გიში არს შიის ძირს, რომელი იყო საერისთაო წყქეთისა, და ეკლესია დიდი, გუმბათიანი, და იქდაცა ეპისკოპოსი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაყისისა, არამედ მიუტუნა შაბაზ კახეთს და პუო სასუტროდ, და ამას ეწოდა წუქეთი, და აწ უწოდებენ აღოსათლანად“ (ქ. ცხ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 539).

პ. იოსელიანის აზრით, გიშის ეპარქია დაუარსებია ვახტანგ გორგასალს V ს. დაშლევს. მას იხსენიებს VIII ს. არჩილ მეფე, როცა ადგენს ეპისკოპოსთა სიას. რა რიგზე და წესზე უნდა იხსენდნ ისინი მეფეთა ერთხელის დროს. ამ სიაში ეპარქიის მთავარ-ეპისკოპოსი ხსენებულა მხოლოდ აფიშელად. „გიშელ“ ეპისკოპოს საქართველოს საეკლესიო იერარქიაში 35-ე ადგილი ეპირა“ (ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, „მომოხალეული“, ტ. III, 1953, გვ. 70). შემდგომ ხანაში, როცა მეფე ერეკლე და ანტონ კათალიკოსი ადგენენ სიას რა წესზე და რიგზე უნდა იხსენდნ ეპისკოპოსნი, ძველებური წესისამებრ, სხვათა შორის წერენ: „უკეთუ ოდესმე აღდგენილ იქნას გიშის კათედრა, მაშინ გიშელ მთავარეპისკოპოსზე დაეპიროს ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნოდა ძველისძველიდანვე (იხ. Цер. Груз. Пурцеладзе).

გიშის საერისთაო, საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრის მცველის როლს ასრულებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ დავით აღმაშენებელმა „ეუღლად დაიპყრა მეფემან ასაჲ ვრცოლის ძე და შოთა ქ-სა-ჩ-რის, ქართულსა ტ-ლს. შემოდგომად აიღო გიში“ (ქ. ცხ. ტ. IV, თბ., 1573, გვ. 158).

გიშის ახსნა მართო აზერბაიჯანული ენის მონაცემებით ყოვლად შეუძლებელია, რადგან გიში არსებობდა მანამ, სანამ იმ კუთხეში თურქული ენა ფერს მოიკიდებდა.

ასევე ნაპიროდ მიგვაჩინა „ჭარაფ“ ოციონის შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომ ტოპონიმი ჭარაფ-ი ისტორიულად აღნიშნავდა

და ადგილს, სადაც წყალი იჭრება მთის მხარე-დნობა რედამტორის გ ვტარტმეჭქმ ქმქმტარებას, რომლის მიხედვით, „ჭარა“ ი რომელიც იხმარებოდა ქერ კიდევ V—VIII სს. ძველ აღმანურ და სომხურ წყაროებში და «является древнетюркским (т.—е. азербайджанским) словом» (გვ. 174).

აზერბაიჯანული ენის ორდუბადის მეტყველებაში „ჭარა“ არხის მნიშვნელობა და უდიერი ენის ნიჯის დიალექტში შემონახულა оврагис-ის მნიშვნელობის შედარება-შეპირისპირება ს. მოლაზადეს აძლევს საფუძველს ივარაუდოს, რომ «в составе топонима Чараф сохранилось древнее слово азербайджанского языка джар в своем первоначальном значении и фонетической форме» (გვ. 174-175). თუ ეს ოციონი ძველია, ამავე დროს ის მდებარეობს სოფლების გიში-სა და ბაშგონიუგ-ს შორის, ხომ არ არის შესაძლებელი მისი ახსნა ქართულ ნიადაგზე არადა „ჭარაფ“-ი დიდ მსგავსებაში ქართულ „წარაფ“-თან. წარაფი — წვრილი ტყე სადმე მინდვრიანში, დღის პირად, ტანაყრილია, ხუთი-ოდე წლისა თუ იქნება (ნ. საბა; შდრ. ზებ. ძეგლ; ვიფა III, IV). წ ბგევის შეცვლა — ქ-თი ჩვეულებრივი მოვლენაა აზერბაიჯანულ ენაში.

ორიანი შარაფი-ი (კახს რ.) ავტორის აზრით, «Образован на основе значения «место, где ест много канав (арков) или «место, где есть несколько канав» (გვ. 175). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ქართულმა „მარანა“ (სამარენ ადგილმა) დიარათო აზერბაიჯანულ მარაზმებელი „ლაჲ“, ნ დიაკრაფა, ანდა შესაძლებელია ის დიაკრაფითოა ჭეიჩანს — საციარანსა.

საეჭვოა ორიანი „ლაჲ“-ის დაკავშირება беззвучный — სიან, ე. ი. «тихое, укромное место» და ასევე „მურანას“ როგორც махлевьяя канавая-სთან. მტკიცებულად მართო ორიანთა ვარგენტული მონაცემები არ კმარა, რადგანაც პირველი ძალიან ახლო მსგავსებას იჩენს ქართულ „ლაჲ“-თან, ხოლო მეორეში ქართული ფუძე ჩანს. ლაჲში — შვიი ლია (ნ. საბა, გვ. 182). გარდა ამისა საქართველოში არის სოფლები: ლაში (მცხეთა), ლამისყანა (კახსი), ლამოვანი (ღუშეთი). სიტყვა ლაში შესახებ მკვლევარი პ. ინგოროყვა შენიშნავდა: „ძველ ქართულად სიტყვა ლია, რომლის პირველია ამოსავალი ფორმაა ლია (ლა-ია), ნიშნავს იმასვე, რასაც ძველ-ქართულ სიტყვაში ლაში (ლა-ამ-ი): საფლობი, ტლაში, მდინარის მიერ დატოვებული შლამი (ШЛ, ТНА).

ბოლოკიდური ფორმანტი — „ია“ სიტყვაში ლია (საიდანაც შემდეგ მიღებულია ლია) და ბოლოკიდური ფორმანტი „-ამ-ი“ სიტყვაში ლაში (ლა-ამ-ი) იღვრებოდა. ფორმანტი „-ამ-ი“

ნიშნავს იმასვე, რასაც „ინ-ი“; ასევე ფორმანტი „ამ-ი“ ნიშნავს „—ანი (პ. ინგოროყვა, გიორგი მერაბლე, ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 154-155).

წიგნის დასასრულს მიმოხილულია ის ტოპონიმები, რომლებიც მომდინარეობენ კავკასიური ენებიდან. მოყვანილი აქვს Лезгинская и Удинская топонимия, ცალკე ირანული ენებიდან და რუსულიდან მომდინარე სახელწოდებები.

წიგნის წაითხვის შემდეგ ჩვენ გაგვიჩნდა ისეთი შენიშვნები, რომელთა თქმა ჩვენი აზრით აუცილებელია.

კარგი იქნებოდა, რომ ს. შოლაზაძეს საინალიზო სიტყვები აზერბაიჯანული დამწერლობით კი არ გადმოეცა, არამედ საერთაშორისო ტრასკრიფციით, რომლის დროსაც ბგერითი შედგენილობა ზუსტად იქმნებოდა გამობატული-ნაშრომში დღევანდელ ენათმეცნიერულ დონეზე განხილული და წარმოჩენილი იმ რეგიონის ტოპონიმია, რომელსაც ავტორმა პირობითად „აზერბაიჯანის ჩრდილოეთი რაიონები“ უწოდა. კარგი იქნებოდა, ავტორს ამკარად ეთქვა, რომ იგი იკვლევდა აზერბაიჯანის ამა და ამ რაიონებს. ვარდა იმისა, გამოეყოს ის რაიონები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ქართული ორიენტაციის ზეგავლენისა იყვნენ აქედან გამომდინარე, რაღა თქმა უნდა, ს. შოლაზაძეს უნდა გამოეყენებინა ქართული ისტორიული წყაროები. ეპვის თვალთ კი არ ჩაებედა შიგ, არამედ რიგ შემთხვევაში მათზე დაყრდნობით გაენალიზებინა სამსჯელო სახელწოდებები. მართა ის ფაქტიც საკმარისია, რომ მეცნიერს უნდა გამოეჩინა გამბედაობა და განეცხადებინა, რომ ხსენებული რეგიონის ნაწილი ისტორიული საქართველოს განუყოფელი

ლი ნაწილი იყო უწინ, და დღეს იგი მოქმედ აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის.

საინგილოს ტოპონიმია რთული და მრავალფეროვანია თავისი შედგენილობით. ამიტომაცაა, რომ ამა თუ იმ ტოპონიმის ენობრივი კეთილშობილების განსაზღვრისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. საუკუნეთა მანძილზე უცხო ტომთა წარმომადგენლებთან ერთად თანაცოვრებამ განაპირობა რიგი გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოშობა. მათი ნაწილი შეერწყა ადგილობრივ ქართულს, ზოგმა დამოუკიდებელი სახე მიიღო და სამარადამოდ დაისაკეთრა ადგილი რეგიონში. ამაზე მოხდენილად წერს ბ. სერებრენიკოვი.

«Могут исчезать с лица земли народы и их языки, но топонимические названия, как своего рода имена собственные, ничего много не обозначающие, кроме объекта, за которым закрепились, легко усваиваются другими народами и таким образом могут сохраниться в течение тысяч лет» (Б. А. Серебренников, о методах изучения топонимических названий, ВЯ, 1959, № 6, гв. 37).

დღეს, როდესაც ინტენსიურად წარმოებს საინგილოს შესწავლა სხვადასხვა ასპექტით, ძალზე სათუთად უნდა მოგვეყურათ ამ რეგიონის თითოეულ ტოპონიმს, რადგანაც მათი ისტორია — წარმომავლობის დადგენისას დაშვებული მცირე უზუსტობაც კი შესაძლებელია მრავალმხრივ საზიანო გამოადგეს.

ასრატო ომარაშვილი

მევიდობით!

საით გაფრინდა სული, ჩემო ოტია?

შენი ნატანჯი, ნაწვალები სული?

იგი იმ ტაძრის გუმბათს დაუბრუნდა, რომლის ქვეშეც მარხულივით იდექ მთელი ცხოვრება, მოწამეობრივი სიმტკიცით და ჭეშმარიტებას მიახლოებული კაცის რუღუნებით!

ნამდვილმა დარდმა გაშტერება იცის.

ან რისი თქმა შემიძლია ახლა, როცა ყოველი სიტყვა სიმწრისაგან სისხლდაცლილია.

ისე წახვედი, შენი კუთვნილი და შესაფერი სიცოცხლეში არავის უთქვამს.

მივიხედ-მოვიხედოთ: — ბევრი დაგვრჩა შენი სადარი?!

ვაი, რომ შენთან ერთად ჩვენ დღეს ვმარხავთ შენს ჭეშმარიტ ნიქს, შენს დახვეწილ, უტყუარ გემოვნებას, დიდ განათლებას და რაც მთავარია, ნამდვილ, ჭეშმარიტ მწერალს, რომელიც შენ თავად მიაბარე მარადიულ შეუცნობლობას!

ცხოვრებაში ბავშვივით ბუტია, მიწიერი კუზებით საესე, შემოქმედებაში შეუპოვარი და შეუვალი იყავი.

მწერლობაში სარგებელი არ გიძებნია და არც არასოდეს გიგორებია არავისთვის ლიქნით დაღებილი კვერცხი.

ბიბლიაზე ხელდადებულივით ემსახურე შენს მშობლიურ ლიტერატურას და შენი მრწამსი მხარში ედგა შენს უახლოეს მეგობრებს, ქართული მწერლობის ძარღეს და ხერხემალს!

მე შენ მიყვარდი! ხშირად გაწვალედი, სიარულში გცინებდი, ხანდახან უფროსივით მარიგებდი, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი ჩემი ადგილი და შიშით მომქონდა ხელნაწერი შენთან.

ჩემო ოტია!

ვერაფერსაც ვერ გპირდები, კარგა ხანია დაიწყო გზა მარადიულ რინდებისაკენ, რიგში ვდგავარ!

ხარება და ნათელში ბრუნვა ნუ მოკლებოდეს შენს მპატიებელ სულს!

რეზო ავაშუკელი

გამოთხოვება მებოგართან

ოტია პაქოკორიას გარდაცვალებამ დიდი მწუხარება მოგვგვარა ქართულ მწერლობას, ყველას, ვისთვისაც ფასეულია მაღალი ლიტერატურული აზრი. ქართულმა მწერლობამ დაკარგა თავისი ჭეშმარიტად დიდი შვილი.

ოტია პაქოკორიამ დიდი ტკივილების სიხარულად გარდაქმნის სურვილით

იცხოვრა. მწერლობაც მისთვის სწორედ მწუხარების სიხარულად განსაზღვრულა გზა იყო.

ყოვლად მაღალი და დახვეწილი პროფესიონალიზმი, — აი, ეს იყო მისი მოღვაწეობის უმთავრესი ნიშანი. ლიტერატურული კრიტიკა მისთვის მხატვრულ აზროვნებასთან თანამემოქმედებას გულისხმობდა და ამიტომაც ასეთი კრიტიკა გაუთიშავია ჰუმანიტარული მწერლობისაგან. იგი თანამედროვე ქართული ესსეისტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

მის ცხოვრებას ახლდა რწმენა, რომ ღირსეული, კაცად-კაცური მეგობრობა კარგი ასპარეზია ლიტერატურის განვითარებისათვის. მას ჰქონდა რწმენა და შეიძლება ითქვას, კეთილშობილურ ილუზიამდე მისული რწმენა, რომ ამქვეყნად ყოველივე მხოლოდ იმდენადაა ფასეული, რამდენადაც მას მნიშვნელობა აქვს ლიტერატურისათვის, რომ მწერლობა არის ყოვლისმომცველი და ყველა ადამიანისათვის ცხოვრების საზრისის მიმცემი მდინარეა. მისივე სიტყვებით, „მდინარე ტრადიციული მითოლოგიური სახეც არის, საარსებო წყაროც, ყოველი არსის წარმავლობის სიმბოლოც და საკუთარი ცხოვრების განუყოფელი ნაწილიც, რადგან მდინარე „დღენიდაც მოედინება თვალთა წინაშე“.

იგი ცხოვრებაშიაც პოეტურ პირველსაწყისებს ეძიებდა და მათ ხშირად თავისივე მეგობრების ბუნებაში აღმოაჩენდა ხოლმე. და საერთოდ, ამშვენებდა მას სხვისი სიკეთით გახარების უნარი, უნარი აზრით გახარებისა, მას შეეძლო დაენახა სხვისთვის ძნელადსახილველი ბევრი რამ.

სადღეისო და სამომავლო თვალთახედვა იყო უმთავრესი ოტია პაჭკორიასათვის. თვით ლიტერატურული ტრადიციებიც მას არ იზიდავდა როგორც მხოლოდ ისტორიული წარსული. იგი მათ გამართლებას თანამედროვეობაში პოუვებდა. თავისი ნაწერებით მან შექმნა ქართული კრიტიკისათვის დიდი მოვალეობის დამაქისრებელი უთუოდ მაღალი დონე.

თავის ბოლო წიგნში, რომელიც ჩვენს ლიტერატურულ აზროვნებას ღირსებასა სძენს, ოტია პაჭკორიამ უწოდა — „ფიქრი მზისა და სიტყვის გამო“. ეს მზე გარდაცვლილთა მზეა, მაგრამ ამავე დროს, ისაა ცოცხალთა და მიცვალელებულთა საერთო მზე; მზე, რომელიც ღამეშიაც შეიძლება იხილოს პოეტურმა თვალმა. ამგვარ მზეზე ფიქრი გაპყვა ოტია პაჭკორიას.

ბევრი განუხორციელებელი ფიქრი დარჩა მას და ეს კიდევ უფრო გვიმძიმებს მისი უდროოდ გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას.

რეზაზ სირაძე

წვიმიანი ღლის სევდა

ბატონო ოტია, თქვენთან უხმოდ, გულში გამოთხოვება უფრო ბუნებრივი იქნებოდა ჩემთვის და ამდენად უფრო ადვილიც და მაინც უფრო ძნელი გზა ავირჩიე: გზა ხმაელაღალი, ყველას წინაშე დამშეადობებისა. რადგან ასე გაცხადებულად შემეგებეთ თქვენც ლიტერატურულ ცხოვრებაში ახლად შემოსულს. ის წერილი, რითაც გზა დამილოკეთ, უკანასკნელი გზის დალოცვა აღმოჩნდა თქვენთვის და ახლა მინდა დღემდე უთქმელი მადლობის სიტყვები დაგადევნოთ სამუდამო გზაზე ჩვენგან მიმავალს, მადლობით გაგაცლოთ იმ მკაცრი

თანადგომისათვის, ასე რომ სჭირდება მწერლობაში ახლად მოსულ უცხოელებს და მრავალი ეპქით შეშფოთებულ ყოველ ადამიანს.

თქვენი ინტელექტით, ალღოთი, გემოვნებითა და შეუნიღბავი სიმბათია-ანტიპათიებით მნიშვნელოვანს ხდიდით ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, და თქვენი წასვლით ხალხის კიდევ ერთი სხივი უქრებათ იმათ, ვასაც გამგონე სჭირდება.

ჩვენს არცთუ ხშირ საუბრებში ერთხელ როგორღაც თქვით, — არ შეიძლება ადამიანმა თავისი სიკვდილი წინასწარ არ იგრძნოსო. არ ვიცი, როგორ იგრძენით თქვენი სიკვდილის მოახლოება და როგორ გამოხატეთ: როგორი თვალებით შეხედეთ უკანასკნელად თქვენს სიხარულს — თქვენს შვილს, რა სახით დატოვეთ სამუდამოდ თქვენი ოთახი ეურნალ „მნათობის“ რედაქციაში.

ბატონო ოტია, თქვენ მრავალი და მრავალთა უძილო ღამის ბინადრად იქეცით. იმ ღამეებისა, ძილგატეხილებს ფიქრი რომ გაგეტანჯავს სიკვდილსიციცხლეზე, ჩვენს ღირსებასა და ჩვენს ცოდო-ბრალზე, ჩვენს შესაძლებლობებსა და ჩვენს სიძნელეზე, ჩვენს იღბალსა და უიღბლობაზე.

მრავალი გარდაცვლილის დაარად, ვინც მტკივნეულად გველვიძებენ, არ გვაძინებენ, აწ უკვე საიდუმლო ბურუსიდან ამოტივტივდება თქვენი უცნაური სახე, ირიბად აჭრილი თვალებით, რომელთა სხარტი მოძრაობა, გამჭოლი მზერა ჭიუტად ჭრიდა ბოლო წლებში თქვენს სახეზე დამკვიდრებულ ზაფრას, რითაც თქვენს სხეულში საძირკველგადგმული სიკვდილი მელავნდებოდა. და იქმნებოდა შემაშფოთებელი შეუსაბამობა თქვენი სახის ავბედით სნეულ ფერსა და თქვენს წინაშე, მკვეთრ მოძრაობებს შორის, მოძრაობებს, რომელთაც კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრე სურდათ და საერთოდ მძაფრი და წინააღმდეგობრივი თვისებები ქმნიდნენ თქვენი პიროვნების იმ განსხვავებულობას, რომელსაც ახლა არ ეკარება არყოფნის ბინდი და ეს სიმკვეთრე და სიმკვეთრის სურვილიც ეს შინაგანი, დაძაბული წინააღმდეგობრიობაც ჩვენი იყო, ქართული იყო, ახლობელი და გაჯაგები.

მე არ ვიცი, თქვენ თქვენი საკუთარი სიკვდილი გერგოთ თუ არა, ხომ ასე ძნელია საკუთართან ყოფნა სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც, მაგრამ თქვენ თქვენი საკუთარი სიმწარე გქონდათ მრავალნიაირად დაფარული და ყველაზე დიდი შეშფოთებაც მაშინ დამამახსოვრდა თქვენს სახეზე, როდესაც ერთხელ ეპქი გამოთქვით, რომ ჩვენმა შვილებმა ჩვენი ღირებულებანი და ტკივილები შეიძლება ვერ დაინახონ.

ბატონო ოტია, დაე, თქვენი და ჩვენი დარდი, ამ წვიმიანი დღის სევდა, დაე, თქვენი და ყველა აქ მყოფის სიკეთე ნათლად გექცეთ და ნათლად დაგადგეთ ახალმისულს შორეულ საუფლოში.

ნაირა გელაშვილი

მოყვასო ჩემო!

თურმე რა სწრაფად გადიან წლები, წამივით ხელში გადნება სიცოცხლე. ცდება, ვინც მომავალში ეძიებს რაიმე განსაკუთრებულს, რადგან წარსული ყოფილა ყველაზე დიდი ფუფუნება. უკვე დასაკუთრებული, რომელშიც ვე-

ღარავენ შეგვეცოდება. წარსულს ასაკი არ გააჩნია, მესხიერება გუშინდელს არქმევს.

ასე მგონია, გუშინ იყო, როცა რედაქციაში პირველად ფებშემოდგმულმა გიხილე. ის ჩიბუხიცი კი მახსოვს, იმხანად რომ ხმარობდი, ის ინტერესიანი მზერაც და. რაც მთავარია, ახალბედასთან მოჭირისუფლე, გულწრფელი, შენებურად ალტაცებით საუბარი, ბატონო ოტია, როგორ იოლად იშინაურებდი, ითავისებდი ახალგაზრდა ავტორს, თუკი მასში საიმედოს დაინახავდი რამეს. მას შემდეგ შენთან ყოველი შეხვედრა დღესასწაულს ჰგავდა, ახლიდან თვალის ახელას ჰგავდა, რადგანაც გადამდები იყო ის ცეცხლი, რომლითაც ენთე. მუდამ სიახლეს ეძიებდი, განსაკუთრებულს და ჯერ არნახულს. ვინც კარგად არ გიცნობდა, შეიძლება ეფიქრა, იოლი, ლალი ცხოვრებით იყავი ნაცხოვრები... ვერაფერია ვერ აღწევდა შენში, რადგანაც მოკარებისთანავე ფილტრავდი, თვით ჭუჭყსაც ასპეტაკებდი. შენ არ გაგაჩნდა პოზა, არც ჯვარნაზიდის მძიმე ოხვრით შეგიწუხებია ვინმე, არც ფონს გასული კაცის თვითმკაყოფილების სიმშვიდით გინეტარია. ძლიერი იყავი და იმიტომ, ნაღდი იყავი და იმიტომ, სულთ არისტოკრატი იყავი, ნამდვილი არისტოკრატი. დიდთან დიდსა და პატარასთან პატარას მუდამ გარეთ გჭონდა გამოფენილი შენი მდიდარი, ბობოქარი ბუნების სიმშვენიერე და გულუხვად უნაწილებდი გარშემო მყოფთ. იმ ნატერის ხეს ჰგავდი, რომელთანაც ყველას შეუძლია მისვლა და სათავისო სურვილის ჩაქემა. მე კი ჯერ არ შემხვედრია კაცი, ლიტერატურა შენებრ წყლად და პაერად რომ ჰჭონოდა. მახსენდება, ერთხელ თქვი, ორი სურვილი მაქვს, ჩემს შვილს არ მომიშვიდეს და რაც მაინტერესებს, მხოლოდ ის წამაქიბათაო. ეს ვითომ უბრალო ფრაზა როგორი ჩუმი პროტესტი იყო შენი ცხოვრების წესის, რომელსაც, ყველაფრისდა მიუხედავად, ნებაყოფლობითაც არ შეეცვლიდი ალბათ. ამიტომ იქეჭი რედაქციის კედლებში და ყველაფერს კითხულობდი განურჩევლად. ნატიფი გემოვნების პატრონი ათასი მდარე ნაყოფიერი ინიაციონები ტვინს და მაინც ბედნიერი იყავი, იშვიათადაც თუ წააწყდებოდი შენს მოსაწონარს. მერე ბავშვივით გახარებული ამცნობდი ყველას. რა შესანიშნავად გეხერებოდა სიხარულის განაწილება!.. დაწუნებაც გულწრფელი იცოდი და მოწონებაც, რადგან სიმართლე და პატიოსნება იყო შენი საზომი, სხვა კეთილდღეობა არც არასოდეს ეძებნია. ან რად გჭირდებოდა!.. სადაც იყავი, ყველგან კოლორიტს ქმნიდი, ყველგან სიცოცხლის ზეიმს მართავდი, აზრს აძლევდი ყოველივეს, სამაგიეროს კი არას ითხოვდი, ნეტავი რედაქციის თვით კედლებსაც თუ დაავიწყდება შენი ხმამალალი როხროხი, უხინჯო, გულიანი სიცილი, ისეთი, მხოლოდ მართლად ნაცხოვრებ, წუთისოფლად სუფთა სინდისით მოართულ კაცს რომ ეხერხება.

მოვლენ თაობები, გაეცნობიან შენს მაღალი რანგის ლიტერატურას, გაიგებენ, რა ნათელიც გედგა სულში, მაგრამ კიდევ ნეტა რომელ თაობას ხედება წილად, ცოცხლად იხილოს შენნაირი კაცი, რომელსაც ლიტერატურის სიყვარულით უღვიოდა თვლები.

ბედნიერი ვარ, რომ გიცნობდი. არც ვიცი, როგორ დაგემშვიდობო, როგორ გაგაგებინო მაგ მარადიული ღუმლის ენაზე, რომელშიც გადასახლდი. ამიტომ ხმამალა მოგძახი ცრემლგარეული ხმით: გმადლობ, მოყვასო ჩემო! დიდო მასწავლებელო! გმადლობ, რომ არსებობდი!

სიცოცხლე მინასავით მიივა

ასეც ვიცოდი, ჩემო ბატონო ოტია, საბოლოოდ შეხვიდოდი სიჩუმისა და სიმშვიდის იმ ვიწრო ტალანში, რომლის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონიც ერთადერთი შენ იქნებოდი და რომელიც მხოლოდ შენს სხეულს უნდა შეგუებოდა. მორგებოდა, შენთან ერთად რომ უნდა გამოველო საუკუნეები, მღუმარებაში უსაშველოდ გაზრდილიყო და მერე იქნებ შერცხვენოდათ საუკუნეებს, ამხელა მღუმარების ზიდვა, წელში რომ გაწყვეტდა, დაოსებდა...

ვინ იცის, ეგებ ამ უკიდვანო ღუმლის ერთ-ერთი სწორუბოვარი ფავორიტის პირისპირ შემსწრეთ, ზღვისავეთ უკან დაეხიათ საუკუნეებსაც, რადგანაც მიწასავით მძიმე იქნებოდი მათთვის.

შენ კი საკუთარი ნათელის წრეში მკვრივად ჩადგებოდი, შენივე სხეულს უცხოსავით წააშველებდი ხელს, დამჭირდებო, ვაიფიქრებდი, ერთსაც გამოხედავდი ყოველივეს, რაც გარეთ დაგრჩა, შემნდობლად გაიღიმებდი და ეს ღიმილი შვებასავით გასწვდებოდა ალბათ იმ ტრამალს, რომელზეც ასე ამაყად უნდა გველო და გველო.

ასეც ვიცოდი! შენ შენდობა თავის გადარჩენისათვის არასოდეს არ გვირდებოდა, რადგანაც ყველაზე უკეთ უწყოდი, რაოდენ საზიზღარია იმ ძაბუნი კაცისაგან გაღებული შენდობა, რომელსაც თავისი მდაბიო სულით ჰგონია, რომ ატყუებს და თვალს უხვევს ყველას, სინამდვილეში კი არაფერი არ შეუძლია, შენდობის და კეთილშობილების სამოსელში მიიქრება, კოყეტურად აფარებს თავს, მხოლოდ თავის გადარჩენაზე ზრუნავს.

შენ ყველაფერი შეგეძლო... და ამიტომ იყო შენი შენდობაც ღვთისნიერი, უანგარო, ვაჟკაცი კაცის სიმაღლიდან გარდმოსხნილი, თითქოს ნაბიჯ-ნაბიჯ და მტკაველ-მტკაველ გაგეზომოს, რამხელა გზაა, რა სიშორე შენდობიდან თავის გადარჩენამდე. ამიტომ შეუძნე ყველას და ყველაფერს... ნეტა თუ გრძნობს სამყარო შენგან ნაჩუქარ, ნასახსოვრებ სიცოცხლეებს, ან ის სიცოცხლეები თუ გრძნობენ, რომ შენი შენდობით არსებობენ, დაიარებიან ქვეყანაზე. ახლა ღმერთმა შეუძნოთ! მაგრამ რასაც შენ ისურვებდი, რასაც შენი მოწყალე განმარტობით მდგარი სიმართლე ისურვებდა, შესაძლოა, ღმერთმაც კი არ ისურვოს. ღმერთს სად სცალია, ჩემო ბატონო ოტია, ყველას შეუძნოს, ამიტომაც შენ მისგან ბოძებული ჭირთათმენა, მხოლოდ სიკეთის საკეთებელი მოცალეობა და ღვთისნიერი წილი თუ ულუფა გაეცი ალაღად, ეს იყო შენი ვალი, კაცური უბრალოება მოძღვრის და მეტრის, უსაზღვროდ ყოფიერი მოვლენების და წმინდა, ალბათ რიტუალურად ზებუნებრივის ურთიერთში შერწყმა.

ამიტომაც დარჩა ყალყზე შემდგარი გაოცება შენს უკანასკნელ ტრამალზე ყველა პატიოსანი მწერლის გერბივით. სადღაც მითქვამს, გაოცება ბავშვობის რელიგიაა-მეთქი, შენზე მითქვამს, რადგანაც სისუფთავე, რომელიც ბევრს თავისი უზრუნველი ბაკანიდან გამოუსვლელადაც დაუკარგავს და შეურყვანია, შენ — ტანჯვისა და კირთების აპოლოგეტს — უკანასკნელ კარიბჭემდე მიგყვა, თანაც როგორ! ქეშმარიტი რელიგიის რანგში აღზევებული. ახლა თითქოს შეგიცანით კიდევ და თანაც, ვინ იცის, ეგებ ძალაც არ გვეყო ბოლომდე შეცნობის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი მესტროს ღონიერი, გამძლე მხრები, სამყაროს რომ კიდით კიდემდე ნაგორები ლოდვივით აიტატებს, შეურყვევლად დაიდგამს ქედზე, რომ ჩვენ შეგვიძისუბუქოს რამე, შეგვავაგონოს, რომ არც ისე უსუსურები ვართ და კიდევ შეგვიძლია რაღაც.

შენ ახლა სულ სხვა ნათელის რკალში დგახარ, ჩვენგან მოშორებით და შემნდობად იღიმები. შენ, როგორც კაცი, როგორც უზადო გემოვნების მწერალი, ოსტატი და მოძღვარი, ტრიუმფატორი ხარ, ჩემო ბატონო ოტია, რადგანაც ციმციმ, ამოუოხვრელად ზიდე დღესდღეობით ესოდენ მძიმე ტვირთი, სამშობლოს მიწასავეთ მძიმე — პატიოსნება. ტრიუმფატორი, რომელიც მიდის, სხვაგვარად აღარ შეუძლია და იმიტომ, მაგრამ უდიდეს იმედს სტოვებს უთუოდ, ბევრ იმათგანზე მეტს, ვინც ტომები დაალაგა სიცოცხლეში, დითორამბების წიგნები წერა და მაინც უკვალოდ გაქრა, როგორც არასაჭირო და არარსებული. კო, უბრალო იმედი, ჩემო ბატონო ოტია, თუნდაც მხოლოდ იმ ხალხისათვის, ვისაც თავისი სამშობლოსათვის ალაღად მოღვაწეობაც სურს, ალაღად სიცოცხლეცა და შემოქმედებაც...

და მე, დღეს შენს წინ სისხლამდე დაჩეხილი შენი უმცროსი ძმა, იმ სიტყვებით მოგძახი და გავედრებ ყველა ნაღდი, მართალი, გაუყიდავი კაცის სახელს, იმ სიტყვებით, შენ ასე ხშირად, ჩუმ-ჩუმად შენთვის რომ იმეორებდი ხოლმე, როცა გაუძლისად გვიჭირდა და გვიმძიმდა...

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შეილი დასაკარგავი“.

ამინ! ჩემო სათაყვანებლო, წამებით, სინდისითა და სიკეთით მაღალო კაცო, ჩემო ბატონო ოტია, ამინ!

მიკა ალექსიძე

ქურნალ „მნათობის“ 1984 წლის ნომრების შინაარსი

დოკუმენტები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეგისტრირებული პლენუმი. № 8.
საკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს ხატვა. № 8.
საკვ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის ხატვა. № 8.
საკვ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრის, საკვ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა. № 8.
კონსტანტინე უბინის ძე ჩერნენკო. № 8.
საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს. № 8.
ჩერნენკო კ. უ. — დამაკვიდრებელი სიტყვებისეული სივართულე, სოციალზმის მაღალი იდეალები. (სიტყვა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმზე 1984 წლის 25 სექტემბერს). № 11.

მოთხრობები, რომანები

აღვსიძე მია — ლამიონები გაუქმებულ პორტში. მოთხრობა. № 8.
არსენაშვილი კარლო — თურღოს ზეობის ლეგენდები. მოთხრობა. № 11.
ბერაშვილი ლეილა — ვარიანი. მოთხრობა. № 7.
ბრეგვაძე ლალი — ქალაქში ქილევას რა ენდა. მოთხრობა. № 2.
ბუაჩიძე თენგიზი — აღსარება ანუ პროფესორი სორდია. მოთხრობა. № 5.
ბუთხუნი ვივა — გაცილება. მოთხრობა. № 4.
გულაშვილი ნაირა — წვენება (ანაბეჭდები). მოთხრობა. № 6.
გოგლაძე თენგიზი — მოთხრობები. № 7.
დემეტრაშვილი თათარი — სასულარი. მოთხრობა. № 10.

დონაშვილი გურამი — ბახვის გულმა რეჩი უყო. მოთხრობა. № 11.
თოფურიძე ქემალი — გარდაცვალება. მოთხრობა. № 8.
ინანიშვილი რევაზი — მოთხრობები. № 1.
იოსელიანი ოტია — შვიი და ცისფერი შიონარი. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5.
კალანდია ზაური — აქტიორი. მოთხრობა. № 10.
კამიუ ალბერ — მოლაღატე. მოთხრობა. თარგმ. გიორგი ეკიზაშვილმა. № 4.
კობერიძე კარლო — ორი მოთხრობა. № 1; კაცის წარღვა. მოთხრობა. № 9.
კობიძე რამაზი — აგარაკზე. მოთხრობა. № 3.
კორტასარი ხულიო — ეშმაკის დობილი. მოთხრობა. თარგმ. მედეა ზუბიძელაშვილმა. № 1.
კუხიანიძე ზურაბი — სამი ნოველა. № 6.
ლენანიძე გიორგი — ამხანაგი გუბერნატორი. რომანი. № 11, 12.
მალაზონია ლევანი — მოცვისი შენი. მოთხრობა. № 1.
მიშველაძე რევაზი — ორი ნოველა. № 4, ნოველები. № 9.
ჩრეულიშვილი გურამი — ორი მოთხრობა. № 2.
სამაღაშვილი შაქრო — ვაჟმარცხის მხრის იმედან ცქერას. ჩანახატი. № 10.
სახლბუთყიშვილი უშანგი — CRVS CRVS. მოთხრობა. № 2.
სულაკაური არჩილი — თეთრი სქეტი. რომანი. № 6, 7.
ქარჩხაძე ქემალი — ზებულონის შურისძიება. მოთხრობა. № 3; ბიძაგემი იონა. მოთხრობა. № 12.
ჩორდელი ვაჟა — დათინთ მინისტრო. მოთხრობა. № 11.
ჩხეიძე თათარი — მთავრებილი. რომანი. № 8, 9, 10.
წურწუშია თათარი — ქურია. მოთხრობა. № 10.
ხაციაროი სერგო — ცაბა. მოთხრობა. თარგმ. მ. კალიცკამ და რ. ჩეთიოშმა. № 8.

ლიცენზია, პონემები

- ახაშიძე ირაკლი — ციკლიდან „იბერიიდან იბერიამდე“. ლექსები. № 5; ლექსები. № 7.
- ახაშიძე გრიგოლი — ლექსები. № 8.
- აბრამაშვილი მარი — ლექსები. № 12.
- ადრეშვილი ნოდარი — ლექსები. № 4.
- აქმა ტაოფ — ლექსები. თარგ. ჟანო ჟანელიძემ. № 1.
- ბარდავლიძე ბენიამინ — ბუხარათან თქმული. ლექსები. № 8.
- ბატიშვილი დარქვანი — ლექსები. № 3.
- ბედიაშვილი დალია — ლექსები. № 2; ლექსები. № 10.
- ბელი ამბროსი — ლექსები. თარგმ. გივი ალხაიშვილმა. № 2.
- ბიწაძე მერი — ლექსები. № 3.
- გვიგითაშვილი ალექსანდრე — ლექსები. № 11.
- გოთე იოჰან ვოლფგანგ — ფუსტი. თარგმ. გიორგი ჟორჯიანელმა. № 8.
- გოგობერი ამირანი — ლექსები. № 2.
- გონაშვილი მათეა — ლექსები. № 4.
- გურჯი იფიმი — გამოქვეყნებული ლექსები. № 5.
- დაბაიხელი ნინო — ლექსები. № 6.
- ელიოტი ტომას სტერნს — ლექსები. თარგმ. გიორგი ნიშნიანიძემ. № 10.
- ვარნაიის კოსტას — ლექსები. თარგ. იზაორჯონიკიძემ. № 4.
- თათარაძე ეთერი — ლექსები. № 10.
- კერძეაძე ელდარი — ლექსები. № 4.
- კვიციანიძე დავითი — ლექსები. № 7.
- კვიციანიძე ემზარი — ლექსები. № 6.
- მებერიშვილი ტაფ — ლექსები. № 4; ლექსები. № 8.
- მეგრელიძე ლიდა — ლექსები. № 1.
- მილდენი ჟულიეტა — ლექსები. № 11.
- მიერაძე ინგერი — ესპანურა მოზაიკა. ლექსები. № 6.
- ოთარაშვილი ვაჟა — ლექსები. № 7.
- სმირა რუხბერი — ლექსები. თარგმ. ჟანო ჟანელიძემ. № 1.
- სტურუა ლია — ლექსები. № 4.
- სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 8.
- სულაბერი ვივი — ლექსები. № 3.
- უნგრელი პეტრებს ლექსები — თარგმ. მინანა სალაძემ. № 7.
- ფოცხვილი მირსია — ლექსები. № 1, ლექსები. № 9.
- ქვიციანიძე ირაკლი — წითისოფელი. ლექსები. № 2; ზემოთრ-ქვემოთრ. მოტივები. ლექსები. № 10.
- ჭელიძე მახვილი — უსათაურო. ლექსები. № 1; ლენინი. ლექსი. № 4.

- ზალვაშვილი ბელა — ლექსები. № 3; ლექსები. № 11.
- ზერაზაძეშვილი ზაქარია — ლექსები. № 10.
- ჩარკვიანი ჭანტული — დედამიწის დროით... პოემა. № 5; წიგნიდან — 84. ლექსები. № 8.
- ჩხეტიანი თემური — წასვლამდე. ლექსი. № 6.
- ძნელაძე ვივი — ლექსები. № 7. მეგობარ პოეტს. ლექსი. № 12.
- წერეთლიანი დავითი — ციკლიდან: გამოთხოვება. ლექსები. № 9.
- წერეთლიანი ნუგზარი — ლექსები. № 3.
- ჭანტურია ტარიელი — ლექსები. № 6; ლექსები. № 11.
- პელიძე ოთარი — ზღაპარი ცისა და მიწის შუაგულსა. პოემა. № 3.
- ხეთაფურავი კოსტა — ლექსები. თარგმ. გივი ალხაიშვილმა. № 11.
- ჭახუშანიური გამრთელი — ლექსები. № 2.
- ჭალაღონია ნოდარი — 300. ლექსი. № 2.
- ჭახუა იმედი — ლექსები. № 6.

დიადი გამარჯვების 40 წელი

- ახაშვილი ალექსანდრე — არ მოუშვა დაკვარი. ლექსი. № 9.
- ახათიანი ლადო — ქართულ ცხენოსნებს. ლექსი. № 9.
- ველიკანი მირზა — მეგობარ პოეტს. ლექსი. № 9.
- გრიშაშვილი იოსებო — ორი სიტყვა ლექსი. № 9.
- ღონიძე გიორგი — შინმოუსვლელო, სადა ხარ — ლექსი. № 9.
- მარგინი რევაზი — მე უბით ვატარებ პატარა ბარათს. ლექსი. № 9.
- მირცხულავა ალო — დგას ორი ქალაქი, ორი ძმანდელიც. ლექსი. № 9.
- ნიშნაიანი ვიზო — მებრძოლი სიტყვა. № 12.
- ნონეშვილი იოსებო — სიმღერა ზოთი კოსმოდემიანსკიაზე. ლექსი. № 9.
- ტაბიძე გალაკტიონი — მე კავკასიის ქედები მოხოვენ. ლექსი. № 9.
- ჩიქოვანი ხამონი — მამულს ვუთხრათ გამარჯვება. ლექსი. № 9.

60 — „მნათობი“ — 60

- ახაშიძე ირაკლი — შენ ახლა სამოცი წლის ხარ. № 12.
- ახაშიძე გრიგოლი — შრომისა და ბრძოლის მხატვრული მატთან. № 12.
- ბუაჩიძე თენგიზი — ჩვენი სულიერი ცხოვრების შემატანა. № 12.
- დაბურია მუშნი — კეთილი მეგობარი. № 12.
- მალბაძე ელგუჯა — კვლავაც გამარჯვების გზით ვვლდს... № 12.



ნატროშვილი გიორგი — „მნათობის“ სივარძამე. № 12.
 ნაშინაიძე შოთა — ძვირფასთ მეგობრებში № 12.
 ლეჩხელია ქანსული — ზენე „მნათობი“. № 12.
 შანიძე აკაკო — „მნათობის“ რედაქციას. № 12.
 ჩარკვიანი ქანსული — მარადის ანათებდე. № 12.
 ცაიშვილი სარგისი — მწერალური ოსტატობის დიდი სკოლა. № 12.
 ქელაძე ვახტანგი — „მნათობს“ შეუძლია იამაყოს. № 12.
 ხალვაში ფრიდონი — სამოცი წლის „მნათობი“. № 12.

საბავშვო მწერლობის პირველი ხრილობის 50 წელი

აბაშიძე ირაკლი — ჩვენი პირველი ყრილობა. № 9.

რუსთველოლოგია

ზარაშიძე აღექსანდრე — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ახლებური წაკითხვის გამო. № 2.
 ზარსოვი გურამი — ისევე ზოგიერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო. № 10.

ნარკვევები, ჩხინი მივლინებით

აბშილავა ამირანი — დიდი ექსპერამენტი მატარა ქალაქში. № 9, 10, 11.
 ხერგიაში შირონი — სადამდე ივლის ქარავანი? № 2, 3, 4.

პრიტიბა, პუბლიცისტიკა

აბავეი ვასო — ერის ჩირაღდანი. № 11.
 ბესტაიაშვილი ანაიდა — ნიჭი ხსოვნისა. № 12.
 ბრეგვაძე ლევანი — შესწავლის საგანი — ქართული ლექსი. № 8.
 გიგოცკარი ვივი, კვიციანიშვილი ენზარი, კანტარია ტარიელი — იუთიმ გურჯის ლექსების წინათქმა. № 5.
 გვირგვინი გურამი — დაუვიწყარი სახელი და საშეარო. (ლევო ქიაჩელის დაბადების 100 წლისთავის გამო). № 10.
 გოგია ზაზა — განუქრნელი გულისტყვილი. № 7.
 გოგოჭური ხეთიხო — არეომაგიტის ფილოსოფიური წყაროები. № 12.
 გორიუხია ელვირა — ზედნიერი მგზავრობა ჯერ თბილისში, შემდეგ კი ნოვოსიბირსკში. № 4.

დურშიშიძე სერგი — გურამ რამელიშვილი (დაბადების 50 წლისთავის გამო). № 12.
 იამარაიანი მარტ — ნატკენი გულისა და მწვენათელი სიზმრების წიგნი № 3.
 აფაქიძე ანდრია, ზარაშიძე აღექსანდრე, ბერიძე ვახტანგი, ვახუშია ლევო, გამყრელაძე თამაზი, გუნია ავთანდილი, დურშიშიძე სერგი, კუპრაძე ვიქტორი, მელიქიშვილი გიორგი, ოყუაძე ვაჟა, შანიძე აკაკო, ჩიქობავა არნოლდი, ციციშვილი გიორგი, შიშიგური შოთა, კოლოშვილი გიორგი, ზარაძე ევგენი, ჯავახიშვილი ნინო, ჯიბლაძე გიორგი. — თერაპეტი მეცნიერის პასუხი ერთ შეკითხვაზე. № 9.
 კაციტაძე დავითი — ეახუშტი ბაგრატიონის ნაკვეთებზე. № 4.
 კარბელაშვილი ანდრე — საუკუნე, ვითარცა წამი... № 3.
 მალაძე ელგუჯა — ქართული ხმით ნგალობელი. № 9.
 ნატროშვილი გიორგი — ახლის დაფუძნების გზით. (სიმონ ჩიქოვანის დაბადების 80 წლისთავის გამო). № 5.
 სარიშვილი ვიკტორია — კარტლუსის ლირიკა. № 8.
 ფირიანიშვილი პაატა — ეროვნულ-განმათავისუფლებელი საკითხები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. № 1.
 ქუმისიშვილი დიმიტრი — ნიკოლოზ ოსტროვსკი. № 10.
 ცეცელიანი ევგენი — „ვეფხისტყაოსანი“ იაკობტორე ენაზე. № 1.
 ცისკარიძე ვიოლეტა — ლიმილიანი ქაბუჯის საჩუქარი. № 8.
 ციციშვილი გიორგი — გრიგოლ აბაშიძის საზღვრდახლო აბრისი. № 11.
 ჩიქოვანი სიმონი — საუბარი ლერმონტოვზე. აღექსანდრე ბლოკი, გულოთ დაკვესებული ნაპერწკალი. № 12.
 ჩიქობავა არნოლდი — ბროტესტორო იოსებ ყიფშიძე და თბილისის უნივერსიტეტი. № 7.
 ჩხაიძე თენგიზი — დავინახოთ, რაც მოძიებულა. № 12.
 ჭინჭარაული აღექსი — ერთხელ კიდევ ქართული ხალხური პოეზიის გამოცემის გამო. № 6, 7.
 კილაია სერგი — ევანგელ ნინოშვილი. № 11.
 ხელაია მანანა — ქართული ესეის ისტორიიდან. № 7.
 ხუბუნი მამია — მამულქი რუსტამი. № 3.
 ჯიბლაძე გიორგი — „უკანასკნელი უბიხი“ ანუ ჭიქების ოდისეა. № 11, 12.

მეცნიერება

ამირანიშვილი გურამი — ატენის სიონის სამი გრაფიტი. № 9.



აღუქსიძე ზაზა — „ცხოვრება ფარნავაზისი“, № 12.

ბაწაში წაიე — ეთნონიმ „ლაზი“-ს გავრცელებისათვის თურქულ ისტორიოგრაფიაში. № 4.
გამყრელიძე თამაზი — ინდოევროპელები, ქართველები, სემიტები. № 6.

გოლიაძე ვახტანგი — ვიკინგები საქართველოში. № 4; რომელი ქვეყანაა „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ აბაშეთი? № 7; ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. № 11.

კეკელიძე ვაჟა — ვინ არის ეპითალმწერელი? № 5; ქართველები მონღოლთა კარზე. № 10.

პატარაძე რაჟაზი — ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები. № 1.

ყორღანიას ვაჟა — თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი. № 5, 6.

სტეფანაძე ჟემალე — საღ წავეიდენ ყვიჩაღები? № 8.

ღლონტი აღუქსანდრე — ჩვენი შთა და ავკი შინაძე. № 11.

ცაიშვილი სარგისი — ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“ და მისი უცნობი ავტორი. № 8.

ცანავა აპოლონი — ქართული მითოლოგიის სადღეისო პრობლემები. № 2.

ჭელიაძე ედიშერი — გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამო. № 10.

ხიდაშელი შალვა — პეტრიწონის ქართული მონასტერი და მისი მნიშვნელობა ქართულ ფილოსოფიის ისტორიაში. № 2.

ჭაჭაიაძე გიორგი — საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. № 12.

ხელნაწიხბ

ხერაძე ვახტანგი — ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პრობლემები. № 8.

მგალობლიშვილი ნოდარი — ტრადიცია და ნოეატორობა არქიტექტურაში. № 9.

სახლმარბარათის ლიტერატურა, ცხვრავა

გოგენი — უწინ და შემდგომ. თარგმ. გიორგი ლორთქიფანიძე. № 7.

კამილ აღბერი — ორი ესეი. თარგმ. და ბოლოთქმა გიორგი ეკიხაშვილისა. № 11.

კილაძე ზაური — „მოლოზის რეკვიემი“ — უილიამ ფოლენერისა და აღბერი კამილს ტრადედა. № 5.

ჭაჭაია იმარი — ახალი არაბული ლიტერა-

ტურის განვითარების გზები. № 1, 2.
ფაქტები, მოვლენები, კომენტარები. № 11.

მომონებანი, ფაქტები

გამახტურდია ხიმონი — კოლტური კოშკი. № 1.

ბამონსათხვრავი

აითმატოვი ჩინგიზი — სიტყვა ძმისა და მეგობარზე. № 10.

აღუქსიძე შიკა — სიცოცხლე მიწასავით ზღიმი. № 12.

ამაშუელი რეზო — მშვიდობითი № 12.

ბარბუღინი სერგეი — აუნზღურებელი დანაკლისი. № 10.

ბრეგვაძე ლალი — მოყვასო ჩემო! № 12.

გელაშვილი ნაირა — წვიმიანი დღის სედა. № 12.

იზრაგიაოვი მირზა — ნოდარ დუმბაძის მარადისობის კანონი. № 10.

მარბიევი კოსტა — უყვადება. № 10.

პეტროსიანი ვარდგეს — შენი ნათელი სული. № 10.

პლიედ გუნარ — სიმბიმილი დანაკარგისა. № 10.

სირაძე რევაზი — გამოთხოვება მეგობართან. № 12.

შვეარდნიძე ედუარდ — გამოთხოვება ნოდარ დუმბაძესთან. № 10.

შინყუბა ზაგრატი — ჩუქრობელი ვარსკვლავი. № 10.

ჩიგრიწოვი ივანე — ზალბის სამსახურში დიდრფილი სიცოცხლე. № 10.

ხალვაში ფრიდონი — მარადისობის ბინადარი. № 10.

ხერგეანი მირონი — მახეში. № 8.

წიგნების მიმონილვა

აბულაძე გიორგი — სწრაფე ახალი სიერცებისსაცენ. № 5.

გაწერელია აკაკი, ბრეგვაძე ბაჩანა, კვატაიშვილი ეშარი, ქურდიანი მიხეილი — „აენ-გარდნიში თბლისში“. № 6.

გიორგობიანი ქეთევანი — „სიადან მოღიხარ სიყვარულო?“. № 2.

გოგოჭური დავითი — ივრისპირული ზარების ექო. № 3.

გოზალიშვილი შალვა — რომანი ქართველ მეშახტეთა ცხოვრებაზე. № 2.

გუჩაბიძე პარმენი — დიალექტური მატერიალიზმი, როგორც მარქსისტული-ლენინი-

რი იდეოლოგიის ფილოსოფიური სა-
ფუძველი. № 5.
თაყაყ ალმანჯორი — მწერლის პირველი წიგ-
ნი. № 2.
თაყაყ ალმანჯორი — წიგნი ჩემს თაობაზე.
№ 2; ავტორი ლამენათევი ლექსებისა.
№ 5.
კენჭოშვილი ნიკოლოზი — „ბევრი არ არის,
მაგრამ არც ცოტაა“. № 9.
კინწურაშვილი ხიმონი, შეტრეველი რიონი —
წიგნი ტაო-კლარჯეთის არქიტექტურაზე.
№ 1.
მახარაძე მიხეილი — იოსანე პეტრიწი „ფი-

ლოსოფიური მეშვედრებში“ — სტატიები. № 11.
შვალაშვილი ეთერი — ედგარ პოს მო-
თხრობები ქართულად. № 2.
ოშარაშვილი ასრათი — საინტერესო ტოპონი-
მური ნაშრომი. № 12.
სარჩველაძე ზურაბი — ხანმეტი ტექსტების
ახალი გამოცემის გამო. № 7.
სიგუა ალექსანდრე — ქართული ლექსიკო-
გრაფიის საკითხები. № 8.
ხომშიშვილი ფრიდონი — „შენ იყურები სარ-
კმლიდან ახლა“. № 5; „მოზაიკა“ № 8.



● რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პარკი, № 12.

● ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11,
მთ. რედ. მოადგილეს — 98-55-13, პ/მგ. მდივ-
ნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17,
98-55-20.

საქ. კ. ც.-ის გამომცემლობა, 1984.

გადაეცა ასაწყობად 15. 10. 84 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 29. 10. 84 წ. ასაწყობის ზომა
7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფა-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო
თაბახი 16,58.

ცი 10512. ტირაჟი 35.000. შტა. 2300. საქ. კ. ც.-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლე-
ნინოს ქ. № 14.

6206/163

3360 80 333.



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ